

2002

ს რ ი ლ ი

6 (186)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

25 ლექსები

ფასი 80 თეთრი

#6

2002

iede Jelinek

Marlene Streeruwitz

Nikolaus Lenau

Marianne
Gruber



არლი

საზოგადოებრივ-ლიბერალური
ასოციაცია "არლინს" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არლი - დასასვენებელი სიწმინდეა(ნი)
სულხან-საბა

არლი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული მშენ
პანაგოტაპიტი ლეონიძე

მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)

ლევან აბაშიძე

ია ანთაძე

ირმა არჩუაშვილი

შალვა ბაკურაძე

ანდრო ბუაჩიძე

ნოდარ ებრაღიძე

თამაზ ვასაძე

ეთერ ვიბლიანი

ზაზა თვარაძე

ზურაბ კიკნაძე

ვანტანგ კომახიძე

ვასილ მალლაფერიძე

ზვიად რატიანი

ირაკლი სამსონაძე

გულსუნდა სიხარულიძე

სოზარ სუბელიანი

ზაზა ფაჩუაშვილი

ზაზა ჭილაძე

ბესო ხვედელიძე

მენაჯერი - ნანა ჩხვიმიანი

კომარცხილი დირექტორი -

გიორგი სუბარი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამაზ ჩხაიძე

ელისო კალმახელიძე

მანანა კორძაძე

ტელ: 93-37-43; 99-83-00

ფაქსი: 98-67-90;

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ძ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№6, 25 დეკემბერი, 2002

ლიბერატურა

ზვიად რატიანი	
ლექსები.....	1
ღვთის ქართულიზვიადი	
აქ კარგია.....	4
თამთა ფარულავა	
ხმები და ფერები.....	12
თამაზ კობახიძე	
მოდერნისტული კარნავალი ტომას ელიოტის ვენეციაში.....	15
მირჩა ელიაძე	
გამოცდა ლაბორინთით.....	21
ლუის დე ბარნიერსი	
ეტიკეტები.....	27

ავსტრიული ლიბერატურა

- ლენაუდან იელინაქაძე

სანდრო თორთლაძე	
მელანქოლიური, სევდიანი, ტანჯული.....	31
ნიკოლას ლენაუ	
ლექსები.....	33
სოფია ლოვენტალისადმი მიძღვნილი ჩანაწერები.....	35
მარინა ბრუბარი	
მეჭვავია ჩიტის სიკვდილი.....	36
მარლენე შტრაიერჰეიმი	
დოქტორ ჰანსენის ამბავი.....	45
ანა კორძაძე-სამადაშვილი	
ელფრიდე იელინეკი:	
სიყვარულს დანატრებული საყვარლები.....	47
ელფრიდე იელინეკი	
სხელი და ქალი.....	49

პერსონა

ჯული პოლტარი	
ღმერთის შეცნობის ვალდებულება.....	51
ფლანდრი ოქონორი	
ოჯახური მყუდროება.....	54
ელის უოკარი	
სამხრეთი მითების გარეშე.....	61

კუბლიცისტიკა

ზურაბ კიკნაძე	
ჭეშმარიტი ქარიზმისა და ცრუქარიზმის შესახებ.....	62

ზვიად რაჭიანი

აღამიანები ძველში

I
 მათ კარგად ესმით, რომ ღამით ჩემი შეწუხება უხერხულია და თუ რიგმა დღის ბოლომდე არ მოუწიათ, სასახლის წინ ათევენ ღამეს,

რადგან ქალაქში არავინ ჰყავთ შემფარებელი, ხოლო სოფლებში გაბრუნებას, ახლოც იყოს, არა აქვს აზრი, რადგან ხვალ ისევ ჩემს ჭიშკართან უნდა ჩამწკრივდნენ

და ელოდონ, მათი რიგი როდის მოაღწევს, როდის შეძლებენ თავიანთი გასაჭირით და სათხოვრით ჩემამდე მოსვლას, თავიანთი უბედური თავის ჩვენებას.

არა იმდენად როდის მნახავენ, რამდენადაც თავად როდის მეჩვენებიან. მოსულან და, ბევრჯერ იყო, ჩემგან ისე გაბრუნებულან, სათხოვარი ერთხელაც არ გახსენებიათ.

II
 თუკი თბილა, კარგიცაა ლამპიონებით განათებულ ღამეში დგომა, მაგრამ ზამთარში - იყო ამის შემთხვევებიც - ვინმე მომკვდარა. მე სულ ვურჩევდი, ჩვილები და მოხუცები არ მოეყვანათ.

მოახლეს, ჩემი მითითებით, მათთან გააქვს ცხელი რძე და ბოთლი არაყი. უკანასკნელი, როგორც წესი, კაცებამდე ვერასდროს აღწევს - ბავშვიან ქალებს რძე თავისთვის არ ემეტებათ.

არ იქნება, ისე დაეწვე, რომ ფანჯრიდან არ გადავხედო და რაღაც კარგი არ ვუსურვო, ვთქვათ - გადარჩენა ან, უკიდურეს შემთხვევაში, მშვიდი სიკვდილი.

მთელი დღე მათი გასაჭირის სმენით გადაღლილს, ზოგჯერ კიდევაც გაოგნებულს ზოგიერთის სათხოვარის უგუნურობით, მეძინება, მაღლობა ღმერთს, როგორც კი ვწევბი.

მაღლობა ღმერთს, არ მხევეია ძილის წინ ფიქრი და არ მესმის ფანჯრის მიღმა ქარის ზუზუნი. მე მჭირდება დასვენება, ძალის აღდგენა,

რათა დილიდან კვლავ გავაღო სასახლის კარი და თითოეულს, რიგრიგობით შემოსულებს, წამოვუდგე მისალმებისას, და ვუსმინო, და შევპირდე, და ვანიშნო გუშაგს: შემდეგი.

III
 ზოგიერთი პირველად მოდის, ზოგიერთი მეიმდენედ, კიდევ მეცნობა, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არასოდეს არ ვაგრძნობინებ,

ისევე როგორც ახლადმოსულს - რომ ვერ ვიცანი.

მე მათ ვექცევი ზედმიწევნით თავაზიანად, ისე, თითქოს თავად ვიყო სათხოვარით მათთან მისული. თუკი ხველება ამივარდა, ბოდიშსაც ვუხდი.

მე შემიძლია მიღებისას არ ჩავიცვა ჩემი მუნდირი და მათ დაეხვედნენ საწოლში ან აბაზანაში; შემიძლია კვირაობით არ გავულო სასახლის კარი.

მე შემიძლია ჭიშკრის ძელზე გამოვკიდო ჩემს ოთახში ქცევის წესები და მამაკაცებს მუხლზე ხოხვა ვაიძულო სავარძლის ირგვლივ, ხოლო ქალებს - გააჩნია - ასაკისდა შესაბამისად,

მაგრამ ვექცევი ზედმიწევნით თავაზიანად, რაშიც დიდად მეხმარება სიბერისგან გამომთბარი ცვილის თვალები და თეთრი წვერი, მთელ სახეზე გადამფენი სუსტი ღიმილის.

მე მათ არასდროს ვაწვევტივებ, უარესია. როცა გისმენენ, გაცილებით ძნელი არის გამოთქვა აზრი და მეც ვაცდი, ვიდრე ტანჯვით ნაკოწიწები

სიტყვა თვითონვე აერევათ; როგორც წესი, მე არ მიწევს დიდხანს ლოღინი. როგორც წესი, ეს პატარა ეშმაკობა მუდამ ამართლებს - გაცილებით უფრო სწრაფად მიიწევს რიგი.

IV
 მე მუდამ ვცდილობ, არ დაკარგონ სიამაყე და რასაც მთხოვენ, ისე მთხოვონ, თითქოს ერგებათ; არარსებული, მოგონილი სიამაყე, - ხსვა შემთხვევაში

გულისამრევი, მაგრამ ახლა - ჰაერივით საჭირო ჩემთვის, რადგან, თუ რამის მეშინია, მეშინია იმათ სისხლში მთვლემარე ძალის, რომელიც სწორედ ამ ფუტურ სიამაყით არის მთვლემარე


და მუდამ ვფრთხილობ, არ შევეხო, არ გავავიძო, არ ამოვიხმო მათგან ძალა, რომლისაც შურდა ყველას, ვინც მჯდარა ჩემს ადგილზე, ვინც გადამომყურებს

სავარეულო პორტრეტების რივიდან; ძალა, რომლის წინაშე უძღურია ჩემი სიბრძნეც, ჩემი ღირსებაც და ჩემი სიტყვის მომლოდინე ფოლადისგან ჩამოსხმული ლეგიონებიც,

რომლებიც, როცა თვალს შევაკლებ, თავად მზარავენ, მაგრამ ვერაფერს გახდებიან იმ ძალასთან, მათში რომ სძინავს და რომლითაც მათი მოდგომა დღემდე სულდგმულობს

და შვიდიდან სამი შვილი რჩებათ ცოცხალი, და რომელიც მათ მოდენის ზამთრის გზებზე, სუსხიან გზებზე, და ყინვაში, სასახლის წინ, აძლებინებს გათენებად

adeste hendecasyllabi. quot estis...



და აოცნებებს, ვერ გაუძლოს იგივე ყინვას
იმან, ვინც რიგში წინ აღმოჩნდა. მე მათ შეველიმი
და ვეხმარები, არ დაკარგონ სიამაყე, არ გამოფხიზლდეს

ძალა, რომელიც ადამიანს, თუ დასჭირდა, შეაძლებინებს
ყირაზე დადგეს და დამცირდეს, იკლაკნოს და
ფეხისმტვერი ულოკოსენით
და საკუთარი უმწიფარი ქალიშვილი თავისივე ხელით
მიჰკვაროს

მდიდრულად მორთულ სარეცელთან, ხოლო თვითონ
კარსიქით დადგეს
და უმღეროს მთელი ღამე სამიჯნურო საგალობლები
სხვას, ასევე ადამიანს, რომელიც სძულს.

ლექსი მაშინ, როცა ბევრად უკეთესი იქნებოდა დასვენება და მირე ლექსი

1
არაფრის გეშინია ახლა,
მაგრამ გაივლის ხუთი, ათი, თხუთმეტი წელი
და შენ შეგეშინდება არაფრის.

ახლა დაჰყურებ ღრმა ჭრილობას საკუთარ ფეხზე
და არ გაშინებს, რომ ასე ზანტად, ასე უხალისოდ
მოჟონავს სისხლი,
პირიქით, ცდილობ მოიგონო მოსწრებული შედარება
და მერე დაწერო: ისე ზანტად, ისე უხალისოდ
ჟონავდა სისხლი,
როგორც...

მაგრამ გაივლის
ხუთი, ათი, თხუთმეტი წელი
და აღარ იქნება არავითარი "როგორც".

"სისხლი უნდა ასხამდეს ჭრილობიდან", იტყვი მაშინ
და ენისწვერზე მოგადგება შემდეგი ფრაზაც,
მაგრამ ცივად გადადებ კალამს,
დაგეზარება წერა.

2
შენ წილად გერგო უბედურება, ყოფილიყავი ბედნიერი
და როცა წერდი, გეგულებოდა შენი თავი - საიდანღაც
მოთვალთვალები,
ვინც იცოდა ყველაფერი, მომხდარიც და მოსახლენიც,
და ენდობოდი.

ჯერ კიდევ გახსოვს ყველაფერი.
კარგად გახსოვს, როგორ უნდა ყველაფერი.
დაივიწყე.

არაფრის გეშინია ახლა,
არაღა უკვე სულერთია, ვინ შეგიხვევს ღია ჭრილობას,
უკვე ფიქრობ, რომ არაფერი დაშავდება,
თუ ის, ვინც ამას გააკეთებს, არ იქნება
გოგონა, ქალი.

უკვე გაღიზიანებს, როცა აღვილად გენდობიან.
უკვე გჭირდება დაფიქრება, ვიდრე უპასუხებ, რამდენი
წლის ხარ.
უკვე დაახლოებით ხვდები, თუ რა ემართება ლექსებს,

და უხალისოდ უტყდები შენს თავს, რომ მომავალი
უკვე დაიწყო, დიდი ხანია
დაიწყო.

3
არაფრის გეშინია ახლა,
მაგრამ გაივლის ამდენი და ამდენი წელი
და დანარჩენსაც ის მოუვა, რაც ბავშვობას მოუვიდა,
დამახინჯდება.

რაც ახალია, ყველაფერი ლამაზია, რაღაცით ლამაზი.
ახალია შენი ჭრილობაც.

ვილაც იქნებ შეიშმუშნოს, თვალი აარიდოს,
მაგრამ შენ იცი, ლამაზია.

და ვინც თვალი აარიდა, აბა სცადოს, მერე დახედოს,
შეხორციებისას დააკვირდეს, რას ეგვანება.

სიმახინჯე მერე იცის, შეხორციებისას,
ვიდრე ბოლომდე მოშუშდება, და მოშრება,
და ნაოჭებს გადაისწორებს.

და ბავშვობაც ასე იყო, თავიდან - ლამაზი,
მაგრამ ვერა და ვერ მოშუშდა, პირი ვერ შეიკრა,
ისევ ჟონავს, თავს არ გაკვიწყებს.

და შენ გახსოვს შენი ბავშვობა.
ან ის, რაც გახსოვს, როგორც ბავშვობა.
დაივიწყე.

ცარიელია შენი ბავშვობა, აღარავინ დადის ქუჩებში.
აწვიმს სკოლის ცარიელ მოედანს,
გუბებს აშხეფებს ცარიელი ველოსიპედი
და სწრაფად კარგავს წონასწორობას,
წვიმს.

ცარიელია შენი ბავშვობა:
იქაურები მოკვდნენ ან დასუქდნენ,
მოკვდნენ ან დასუქდნენ,
წვიმს.

და თუ წვიმს, მხოლოდ იმიტომ წვიმს,
რომ ახლა, როცა ამას წერდი,
მინებზე წვიმა აწკარუნდა
და ბევრი აღარ გიფიქრია,
დაწერე: წვიმს.

4
ყველაფერს მოევლება, ყველაფერს ეშველება,
იმ სხვანაირ სიყვარულსაც როგორმე ისწავლი,
ჯანმრთელობა და მისთანებიც გამონაკლისს დაუშვებენ
შენი გულისთვის,

ჩაწყნარდებიან შენი ლექსებიც, გაადვილდებიან,
მკვდრები თავად გიკარნახებენ -

აღარ მოგიწევს ეს მტანჯველი გარდასახვა
და საკუთარ თავთან თამაში - ვითომ არ იცი, ვინ ხარ,
რადგან სხვანაირად ვერ წერ,

ეს სამაგლობაც დაგეხსნება,
ეს ეჭვი თუ სინანული, გულს რომ გიწამლავს, -



თითქოს იყო ათასი გზა, ათასი ლოდი,
 შენ კი უძნელეს დაადექი,
 შენ კი უმძიმესს დაეჭიდე.
 ერთი გზა იყო, მიხვდები და მოგეშვება, და ერთიც - კენჭი,
 რომელსაც ისე, გასართობად, წინ მიიგორებ,
 წაჰკრავ ხოლმე ფეხისწვერს და წინ მიიგორებ,
 თუ მოგებზრდა, უკან მოისვრი.

გაიხსენე, რა კარგი იყო შარშანდელი სექტემბერი უცხო
 ქალაქში
 და უცხო ხალხში; უცხოც არა, სხვანაირ ხალხში.
 ვიწრო ქუჩებს მიყვებოდი, ფარდულეებით აჭრებულ
 ხმაბლად ქუჩებს
 და გიხაროდა, რომ ვერავინ გეტყოდა, "შენ ხარ".
 არც ენა, არც ღმერთი, არავისთან არაფერი გქონდა საერთო
 და ჰაერიც საესე იყო შენი სახელებით -
 ნებისმიერს დაირქმევდი ან პირიქით, არ დაირქმევდი,
 ვინც გინდა თუ ვინც არ გინდა, ის იქნებოდი,
 უსახელო და არავინ ისეც იყავი
 და შენს წინ იყო ათასი გზა,
 ათასიც და ასი ათასიც,
 მაგრამ არსად და არასოდეს არ ყოფილხარ
 ისე მართლა შენი თავი,
 როგორც იქ,
 მაშინ.

5
 როცა ჭრილობა, მობანილი, შეხვეული, ჭრილობად რჩება,
 და ტკივილიც ტკივილად რჩება,
 ოღონდ ისეთად, სიარულში ხელს რომ არ გიშლის
 და შეგიძლია გამართულად მიაბიჯებდე,
 რატომ, რატომ მილასლასებ ასე -
 კოჭლობით?

"არ ვიცი; ალბათ
 ეს იმავე მიზეზითაა,
 რა მიზეზითაც მე ლექსებს ვწერ", იტყვი მაშინ, როცა გაივლის
 ან არ გაივლის ხუთი, ათი, თხუთმეტი წელი
 და, "თუნდაც სისხლი ძლივს ჟონავდეს ჭრილობიდან
 ან ჭრილობა საერთოდაც არ არსებობდეს,
 სისხლი უნდა ასხამდეს ჭრილობიდან, უნდა
 იფრქვეოდეს", იტყვი
 მაშინ, ოღონდ
 ჩურჩულით.

ამ დროს ყვირილი უარესია,
 შეიძლება ვერ გაგიგონ,
 ჯობია - ჩურჩულით.

6
 კარგი რამ იცოდნენ ძველმა პოეტებმა,
 ლექსებს რომ მოძღვრავდნენ,
 ლექსებს რომ გეშავდნენ,
 ახლა კი წადითო, რომ ეუბნებოდნენ,
 ეს ქენით და ეს არ ქნათო, რომ არიგებდნენ,
 ამასთან მიდით, იმასთან კი არ მიხვიდეთო,
 თუ მაინც მიხვალთ, ესა და ეს გადაეცითო,
 ჩემგან აწი არაფერი მოითხოვოთო,
 არაფერი დამაბრალოთო,
 გაუშვებდნენ თავის გზაზე
 და ხელს იბანდნენ.

და შენც წადი, როგორიც ხარ, ასეთი წადი,
 ფეხს ნუ აითრევ და ნურაფერს ნუ შემომჩივლებ,

თვითონაც ვიცი ყველაფერი, მაგრამ გიშვებ,
 დღეს ასეა საჭირო,
 წადი!

და რომ შეხვდები ადამიანს, პირველივეს, ვისაც შეხვდები,
 აუხსენი, რომ საშინელ პირობებში იწერებოდი,
 გაბოლილ და ცივ ოთახში, დეკემბრის თვეში,
 პირდაპირ საბეჭდ მანქანაზე,
 ნაჩქარევად,
 რამდენიმე ლექსის მაგიერ,
 არ დაგავიწყდეს, ეს უთხარი: მე, ერთადერთი,
 ვიწერებოდი რამდენიმე ლექსის მაგიერ,
 აჭრელებული ფურცლების და გატეხილი ღამეების,
 შავი პირის, დედნის გარეშე,
 და უთხარი: ვიწერებოდი
 ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დაცლილი და თავისთავით
 გაწბილებული,

შესაცოდი პოეტის მიერ,
 ვინც იცოდა, რას აკეთებს, და იცოდა, რომ ეს ცუდია,
 მაგრამ სულერთი იყო მისთვის, ოღონდ ვეწერე,
 რადგან იმდენხანს არ ეწერა, ეშინოდა, ყველაფერი არ
 დამთავრდესო

და რაც კი თავში მოსდიოდა,
 ვერდაწერილი ლექსებიდან რაც კი ახსოვდა,
 ყველაფრით მწერდა,
 ძალით მწერდა
 და იცოდა, რომ ასეთი ძალადობა არ შერჩებოდა,
 რომ ოდესმე ამისათვის უსათუოდ დაისჯებოდა,
 მაგრამ არაფრის ეშინოდა,
 ვიდრე მწერდა, ჯერ არაფრის არ ეშინოდა,
 მაგრამ გაივლის -
 დრო გაივლის -
 არც იმდენი, როგორც თვითონ ეჩვენება -
 არა ხუთი, არა ათი, არა თხუთმეტი
 და მითუმეტეს არა წელი,
 ბევრად ნაკლები დრო გაივლის -
 ხუთი წუთი, ათი წუთი, თხუთმეტი წუთი
 და მას შეეშინდება არაფრის.
 2002 წელი, 15 დეკემბერი

რაც ნაშვიდა

ბოლოს ლექსებიც გაეცალნენ ადამიანებს.
 შეარჩიეს ძნელი ღამე, ავღრიანი, როცა გარეთ არავინ გადის,
 როცა ფანჯრებს არავინ ალღებს,
 და საიდუმლოდ აიყარა მათი ბანაკი; და გზადაგზა ივსებოდა
 მგლოვიარე შენაკადებით.

მგლოვიარენი - რომ ყველაფერი ბოლოს ასე ცუდად დამთავრდა,
 დაბნეულებიც - რომ არც ისე ბევრნი გამოდგნენ, მათ რომ
 ეგონათ,

როგორც ნაშთი ლეგიონის, წაგებული ბრძოლის შემდეგ,
 უწესრიგოდ ბრუნდება სახლში,
 მძიმედ დაუყვან ავღრიანი ღამის ველებს შორეული ქვეყნისაკენ,
 დროის თვალისგან საიმედოდ მიმალული ქვეყნისაკენ,
 საიდანაც სათითაოდ გამოიტყუეს.

ვერავინ შენიშნა მათი წასვლა, რადგან ღამე იყო.
 ვერც მათი არყოფნა შენიშნა ვინმემ,
 რადგან დღე იყო.

hendecasyllabi

adeste



ღაბით ქართულიზმი


მირანდა ფალავანდიშვილი
რასაკვირველია

ამ კარბია

გულუბრყვილო პროზა

შესავალი

მოსასველელ გოგოს ჩვენში იშვიათი, მაგრამ საზოგადოდ ცნობილი სახელი - მირანდა ქვია. ქცევით კი ხშირი ჩანს, იგვიანებს, უკვე ათი წუთით, "სისხლში აქვთ. უნდა დაგაყუდონ, უნდა გაგთიშონ ლოდინით". ბიჭი ფიქრობს. ბიჭი ქალაქის მთავარ ბიუროკრატიულ შენობასთან იცდის. შენობას საკუთარი საათი აქვს. საათი არის დიდი. ბიჭი საათს უყურებს. საერთოდაც, ჩვეულებრივ რამეებს აკეთებს; ჯერ რას: ზის, ფეხებს ათამაშებს, აცეცებს, მუხლისთავებზე ხელისგულებით გადადის, მუხლისთავებს იზელს (ზელვა, ვუნყით, შეიძლება და მოსულა ლბილეულის, ოღონდ აქ აუცილებელია ეს - იზელს, რადგან მუხლისთავები, ქალის ძუძუები, ფორმა, მოლოდინი, სუბლიმაცია, ათასინვარილმანი კიდევ რამ სისულელე), მოზელს და წამოდგება. ბიჭი ჩვეულებრივ რამეებს აკეთებს, ოღონდ ნერვიულად.



დგას. იცდის. ადამიანები მიმოდიან, ადგილიდან გამომდინარე ბლომად ადამიანი. ნებისმიერი შეიძლება შევიდეს, შეიჭრას, შევარდეს მის ცხოვრებაში. ახლა ან შემდეგ. ფაქიზად ან ველურად, ნებისმიერს შეუძლია შეცვალოს მისი, დაამძიმოს მისი, გაალამაზოს მისი აქეთურ-იქეთური ცხოვრება.

ბიჭი ადამიანებს უყურებს. პენენიკად აცვიათ, ყელზე ჰალსტუხი, მარცხენა მაჯაზე ბრდელია საათი. საქმიანად ირჯებიან, ტემპში. ისინი ბიჭისთვის გაუგებარნი არიან. ბიჭმა იცის: პენენიკები თავიდან იძულებით, შემდეგ ჩვევით დგებიან უთენია, თავიდან იძულებით, შემდეგ ჩვევით მიდიან სამსახურში, თავიდან იძულებით, შემდეგ ჩვევით ულიმიან ერთმანეთს, თავიდან იძულებით, შემდეგ ჩვევით ცხოვრობენ პენენიკები.

ბიჭმა იცის: რას ფიქრობს მათზე. თუნდაც აი, ეს, მერიის კუთხეში მდგარი მათხოვარი: "ბედნიერი ადამიანები, ჩათლახები". ისინი კი, თავიდან იძულებით, შემდეგ ჩვევით აძლევენ - ბიჭი ხედავს - ხურდას.

ჯიბიდან კოლოვს, კოლოფიდან სიგარეტს ამოაძვრენს ბიჭი. ასანთს ითხოვს, სანთებელს მიცემენ, გააბოლებს, სანთებელს დააბრუნებს, მადლობას იტყვის, არაფერს ეტყვიან, ცოცქნა შადრევანთან მივა, წყალს მოხვრიპავს, "მოვა, აბა, რას იზამს". გაიფიქრებს და მიხედ-მოიხედავს. მირანდა არ ჩანს. "მოვა, აბა, რას იზამს". სიგარეტს დაფერფლავს. ფეხსაცმელს დააჩერდება, დააბაკუნებს, ქვაფენილის მტვერს გაფანტავს. "მოვა, აბა, რას იზამს".

სამშობლო არა აქვთ ცუდი. (კარგადაც გამოითქმის სა-ქართველო) ოღონდ ღარიბია, ამიტომაც მოულოდნელი: იქნებ დაუხვდნენ, იქნებ გააუპატიურეს, იქნებ გამარცხეს, იქნებ მოკლეს და უხეიროდ ჩაფლეს (ხელი დარჩათ ზე, ან ფეხი), იქნებ გირი მოაბეს და მტკვარში მოისროლეს. სამშობლო არა აქვთ ცუდი, უბრალოდ ღარიბია, ამიტომაც დაუნდობელი, ცუდს ფიქრობს ბიჭი. მაგრამ მირანდა მოდის, ცოცხალია, მრთელი.

- გამარჯობა - ამბობს მირანდა. სუფთა თვალები აქვს. მის თვალებში არ დგანან სასლები, არ მიმოქრიან ბოლო მარკის ავტომობილები (ბიჭის ოცნებაა ასეთი თვალები) - პირველად ხომ იცი, წესია, მოკლედ სისულელე.

- ჰო, წესია, სისულელე, დაგვიანება, გამარჯობა - ბიჭი სიტყვებს ყრის.

პირველად არიან ასე ერთად, ცალკე, ეუხერხულებათ.
- მე უნდა ეკლესიაში წავიდე - ენა ეკლავნება მირანდას - წამოხვალ?

დაიწყება ახლა: ჩვენი ეკლესია, ჩვენი კაფე, ჩვენი სკვერი, ჩვენი სკამი.

ჩვენი... ჩვენი ფიცი. ბიჭი იცინის ოდნავ.
- ეკლესიაში რა გვინდა, ჯვარს ვინერთ?
- თავსაფრები უნდა მივიტანო.
რა?
- თავსაფრები, ვაკეთებ და ეკლესიაში ვაბარებ.
- ყიდი?
- გაგიყდი, ვწირავ.
- წამოვალ, - ამბობს ბიჭი, დაინტრიგებულია.
ამინდი: მზე, ზურგის ქარი, უნაღვეოდ.

მიდიან. მუსიკოსებიან მინისქვეშეთს გაივლიან, მთავრობის სასახლეს ჩაუვლიან, კაფე-ბარებს ჩაუვლიან, რესტორნებს, კაზინოებს ჩაუვლიან, ბუკინისტებს ჩაუვლიან, ბიჭი მიესალმება, სწორ გზას გაივლიან, ფხვიერ გზას გაივლიან, ფერად გზაზე გაივლიან, ეკლესიის წინ: ერთმანეთს შეხედავენ, პირჯვარს გამოისახავენ და შინ შევლენ.

მირანდა ჯერ ჯვარცმას ეამბორება, შუბლსმიდებით თავყვანსაცემს, შემდეგ მესანთლე დედაბერს აკოცებს, შუბლით არ შეეხება და ჩანთას გახსნის, თავსაფრებს ამოიღებს, ერთ-ერთს თავზე დაიდებს, დანარჩენებს მესანთლე დედაბერს გაუწვდის, ის თავსაფრებს სათითაოდ გაშლის, შეათვალიერებს. "ლამაზები" იტყვის და თავსაფრებს თეთრ, გამჭვირვალე, ქრაჭუნა პარკში ჩადებს, პარკს მაგიდაზე დადებს და მირანდას შეაქებს: "კარგე გოგო ხარ". მირანდამ კარგი საქმე ქნა და ილიმის. თან თავსაფარს ისწორებს, ბოლოებს კვანძავს.

ხალხი ქუჩდება, ადამიანები, აქაური მრევლი, შინაურები. მირანდაც ესალმებიან. მირანდა დახვეწილია, აშკარაა, წესების (ეტიკეტის) დაცვითაა აღზრდილი. საუზმე, სადილი, სამზარი, ვახშამი განსაზღვრულ დროს და ა.შ.

"ბებია ელენეს მოენონებოდა მირანდა. გვარიც მათებური აქვს. კუთილშობილური, ბებია ელენეს მოენონებოდა მირანდა".

ბიჭი ფიქრობს, უხერხულად დგას. მირანდა გვერდზე უდგება ბიჭს, თავსაფარი ძვირფასად მოურგია.

- კოლმეურნეს გაცხარ - ბიჭი ეუბნება.
მირანდა იცინის, შემდეგ ამბობს:
- მიცვალებულების მოხსენიებაა დღეს, დავრჩეთ?
- კი ბატონო, დავრჩეთ - ბიჭი მალლა იყურება - ღმერთი გვხედავს ახლა ხომ?
- ღმერთი ყოველთვის...

ქალები ან ფანატიკური მორწმუნენი არიან, ან ესთეტიკები, ან მუხლებზე ხოხავენ, ან კოსტა ფეხებზე კიდათ, ან მიქელანჯელოს "დავითის" ქვა კუთუ-ყვერს ნუნნიან, ან ხატებს ეამბორებიან. მარიაში, იესო, მოსე საპოდიუმო ფიგურებად წარმოუდგენიათ, ან უხორცო არსებებად. ქალები ან-ან არიან.

მირანდა გვერდზე უდგას ბიჭს.
- ვრჩებით ესე იგი?
- ვრჩებით, ჯერ სულიერად გავიცნოთ ერთმანეთი, ვაი ჩემს პატრონს.
- ვაი, - ამბობს მირანდა. კეკლუცობს.
მრევლი მოქუჩებუღია, საუბრობენ, ფაქიზად ქებებიან ერთმანეთს.

ბიჭი აქეთ-იქით იხედება.
ვერავის ცნობს,
მხოლოდ მირანდას:
- გამაცანი ეს ხალხი.
- მერე - ეუბნება მირანდა.
გვერდზე უდგას ბიჭს. ზარებს რეკენ.

უნინ

ბებია ელენეს ფრანგული კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული. ამიტომაც ვერ ვიტყვით რო სევდამ შეჭამა, არამედ - მელანქოლიამ. ცხოვრების უკანასკნელ კვარტალში ბებია ელენე მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობდა. ქალიშვილობაში ჩავარდა, დაბრუნდა (ფრანგული - დიას) იუ.

მამამ ჯერ ვლადიმირ ილიას-ძე ლენინის აზრი, რომ არისტოკრატია და ინტელიგენცია ხალხის ფაქიზი განავალია, აღიარა, დასტურსცა, შემდეგ კი, ექიმი მოინვია - ფსიქოლოგი. მან, ექიმმა, ბებია ელენე ტახტზე დაანვინა. უფრო სწორედ, სთხოვა ბებია ელენეს ტახტზე დაწეკითო. ქალიშვილობაში ჩავარდნილმა ბებია ელენემ ორი თავის გაქნევით ორი უარი თქვა, ხოლო მონვეულმა ექიმმა სრული იხმარა, თეთრი ხალათი ჩაიცვა და ბებია ელენე დაიყოლია ასე. ბებია ელენე ტახტზე დაწვა და მონვეულმა ექიმმა კითხვებით მიმართა მას, ბებია ელენეს და რადგან ფრანგულის იწი-ბინი არ, ნუ აღია-ბალია ბონჟურ და მერსი ესმოდა, ხელები ანია, მერე დანია და ამგვარი იოლი ვარჯიშის შემდეგ თქვა და თქვა ბევრი ლათინური სიტყვა და ხელები დაიბანა.

- ეს ფსიქოლოგები ექიმები კი არა, აფერისტები არიან - ბრაზობდა მამა.

მამა იძულებული შეიქნა ფრანგულისმცოდნე აეყვანა, რათა ოჯახში აღმდგარიყო ძველი ურთიერთგაგება.

- ჩემს საკუთარ დედაზე არ მიზრუნია ამდენი, ცაცა ბებია ხომ გახსოვს? - ბიჭს ეუბნებოდა.

ბიჭს ასვოვდა ცაცა ბებია და არ უყვარდა, რადგან მატყუარა იყო. სათამაშო, ხელთსაგორავებელ მანქანას შეპირდა და ამის მაგივრად გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ ცაცა ბებია აღარ გამოჩენილა. მატყუარა იყო. ანი, თუ რამეს პირდებოდნენ, ბიჭი შემპირებულს ეუბნებოდა - "ოღონდ არ გარდაიცვალა". აუცილებლად ფერ-ფერი გადაუფლიდათ მრგვალი თუ სწორ სახეებზე შემპირებელთ. ბიჭი თანდათან ხვდებოდა, რომ გარდაცვალება ცუდი იყო. თუმც შიში გაცილებით თვალხილული და ხელშესახები რამეებისა ჰქონდა: ბანაობა, თმის შეჭრა, ეზოს ძაღლები, უხილავი რამ საშინელება მხოლოდ გუდიანი დედაკაცი იყო.

- მოვა და წაგიყვანს - დედა ეუბნებოდა, რა თქმა უნდა, მხოლოდ უყოფაქცეობის დროს - გუდაში გადურთინებს თავს და წაგიყვანს.

ბებია ელენეს კომპანიონს თხლეშო იერი ჰქონდა, კმაყოფილად ეცირა თავი. ბებია ელენეს ცხოვრების ფსონი, ბიჭი იყო. ამიტომაც სუ გვერდზე ესვა და რადგან ერთმანეთის არ ესმოდათ, უფრო სწორად ბიჭს არ ესმოდა ბებია, არ გაეგებოდა. ეს დეტალია, წვრილმანია, შესაძლოა პირიქითაც მომხდარიყო, ურთიერთობის მიზანი გაგება ხომ, ორი არსება ესაჭიროება. ამიტომაც ახლა დაზუსტების გარეშე ვამბობთ: ბიჭს და ბებია-ს არ ესმოდათ ერთმანეთის. თუმცა მათი გაუგებრობა ტექნიკურად მოგვარებადი გახლდათ. გახლდათ რადგან ცოცხალი არსება გაიდო მათშუა ყანყალა, საცალფეხო ხიდად. თარგმანის ამბავი მოგესხენებათ, გვაღვაზე უარესი შედეგები მოსდევს.

ბებია ელენე საკუთარ წარსულს ჰყვებოდა, საკუთარ ისტორიებს და ამ ისტორიებში გაბნეული იყო მისი საკუთარი ცოდვა და მადლი, რომელთა გამოც მხოლოდ ბებია ელენე დაისჯებოდა ან ნეტარ იქნებოდა. გადმოქართულებული ეს ისტორიები ჰკარგავდნენ მთავარს:

შიშს - ცოდვათა გამო;
იმედს - მადლისა გამო.

მთარგმნელი უბრალო იყო, უდანაშაულო. ასე ვართ მოწყობილი და სულჩაბერილი, ვერ ვუთანაგრძობთ ერთმანეთს, შიშები, იმედი, შიშები და იმედი. შიში - ბევრია, იმედი - ერთი.

ბებია ელენეს უკანასკნელი ისტორია მხიარულ-მხიარულად დაიწყო. აივანზე ისდნენ.

ცოდვა-მადლ დაკარგული თარგმანი,

- მუსიე ბოლშევიკებმა ბანკეტი გამართეს არისტოკრატისთვის. კნაზები და კნინები მიგვიწვიეს, ნიშნად იმისა, რომ ცუდად არ გვერჩოდნენ. მუსიე ფილიპე მახარაძე გემასპინძლობდა.

შეზარხოშებულმა მუსიე ფილიპემ მოხოვა მასთან მეცვეკნა. მე დაეთანხმდი. მე მსურს ჩემო ბიჭო შენთან განვიმეორო ეს სცენა, გამოიმინვიე, მოდი, თავი დამიკარი - ბიჭი წამოდგა. ბიჭი ბებია ელენესთან მივიდა. თავი დაუჭრა და ბებია ელენე ჩაბარდა - მე მხოლოდ "ვალსს" ვცეკვავ - ბიჭი უშნოდ მოძრაობდა, ქოშებზე აბიჯებდა ბებია ელენეს - ცეკვაში ნამდვილი ფილიპე ხარ. სხვაგვარი ღმერთმა დაგიფაროს - ბიჭი გაჩერდა. ბებია ასხედა. ბებია ელენემ ანიშნა, რომ ამოძრავებულოყო, კვლავ დატრიალდნენ - და უცებ მე კვანტი გამოვდე ფილიპეს და ის ნაიქცა - "გმირი ხართ! გმირი!" ტაში შემოჰკრა მთარგმნელმა - აი ასე: ბებია ელენე მხიარულად ნაიქცა. აღარ ამდგარა.

კომპანიონმა მჯგა შეუშინა. გულზე ბუნებრივი სასმენი იარაღი - ყური დაადო.

- მადამ ელენი გარდაიცვალა. - თქვა და ხელები ამოსდო, ანია და ბებია ელენეთი ხელში ოთახისკენ წავიდა - მშობლებს დაუძახე შენ.

ბიჭი იდგა.

- შენ გუდიანი დედაკაცი ხარ, ცუდო! - აყვირდა ბიჭი, მშობლებსკენ გაიქცა.

სადილობდნენ. გულზე დაადგათ ლუკმა.

ოჯახში მოუნათლავი მხოლოდ ბიჭი იყო. ეკლესიაში ბიჭი გააშვილეს, ტაშტში ჩააყენეს, წყალი გადაავლეს, მერე გააშრეს. მოინათლა ბიჭი.

- გუდიანი დედაკაცი არ არსებობს - მღვდელმა უთხრა.

ზღაპარ იყო - გაქრა.

დღეს

აქ კარგია - ეკლესიაში. აქ არავინ გთხოვს საშვს. აქ არავინ გთხოვს პირადობის მოწმობას. არავინ გიცქერს ცუდად. ბღვერი. თავისთვისაა ყველა. ჩურჩულებენ, დუდუნებენ. ყველა მოწმონს: წრიბა, სნობი გოგონა თეთრ, ჭრაჭუნა პარკში რომ იხედება, ჩითაობს, თავსაფარს ეძებს კარგ ფერებში. პარკი ჭრაჭუნობს. მოწმონს. გასიებული ბლენძიც ვინც ალბათ ამაყია მდბიოებთან და განუწყვეტლივ მიცემულ ბრუნვაში ლაპარაკობს ზემდგომებთან. ვიცი განვიკითხავ. ადამიანის ჩვევა განკითხვა; ადამიანის ჩვევა სიბლში ჩავარდნა; ადამიანის ჩვევა პარვა, კვლა, მრუშობა; ადამიანის ჩვევა სიბრალებული. საბრალონი ვართ, რადგან სიცოცხლე და სიკვდილია ჩვენი თვისება. ჩვენ შევცდით, როდესაც შესადარებელ ობიექტებად ცხოვლებთ, ფრინველები ავირჩიეთ და ამაყად განვაცხადეთ, რომ სიცილი სჩვევით კაცთა, სრულიად საკმარისია ახელო შვს და მიხვდები ამ აფორიზმის სიყალბეს, მზე იცინის, მზე იჭმუნება, მზე პირს იბანს, მზე მარადიულია, მზე საბრალოა. ჩვენ ვიცინით, ჩვენ ვიჭმუნებთ, ჩვენ პირს ვიბანთ და უფრო სზირად ხელუბს, ჩვენ ვცოცხლობთ, ჩვენ ვკვდებით ცხოვლებივით, დაზუთხული გაკვეთილივით ვაბარებთ ერთმანეთს სიცოცხლეს, სიკვდილს მზეუთუნასავები.

ბიჭი სასულიერო ბროშურებს ათვალერებს, იღებს, შლის, თვალს აყოლებს, ხურავს, ადგილზე აბრუნებს.

მირანდა გვერდზე უდგას.

მირანდას საკუთარი წარსული აქვს. თავისი ქალაქები, თავისი ტერიტორია; წარსული მტერია, ფაქიზი, ჩუმი მტერი. გაანანი სილას, ხელუკულება გაკრავს, ის კი ლაზათიანად გიყენებს მეორე ლოყას.

იძულებული ხდები: აღიარო, მიიღო (მედლის ორი მხარე, წარსულის ორი ლოყა) და ატარო. მე ჩემს წარსულს ვატარებ...

უნინ

ასეთ დროს ბებია ელენე იტყვოდა:

- არ შეზღუდოთ. წავიდეს.

სტუმარი ლეთისაა, ღამის სტუმარი ნაკლებად, მაგრამ...

ძია ლადია ღამე მოვიდა. ბიჭი 12 წლის იყო უკვე. დასაძინებელ დროს თავად ირჩევდა. ზეზე დახვდა სტუმარს. ძია ლადიამ მამას შემოუარა წინადადებით:

- გამაყოლე ეს ბიჭი რეისში. გასიერნებს, იტყუშპალავებს და დაგიბრუნდება.

ძია ლადია მძლოლი იყო, "კამაზზე" იჯდა, ციტრუსი ჩამოჰქონდა ზღვისპირეთიდან. ქარხანაში აბარებდა და ფულს იღებდა.

- უშვებ?

- მაიცა რა - მამამ ღვინო დაასხა.

- სად იტყუშპალავებს ამ შუა ზამთარში - დედამ თქვა,



პრაქტიკული იყო.

- ზამთრის ზღვა ყველაზე თბილია.
- აკადემიკ - თქვა დედამ და თეფში გაუნოდა ძია ლადი-ას - ჭამე.
- მოკლედ შევთანხმდით - ძია ლადიამ ხელები მოიფშვინ-ტა და პური გატეხა.
- მაიცა რა, - თქვა მამამ. მხრები აიჩეჩა, მერე ჭიქა ანია - შენ გაგიმარჯოს! - მამამ დალია.
- რა მაიცა, ეშმაკს და გადამთიელს ხომ არ მიყავს...
- არ არსებობს - ბიჭმა თქვა.
- რა? - ძია ლადიამ კითხა.
- ეშმაკი და გადამთიელი. არც გუდიანი დედაკაცი არსე-ბობს.

- ეგეთები მამაშენს უთხარი - მხარზე მოეფერა ძია ლადია ბიჭს - მოკლედ უთენია მოვალ, ბიჭი ჩაცმულ-დასურული და-მასვედრეთ. საცურაო ნივთავიც გამოაბანეთ. ზამთრის ზღვა ყველაზე თბილია. გაგვიმარჯოს - ძია ლადიამ ხელისზურგით გასწია განზე ჭიქა - ვერ დავლევ, ნავედი.

ძია ლადია წავიდა.
 - ეშმაკიც არსებობს და გადამთიელიც; ორივე შენა ხარ გუ-დიანი დედაკაცისთვის - დედამ გაიცინა - უნდა გამეტანებია შენი თავი - დედა თუთუხებდა. კარგად კეთილად.

ბიჭი გახარებული იყო, უნდოდა წასვლა.

იწვა, არ ეძინა, ხედავდა: ძია ლადიას "კამაზს". ხედავდა: როგორ ფეხებოდა შიგ, როგორ მაღლიდან ეშვიდობებოდა მი-წაზე დარჩენილ, გამცილებულ მშობლებს. დედა იღიმებოდა. მა-მა მხრებს იჩეჩავდა. ესმოდა მოტორის ხმა. შემდეგ ეზოდან გა-დიოდნენ, შემდეგ ბიჭი ხელახლა ხედავდა და ისმენდა ყველა-ფერს. ეზოდან გასვლის შემდეგ რა მოხდებოდა არ იცოდა ბიჭ-მა.

იატაკზე შიშველი ფეხები დაატყაუნა, ჩაცუცქდა. სანოლის ქვეშ შეყრილი ჩუსტები გამოიღო, წაჰყო ფეხები შიგ, შიგ თბი-ლოდა და, ტყუალტში შევიდა. მოუსა, აურიალეზა, ციოდა, ხომ დილა იყო, თან ზამთარი. ფსლით მეტლახიც დანამა და უნი-ტაზზე დასაჯდომიც, აურიალეზა.

უკან მობრუნებულს დედა დახვდა. ბიჭის სანოლზე იჯდა, ბიჭის ტანსაცმელი ეჭირა, ხელებზე ჰქონდა გადაკეცილი ზო-გი.

- ჩაიცვი - უთხრა დედამ.
- ბიჭი მივიდა, დედის გვერდით დაჯდა.
- ცუდად ვიქცევი, დე?
- დღეს დროებით, ხვალ სულ წახვალ.
- ბიჭმა ვერაფერი გაიგო, დედას უცქერდა, მზერად იყო ქცე-ული. მერე შარვალი ჩაიცვა. ჯერ მარცხენა ტოტში გაჰყო ფე-ხი. შემდეგ მარჯვენაში. ბოლოს დილი შეიკრა, სულ აღარ ახ-სოვდა დედა.

- ნუ ჩქარობ - დედა ეუბნებოდა.
- ბიჭი ჩქარობდა.
- ნუ ჭეჭყავ ფეხსაცმელს - დედა ეუბნებოდა.
- ბიჭი ჭეჭყავდა.
- კაბინაში ოდნავჩაცმული ქალები ენებნენ. ბიჭი უცქერდა. თბილისს გასცდნენ. ტრასაზე გავიდნენ. მაჩვენებლები. ზებ-რა ჯვებოდა.

- შენ ცუდად გზრდიან - ძია ლადია ლაპარაკობდა - ბიჭს მუქთა საჭმელ-სასმელი, ბიჭს მუქთა ტანისამოსი - ძია ლადი-ამ სიჩქარე შეცვალა. - ჩემი შვილები, აგე, შენზე იაფი ჯიშო-სანი არ არიან, მაგრამ მანქანას ვასწავლო; ცხოვრება ძნელია, მამა სუ კი არ იქნება. მზამზარეულზე ვერ იჯდები სულ. ცხოვ-რებაში ფულია მთავარი. მამაშენს ჯერჯერობით რაღაც უჭყა-ვის, მაგრამ მამა სულ ვერ იქნება. ვერც მე ვიქნები სულ.

- მე, ძია ლადია?
- რა? - ძია ლადიამ ბიჭს გახედა.
- მე ვიქნები სულ?
- ვერა, ვერ იქნები.
- ბიჭს ეწყინა, "ცუდია", - გაიფიქრა.
- ძია ლადია ერთხანს ჩუმად მართავდა მანქანას. საჭეს ატ-რიალეზა. ბიჭი მიწებებულ ქალებს უცქერდა.
- მოგწონს? - ძია ლადიამ კითხა.

ბიჭს მოწონდა, თავის ქნევა-ქნევით გაეპასუხა ძია ლადიას და დარჩა თავჩაქინდრული.

- მაგათ ფული უყვართ. ფულია მთავარი! ფული რომ კარგი იყო, ბიჭმა იცოდა. სოსისები, ხაჭაპური, სამკუთხედები, შუები, გლიასე ხომ ფული ღირდა. პატარა, მსუბუქი მანქანები უფრო სწრაფნი იყვნენ, უსწრებ-

დნენ ძია ლადიას "კამაზს".

- კიდათ, ფული აქვთ და მიქრიან, ფულია მთავარი! ზღვა ლელავდა. ბიჭი ზღვას უცქერდა, მიწებებულ ქალებ-ზე ლამაზი იყო ზღვა. მოძრავი იყო ზღვა. მერე სახლები გა-მოჩნდა. დაბლები, საკუთრები, კოხტები, ერთთან გაჩერდნენ. ძია ლადიამ სიგნალი მისცა... ციტრუსი ტომრებით ამოჰქონდათ სარდაფიდან ვილატებს, ძარაში ყრიდნენ და სარდაფში ბრუნ-დებოდნენ, ყვითლდებოდა ძარა.

- მასპინძლო, დაიტანჯა ეს ბავშვი - ბიჭზე მიათითა ძია ლადიამ - ჩვენი ცქერით. იქნებ მოუხერხო რამე.
- გეძინება? - კითხა მასპინძელმა.
- ბიჭმა თავი გააქნია. უარი.
- ავთულია - დაიძახა მასპინძელმა.
- აივანზე ბიჭი გადმოდგა. სხვა.
- ჩამო. სტუმარი გაართე, არე-მარე ანახე.
- ავთულია ჩამოვიდა. ბიჭს ხელი მოკიდა.
- ნამო, - ავთულიამ ბიჭს შეხედა.
- შენ რა გქვია?

...ძია ლადიამ გასალები გადაატრიალა.
 - მასპინძლო, წახვამდის.

- ღმერთი შენთან! - თქვა მასპინძელმა. უცებ შუბლზე იკ-რა ხელისგული - სათოვარი მაქ შენთან.

- შენი ხმალი, ჩემი კისერი - თავი გამოიღო ძია ლადიამ.
 - კაცი მიწა დაგამგზავრო, ძან კი მერიდებო...

- სადაა კაცი? - იკითხა ძია ლადიამ.
 მასპინძელი სახლის უკან გავიდა. კაცი თ დებრუნდა.

- ცენტრამდის ჩაიყვან და ვალში დამტოვებ.
 უცნობი ძია ლადიას მისვალმა და ბიჭს მიუხვდა გვერდზე.

უცნობი ყარდა.
 - წახვამდის, მასპინძლო - ძია ლადიამ სიგნალი მისცა.

ცოტა ჰქონდათ გავლილი ჰა, კილომეტრი, ჰა-ჰა კილომეტ-რნახევარი, უცნობმა რო კრინტი სძრა:

- ბინძურია შენი მანქანა ძმაო.
- გარეცხვას მაყუთი უნდა - თქვა ძია ლადიამ. უცნობი შე-ათვალეირა.

- ფულის დედაც ვაჭირე.
- მაიტა და გავრეცხავ.
- ხმას რათ უნეე, გუჯა ვარ მე, ძმაო, ვიძებნები, ექვსი თვე

ჭაში ვცხოვრობდი, ვირთხებში. დღეს ამ ლანირაკმა და ავთუ-ლია ვირიშვილმა თავზე დამმოჭრეს. ჭასთან დააქანავეს - ბი-ჭი განითლდა. თავი ჩალუნა. - გუჯა ვარ მე, ძმაო, სიბინძურეს ვერ ვიტანი!

- რა ვქნა მე, შენ შემოგველე - ხელები გაშალა ძია ლა-დიამ.

- გადაუხვიე. შევაგლოთ მანქანა ზღვაში და გაბანე ცხენი-ვით. გუჯა გეუბნები. სისუფთავე მთავრია! - მარჯვენა ხელი თეძოზე დაიდო.

"იარალი აქვს" - გაიფიქრა ძია ლადიამ და ჩაუხვია.
 - უცნიდან შედი. ამოსვლისას ჩალიჩი აღარ დაგჭირდება. ძია ლადიამ ასეც ქნა.

- უფრო შედი.
 ძია ლადიამ ასეც ქნა.

ზღვა ლელავდა.
 ძია ლადიამ ჩვარი (ვედრო რად უნდოდა?) დაითრია და ჩამოვიდა, ჩამოვიდა გუჯაც, ბიჭი მანქანაში დარჩა.

ძია ლადიამ ჩვარი დასაველა, მუხლებამდე წყალში იდგა, ჩვარი ბორბალს გაუსვა.



- მაგას ზღვა განმენდს, მაღლა განმინდე - თქოზე ედო მარჯვენა გუჯას. - ჩქარა ქენი - აყვირდა გუჯა. ძია ლადიას ზღვა აყანალებდა.

- ნუ ყვირი, დაგიჭერენ, - თქვა ძია ლადიამ.
ძალიან უსაქმოდ იყო ბიჭი. საქვსთან გადაჯდა. დაატრიალა. გაბედულად ვერა. ეშინოდა. გუჯას ყვირილი ესმოდა:
- სისუფთავა მთავარი!

ბიჭი სალონიშო დამონტაჟებულ ფერად-ფერად ლილაკებს დაექცევდა. ძალიან უნდოდა შეეხებოდა. თითები უთამაშებდა. გახსენდა უკან. ძია ლადია მანქანის ძარას სწმენდა. ფიქრობდა: "მე რო ფული მქონდეს, ხომ არ ჩავვარდებოდი ასეთ დღეში. ფული, ფულია მთავარი".

ბიჭი წითელ ლილას შეეხო - არაფერი. მწვანეს - არაფერი. ყვითელს - არაფერი. გათამაშდა. მანქანის კლიტეში ჩატოვებულ გასაღები გადაატრიალა ოდნავ, გაჩერდა. უკან გაიხედა, ძია ლადია ძარას სწმენდა, ბოლომდე გადაატრიალა გასაღები. ერთიციდა ნათურები ანთნენ, ფერი მოემატათ. ბიჭმა გაიღიმა, ხელები მოიფშვინტა და ფოლადისფერ ლილას მიაჭირა ცერი. მიაჭირა. მანქანის ძარამ ხმით იწყო ზესვლა, სასწაული იყო, ბიჭს უხაროდა.

- რა ხდება - აყვირდა ძია ლადია. ძარას დაეკიდა. ცვიოდა ციტრუსი ზღვაში, იყრებოდა - ჩემი საქონელი, ჩემი ფული - ყვიროდა ძია ლადია - ზღვას მიჰქონდა ციტრუსი.

- სისუფთავა ყველაფერი - ყვიროდა გუჯა - გაასუფთავე მანქანა.

ბიჭი ლილაკებს უყურებდა, უშინოდა, ვერაფერს შერებოდა. ძია ლადია ციტრუსს ყრიდა ნაპირზე ცალობით, ერთად. ზღვას მიჰქონდა ციტრუსი. ძია ლადია მიჰყვია. "ზამთრის ზღვა ყველაზე თბილია, მომეხმარე, გახივით". ციტრუსი მიჰქონდა ზამთრის ზღვას, ყველაზე თბილ ზღვას, ძია ლადია მიჰყვებოდა. აღარ დაბრუნებულა.

- ვინლა აჭმევს მაგის ოჯახს? - თქვა დედამ.
- აბა, აბა, - თქვა ექთანმა თინამ - ყაჩაღი რო დაიჭირეს, ეგ კარგი ამბავია.
- ვინლა აჭმევს მაგის ოჯახს? - გაიმეორა დედამ, ამოიხეხემა.

- ლეთის წყალობით გამოუჩნდებათ რამე - თქვა თინა ექთანმა და ნემსი მოამზადა - ლეთის წყალობაა ყველაფერზე მთავარი.

ფილტვების ანთებანი ბიჭი ინვა, ფიქრობდა.
"მთავარია ნემსი არ მეტკინოს".

დღეს

მირანდა მეუბნება:
- ეს მამა დავითია.
მამა დავითი ახალგაზრდაა. საიდუმლოს მფლობელის, მედასტურებს ასაკს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მამა დავითი ფლობს, ადასტურებს საიდუმლოს, ყოველ შემთხვევაში, მის მრევლს ასე სწამს. მე არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო. მე ვდგავარ.

მამა დავითის მრევლში ბევრი ფეხმძიმე ქალია. ორსული. რა თქმა უნდა, ღმერთი ძაან მაშინ გვჭირდება, როდესაც ჩვენით გაუკონტროლირებადი რამ გვჭირს. ორი სულის ტარება ძნელია ადამიანისთვის. რთული. ორსულობა არა მარტო დემოგრაფიულ პრობლემას (აქაოდა ჩვენ მინას ვინმე უცხო თესლი არ დაეპატრონოს, ფესვები არ გაიდგას მიცვალებულებით და სასაფლაოებით) აგვარებს გვარის გაგრძელებით, არამედ ღმერთისკენ გვადგმევინებს ერთ-ორ-სამ და ა.შ. ნაბიჯს.

სამყარო ფეხმძიმე ქალებმა შეინარჩუნეს და გასათხოვრებმა გარყვნეს ყავით, კარტით. თუმცე ქალს გააჩნია, (მშვიდობა ყოველთა - ამბობს მამა დავითი. ვიმეორებთ - მშვიდობა ყოველთა) გააჩნია.

მამა დავითმა ალბათ ბევრი ისტორია იცის. ბევრი აღსარება აქვს მოსმენილი. პირადად მე აღსარება არასდროს მითქვამს. არა იმიტომ, რომ ზოგიერთი ბაყ-ბაყა ინტელექტუალივით აღსარების რიტუალს სასაცილო რამ ქმედებდა ვთვლი; არც ზოგიერთი ფულსავატი მღვდლის ქცევის გამო, - მათ ღმერთს ვერ გადავწყობდა, უბრალოდ, ჩემს ოფიციალურ ცოდვებს ვერ განვიციდი. არ მტანჯავენ. თან ტუტუცურად მწამს, რომ ჯოჯოხეთი არ არსებობს. მხოლოდ სამოთხეა და ცოდვილისთვის სამოთხურ წესრიგზე და სიმშვიდეზე აუტანელი რაა? ცოდვა მოქმედებდა.

მამა დავითი 9 აპრილის თაობის ადამიანია. ეს უცნაური

დროა: მაშინ თვით ყველაზე ჩურჩუტ, ნაღებიან ყავაზე გაზრდილ გოგონას უცხო ენის შესწავლაზე და მოდის სქელი კაბა-ლოგების თვალთვლებაზე მნიშვნელოვან რამედ თავსაფრის წაკვრა და ეკლესიის დასუფთავება მიაჩნდა. ეკლესიის ეზოს მორწყვა, ყვავილების მოვლა, ბზის გახარება, მაშინ ოაზისს ქმნიდა ყველა ჩურჩუტი გოგო. მე განზრახ ვაკეთებ აქცენტს ქალებზე, მახვილს ვასვამ ქალთა საქვსზე, რადგან ისტორია ქალების კუთვნილებაა. პოლიტიკურ-გეოგრაფიულ-ეკონომიკურ-მხატვრული ისტორიაა. სულაც არ ვბუტქვ ეროტიკის მნიშვნელობას, არ ამყავს მაღალ ხარისხში. ქალებს უფრო სხვა სახის, სხვა ჯიგრის, სხვა შინაარსის გავლენა აქვთ ჩვენზე. ისინი ჩვენს ქმედებას, ჩვენს სიტყვებს კალაპოტს აძლევენ. ქალები დიდი ფორმალისტები არიან. ფაქტია ხომ: მეფეთ-მეფე თამარის ეპოქა ჩვენში ყველაზე მძლავრადაა ათვისებული და შესწავლილი, ნვლილვით წერენ, ძაან ცდილობენ.

ახლა, კვლავ იმ უცნაური დროის გამო: ადამიანები მსუბუქად აბიჯებენ ყველა სფეროში: რელიგია, პოლიტიკა, ეკონომიკა, ხელოვნება. ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენთან არს ღმერთი! ჩვენ გვეგონა, რომ ერთად დავსდებოდით და ვისაუბრებდით, ჩვენ გვეგონა, რომ ერთად ავაშენებდით საერთო სახლს, ჩვენ გვეგონა, რომ გვეყვარებოდა ერთმანეთი, ჩვენ გვეგონა, რომ შეგველო სიყვარული. ნაღდი და არა ინტელექტუალური. ჩვენ გვეგონა, რომ ავიტანდით ერთმანეთის თავისუფალ მშერას, მოვისმენდით ერთმანეთის თავისუფალ აზრს და დაგვაიწყნადა, რომ ფანატიკოსების შვილშვილები ვართ და შემეგუებელთა შვილები, და რომ სისხლით გადმოგვეცა ჩვენ ეს ჩვევები. ფანატიზმი, შემეგუებლობა, ჩვენ ფანატიკოსი შემეგუებლები ვართ. არადა, ჩვენ გვეგონა ქალაქებს, ქვეყნებს, კონტინენტებს ვნახავდით ერთად და ერთმანეთით ვიამაყებდით. ჩვენ გვეგონა... ჩვენ გვეგონა.

მარიამებო, ირინკებო, ხატებო, სანდრიკებო, ნატოებო, სელილებო, ტასოებო, გვაპატიეთ. ჩვენ გვეგონა...

ბიჭს საკუთარი შვილი არ ჰყავს. მეგობრებისა ჩამოთვლა - გვაპატიეთ. ჩვენ გვეგონია, რომ მეგობრები ვართ.

უშინ

სანგარს თხრიდნენ...
უკანასკნელად ნიჩბი სკოლის პერიოდში ეჭირათ ბიჭს და გიგას, თანაკლასელები იყვნენ. სკოლის დირექტორს დაჰყავდა ვითომცე ქალაქარეთა შაბათობაზე, საკუთარ ვრცელ მინის ნაკვეთზე ზრუნავდა, სოფელ ასურეთში ჰქონდა - ძვირფასი ხეხილი, სათბური, ფერად-ფერადი ყვავილები, ყვავილნარი. ბიჭი და გიგა მარტონი არ იყვნენ. შაბათობდნენ გოგოებიც. ფრიადოსან გიგეოს "შლანგი" ეჭირა. რწყავდა: ხეებს, ბუჩქებს, მინას, "ნახეთ როგორ წყურიათ", - ამბობდა გიგეო. ბიჭს და გიგას არ უყვარდათ ფრიადოსანი გიგეო. ყურადღებას არ აქცევდნენ.

თავად სკოლის დირექტორი სხვებზე ბილიარდა აგორებდა. მისი პარტნიორები იყვნენ გამორჩეულ მოსწავლეთა თანამდებობის პირი მამიკოები. "მეტი უშინი ბავშვებო, მეტი აზარტი", - ამბობდა სკოლის დირექტორი, თან კიას ცარცავდა და შემდეგ უშინთ და აზარტით აგრძელებდა თამაშს. მამიკოები შვილების მაგიერ ბრძანდებოდნენ აქ "ვითომ აფრიკელ ბავშვებზე მეტნი რითი არიან ეს ღლაპები"- ამბობდნენ მსოფლიო პოლიტიკაში გათვითცნობიერებული მამიკოები, - "უნდა იმუშაონ".

ბიჭი და გიგა ნახევარი ძალით მუშაობდნენ. ცულლუტობდნენ.

ბიჭი: მე ნახევარი ძალით. შენ?
გიგა: მეც.
ჩურჩულებდნენ.

ბილიარდის ბურთებს გაუდიოდა ჭახა-ჭუსი. "ინტერესი არ მივცეთ თამაშს?" - ამბობდა სკოლის დირექტორი, - "ჩეხური ლუდი, ფინური ძქვი. შევიცარიალი ყველი". მამიკოები თავებს აქნევდნენ, თანმდებოდნენ ასეთ გეოგრაფიულად ჭრელ სანაძლოეს, ერთფეროვანნი იყვნენ.

მუშახელისთვის განკუთვნილი ფესხადგილი იყო ფიცრული და ნაკვეთის ბოლოში იდგა.

- იქ შეიძლება? - ხელი გაიშვირა ბიჭმა.
 - მიდი, - ჩამოსახა სკოლის დირექტორმა.
 - მეც რა, - ხელი აწია გიგამ.
 - მიდი, ოღონდ ცალ-ცალკე შედი, - სკოლის დირექტორი იცინოდა, იცინოდნენ მამიკოებიც.
- ერთფეროვანნი იყვნენ.
ნაკვეთის ბოლოში ბალახი იყო მაღალი და მზითვა-

დამწვარი. ბალახში მიდიოდნენ ბიჭი და გიგა. წელამდე ბალახში მოძრაობდნენ. ერთმანეთს უყურებდნენ, იცინოდნენ. ბიჭმა ფეხქვეშ სხარტი რაღაც იგრძნო. დაიკლაკნა და გაცურდა. "გველიი", - აყვირა ბიჭი და გაიქცა ხალხისკენ. გიგა ვერ იდგა. ბიჭი ხალხთან იდგა. იდგა გიგა. იდგა ბიჭი.

სკოლის დირექტორი სკუპ დაბლა. თოხი აიღო და გიგასკენ წავიდა. გიგა იდგა. სკოლის დირექტორმა ბალახ-ბუღალხი გასწავა აქეთ-იქით. ძირს დახედდა.

- ფეხი გააქნიე ბიჭო, - უბრძანა გიგას, - მაგრად, მაგრად, ეგრე - სკოლის დირექტორმა თოხი დაიქნია - პატარა, უშხამო იყო, - თქვა სკოლის დირექტორმა, - სხვენზე მდგომ მამიკოებს ელაპარაკებოდა. უხსნიდა. გიგაზე ჭქონდა ხელი გადახვეული. გამირივით იქცეოდა - მოდი იმუშავე - მხარზე დაკრა გიგას ხელი.

სკოლის დირექტორი სხვენზე აბრუნდა.

გიგა ბავშვებთან დაბრუნდა.

ბიჭი: გინდა შენს მაგივრად ვიმუშავე?

გიგა: არა.

ბიჭი: აღარასოდეს მიგატოვებ.

გიგა: თავი გამანებე. ჩავიფსო...

უკანასკნელად ნიჩაბი სკოლის პერიოდში ეჭირათ ბიჭს და გიგას, ამიტომაც უშოვდ, ოკრო-ბოკროდ თხრიდნენ სანგარს. ჭაობისფერი ფორმა ეცვათ, შავი ჩექმები ეცვათ. აქ, ომში გიგა წამოვიდა. ცალმხრივად იყო შეყვარებული. ბიჭი გამოყვა. არ მიატოვა. თვითმფრინავით იმგზავრეს. პარკები გააფესეს პირის განავლით.

სანგარს თხრიდნენ.

- ე, როგორ გგონია, ფიქრობს ახლა ჩემზე? - გიგამ შუქყვიტა თხრა.

- ვინ?

- ნათია, შუქჩმა.

- ნათია ფიქრობს იმაზე, რასაც ხედავს. ნაშები ეგრე არიან მოწყობილები.

- მიდი რა.

- მე ძმომ ნაღდს გეუბნები!

- ქალი ქალია, არა?!

- აი, ეს მინა - ბიჭმა მინიანი ნიჩაბი მიუშვირა გიგას - აფრიკული მინისგან შეიძლება განსხვავდება, შეიძლება უფრო ფხვიერია, შეიძლება უფრო მშრალი. მაგრამ მინაა ხომ, თესლი უნდა ჩაადლო. მოხნა და რაღაცეები და ნაყოფს მოგცემს. ქალევიც ეგრე არიან. სიმძალით, ფორმით, კანის ფერით განსხვავდებიან, მაგრამ დანიშნულება ერთი აქვთ. თესლი უნდა ჩაუშვა და ნაყოფს მოგცემს. ნათია, სტელა, სიდნი ერთიდაიგივეა; შენ კიდევ დაფრინავ, რა.

- ნათია განსხვავებულია.

- ყველას თავისი მინის ნაკვეთი მონონს.

გიგამ სახეზე მოისვა ხელი.

- მოკლედ, თვალებს რო ვხუჭავ, ნათიას ვხედავ.

- აქანავებ ესე იგი, საღლო!

- ახლა მაიცა. მათქმევინე. ნათიას არ შეიძლება იგივე რამე ჭირდეს?

- რა შუქჩმა, თვალებს ხუჭავს და შენ გხედავდეს?

- ჰო.

- აქანავებ-მეთქი.

- წნ. მხედავს.

(თურმე სნაიპერი ხედავდა - ასე იტყვის ბიჭი ოდესმე; ასაკი, ჭალარა, შვილიშვილები თუ ელირსა. ხელებს მოიფშენვტს. ოდესმე. როდესაც სხვისი სიკვდილიც უბრალო მოსაყოლად ვარგისი ისტორია იქნება. ოდესმე, აუცილებელი სიკვდილის ბებრული მოლოდინი თუ ელირსა).

ნიჩაბი უკანასკნელად სკოლის პერიოდში ეჭირა ბიჭს. უშნოდ მიაყარა მინა. ფეხებით დატყვენა მინა. ჩექმის ხაზები დაეჭნა მინას. მარცხენა ჩექმის, მარჯვენა ჩექმის, კიდევ წარწერა - სევმაიზ გ რასხიი. რაფნერ 42. მინამ თესლი მიიღო. წავიდა გიგა. ნიჩბის ტარები ქამრით შეკრა ბიჭმა, ჯვარი დადგა. წავიდა ბიჭი.

შენ გემით დაბრუნდა. ვილაც ბობოლას ავეჯით და ანტიკვარიატით იყო გემი საესე. უზარმაზარ ლარნაკში იჯდა ბიჭი, თავი უჩანდა, ეგზოტიკურ ყვავილს ჰგავდა.

ასეთ დროს ბებია ელენე იტყოდა: თავხედები არიან ეს მდიდრები.

ასეთ დროს ძია ლადია იტყოდა: ფულია მთავარი.

დღეს

ჩავიჩოქებთ.

ეს საუკეთესო მდგომარეობაა. მუხლისმოდრეკა. ფეხების მუხლებშიგავეცვა. განსაკუთრებით მოლაღატე ქალებს ეხერხებათ. ღმერთის წინაშე მოლაღატე ქალები ვართ ყველა, მაგრამ ეს უკვე აღსარებითი შინაარსის სადღეგრძელოა.

ჩავიჩოქებთ...

ფესხაცმლის ძირებს ვაკვირდები. ფესხაცმლის ძირებს ვხედავ. დადიან ადამიანები. დავდივართ. ფესხაცმლის ძირებს ვხედავ, ვაკვირდები.

მამა დავითი ქადაგებს, იხსენიებს, მაგალობლები გალობენ.

მე სმენის კულტურა არ მაქვს. ყურადღება მეფანტება. ჩემი მოქცევა ქადაგებით, გალობით შეუძლებელია. ღმერთო, წაგიკითხე და გინამე, წაგიკითხე და გინამე. მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე... ადამიანები ცხოვრობენ. ფესხაცმლის ძირებს ვხედავ. ადამიანები დადიან. წაიკითხე და ინამე...

შენი

ბლომად მოსანეგმა უყო: დიდი იყო უკვე მუსიკისთვის - 18 წლის. ასეთ დროს ბებია ელენე იტყოდა: "შეყვარებულია და რა ქნას". ასეთ დროს ძია ლადია იტყოდა: "გოგოებს ფული უნდათ. ფულია მთავარი. მუსიკის დედაც ვატირე". ასეთ დროს ბებია ელენე იტყოდა: "არარომანტიკული გლები".

ბლომად მოსანეგმა უყო. მალა გაეხსნა. იშტა.

ზამთარში თბილად, ზაფხულში თხლად ეცვა ბიჭს. სახლში საჭმელი იყო. მამა ახერხებდა. მამა ამბობდა: "ახლა თავისუფლები ვართ. დამოუკიდებლები. ქამრები უნდა შემოვიჭიროთ. ასე გთხოვს მთავრობა. ჩათლახები". მამას სძულდა განმათავისუფლებლები. არადა, 9 აპრილს მამა ტიროდა. რევოლუციური ცვალებადობანი მოკლედ.

ბიჭის საყვარელ პეკინის ქუჩას წამდაუნუმ უცვლიდნენ სახელს. ჯერ "შვიდობის გამზირი" დაარქვეს, მაგრამ სროლები იყო აქ ხშირი და, შეუფერებელიაო - თქვეს აღმასრულებლებმა და კ. გამსახურდიას გამზირად მონათლეს ბიჭის ქუჩა. მანვენებლები შეცვალეს.

ზამთარში კარგი იყო ცეცხლთან გაქურული ჯდომა. ბიჭს კამპონიანი მანტო ეცვა. ხელები ცეცხლისკენ ჰქონდა განეული, თბებოდა, ჯანში მიდიოდა ცეცხლი, ჯანი თბებოდა.

ბლომად იყვნენ ასე. ცეცხლთაყვანისცემლები. სახეებზე ფიგურალურად ცეცხლმოდებულნი ლაპარაკობდნენ, ოცნებობდნენ. ბიჭი ოცნებობდა წასვლაზე შორ, კარგ ქვეყანაში.

- და იქ რას იზამ? - გოგამ კითხა. პისტოლეს უკირკიტებდა თან, დამცველი ზევით-ქვევით, მიდი-მოდი მოკლედ.

- ცოტას ვიმუშავე, ბევრს ვიგრიალე.

- ინდაურის ნონა ხარ შუქჩმა, ერთ კვირაში ტკაც, წელში განყდები, ჭაჭები რამე.

- აბა აქ რა ვქნა?

- ძმომ ერთად ვართ, მოსანევი გვაქვს. ვიზამთ რა, რამეს ერთად - გოგამ პისტოლეს ცას მიუშვირა და გაისროლა - ვიზამთ რა, რამეს ერთად.

- ავოე, შენ მაგ რიჟა გასროლას როდის მოიშლი? - ბიჭმა ხელი ჩაიქნია, - ვინაა ეს ე...

- რატოა ძმომ რიჟა, ცას ვესვრი, ღმერთს ვაგებინებ რო ვარსებობ, ვისვრი, ესე იგი, ვარსებობ!

- აფორიზმებით ელაპარაკე ბებიაშენს.

გოგამ პისტოლეს ბიჭს მიუშვირა.

- გესვრი, ესე იგი აღარ არსებობ.

- არა ძმომ, მე უნდა წავიდე. დაკვრას ვისწავლი და წავალ.

იქ რომელიმე ბარში მოვჯდები, დაუჭურავ და გაგება და ჯინსები.

- C TOGOM, - თქვა გოგამ.

- ნადი შენი, - ბიჭმა ცეცხლში ჩააფურთხა.

- თამრიკო არსებობდა ბიჭის მეზობლად, ჩუმად, წყნარად, თავისთვის. ანა სულ უკრავდა მოცარტს, ბეთჰოვენს, სხვენსაც.

კლასიკაში ტრიალებდა.

ბიჭმა ასეთებთან ურთიერთობა არ იცოდა, თამრიკოებთან. სახლის გოგოებთან. არც უცდია არასდროს, რადგან თვლიდა, რომ წესიერებთან კავშირს აზრი არ ჰქონდა. ნატაბალი აზრი. იოტისოდენა აზრი არ ჰქონდა. სარგებელი არ იყო.

ბიჭი სავარძელში იჯდა. უხერხულად იყო. აქეთ-იქით იყურებოდა.


თამრიკომ ჩაი მოიტანა და ეკლერები.

- დედა აბარებს ჯინსურებში, ყოველდღე სამკალს მიტოვებს.

ნორმა მაქვს ასეთი, შაქარი რამდენი?

- რამდენიც გინდა.
- ბატონო? - თამრიკომ ბიჭს შეხედა.
- ორი.
- შენ საქმეზე იქნები მოსული, - თამრიკომ შაქარი ჩაყარა ფინჯანში, კოსტად, ფაქიზად, არ გაბნევიდა და მოუღრია - თქვი, რა გინდა.
- დაკვრა მინდა ვისნავლო, - თქვა ბიჭმა და გაიფიქრა "სუშითლად გამოვქლიავდი" - უცხოეთში ვაპირებ ნასვლას და მჭირდება.
- მერედა გასნავლი, - თამრიკომ გაილიმა.
- თამრიკო, ფული არა მაქვს - ბიჭი განითლდა.
- ფული არავის არა აქვს. ცუდი ქართული გამომივიდა, მაგრამ ეგ არაფერი - ხელი ჩაიქნია თამრიკომ.
- მიირთვი რა, გესვენები, - ფინჯანი მინია ბიჭისკენ თამრიკომ - ტკბილი მიაყოლე - თევშიც მინია.
- გამადლობთ, - თქვა ბიჭმა. ფინჯანი ფაქიზად წაიღო პირისკენ. ფაქიზად მიიტანა პირთან, მოსვა - გემრიელი ჩაია.
- შენ რომელ დღეებში გცალია?
- მე სულ, - თქვა ბიჭმა.
- მეც სულ.
- ეს რაა? - გოგა ცეცხლთან იჯდა. სახეს პისტოლეტის ლუთით იფხანდა. გასაპარსი იყო.
- ნოტები, - თქვა ბიჭმა და ჩაცუცქდა.
- ღმერთო, - გოგამ ცას ახედა.
- არ გაისროლო თუ ჩემი ძმა ხარ, - ბიჭმა უთხრა.
- მაიცა, - გოგა ცას უყურებდა, - ღმერთო დაიცვე, დაიფარე და შეზღუდე ეს უპატრონო ომტოყლარი, შეყვარებულია.
- რაა?
- რა და ამომდე ყბა. თამრიკო გიყვარს.
- თამრიკო არა ისა.
- ტყუანს?
- არა-მეთქი, - ბიჭს გაეცინა.
- ფეშენებელური არ არის, მაგრამ არც ცუდია.
- ფეშენებელური რას ნიშნავს?
- აუ, რა უნიგნური ხარ ბიჭო, - გოგამ პისტოლეტიანი ხელი ჩაიქნია.
- შენ ხო ტომელები გაქვს გადაბულებული, აი.
- ეეე, - გაიკვირვა გოგამ.
- რა ეეე, რომელი ნიგნები გაქვს, ერთი მითხარი, ნაკითხული.
- უცხო სიტყვათა ლექსიკონი და აფორიზმების კრებული, გაიგე, ძმაო.
- ბიჭმა თავი ჩალუნა.
- ისე მეც უნდა ვიკითხო.
- აბა რა, თამრიკო ინტელექტუალური გოგოა, აპრიორ ინტელიგენტები მოწონს.
- ადამიანურად ეგ რას ნიშნავს?
- ნაკითხები მოწონს, პიუონები მოკლედ.
- და რა ვენა?
- უცხო სიტყვათა ლექსიკონს მოგცემ. იქ ისეთი სიტყვებია, ქართველები რო ეცემიან, დეტერმინიზმი, პლურალიზმი, ბევრი ასეთი. ასი ცალი რო დაიზუთხო, კაცი ხარ განათლებული - გოგამ თითები გაატკაცუნა - და თამრიკოს შენ, მოკლედ...
- არ ვიცი. ნიგნს როდის მომცემ.
- ლამე დამადექი.
- თამრიკო, ძვირფასო, ტოტალური ფარსისა და ბუტაფორიის ეპოქაში მუსიკის ფუნქცია...
- რეებს ამბობ? - ანამ ბიჭს შეხედა.
- ინტელიგენტი მინდა ვიყო.
- მე ინტელიგენტები არ მიყვარს. მე კაცი მჭირდება, მამაკაცი, ზამთარში რომ ცეცხლის სუნი სდის, ზაფხულში - ოფლის. მე ეს მჭირდება. მე ოთხკედელში ვარ გაზრდილი, მოცარტად მზრდიდნენ, და არ ითვალისწინებდნენ, რომ გოგო ვარ, ალბათ მალე მოგვკვდები, ალბათ ხანმოკლე ვარ. მე ბეთჰოვენად მზრდიდნენ, და არ ითვალისწინებდნენ, რომ გოგო ვარ. დამაყრუეს, მაგრამ თვალები მაქვს. და მე ვხედავ ქუჩაში მოსიარულე ხალხს. ილიმიან, მე კი ფანჯარასთან ვდგავარ. ეს სახლი, ეს ჩაი, ეს მუსიკა მძულს. ქალური სუნები ტრიალებს ამ სახლში; მამა მყავდა და ისიც ნავიდა, მერე მოკვდა საერთოდ. ერთად ნავიდეთ უცხოეთში, ვიცხოვროთ, გთხოვ. მე ცხოვრება მინდა. აი, ეს სროლის ხმა მსიამოვნებს. კიდევ, კიდევ:
- გოგაა, - თქვა ბიჭმა და გაიფიქრა "მცდის, მამონებს", - ჩავალ, მივხედავ.

- მეც წამოვალ, - თქვა თამრიკომ, - ცხოვრება მინდა!
- მომეცი იარაღი, - ბიჭმა თქვა. გოგა იჯდა მანქანის კაპოტზე. თავჩაქინდრული იჯდა. პისტოლეტიანი ხელი შუბლზე ედო. ბიჭმა საჩვენებელი თითი მოაკაუჭა, ნიკაპზე ამოსდო და გაიმეორა, - მომეცი იარაღი - თამრიკოს თანდასრებით გინება ერიდებოდა "მცდის, მამონებს".
- არა, - გოგამ პისტოლეტიანი ხელი ზურგსუკან მიმალა სწრაფად. სხარტად და ბიჭს გაახსენდა ბავშვობა. დრო, როდესაც ხშირად მიჰქონდათ ზურგსუკან ხელი. ნაყის მალაგდნენ, კეკს მალაგდნენ, რადგან ბოროტი უფროსები არსებობდნენ და შურიანი თანატოლები. წაართმევდნენ, ხელიდან გააგდებინებდნენ ნაყის. კეკს. ზურგსუკან უსაფრთხო ზონა იყო. ბიჭს გაეცინა.
- ჯიბეში ჩაიდე მაშინ, - გოგამ ჯიბეში ჩამალა პისტოლეტი ხელიდან, - ესე, ღმერთმა იცის, რომ არსებობ, აღარ გინდა სროლა.
- ადამიანებმა არ იციან.
- რა? - ბიჭი ვერ მიხვდა.
- ადამიანებს ვაგებინებ რო ვარსებობ.
- ადამიანებმაც იციან.
- იცოდნენ. დაავიწყდათ. შენ რამდენი ხანია არ გაგხსენებია?
- კაი ხანია, - ბიჭს შერცხვა, - მიზეზები მქონდა.
- კარგი გოგოა, - თქვა გოგამ. თამრიკო ჩუმად იდგა. ცხოვრობდა - სიყვარული მაგარი რამეა ალბათ, მე არავინ მყვარებია. სუ ვილაცქეებს ვხმარობდი. ნიოდნენ, ვლმუოდი. ეგ იყო, მეტი არაფერი.
- რა მომაკვდავივით ლაპარაკობ, - ბიჭი ჩაჯდა.
- ეს ჩემი ბოლო გასროლა იყო. ცაშიც ადამიანები არიან და მინაშიც. ეს ჩემი ბოლო გასროლა იყო.
- მინაზე მინც ყველაზე მეტადაა ადამიანი, - თამრიკომ თქვა.
- მინაზე მოძრაობაა, საქმეები, ჩიხები.
- შენ ახლა ამოღერლე რა გჭირს? - ბიჭმა კითხა, მომთხოვნად კითხა.
- არაფერი, სხვანაირად უნდა მეცხოვრა, სახლი, ნიგნები, მუსიკა, ეგეთი რაღაცეები.
- ეგ სიკვდილია, - თქვა თამრიკომ. ბიჭმა ანიშნა გაჩერებულიყო.
- ვინ იცის, ვინ იცის მე გზა არ ვიცი უახლოესი. მაშინ მოგატყუე უცხო სიტყვათა ლექსიკონი, აფორიზმების კრებული და გალაკტიონი მაქვს ნაკითხული, - გოგა ადგა, ნაძვის ხეს მიართყა ფეხსაცმლის ქუსლები, - ნავედი, მეგონა ერთად ვიზამდი თრამეს, ყველა ერთად. არ გამოვიდა. მშვიდობით, მშვიდობით! - გოგა ნავიდა. ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. მანქანა გაჩერდა. გოგა ჩაჯდა.
- რა საინტერესოა ცხოვრება, - თამრიკომ თქვა.
- ძალიან, - და ბიჭს აღარ მორიდებია, - შენი დედა მოეცემა.
- ფული მოტეხა, აბა რა მოუვიდოდა, - ჩურჩულებდა ხალხი.
- გაჩაღიჩა, - ფუსფუსებდა ხალხი.
- სანყალი, - ამბობდა ხალხი, - გოგა ლისის ტბის ტყეში იპოვეს. აღარ იყო. ცინკი მოიტანეს. ასეთ დროს გიგა იტყოდა: "დახუჭე თვალები და დაინახავ".
- "ადამიანები არიან ცაშიც", მინაშიც. დუღღუნებდა ბიჭი. უცნაურ ნიგნებს კითხულობდა. თამრიკო უცხოეთში ნავიდა. ბიჭს შეეხმანა ერთხელ.
- ვცხოვრობ. ძალიან საინტერესოა.



დღეს

საკმეველის სუნი მთიშავს. მამა დავითი მრევლის გარშემო დადის, აკმევეს, მაგალობლები გალობენ. "უფალო შეგვიწყალონ". მამა დავითი აკმევეს. ჩვენ თავებს ვხრით. "ჩვენ" ააა ფუყე ცნებაა. თუმცე პოლიტიკოსები, მონოპოლისტები - ფონგლიორობენ, კენწლიან ამ ცნებას: "ჩვენი ქვეყანა", "ჩვენი საქმე". მათ უნდათ, რომ ერთნაირად ვფიქრობდეთ, ერთნაირად გვეცვას, ერთნაირად გვძულდეს ერთმანეთი. უნდათ და აღწევენ. ჩვენ ვაფურთხებთ, ვაფსამთ, ვარწყევთ ერთმანეთს სულში, ჩვენ უნიტაზები ვართ ერთმანეთისთვის. ასეთ რამეს თუ დანერ, აუცილებლად ძველი თარიღი უნდა დაუსვა, რადგან სიმართლე ძველი ფასობს. ძველი სიმართლე სიმორძნეა. უნდა დაუსვა, რადგან ახალი სიმართლე პრობლემაა. პრობლემა არ გვინდა. არ გვჭირდება.

მირანდა თავმობრილი დგას. მამა დავითი აკმევეს. მაგალობლები გალობენ. "უფალო შეგვიწყალონ", - იმეორებენ. ყველაფერი მეორდება. ლოცვები, ქცევები, ურთიერთობები. მეორედ მოსვლამდე ასე იქნება.

ჩემი და მირანდას ცხოვრებაც - ცალ-ცალკე ცხოვრება, ერთობლივი ცხოვრება, რომელიც რამდენიმე დღეში ეტევა - განმეორებაა, ასლია, კომპიუტერზეა აკრეფილი. ჩვენი ცხოვრება, ძველი მელნით ინერებოდა ცხოვრება. სუ ძველად სისხლით. ეს უბრალო, რომანტიული დეტალია. ჩვენ, ყველა, ბაბუები, ბებიები, მამები, დედები, შვილები, შვილიშვილები ჯვარცმისშემდგომი თაობა ვართ. ვმეორდებით მეორედ მოსვლამდე. მერე მოვა სხვა თაობა. დაგვყვებს ჯვანის, რუპის, ინტერნეტის, დაკარგულ, დანყვეტილ თავებდა და ბატონობენ წურბელა ემპაკუნები. ჩვენ ჯვარცმისშემდგომი თაობა ვართ ყველა.

მე და მირანდა ცალ-ცალკე მოგვედებით, თუ საერთო უბედური რამ შემთხვევა... სულერთია. განმეორება იქნება. მამა დავითი აკმევეს. მაგალობლები გალობენ.

უნი

ასეთ დროს ძია ლადია იტყოდა: "ფულია ეხლა საშოვი, ფული მთავარია".

წინ მძლოლი და ექიმი კაცი, უკან ბიჭი ისხდნენ. მამა ინვა უკან, საკაცზე იწვა. ექიმმა კაცმა თქვა:

- ყველაფერი გავაკეთებ, რისი გაკეთებაც შემძლო შვილო.

- მესმის ბატონო, - ბიჭი სიგარეტს ეწეოდა. სწრაფად, ნერვიულად, ფილტრს კბილებით აწვალავდა. ლეჭავდა. დაიძრნენ.

- კარგი ამინდია არა, მზე, ნიავი, - ექიმმა თქვა, მძლოლმა თავი დააქნია.

ამ ადამიანებისთვის მამა ჩვეულებრივი, რიგითი მიცვალებული იყო. ეს ორი ადამიანი შეგუებული იყო სიკვდილს.

ბიჭმა ფანჯარა დაწია, სიგარეტი გადააგდო. ფანჯარა აწია. ფიზიკლად იყო. ნებისმიერ შესტს, ქმედებას (თავისას, სხვისას) აფიქსირებდა.

მამა ინვა. ჯემპრი ანეული ჰქონდა. მუცელი უჩანდა. ჭიბი. ბალანი.

- ბალზამირებას მე გავაკეთებ, - ექიმმა კაცმა თქვა, - თუ შევთანხმდებით, - და თანხა დაასახელა.

- კი ბატონო, - ბიჭმა ჯემპრი გაუსწორა მამას, მუცელი, ჭიბი, ბალანი დაუფარა. მამას გაჭრიდა ეს კაცი მშვიდად, აუღელვებლად.

ბავშვისთვის, განწილი სილა გაცილებით დიდი ტრავმაა, ვიდრე მშობლის სიკვდილი. ბავშვობა კი მაშინ მთავრდება, როდესაც ადამიანი ხვდება, რომ მარტოა. ბიჭი აღარ იყო ბავშვი. წინა სიკვდილები ბავშვური იყო. მამასი აღარ. ჰქონდა ასეთი პერიოდიც - მშვიდი. გოგადან მამამდე. ადამიანი დიდ, მართალ სიმარტოვეს სიმშვიდეში გრძობს და გაიზიარებს. და შემდეგ, როდესაც ბიჭი თავისი მგობარი მწერლების ბავშვობანას დაინახავს, გაიფიქრებს: "ბლეფია". რადგან თითოეულს კარგად ეცოდინება, რომ მარტოა. ბავშვობანა, უბრალოდ, თვითგადარჩენის ერთ-ერთი ხერხია.

ქვაფენილზე გავიდნენ.

მიჯაყყავებდნენ.

მამა თახთანებდა. მამას თვალები გაეღო. მამას თავი გადაუვარდა ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ. ბიჭმა თვალები დაუხუჭა, თავი გაუსწორა მამას.

და შემდეგ, როდესაც ბიჭის ქალაქის თავი იტყვის: "ჩვენი ქალაქი ქვებით უნდა მოვიწყნყოთ, რადგან ასფალტი ძვირი ჯდება"-ო.

(ასეთ დროს გიგა იტყოდა: "თვალები დახუჭე და დაინახე").

ბიჭი დაინახავს, როგორ თახთანებენ სასწრაფო დახმარების მანქანებში მიცვალებულები. როგორ ელებათ თვალები, როგორ უვარდებათ თავები აქეთ-იქით, როგორ უთრთით კაცებს ღირ, როგორ უთითმით ქალებს ძუძუები და გაიცინებს, რადგან ცხოვრება თავგადასავალი იქნება უკვე, შემთხვევითი შეხვედრები, შემთხვევითი ურთიერთობები, შემთხვევითი თავგადასავალი იქნება ცხოვრება. ბიჭის თავგადასავალი.

მერე ქვაფენილი ჩაათავეს, მამა დამშვიდდა.

ბიჭი მამას სიკვდილს მის სიცოცხლეშივე ეჩვეოდა. წარმოდგენდა დასვენებულ მამას. წარმოდგენდა, როგორ იღებდა სამძიმარს. როგორ ართმევდა კაცებს ხელს, როგორ კოცნიდა ქალებს (ახალგაზრდა, დამქანარ) ლოყებზე.

მამას სიკვდილს მის სიცოცხლეშივე ეგუებოდა ბიჭი. ოღონდ არ უნდოდა. თავისი რიტუალი ჰქონდა. წიგნებს თხოვდა, უთქვამდა: "თუ სათაურიან ან თავიან გვერდზე გადავშალო, მამა არ მოკვდება". კარგად იშლებოდნენ წიგნები. მამას გარდაცვალება რომ შეატყობინეს, ბიჭს კარგად გაშლილი წიგნი ეჭირა... გაშლილი წიგნები გაშლილ კარტზე მუტად ტყუიან... წიგნებმაც დატოვეს.

უცნაურად ფიზიკური იყო ბიჭი, რცხვენოდა. გაქანებული მანქანიდან ხეებს, ცას, მზეს ხედავდა. სრულად აღიქვამდა ვიზუალს. და შემდეგ, როდესაც ცხოვრება თავგადასავალი იქნება და მამას საფლავზე დანესებულ დღეებში - დაბადების, გარდაცვალების, აღდგომის შემდეგ დღეს - ავა და გზად სხვა, ახალ ცხოვრება მიცვალებულსაც მოინახულებს, ბიჭი გაიფიქრებს ჯერ, შემდეგ უსაყვედუროდ იტყვის: "არაფერი". ბიჭი იტყვის: "მხოლოდ საერთო დრო".

პირველმა მეზობელმა მიუსამძიძრა.

- ღვთისგან დადგენილი წესია შვილო.

ასეთ დროს ბებია ელენე იტყოდა: "მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო, oui".

ასეთ დროს გოგა იტყოდა: ვიზამთ, რა, რამეს ერთად.

ბიჭმა და მეზობელმა მამა ტახტზე დაასვენეს. ექიმმა კაცმა რეზინის ხელთათმანები გაიკეთა. ბიჭი ოთახიდან გამოვიდა, კუთხეში დადგა.

დღეს

მოსხენიება დასრულდა. მამა დავითი პირჯვარს გამოგვსახავს, თავს დაგვიკრავს და სენაკში შევა. "მშვიდობა ყოველთა", იტყვის და კარს მოხურავს. ოღნავი ჭრილობა.

მირანდა მოდის. ხელში ფურცელი და კალამი უჭირავს.

- გამომართვი.

- რად მინდა.

- შენი ახლობელი მიცვალებულები ჩამოწერე. მომავალი სხენებისას მამა დავითი მათაც ასხენებს.

- მე ვახსენე უკვე.

- ვინ?

- საერთო დრო.

- გამომართვი. ღმერთს სახელები ჭირდება.

მირანდას ფურცელს და კალამს ვართმევ, ვწერ:

ბებია ელენე

ძია ლადია

გიგა

გოგან

მამა

ფურცელს და კალამს მირანდას ვუბრუნებ.

- წამო, ახლა მრევლს გაგაცნობ.

ვეცნობი.

ხელს ვართმევ.

ვულიმი ცოცხლებს.

ადამიანებს არ სჭირდებათ სახელები. ადამიანებს საერთო დრო სჭირდებათ.

აქ კარგია...

ეპილოგი დღეს

რამე ესე იგი, მოკლე და სევდიანი.

ბატონმა გიორგიმ ღამე დარევა, ბიჭს თხოვა: "ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, გახოვო, დილით მესტუმროთ".

ბიჭი დაიბარდა.

ციოდა. ალაგ-ალაგ გუბები იდგა. ბიჭმა გატოპა განზრახ,

შეგნებულად, ჩვევით. კარის წინ დაფენილ ტილოზე გაუსვ-გა-მოუსვა ფესსაცმელი. შეაშრო და ზარი დარეკა. მოკლე ზარი. მორიდებული ზარი. აქეთ-იქით ისეღებოდა.

კარი გაიღო. ბატონი გიორგის თავი გამოჩნდა.

- დილა მშვიდობისა, - თქვა ბიჭმა.
- გამარჯობა.

ბიჭი შევიდა. პალტო გაიხსადა. ბატონმა გიორგიმ ჩამოართვა. საკიდზე ყუნწით დაკიდა.

- კარგი პალტოა, - თქვა ბატონმა გიორგიმ. პალტოს ხელი გაუსვა.

- მამაჩემის ნაქონია.

წერა მისი? - ბატონმა გიორგიმ ძმაცუურად მხარზე მოხვია ხელი ბიჭს.

- ვნერ ცოტას, იშვიათად.

- მერე?

- რა ვიცი, ბატონო გიორგი, სულ ვილაცეებს მადრიან.

- ესე იგი მონონთ?

- რა ვიცი... თქვენ როგორ ბრძანდებით ბატონო გიორგი.

დაგივინწყეთ, მაპატიეთ.

- მე გადანყვეტილება მივიღე, კაბინეტში შევიდეთ.

წელა დაიძრნენ. წინ ბატონი გიორგი, უკან ბიჭი, მიდიოდნენ. ბატონი გიორგის მოხრილ მხრებს, გასაპარს კისერს ხედავდა ბიჭი.

- მოზრძანდი ჩემო ახალგაზრდა მეგობარო - ბატონმა გიორგიმ კარი შეაღო.

ბიჭი გაშრა.

- გიკვირს ხომ? გავყიდე ჩემი კოლექცია - ბატონი გიორგი დაჯდა - მე გადანყვეტილება მივიღე. როგორც ერთხელ მაჩემმა. ისიც კოლექციონერი იყო, ოღონდ სახლების. აგროვებდა: თბილისში, წყნეთში, ბათუმში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში. შემდეგ ყველა გაყიდა. ამ სახლის გარდა - ბატონმა გიორგიმ ხელები გაშალა - გადანყვეტილება მიიღო, მამა არ იყო ხარბი, მამა კოლექციონერი იყო.

ბიჭი არ უსმენდა ბატონ გიორგის. თვალწინ ედგა მისი ბიბლიების უნიკალური კოლექცია. შემდეგ ჩვენება გაქრა. ფუტურო თაროები დაინახა ბიჭმა.

- გაგიჭირდათ?

- რა თქმა უნდა. კოლექცია არ მენანება, ეს არც კი გაიფიქროთ, უზრალოდ თითოეულ წიგნს თავისი ისტორია ჰქონდა. მოძიება, ყიალი, შექენა. მე საკუთარი წარსული გავყიდე, საკუთარი დრო. აი, აქ - ბატონმა გიორგიმ მიათითა - ბუენოს-აირესში 1802 წელს გამოცემული ესპანურენოვანი ბიბლია იყო. თორმეტი დღე-ღამე ვიარე მატარებლით. შემდეგ ერთი კვირა ვეძებე ადგილი, სადაც წიგნი მეგულუბოდა. ორმოცი გრადუსი ყინვა იყო. შემდეგ ათდღიანი მოლაპარაკება მქონდა ვილაძე სერგესთან. და ასეთი რამდენი ისტორია მაქვს. მე ჩემი წარსული გავყიდე, საკუთარი დრო. მე გადანყვეტილება მივიღე, თქვენი დახმარება მჭირდება.

- მზად ვარ!

მატარებელში ხალვათად ისხდნენ, პირისპირ ისხდნენ. ფანჯარაში იყურებოდნენ.

- აქეთ პირველად ვარ, - თქვა ბიჭმა.

- თბილისის გარეთ თუ ხარ საერთოდ ნამყოფი?

- საქართველოს გულისხმობთ?

- დიას.

- ბათუმში, ბორჯომში, - ბიჭი დაფიქრდა, - სხვა ადგილებშიც.

- ეჰ, ჩვენი დრო სხვა იყო. სულ დავდიოდით სვანეთში, სეესურეთში, ფშავში, მთა-თუშეთში, სხვა დრო იყო. ასლა ყველგან სატელიტური ანტენებია, ყველგან ასფალტი. ასე თუ გაგრძელდა, მინა მხოლოდ სასაფლაოებზე დარჩება. არადა, ადამიანს ჭირდება მინა. ცივილიზაცია კი...

- შენი ჯიშის ადამიანებს ეგზოტიკურად რომ უყურებ, არც ეგაა კარგი, - სვანებს, სეესურებს განყალდა ლიტერატურა სნობი ქალაქელების მთა-გორიანი ნაწარმოებებით.

- რა გითხრა, - ხელები გაშალა ბატონმა გიორგიმ, - მართლა, ჩვენი ჩასვლის დროა.

მატარებელი გაჩერდა.

- ეს ყველაზე ყრუ სადგურია საქართველოში, - თქვა ბატონმა გიორგიმ.

ბაქანზე იდგნენ.

- ადამიანში არის რალაც უცვლელი, ადამიანი გულუბრყვი-ლოა, იყო და არის. ეს ყველაზე ყრუ სადგურია საქართველოში. მატარებელი მოდის.

მატარებელი მოდიოდა, შორს იყო ჯერ.

ბატონი გიორგი ჩახტა, გაიარა ერთი ლიანდაგი, მეორეზე განვა.

- ბატონო გიორგი რას შევებით? - იყვირა ბიჭმა.

- მე გადანყვეტილება მივიღე ჩემო ახალგაზრდა, გულუბრყვილო მეგობარო, მაპატიეთ, ვიცრუე. არავითარი წინაპრები არ მყავს მე ამ მხარეში, ჩემო გულუბრყვილო მეგობარო. ჩემი ასაკის ადამიანებს წინაპრები არ ჰყავთ. არც ცოცხლები, არც მკვდრები. ჩემი ასაკის ადამიანებს მხოლოდ საკუთარი თავი ჰყავთ.

ბიჭი იდგა ჩუმად.

მატარებელი მოდიოდა ხმაურით.

ბატონი გიორგი მატარებელს უყურებდა. ბოლო მომენტში დაფრთხა. უკან გამოჩნდება სცადა. მატარებელმა ფეხებზე გადაუარა. გააცალა. მატარებელი გაჩერდა. ვილაცეები ჩამოვიდნენ. ბატონი გიორგის ტანი ვაგონში შეეადგეს. თავადაც ვაგონში ავიდნენ და მატარებელი დაიძრა.

- ფეხები? - წაიჩურჩულა ბიჭმა. ჩახტა. ფეხები ბაქანზე ამოიწყო. ბაქანზე ამოძვრა, მარვალი დაიფრთხა, ფეხები დაიღლია და სადგურიდან გავიდა. გზაზე იყო. მანქანა გაჩერდა. ხელები ამოუტრიალეს, ფეხები გზაზე დასცივდა.

- მანქანაში გატენე ეგ მინიაკი, - თქვა ვილაცამ, ფეხები აიღო, საბარგული გახსნა, ფეხები ჩაანყო, საბარგული დაკეტა. პოლიციაში ბიჭს ურასუფეს.

- ტანი სადაა?

- ეს ბატონი გიორგის ფეხებია. მატარებელმა გადაუარა, - იმეორებდა ბიჭი.

- ბატონი გიორგი ბომბია?

- არა, კარგი ადამიანია.

- კარგ ადამიანს ესეთი ფესსაცმელი არ ეცმევა, - ამბობდნენ პოლიციელები.

ბატონი გიორგის ფეხები კედელზე იყო მიწყობილი თხილამურებით.

ბიჭმა ღამე გაატარა საკანში.

ღილით:

- თავისუფალი ხარ, - უთხრა პოლიციის უფროსმა და ფეხები დაუბრუნა, - პროზექტურაში წაიღე, პატრონს სჭირდება.

ბიჭი გზაზე იდგა ცალ ილღიამი ცალი ფეხით. ორ ილღი-აში ორი ფეხით...

- რა სისულელეებს ყვები, - მირანდა მეუბნება.

- რამე მოყვით და მეც მოყვით, - ვამბობ.

მე და მირანდა კაფეში ვსვდვართ. ჩაის ვსვამთ.

- ჩვენ ვიყოთ ერთად ხომ?! - ვამბობ მე.

- კი, - ამბობს მირანდა.

ხელისებზე.

ეს უკვე ცოცხლების თავადასავალია (დასანყისი ჯერ). ასეთ დროს მიცვალებულები დუმან. ჩუ...

2002 წელი.




თამაზ შაქულაძე

რევან ინანიშვილს ვაჟს “ამოდის, ნათდება” გადაუნერია ერთხელ. დიდი სიტყვით ვიგრძენით, - გვეუბნება მწერალი. გრძობას, რომელიც ინანიშვილის სტრიქონების გადმოწერისას თავად განვიცადე, მარტო სიტყვებს ვერ ვუნოვებ. ეს პროცესი თითქოს ერთგვარი რიტუალია, ტკბილ-მწარე რიტუალი, რომლის აღსრულებას საკუთარი თავის გარდა არავინ მავალბებს. ამიტომაც ამ დროს მარტო უნდა ვიბო. მარტობის ეს ილუზია იმითაც მყარდება, რომ შეჩვენება, ეს სტრიქონები ჩემი დაწერილია. უცნაურია, რაც ინანიშვილის ნოველების კითხვისას მიგრძენია და მიფიქრია, თვით ამ წიგნის ფურცლებზე უკვე გაბნეული. “სტრიქონები, რომლებსაც მე ამ წიგნიდან ვიწერ, ყრუ, გამწმენდელ ტკივილებად შემოდის ჩემში. მინდა ასეთი ყოფნა გაგრძელდეს რაც შეიძლება დიდხანს, მინდა ხელე-ბი გავშალო, მივანვიძინო სხვებს და ეს ტკივილები ელექტროდენივით გადავცე მათაც - მგონია, ამით მაინც ნაწილობრივ მოვიხდით სასჯელს, რაც გვეკუთვნის დიდი, პატრონისადმი ადამიანების წამებულ სულელების წინაშე თუნდაც შემთხვევით გამოჩენილი გულგრილობის გამო” (ჯარგვალე). უთუოდ ტკივილით ტკბობის ამ ასკეტური რიტუალის ძალითაც რევან ინანიშვილის მხატვრული სინამდვილე საგნობრივი უშუალობით აღიქმება. თანდათან მეტ სიმკვეთრეს იძენს მისი პოეტური სამყაროს ფერთა გამა, თანდათან მეტი მადლი გვეძლევა, რათა ყური ვათხოვოთ მწერლის სმას.

“ნამდვილი შემოქმედი იცნობა არა მხოლოდ თავისი ხმით, არამედ განსაკუთრებული სმენითაც, იმ უცნაური ნიჭით, რომელიც მას საშუალებას აძლევს სამყაროს ურიცხვ სმათა შორის, შენიშნოს ჩვენთვის შეუმჩნეველი უცნობი ხმებიც” (გ.ასათიანი). განსაკუთრებული სმენის შემოქმედი რევან ინანიშვილი. აი, რაგვარი ბგერებით იქსოვება მის სტრიქონებში სამყაროს მიძინების სევდიანი მელოდები: “კაკლის ქვეშ გაჩერდი და თვალები დავხუჭე. ისეთი ტკაპატკუპი ისმოდა, თითქოს წვიმა მოდისო. სინამდვილეში - ფოთლები ცვიოდნენ” (კეთილი მინა), ან “ტყეში ისმოდა ჩამოშვებული ლეშისა და მსხვილი წვეთების ფოთლებზე დაცემის ხმა” (ნეკროზის წითელი ფოთოლი). ზამთრისპირის ეს მუსიკა ის პოეტური სამყაროა, რომელიც გვეხმარება, უკეთ შევიგრძნოთ შემოდგომის სევდა. ფოთოლცვენისა თუ წვიმის ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ხმები დაგვაფიქრებს კიდევ: მართლაც, დღეს, როცა ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, ადამიანს სულ უფრო და უფრო გიჭირს სმენა მიაპყრო ადამიანის ხმას, “შეგიძლიათ ყური ათხოვოთ ფოთლის ჩამოვარდნას ტყეში?” (იმედი).

უთუოდ საოცრად დახვეწილი სმენის პატრონია ამ მინიატურის ავტორიც: “ზამთარში საღამოობით ვენახებსა და ქალებში ატყდება ხოლმე გაუნაფავი ყურისათვის თითქმის შეუმჩნეველი შმაშურ-ფაჩუნის ასე გჩვენება, თითქოს სიბნელე მოდიოდეს ხმელ ფოთლებსა და ბალახებზე რბილი, რბილი თათებით. სინამდვილეში - ჩიტები იბუდებენ” (ზამთარში საღამოობით). ამ შმაშურ-შრიალს სხვაგანაც გავიგონებთ ინანიშვილის მოთხრობებში. კი არ წავიკითხავთ, გავიგონებთ, რადგან ჭეშმარიტი შემოქმედების მადლით ჩვენც გვიფაჩივდება სმენა და ამიერიდან უბრალოდ კი არ ღამდება, არამედ მოდის “ღბილი საიდუმლო ჩურჩულ-შრიალით აღსავსე ღამე” (ზამთრის ზღაპარი); სოფლის განაპირას შერჩენილი ალვის ხეები კი არ შრიალებენ, არამედ მიდამო მათი ფოთლების იდუმალი ჩურჩულით არის შეპყრობილი” (დათია და გოგია); მოლაღურები და ჩიტბატონები ჩვეულებრივ კი არ დასრიალებენ ცაში, არამედ “მომღერალი ნაპერკლებით ირეიან” (გახარებული მზე); ადამიანური სიკეთითა და სინათლით გამთბარი თოვლი

ხმები და ფერები



“წრიალ-წრიალით დნება” ბავშვობის მოგონებებში” (სახატეები). “წილიც კი შმაშუნით ედება კენწეროებს” (იმედი). უცნაურია, მაგრამ თითქოს გაცვეთილი მხატვრული სახეც - მოლაპარაკე ცეცხლი ინანიშვილის კალმის მადლით ახლებური ელფებისა და სიტბოს მატარებელი ხდება: “ხან ხმის აწვიოთ, ხანაც ჩუმად რალაცას მიყვებოდა ლუმელი” (თოვლის კაცი).

პოეტურად აზროვნებენ რევან ინანიშვილის მოთხრობათა პერსონაჟები. მათ ცნობიერებაში სამყაროსეულ ხმებსა და ფერებს მეტად არაჩვეულებრივი ტონალობა ენიჭება. პატარა გოგონასათვის, რომელსაც ღამე შეყვარებია, მთელი ქვეყანა დადუმებულია, როცა “ცაზე მილიონი დიდი ჩახჩახა ვარსკვლავი ანთია და ისინილა კრუსუნებენ” (გოგონა - ღამე რომ შეუყვარდა). აი, რაგვარ პოეტურ სახეს “ქმის” ტყიდან ქალაქში მოსვენდრილი პატარა მელა, როცა იგი ფორტეპიანოს ხმის გაგონებისას აღძრულ უჩვეულო განცდაზე გვესაუბრება: “ის იყო ჩამთვლია კიდევ რომ სასიამოვნო ხმები მომესმა - თითქოს გახარებული ჩიტები ჭიჭიკებდნენ მზიან წვიმაში” (ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოცარტის მსუბუქი მელოდები სწორედ მზიან წვიმაში ფრინველთა ხმის გაგონებისას დაიბადა. ინანიშვილი მინაზე მყარად მდგომი შემოქმედი. მისი გმირები იშვიათად ისმენენ ფორტეპიანოს ხმას და ამ არისტოკრატიული ინსტრუმენტის ბგერები მათ დედაბუნების მარადიულ მრავალხმიანობასთან აბრუნებს ისევ.

რევან ინანიშვილი არამარტო ფაქიზი სმენის ხელოვანია, არამედ მეტად იშვიათი, განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული თუ სასჯელდადებული - იგი გულისყურით ისმენს სამყაროს გულისძგერას. გულის ყურით მოსმენილი კი უთუოდ თანაგრძობასა და თანალობას გულისხმობს. თანალობის სულითაა გაუღვნილი ეს მინიატურა: “ღამეულ ტყეში გაშუდებით ისმის რალაც კრუსუნის, კვნესა და გმინვა. ძალიან კარგად უნდა იცნობდე ფლორასაც და ფაუნასაც, რომ მიხვდე, რანი კრუსუნებენ, კვნესიან და გმინავენ. მაგრამ ამგვარი ცოდნის გარეშეც ადვილ-

ლი მისახვედრია ერთი: ნუხილი ყველგანაა, შესაძლოა თვით დედამიწასაც უჭირს, სასრებში სტებს და ქვემოდან გვევდრება რაღაცას“ (ლაშქრულ ტყეში). ამ სტრიქონების ძალა იმაშიცაა, რომ იგი მკითხველსაც აიძულებს გულის ყური ათხოვოს დედამიწის კენესას, ჩაშვავებული მინის ჩურჩულს (უფსკრული ქალაქში), ჭოტების საუკუნოვან საგოდებელს (არქაიკა), ფუტკრების პუტუნს (თოთიაურების კუნძული).

ზოგჯერ მწერალი მეტად მოულოდნელ “მელოდიურ შედარებასაც” მიმართავს: “ის რომ მიდიოდა, თითქოს სულ სიკეთისა და სინათლის ზანზალაკებს მოანკრიალებსო“ (ცოდვა); ან კიდევ: “როგორც დიდებული ნილი სამგლოვიარო მელოდია, ისე შემოდის ჩემში ტყისკენ მიმავალი გზის ვინრო გასაბრუნე“ (გზის გასაბრუნე). მაინც რომელი ტყისკენ მივყავართ ამ გზას, ან რად არის გზის გასაბრუნე ვინრო? იქნებ ეს ის “ინრო ბჭეა“, რომელიც “მიიყვანებს ცხოვრებასა”? იქნებ ეს ის ტყეა, ტაძარივით რომ არის მაღალი, ხოლო მელოდია, რომელიც ტაძრისკენ მიმავალთ ჩაგვესმის, დიდებულია და ოდნავ მაინც სამგლოვიარო - ჩვენ ხომ ვერ ვიცანით კაცი, რომელმაც სიკეთისა და შეწყალების თეთრი დროშა მოგვიტანა, ვერ დავინახეთ ეს ბაირალი და იარაღსამებლებმა ვერც შევინუნეთ, რომ სანუთროს ტოვებდა ადამიანი, რომელმაც თავის ქვეყანას ყველაზე უღალატო და უძლეველი იარაღი - სიყვარული უსასხოვრა.

რევან ინანიშვილის ერთი მოთხრობა ასე იწყება: “ისიც თითქმის ჩვეულებრივი პატარა გოგონა იყო, მხოლოდ ზეანუელწამანამებიანი ცისფერი თვალები ცოტა უფრო ფართოდ შქონდა გახელილი, ვიდრე სხვა გოგონებს აქვთ და ყველაფერს ცოტა უფრო სხვანაირად ხედავდა, ვიდრე ჩვენ“ (გოგონა - ლაშქრულ შეუყვარდა). თავისი გმირის მსგავსად, მწერალიც არამარტო “სხვანაირად ხედავდა“, არამედ უფრო მეტსაც, ვიდრე მის გვერდიც მცხოვრები თვალგახსნილი საზოგადოება. ყოფითი სინამდვილის ფუს-ფუსს მოშორებული, იგი ნეკერჩხლის სიფრიფანა ფოთლის მსგავსად, “გმირული სიჯიუტით“ ცდილობდა, გარშემოყოფთათვის დაენახებინა სიკეთის სევდიანი შუქით განათებული მისი სამყაროს მშვენიერება.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საუკუნეში, “ჭკვიანური“ ხელოვნების ეპოქაში იგი ცდილობდა, შეენარჩუნებინა ადამიანთათვის “სამყაროს საოცრება - სიკეთის შუქი თვალებში“ (ორმოცდაათი წლის მამაკაცი), მხოლოდ მის ფიქრებში მოფრინდებოდნენ ხოლმე “ბავშვისთვალებიანი დიდი ლამაზი ფრინველები“ (ჩიტფაფობა). ალბათ იმ-იტომაც, რომ იმ არაჩვეულებრივი გოგონას მსგავსად, მას “ისიც კი არ შეეძლო, რომ თვალები დაეხუჭა და უფრო მეტი რამ დაენახა, ვიდრე თვალით ხედავდა“. ინანიშვილის მკითხველსაც არა ჩვეულებრივი თვალთ, არამედ გულის თვალთ დანახული სამყარო გადაეშლება; ოღონდ ისეთ მკითხველს, რომელსაც თავად არ დაუხუჭავს გულის ეს თვალი.

შევდივართ რევან ინანიშვილის თვალებით “მზეში ყვითლად ჩაყურებულ ვენახებში“ (უკუღმა დაჭედილი), “სუფთად გაკერილ ბილიკებზე“ (ეთერი), “შეჭალარავებულ“ თუ “ჩაიდუმალებულ“ ტყეებში, “ცაში კვამლის საბელით ჩამოკიდებულ სასლებში“ (ზამთრის ზღაპარი) და გვიკვრის; გვიკვირს, რომ ეს ყველაფერი ჩვენს გვერდით იყო და ვერ ვხედავდით.

რევან ინანიშვილის მხატვრული სამყარო ერთ დიდ ფერწერულ ტილოს შეიძლება შევადაროთ, “ფერებითა და შუქებით გამდიდრებულს“ (ბებრული სახელი - მზეხა). მის მოთხრობებსა თუ მინიატურებში მეტყველია არამარტო ეპითეტი თუ შედარება, არამედ ფერიც.


გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე საუბრისას გურამ ასათიანს უთქვამს: “ეს არის, ჩვეულებრივ, მსუბუქი აკვარე-

ლით შესრულებული, უაღრესად დახვეწილი ფერწერა. სინამდვილე აქ დანახულია ახალი, უჩვეულო თვალთ. პოეტის განწყობილებათა ცვალებადობა მას წამით-წამს ახალი იერით გვიხატავს და ზოგჯერ ბუნების ერთგვაროვან მოვლენებშიც კი შუქისა და საღებავების ურიცხვ სახეცვლილებას, ურთიერთგადასვლას, ჰარმონიულ შეზავებასა და კონტრასტებს წარმოაჩენს“. ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ უნდა იყოს, თუ ამ სიტყვებს ინანიშვილის პოეტურ პროზას მივუსადაგებთ. მხატვრული სიტყვის გამომსახველობითი უნარის გასაძლიერებლად მწერალს ფერწერისათვის ნიშნული ფერით მეტყველების ხერხიც უსესებია. ავტორი ხშირად ამბობს თუ იმ განწყობილების, სასათის შტრიხის თუ სათქმელის პატარა ნიუანსის მკითხველამდე უკეთ მისაღებად საღებავთა მრავალფეროვნებას იყენებს. ღვთის მიერ “უთვალავის ფერით“ მორთულ სამყაროში ადამიანის სულის მცირე მოძრაობასაც კი შეიძლება თავისი ფერი გამოეძენოს. “სიფრიფანა, ოდნავ მხრებში მოხრილი, თოვლზე უმწოდ დასვენებული ნეკერჩხლის ფოთლის“ განწირულობისა და ძაღმოსილების გადმოსაცემად მწერალი სისხლისფერს მიმართავს. დაკვირვებული მკითხველი მის მოთხრობებში სხვაგანაც შენიშნავს “წითლად მოლულდულდე“ ფოთლებს. “წითელი წინაკებით მოანათებენ“ ამები კონრონაშვილები შემოდგომის მიზუნდოვანებულ პეიზაჟებში (უკუღმა დაჭედილი) და ჩვენც გვეჩვენება, რომ ნეკერჩხლის წითელი ფოთლის მსგავსად, “ვიღაცას თუ რაღაცას ველოდებით“.

შინაგანი სისუფთავისა და სიმტკიცის გრძნობას გვიტოვებს “შემოდგომის ლურჯადმეყურებული ცა“ (მარადიული პეიზაჟი), “მინასავით უძრავი ლურჯი ჰაერი“ (ნეკერჩხლის წითელი ფოთლი), უფლისციხის ზამთრის სიცივეში შემორჩენილი “ჯერაც ისევ მოლურჯო ნარი“ (უფლისციხე), ჯანსუღის, უსუსური ნეკერჩხლის ფოთლის სიმტკიცეს ესმინება “ტყეში ლურჯად ჩამომდგარი ყინვაც“.

სინამდვილის, სისპეტაკის, ამღვრველი სულიერი სისუფთავის განცდას გვაზიარებენ რუს ცაში ერთად მფრინავი თეთრი გედები (გედები), “თეთრი ქულა ღრუბლები“, რომლებიც თითქოს ბიბლიური სინამდვილიდან გადმოსულ ჩვენი დროის ადამსა და ევას ადგას თავზე (ადამი და ევა), სპეტაკი თოვლით შემოსილი გარემო, თეთრწვერა მოხუცი, რომელიც სიკვდილის პირისპირ მდგომ ავადმყოფ ბიჭუნას ეზმანება გადარჩენის ნიშნად (სახატეები), “ყველასაგან მიტოვებული, სახურაგაჩქეული, მინებალენილი“, მაგრამ ჯერაც ისევ თეთრი სახლი, რომელსაც კეთილი გემივით სამშვიდობოს გაუყვანია ერთი პატარა ოჯახი დიდი სულიერი ქარიშხლებისა და ავებდობის ხანაში (პატარა გემი მშრალ ნაპირზე). იქნებ ეს სწორედ ის ქათქათაილქენებიანი გემი იყოს, რომელიც თვალმდახუჭული პატარა გოგონას ფანტაზიის “უკიდევანო ლურჯ ოკეანეში“ შემოცურდებოდა ხოლმე (გოგონა - ლაშქრულ შეუყვარდა). და ბოლოს, ამ ფერწერული ტილოს სინამდვილის თეთრი შუქით განათებულ კუთხეს მარადიული მფარველივით წამოსდგომია შორი თეთრი მწვერვალი, “გასაოცრად ერთფეროვნად რომ დგას ზამთარშიც და ზაფხულშიც, - სულ თეთრი“ (შორი თეთრი მწვერვალი).

რევან ინანიშვილის პოეტურ პალიტრას კიდევ ერთი ფერი ამშვენებს - მწვანე. მას სამოთხის ბალისეული სიმშვიდე, სამყაროს ერთიანობის განცდა შემოაქვს მწერლის შემოქმედებაში. აი, ერთი პეიზაჟი - რიყეზე მოჩანს სამი მარადიული სილუეტი: მამაკაცი, ქალი და პატარა ბავშვი. მათ უკან კი “წამომართულა დიდი მწვანედ აბოლქვილი ხეები“ (ადამი და ევა). ამ სურათის ხილვისას აღმოცენებული განცდა კი ისევ მწერლისეული სიტყვებით შეიძლება გადმოვცეთ: “მამშვიდებს ფიქრი, რომ ეს წყალიც, ეს ფოთლებიც და ეს ფესვებიც ასე იყო ათასობით წლის წინათ და ასევე იქნება ათასობით წლის შემდეგ“ (შე-



მოდგომის დღე).

“უსიხარულო სიამოვნებათა“ ეპოქაში მცხოვრები ადამიანის სულის საღებუნად, უშფოთველი სიხარულისა და სიმშვიდის განცდასთან საზიარებლად შევაკონინოთ კიდევ ერთი სურათი: “მწვანედ გალიცლიცებულ მორევში რქიანი შველი დგას“ (შემოდგომის დღე), მდინარის აყილებაზე მიდის იმედის მწვანე მატარებელი, რომელსაც “მარტოობით გადაყრუებული“ მოხუცებისათვის სანატრელი შვილიშვილები მიჰყავს (ზამთრის ზღაპარი), “გზის იქით, შეფერდებულში მწვანე შუქი დგას“ (შორი თეთრი მწვერვალი), იმ შუქში, დიდ სინათლეში შემოდგომის მწვანეზე განმარტოებულა ქართველთა ღვანღმოსილი მეფის - დავითის დიდებული ლანდი და ხოხბის ბუმბულით ჩანიშნულ წიგნს კითხულობს (ლოჭინში). ამბლებულის განცდას აგვირგვინებს “დიდი გახარებული მწვანედჯანსალი ქვეყნიერების თავზე“ (გახარებული მზე).

თუმცა რევზ ინანიშვილი მაინც ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვარია. ცხოვრება კი, როგორც ჩვენს ძველებს უთქვამთ, ხშირად ბინდისფერია. ამიტომაც მწერლის “წითლად ჩაღუდღუდებულ“ და “მწვანედ აღაღანებულ“ პეიზაჟებში ხშირად შემოიჭრება ხოლმე “ზამთრისპირის ლბილი, ლბილი ბინდი“ (ზამთრისპირის ბინდი), შემდეგ კი “უფრო და უფრო ბინდდება“.

მწერლის ერთი მოთხრობის გმირი, შემოდგომის მშვენიერი დღის ფერადი შთაბეჭდილებებით გამდიდრებული, სოფლის მისასვლელთან გაიგებს, რომ მორევში მუცლამდე შესული შველი თურმე დაჭრილი ყოფილა და ტკივილის დასაამებლად შესულიყო წყალში. განწყობილებათა ნგრევის, გმირის სულიერი მღელვარების გადმოსაცემად მწერალი ფერმწერის ფუნჯს მიმართას და სულ მცირე წინადადებით დიდ სათქმელს გადმოგვცემს: “ნათელ ლამაზ დღეს უცებ გადაეფარა თალხი“ (შემოდგომის დღე).

სხვა შემთხვევაში მთის თითქმის მიტოვებული, იავარქმნილი სოფლის ტკივილსა და მწუხარებას ეხმიანება “აფუყული, დარდიანი რუხი მტრედის“ შუქჩამქრალი სილუეტი (ეთერი). სურათის განწყობილების გასამყარებლად გაიხსენოთ “ძველი სასაფლაოს“ “შავფერი სწორადთილილი

ხავსით ყვითლად შეფორაჯებული საფლავის ქვები“, სიკვდილის პირისპირ მდგომი ფურდედოს “ნაცრისფერ ყებზე ნელ-ნელა ჩამომავალი ცრემლი“ (ჩვენი ფურდედო მისა).

გრძნობა-განწყობილებათა ფერით გადმოცემის ინანიშვილისეული ხერხი ძალზედ მეტყველია. ზემოთდახატული რუხ-ნაცრისფერი პეიზაჟი ცხადად მიგვანიშნებს ავტორისა თუ გმირის სულიერ მარტოობაზე, ნალველზე. მწერლის “ფუნჯის“ ერთი მოსმაც საკმარისია, რომ “მიდამო მოიცვას სინათლესთან გაყრის იდუმალმა სევდამ“ (ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი).

როგორც ვხედავთ, რევზ ინანიშვილის საღებავთა პალიტრა მრავალფეროვანია. მისი შემოქმედება ის ვრცელი ფერწერული ტილოა, რომელზეც თვალხილული მკითხველი ბევრს შენიშნას: დიდ სიკეთესაც და პატარა ბოროტებასაც, დარდსაც და სიხარულსაც, სიმშვიდესა და ეჭვსაც. დგახარ ამ ვრცელი პანორამის წინ და გეჩვენება, რომ გალერეის თავზე ცა გაიხსნა: “ჭალა სულ უფრო და უფრო განათდა. წვიმამ მდინარის იქით, გრძლად გაწოლილი უტყეო სერის ძირში გადაინაცვლა - სამხრეთიდან ბრტყელი ლამაზი ცისარტყელა დაიძრა, აინია მალლა, აინია და სწორი, მკვრივად შეკრული თალი გადახაზა. ცოტა ხანში მეორე ცისარტყელაც ამოიზარდა, მაგრამ იმან თალის შეკვრა ვერ შეძლო, შუა ცამდე ძლივს მიაღწია და იქ გაჩერდა. ამ ცისარტყელების უკან, მტუტისფერ სიღრმეში ისევ ქუსს, მაგრამ იმ ქუხილს აღარავინ არაფრად აგდებს“ (ცისარტყელა).

მართლაც, მწერლის მოთხრობათა შუქ-ჩრდილების თავზე შვიდფერი ცისარტყელას მსგავსი დიდი სინათლე დგას, დიდი იმედი. მისი ყველაზე მძიმე, გულდაბურული ნაამბობიც კი უიმედოდ არ გტოვებს. პერსონაჟსა და მკითხველს მუდამ გეგულება შუქი გვირახის ბოლოს. სიკეთის ეს შუქი ასხივებს მარტოობისა და მიუსაფრობის ყველაზე პირქუში სურათებიდან. ამიტომაც რევზ ინანიშვილის ფერადოვან სიკეთეს ნაზიარები კაცი დიდი სევდის მიუხედავად, დიდი იმედით ივსები, უფრო ღონიერი, ფესვმაგარი ეგებები სანუთროს “მტუტისფერ“ ჭექა-ქუხილსაც და ქარტყილსაც, რადგან იცი, რომ შენს თავზე დიდი შვიდფერი ცისარტყელა დგას. “პირველყოფილი სინმინდით გამოშუქებული“ (ევა).

ეს სინმინდე ინანიშვილის პროზის ის პერსონაჟია, რომელიც ყველა ნოველასა თუ მინიატურაში გახსენებს თავს. იგი ზამთრის პეიზაჟში ჩარჩენილი კეთილი ფრინველის მსგავსად ყველგან ჩანს, “როგორც ბავშვის ნახატში, ხესთან შედარებით უზომოდ დიდი, ნაცრისფერში შეუღენთი-თი თეთრი აკვარელივით“ (ზამთრისპირის სევდა). ადამიანური სისუსტეებისადმი პატიების გრძნობით გამაჭვალული, იგი სილამაზის საბურველში ახვევს წუთისოფლის რუხ ჩრდილებს. მისი ხმის გაგონება ყველას შეუძლია, რადგან “ადამიანები არა მარტო ხედავენ სისუფთავებს, გამჭვირვალელებს, უმანკობას, არამედ ხმაც ესმით მათი, რაღაც არამქვეყნიური ხმა“ (სამაგიდო რვეულებიდან). ეს სინმინდე მკითხველსაც გაკეთილშობილებს, ნაგახალისებს, “იმაშვარლო მშვენიერების შექმნისათვის“ (სამაგიდო რვეულებიდან), ძალას. გაძლევს, რათა სიკეთისა და სინათლის ზანზალაკები ჩამოურიგო ადამიანებს “ცუდად მდუმარე ამოდენა საყაროში“ (სამაგიდო რვეულებიდან).

და თუ ერთ დღეს თქვენთვისაც ძნელად ასატანი გახდება “უფსკრული ქალაქში“, ნუ დაიზარებთ ინანიშვილის ფესვმანდუკის გახსენებას, კიდევ ერთხელ მოუხმინეთ მწერლის ნაამბობს, დახუჭეთ თვალები და “მის ხმაში ფერებს დაინახავთ“.



თეატრ კოპანოვი

დასასრული

(დასაწყისი იხილეთ "არილი" N5)

ელიოტის სათქმელის ერთი ნაწილი, მისთვის სუბიექტურად მნიშვნელოვანი თუ ლექსში "ობიექტურად" ამტკიცებელი ასოციაციები "ბერბანქის" მოქმედ პირთა სახელებს უკავშირდება. როგორც ითქვა, საკუთარი სახელები ელიოტის პოეზიაში საერთოდაც მნიშვნელოვან ირონიულსა და პაროდიულ ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ "ბერბანქში" ისინი განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატულ აზრობრივსა და სიმბოლურ დატვირთვას იძენენ. ეს ნათლად ჩანს ლექსის სიუჟეტურ ჩანასახში, რომელიც სრულიად დაცლილია იმ დატვირთვისაგან, რასაც სიუჟეტი, ჩვეულებრივ, მოდერ-ნიზამდელ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასრულებდა. შეუიარაღებელი თვალით, ლექსის ზედაპირზე, "ბერბანქის" მთელი სიტუაცია შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც მინიატურული ადიულტერული დრამა: ვენეციაში ჩასულ ტურისტს, - ბერბანქს, შეუყვარდება პრინცესა ვოლუპინი, რომელიც მას ჯერ თავის მდიდარ თანამემამულესთან, ბლასტაინთან უღალატებს, ხოლო შემდგომ, ამ უკანასკნელსაც ევროპულ "არისტოკრატზე" - სერ ფერდინანდ კლაინზე გაცვლის. ცხადია, პირნმინდად ქალური ლალატის ეს მარტივი ისტორია, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს პიეროს, პანტალონეს, არლეკინისა და კოლომბინას მოარულ კარნავალურ სქემებს, ლექსის ურთულეს ასოციაციურ პლანთან კონტრასტში მძაფრ სიმბოლურსა და ტრაგიკომიკურ ფლერადობას იძენს. ელიოტისათვის მიუღებელია მარტივი სახეებით მეტყველება და თვით ამ მიზანდასახულად მოხმობილ, საგანგებო სიუჟეტურ შაბლონსაც ის ამაღლებული, ირონიული განსწავლულობის პოეტური დიქციით გადმოსცემს, მრავალნიშნადი ასოციაციური თამაშის გზით, მითოსური საყოველთაობის პლანში განაზოგადებს.

"პრინცესა ვოლუპინი" (Princess Volupine) ერთდროულად რამდენიმე ასოციაციის აღმძვრელია - მისი სახელი, რომელიც ბენ ჯონსონის "მელა ვოლპონეს" თანაფლერადია და გარკვეულწილად სწორედ "მელას" გულისხმობს, ამავე დროს წარმოადგენს კომპოზიტს: voluptuous (ავხორცი) + lupine (მგლური, მგლისმაგვარი, ცხოველური). სულ ახლახან გარდაცვლილი ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ქალი, ფეთ სლოუნი, დამაჯერებლად ასკვნის, რომ რადგან "lupine" "მგლურს" ნიშნავს, ხოლო ლექსში მრავლადან ებრაულ სახელებთან დაკავშირებული კალამბურები, "ვოლუპინი" ერთ-ერთი ებრაული გვარის კალამბურია. "პრინცესა ვოლუპინის" სახის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასოციაციურ კომპონენტს შეადგენს ებრაული გვარი ვულფი (ან ვოლფი - "მგელი"), რომელიც ასოციაციურად უკავშირდება იმჟამინდელი ლონდონის ბლუმსბერიელ ინტელექტუალთა სალონის მასპინძელს, ვირჯინია ვულფს. თავად ვირჯინია ებრაელი არ იყო, ის მხოლოდ გათხოვილი იყო ებრაელ ლიონარდ ვულფზე, მაგრამ იმისათვის, რომ "ბერბანქის" ასოციაციურ პოლიფონიაში ებრაული თემატიკის ხაზი გაგრძელდეს, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს - სხვა საკითხია, რომ უდაბნოვნილი პირობაიკოსი ქალის, "მისის დელოუის" ავტორის, პაროდიულ "ავხორცი მგლად" და "არისტოკრატულ კახპად" წარმოსახვა, ელიოტის სუბიექტური (და ამიტომაც ტექსტში ზედმინივნი დაფარული) ასოციაციაა. შესაძლოა, ის ელიოტის იმჟამინდელ კონკრეტულ განწყობილებას გამოხატავს, როდესაც ამერიკული პროვინციიდან ახლად-გადმოსახლებული პოეტი ცდილობდა ბლუმსბერიელთა

მოდერნისტული პარნავალი ტომას ელიოტის ვენეციაში



პრესტიჟულ ლიტერატურულ სალონთან დაახლოებას, მაგრამ იმ ადრეულ ეტაპზე იქ მთლად მიღებული არ ყოფილა.

რალა თქმა უნდა, პრინცესა ვოლუპინი უპირველეს ყოვლისა თვით ვენეციაა - ამას ადვილად შეიგრძნობს ყველა, ვინც კარგად იცნობს ლექსს და ვინც ბერბანქის მსგავსად, ერთხელ მაინც "ჩასულა" ამ ძვირფასი კურტიზანის მშვენიერებით აღბეჭდილ, "ვარდისფერსა და სადაფისფერ" ქალაქში. პრინცესა ვოლუპინის, როგორც ვენეციის სიმბოლოს როლი, ლექსში მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ამას მიანიშნებს მისი მობერბული, "ჭლეკიანი" სილამაზე (ასოციაციურ პლანში ის ჰენრი ასპერნის მარტოხელა და ღრმად მოხუცებულ ყოფილ სატრფოსთან, ქ-ნ ბორდეროსთან არის გაიგივებული), მისი "დეგრადირებული მშვენიერება", "დისტროფიული ხელი" და ის უდარდებლობა, რომლითაც ეძლევა სხვადასხვა მამაკაცებს. ევროპულ პოეტურსა და საერთოდ, მხატვრულ ტრადიციაში, ვენეცია გაიგივებულია მშვენიერ ქალთან და ელიოტის პაროდია იმაშიც ვლინდება, რომ "პრინცესა", ლექსში, "კახპას" ირონიული ეფემიზმია, - ისეთივე, როგორც კრებულის სხვა ლექსში, "სუინი ბულბულთა შორის" - სიტყვა "ბულბული", რომელიც საუკუნის დასაწყისის ინგლისურ ჟარგონზე "მეძავს" ნიშნავდა. ბრიტანულ სათავადაზნაურო ტრადიციაში, პრინცესას ტიტულს მატარებელ ქალბატონს, ოფიციალურად მოიხსენიებენ, როგორც "Her Serene Highness" ("მისი ბრწყინვალეობა"), რაც ვენეციის რესპუბლიკის ტრადიციული მეტსახელის - "Serenissima"-ს თანაფლერადია და მას აზრობრივადაც უახლოვდება. სიტყვასიტყვით ეს მეტსახელი ერთდროულად "ამაღლებულად მშვიდსაც" ნიშნავს და "ულრუბლო-უდარდელსაც" - ცხადია, ელიოტის პრინცესა-ვოლუპინი-ვენეცია ორივე ამ ტრადიციული ნორმისა თუ წარმოდგენის მძაფრ პაროდიას შეიცავს.

ლექსის მეორე სტროფში პრინცესა გაიგივებულია კლეოპატრასთან, რომელიც ცნობილ შესპირულ ეპიზოდში, მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ გემზე, პირველად ხვდება ანტონიუსს. "ბერბანქში" ეს გემი



“დარაბადანშულ კარჭაბად“, ან გონდოლად იქცევა, რომელიც ისევე “ინვის წყალზე“, როგორც ენობარბოსის აღწერაში მდინარე სიდნუსზე (ნილოსზე) - კლეოპატრას გაჩირადღნებული ხომალდი. ეს ანალოგია შექსპირისა და ელიოტის ტექსტთა შედარებისას ძალზე მკაფიოდ ჩანს:

...ის ხომალდი, რაშიაც იჯდა, ელავდა წყალზედ...
(“ანტონიოს და კლეოპატრა“ მოქმ. II, სურ. 2)

დარაბადანშული მისი კარჭაბი
ელავდა წყალზე მთელ დღედაღამეს...
(“ბერბანქი“)

კარჭაბში თუ გონდოლაში მჯდომი პრინცესა ვოლუპინი-კლეოპატრა-ვენეცია, თავის მხრივ, გაიგივებულია იოანეს გამოცხადებაში ნახსენებ “ბაბილონის მეძავთან“ (17:1-6), რომელიც შემოსილია “პორფირით და ძონეულით, მორთულია ოქროთი, პატოსანი თვლებით და მარგალიტებით“ და რომელიც, კლეოპატრას გემისა და თვით ვენეციის მსგავსად, “მრავალ წყალზე მჯდომია“. მასთან “მეძაობენ დედამინის მეფეები“, რომელთაც ელიოტის ლექსში ამერიკელი ტურისტები, ბერბანქი და ბლაისტაინი განასახიერებენ სერ ფერდინანდ კლაინთან ერთად. ამრიგად, “ბერბანქში“ ბაბილონის მეძავი მე-20 საუკუნის დასაწყისის პრინცესად იქცევა (ანუ თვით ვენეცია წარმოისახება “ბაბილონის მეძავად“), კლეოპატრას მდიდრული ხომალდი გადაიქცევა გონდოლად, ხოლო გამოცხადების “მრავალნი წყალნი“ და “ანტონიოს და კლეოპატრას“ სინდუსი (ნილოსი) წარმოგვიდგება ვენეციის არხად, რომელზედაც დაშენებულია რიალტო, სადაც “ვენეციელი ვაჭრის“ მევახშეები გროვდებიან.

ბერბანქის ასოციაციური სტრუქტურა იმდენად ტყვა-

დი და მრავალბლანინია, რომ ზოგიერთ მკვლევარს ის მეტად თავისებური დასკვნებისაკენ უბიძგებს. ხშირად, ეს დასკვნები ტექსტუალურად არ მტკიცდება და შესაბამისი მსჯელობაც უფრო განყენებულ ლიტერატურათმცოდნეობით სქოლასტიკას წააგავს, ვიდრე რეალურად არსებული ლიტერატურული ფაქტის კომენტარს. მაგალითისათვის, ჯონ პოლაკი, ერთ-ერთი ფროიდისტულად განწყობილი კრიტიკოსი, აღნიშნავს, რომ როდესაც მას ეს-მის სიტყვები “სემიტი“, “სიგარა“ და “ვენაში მცხოვრები“, უმაღვე ზიგმუნდ ფროიდი ასსენდება და მთელ ლექსს წარმოიდგენს, როგორც ფროიდის “სიზმრების ინტერპრეტაციის“ პოეტურ ილუსტრაციას. პოლაკი ფიქრობს, რომ ლექსის მხატვრული სტრუქტურა წარმოადგენს სიზმრის ფროიდისტული სტრუქტურის შეგნებულ იმიტაციას, რომლის ინტერპრეტაცია ამ ცნობილი ნაშრომით შესაძლებელიცაა და აუცილებელიც, თუმცა აშკარაა, რომ სხვა მკითხველში ბლაისტაინის სახემ, შესაძლოა, სულ სხვა ასოციაცია აღძრას. მაგალითად, ზოგჯერ ბლაისტაინის გვარს ხსნიან, როგორც კომპოზიტს - “ტყვიის ქვას“ (გერმანული “Blei“ და “Stein“), უფრო გავრცელებული “გოლდშტაინის“ საპირისპიროდ, რომელიც შესაბამისად “ოქროს ქვას“ ნიშნავს, თუმცა ვერ განმარტავენ ელიოტის მოტივს - იმას, თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს “ტყვიის ქვის“ ასოციაცია, ან რატომ მოიხმობდა მას ელიოტი. ბუნდოვან და საეჭვო ასოციაციათა შესახებ მსჯელობისას, უმთავრეს კრიტერიუმს, სახის ლოგიკური მოტივაცია და ლექსში მისი მხატვრული დანიშნულების გარკვევა უნდა შეადგენდეს, რაც “ტყვიის ქვის“ შემთხვევაში, სრულიად გაურკვეველია. თუ გზამკვლევიტ ალტურვილი ბერბანქი მართლაც უფრო “ემპირიკოსის“ ასოციაციას აღძრავს, როგორც ტურისტის, რომელსაც ყველაფრის საკუთარი თვალთ დანახვა და “ხელით შეხება“ სურს, მე-20 საუკუნის დასაწყისის ინტელექტუალთა ქალაქში, ვენაში მცხოვრები თუ იქ დაბადებული “სიგარიანი“ (სიგარის ნევისას ჩაფიქრებული?) ბლაისტაინი აშკარად შეიცავს მჭვრეტელობითი ინტელექტუალიზმის ასოციაციურ ელემენტს, რაც სრულიად არ შეესაბამება მის “ტყვიის ქვად“ (ან “ტყვიისქვისთავიანად“) მოხსენიებას.

როგორც ითქვა, ბლაისტაინი, უბრალოდ, ლონდონელი ვაჭრის აბრიდან ნასესხები გვარია, რომელიც ამ შემთხვევაში არავითარ “ფარულ“ მინიშნებას არ უნდა შეიცავდეს, თუმცა თვით ლექსში, ბლაისტაინის სახე, უსასრულოდ მრავალწახნაგოვანია. ვაჭრობის, ბიზნესმენობისა და უკიდურესი პრაქტიციზმის გარდა, ის სრულიად საპირისპირო თვისებების - კონტემპლაციურობისა და მოაზროვნეობის ასოციაციასაც შეიცავს (ეს წინააღმდეგობა ჩანასახობრივად უკვე უაილდისეულ შექსპირის მოტრფივალე მენეჯერის რემინისცენციაში გვხვდება). ასე რომ, თუ უდარდელი “Tra-la-la-la-la-laire“ ლექსის ეპიგრაფში პირობითად ბერბანქს ასახიათებს, ღრმად ნაფიქრი “Nil nisi divinum stabile est; caetera fumus“ რალა თქმა უნდა, უფრო ბლაისტაინის სახეს შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ ლექსის ბოლოს პრინცესა ვოლუპინის (ვენეციის) ჭეშმარიტ არსზე “თვალახელილი“ ბერბანქიც დროისმიერებასა და ამაოებაზე მედიტაციას ეძლევა - მას ინტელექტუალური “გასხივოსნება“ ეუფლება. თვით ბლაისტაინი კი მართლაც შეიცავს ფროიდისა და საუკუნის დასაწყისის ვენის ინტელექტუალური ატმოსფეროს ზოგად ასოციაციას, მაგრამ მხოლოდ ამის გამო მთელი ლექსის მხატვრული სტრუქტურის “სიზმართა ინტერპრეტაციის“ თარგზე მორგება, მართებული არ უნდა იყოს.

“ბერბანქის“ ერთი შეხედვით “თავისუფალ“ და “არამოტივირებულ“ ასოციაციათა უსასრულო რიგი, კრიტიკოსისათვის, ზოგჯერ, მართლაც დამაბნეველია. მეორე

მხრივ, ისეთი რემინისცენცია, როგორცაა მეექვსე სტროფში მოყვანილი ფრაზა - "ერთხელ, რიალტოზე". სრულიად კონკრეტულად მიუთითებს ასოციაციურ წყაროს: "ვენეციელ ვაჭარში" სიტყვა "რიალტო" რამდენჯერმე მეორდება და ელიოტსაც სწორედ ეს განმეორებადი სიტყვა გადმოაქვს "თავისი" ებრაელის - ბლაისტაინის დასახასიათებლად. არსებითად, ეს ტოპონიმი ერთადერთი დეტალია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ვენეციას, როგორც "ბერბანქის" მოქმედების ადგილს; სხვა მხრივ, ელიოტის

"ვენეცია" ლექსში მხოლოდ ასოციაციურად ცნაურდება, ხოლო თვით სიტყვა "ვენეცია", საერთოდ ნახსენებიც კი არ არის. საინტერესოა ისიც, რომ რიალტოს ხიდი ვენეციის გეოგრაფიული ცენტრია და მის გარშემო მე-14 საუკუნიდან განლაგებულია რიალტოს ბაზარი (დღესდღეობით - სუპერმარკეტები), სადაც წარსულში ბალაგანური წარმოდგენები იმართებოდა. ამ ასოციაციით ელიოტი მხოლოდ "ვენეციელ ვაჭარს" კი არ იმომწებს, არამედ კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) ასოციაციურად შემოაქვს ლექსში კარნავალური ("ბალაგანური") მოტივი: - არლეკინი, პიერო და კოლომბინა commedia dell' arte-ს ის ტრადიციული პერსონაჟებია, რომელთა ტრაგიკომიკური "სიყვარულისა" თუ "ღალატის" ისტორიები ქუჩაში, ღია ცის ქვეშ და ხშირად, ბაზართანაც ("რიალტოზე") იდგმებოდა. თვით "ვენეციელ ვაჭარშიც" განსაცდელში ჩავარდნილი ანტონიოს საშველად პორციასა და მისი მოახლე გოგოს - ნერისას მამაკაცებად გადაცმა და მათი ვინაობის დაფარვაც ელიოტისათვის ისევ კოსტიუმირებული სანახაობისა და ნიღბის, კარნავალის ასოციაციური მოტივის მოხმობას გულისხმობს.

ის, რომ ბლაისტაინი ასოციაციურად გაიგივებულია შაილოკთან, უეჭველად სერიოზული არგუმენტი იმათ წინააღმდეგ, ვისაც ელიოტის ეს უსასრულოდ რთული ლექსი მარტივ ანტიკემპიტურ გამოხდომად წარმოუდგენია. საგულისხმოა, რომ შაილოკი რიალტოს სწორედ იმ მონოლოგში ახსენებს, სადაც ის ანტონიოს საკუთარი თავისა და ებრაელთა მოდგმის შეურაცხყოფას საყვედურობს:

ბევრჯერ და ხშირად
გაგილანძღვივართ რიალტოზე. ყველაფერს ამას
მხრების აჩეჩვით და მოთმინებით ვიტანდი მუდამ, -
მოთმინება ხომ ნიშანია ჩვენი მოდგმისა!
თქვენ მე ურჯულს მიწოდებდით, ქოფაკსა ძაღლსა...
(ბ.ბაჩჩინილასის თარგმანი, მძძ.1, სურ.III)

შაილოკი რიალტოს ახსენებს იმ სხვა ცნობილი მონოლოგის სცენაშიც, სადაც ის თავის ეროვნულ და სარწმუნოებრივ ღირსებას იცავს, ანუ სადაც ზნეობრივად გამართლებული პოზიციიდან გამოდის:

თუ გვჩხვლეთენ, განა ჩვენ არ დაგვდინდება სისხლი?!...
(ბ.ბაჩჩინილასის თარგმანი, მძძ.3, სურ.I).

"მორჩილად აჩეჩილი მხრები" - თვით ელიოტის დრომდე მოღწეული ეს "ტრადიციულად ებრაული" და "მოთმინების გამომ-ხატველი" პოზა ელიოტის ლექსში იმგვარად არის სახეშეცვლილი, რომ შაილოკის გარდა სხვა ასოციაციებიც დაიტიოს. ესაა მკაფიო ვიზუალური შთაბეჭდილების შემქმნელი ხატი, რომელიც მეოთხე სტროფში გვხვდება და ასოციაციურად აიგივებს ბლაისტაინს ჯვარცმულ ქრისტესთან; არსებითად, მისი პოზა იმეორებს მაცხოვრისას ("მორჩილად მოხრილი მუხლები, ამოტრიალებული მტევნები") და ამასთან ერთად, უკავ-

შირდება წმ. სებასტიანსაც, რომელიც მანტენიას ტილოზე აგრეთვე მუხლმობრილად არის გამოსახული:


...ჩამოყრილ მუხლებით მკლავნი განერიდა,
ზეაშვერილი ხელის მტევნებით
ჩიკაგოელი სემიტი ვენიდან.

ნიშანდობლივია, რომ ბლაისტაინის პოზის აღწერა თითქმის ზედმინევითი სიზუსტით იმეორებს მარკოზ მახარობლის ბარელიეფურ გამოსახულებას რიალტოს ხიდის ფსახადზე, რომელიც ვენეციაში ჩასულ დაკვირვებულ ტურისტს (ბერბანქს?) დღესაც არ დარჩება შეუმჩნეველი. მახარობელი აქ ლომზეა გვერდულად ჩამომჯდარი, მუხლები მოხრილი აქვს, ამონეული მარჯვენა მკლავი-დაყვივით და გაშლილი ხელის მტევნით სახარებაზე მიუთითებს გამველ-გამომველთ. თავისი ზოომორფული სიმბოლოს - ფრთოსანი ლომის სახით, მარკოზი "ბერბანქის" ბოლო სტროფშია წარმოსახული, სადაც ის იმდენად თვით მარკოზს არ განასახიერებს, რამდენადაც წმ. მარკოზის ქალაქის, ვენეციის სიმბოლური ხატია. ეს სახე ღრმად პაროდიულია: ლომისათვის "ფრთები შეუჭრიათ", "გავა გამოურწყილავთ" და მისთვის "ბრჭყალებიც მოუთლიათ", რაც ელიოტის თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის სულიერი დაკნინების კიდევ ერთ მეტყველ სიმბოლურ სახეს წარმოადგენს. საყურადღებო და ფრიადნიშანდობლივი ის არის, რომ რიალტოს ხიდის რეალური წმ. მარკოზიც სწორედ ასეთ "შელახულ" ლომზეა „ჩამომჯდარი“:

...ვინ შეჭრა ფრთები და ბრჭყალები,
რწყილიც გააცალა გავას ლომისას?
ჩაფიქრდა ბერბანქი, სჯიდა რა გონებით
შვიდ კანონს და ნანგრევებს დროისა.

ამგვარი შეკითხვები უჩნდება თითქოს ამ ბარელიეფს მიჩერებულსა და მისი საშუალებით ვენეციის დაკნინების აღმქმელ ბერბანქს, რომელიც ლექსის ფინალში ქალაქის ბედზეა დაფიქრებული. საგანგებოდ განსწავლული მკითხველის აღქმაზე გათვლილი ირონია, აქ იმაში გამოიხატება, რომ ვენეციის ბედ-იღბალზე ბერბანქი ამერიკელი ჰენრი ადამსისა და ინგლისელი ჯონ რასკინის კატეგორიებით ფიქრობს: "დროის ნანგრევები" და "შვიდი კანონი" მეტად გამჭვირვალე რემინისცენციებია, რომლებიც მის "მედიტაციას" ჰენრი ადამსის "განათლებასა" და რასკინის "არქიტექტურის შვიდ მანათობელს" უკავშირებს. არსებითად, "ბერბანქის" უკიდურესად განზოგადებულ სიმბოლოთა პლანში ეს იმ პრობლემაზე ფიქრი და წუხილია, თუ რა დაემართა მეოცე საუკუნის დასაწყისის მთელ დასავლურ კულტურას საერთოდ.

ლექსში ნახსენები "ბლაისტაინის გზა" (რომელიც, როგორც თვით ელიოტი აღნიშნავს, "ასეთი ან ამის მსგავსი იყო" - "...this or such was Bleistein's way..."), დასავლური ადამიანისა და მთელი დასავლური ცივილიზაციის რწმენისა და მარტვილობის გზაა, რომლის კრუცის სიმბოლოდ თვით ბლაისტაინი წარმოგვიდგება. ეს უკანასკნელი, ყველა თავისი ასოციაციური "ავატარის" სახით, მთელი ევროპული ისტორიის გმირიცაა და მისი ანტიგმირიც. ის დასავლური ადამიანის პარადიგმა ისტორიულ განფენილობაში და მყისიერ ანმყოში ერთდროულად წარმოსახული. ბლაისტაინის სახით თვით ებრაელობაც წარმოდგენილია, როგორც ევროპული ისტორიისა და სულიერების ერთ-ერთი ღერძი, მისი ერთ-ერთი მამომრავებელი ძალა და, ამავე დროს, მისი დაკნინების ერთ-ერთი მიზეზიც. ბლაისტაინს ელიოტი მთე-



ლი იუდეო-ქრისტიანული ცივილიზაციის უნივერსალურ სიმბოლოდ სახავს - მსგავსად იმისა, როგორც ჯოისმა წარმოსახა თავისი ლეოპოლდ ბლუმი დასავლური ადამიანის პარადიგმად მის ყველა შესაძლებელ გამოვლინებაში. ბლასტიანი ჯვარს ეცვა როგორც ქრისტი და თავისი სარწმუნოებისთვის ეწამა როგორც წმ. სებასტიანი - ისტორიულად ქრისტიანები ისევე სდევნიდნენ ებრაელებს, როგორც თავის დროზე წარმართი რომაელები - ქრისტიანებს. ბლასტიანი ყველაფრის სათავეში, თვით რიალტოს საძირკველშია მოქცეული და ბედის კამათელი მის თავზე გორავს ("The Jew is underneath the lot..."). ის წმ. მარკოზიც არის (საღმრთო წერილი ებრაელების დაწერილია) და რახან წმ. მარკოზია, ვენეციაც მისი ქალაქია (ვენეციის რესპუბლიკაში ებრაელთა სათვისტომო ოდიტანვე ძლიერი იყო) და, მამასადამე, დიდწილად მისია თვით ევროპული კულტურაც, რომლის აღმავლობა და დაცემაში თავად მიუძღვის წვლილი. საბოლოოდ კი, ლექსის უშუალო-აზრობრივ კონტექსტში, ის ერთი სიგარის მწველი ჩიკაგოელი ტურისტია, გვარად ბლასტიანი, გარკვეულწილად გავერობელებული (ახლა ვენაში ცხოვრობს), ფულით გატენილი და ბენჯის ქურქში გამოწყობილი.

ცხადია, ეს სახე უსასრულოდ პაროდიულია - თუნდაც მასთან დაკავშირებული ფანტასმაგორიული ასოციაციებით და უშუალო-ტიქსტუალურ ბლასტიანთან მათი ირონიული კავშირით. ჩანაფიქრში, როგორც ანალოგიური სიმბოლური დატვირთვის გამოხატველი სახე, ბლასტიანი მართლაც მოგვაგონებს მინიატურულ ლეოპოლდ ბლუმს (მისი შექმნისას ელიოტი ინტენსიურად კითხულობდა "ულისეს" გამოქვეყნებულ ეპიზოდებს), თუმცა განხორციელების ფორმით, ის, რაღა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულია ჯოისის "ოდისეისაგან". ესაა ენ. Everyman - "ყველაკაცი" და "მარადიული ურია" - მთელი დასავლური ისტორიისა და კულტურის პაროდიული და უსაზღვროდ ტევადი სიმბოლური ხატი, რომელიც ერთ მცირე ფორმის უსასრულოდ კომპაქტურ ნაწარმოებშია მოქცეული.

ლექსში ბლასტიანის ფიგურას ერთუჯრედიანი ორგანიზმებისაგან შემდგარი „პრეველყოფილი ლორწოდან“ (Protozoic slime) შეჰყურებს "უფერო თვალი", რომელიც მას (ბლასტიანს) "კანალეტოს პერსპექტივაში" ხედავს:

მიმტერებია პროტოზოულ წუმპის ლორწოდან
გადმოკარკლული, უფერო თვალი
შორ პერსპექტივას კანალეტოსას.

სახე აშკარად შეიცავს სიურრეალისტური ესთეტიკის ჩანასახს; ამასთან, "კანალეტოს პერსპექტივა" მეტად მნიშვნელოვან აზრობრივ, სიმბოლურ, ასოციაციურსა და პოეტიკურ დატვირთვას იტევს. ჯერ ერთი, ეს ისტორიული პერსპექტივაა - ის მთელი ლექსის შინაგანი სიმბოლური ქრონოლოგიის ხატია, "პრეველყოფილი ლორწოდან", თანამედროვე "პრინცესას" მრუშობამდე, ანუ პრეისტორიული ხანიდან მეოცე საუკუნის დასაწყისის ვენეციის დაკნინებამდე. მეორეც, ეს სწორედ იმ კანალეტოს პერსპექტივაა, რომელიც ცნობილი იყო სივრცის, "ჰაერის" სიჭარბის შექმნის ფეფქტით ვენეციის ამსახველ ცნობილ ურბანისტულ პეიზაჟებში. მხატვრული სივრცის ეს იშვიათი შეგრძნება, ალბათ, ის ძირითადია, რაც ამ სხვა მხრივ, მოკრძალებული ნიჭიერების მხატვარს, დიდი იტალიური ფერწერის ფონზე, შესამჩნევ ადგილს უმკვიდრებს. "დაბინდული თვალი" თვით ბლასტიანისა და ლექსის მთელ სიტუაციას, ისტორიის პერსპექტივაში ხედავს, მაგრამ ამავე დროს, ხედავს მას ახლა, მყისიერი ანმყოს რეალობაში. "თვალი" აღიქვამს სიტუაციას არა მხოლოდ

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ სინქრონულად, წარსულისა და ანმყოს ერთდროულ თანაარსებობაში, ინტერიერში განლაგებულ საგანთა მსგავსად, ანუ - წარმოსახვით სივრცეში. "პერსპექტივაც", უპირველესად, სივრცობრივ პერსპექტივას გულისხმობს და არა მხოლოდ ისტორიულს - ელიოტი აქ უშუალოდ მიანიშნებს კანალეტოს ტილოზე, რომელსაც სწორედ "პერსპექტივა" ჰქვია, მაგრამ იმისათვის, რომ ამ სიტყვამ ლექსში მრავალნიშნადობა შეინარჩუნოს, არ გამოჰყოფს მას, როგორც ფერწერული ტილოს სახელწოდებას. სიტყვის მნიშვნელობებით თამაში ელიოტს იმისათვის სჭირდება, რომ მსგავსად სათაურში მოყვანილი ბედვერის და სიგარისა, "კანალეტოს პერსპექტივაშიც" ლექსში სივრცისა და დროის იგივეობაზე მიანიშნოს.

საინტერესოა, რომ ანტონიო კანალეტოს "პერსპექტივა", სივრცის მხატვრული შეგრძნების თვალსაზრისით, მეტად შთამბეჭდავ ფერწერულ ტილოს წარმოადგენს, რომელზედაც გამოსახულია არარეალური, ფანტასმაგორიული ხედი, რამდენიმე შენობის ექსტერიერისაგან შემდგარი ერთგვარი "ინტერიერული" სივრცე. ამ სივრცეში, მკვეთრად ეკლექტიური და კომპოზიციურად შეუკავშირებელი საგნები, ადამიანთა ფიგურები და დეკორატიული ელემენტები, ერთი შეხედვით, ქაოტურადაა განლაგებული. მთელი ეს ეკლექტიკა მხოლოდ მისი შემკვერელი სივრცისა და ვიზუალური პერსპექტივის წყალობით აღიქმება ერთ ფერწერულ მთლიანობად, მსგავსად ელიოტის ლექსისა, რომლის არაერთგვაროვანი ხატოვანება მხატვრული მიზანშეწონილების ლოგიკათა შეკავშირებული და ერთიან მითოსურ სივრცე-დროდ, პოეტურ ქრონოტოპად წარმოგვიდგება. არსებითად, ელიოტი ფერწერული სივრცის პოეტურ ანალოგიას ჰქმნის - ის "ბერბანქის" სიტუაციას დროისმიერ წარმოდგენათაგან თავისუფალ, გაყინულ ნაშში წარმოაჩენს და ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვის პროცესუალობას მისი სივრცობრივი აღქმის "ერთდროულობით" ჩაანაცვლებს. ლექსის მთლიან, მითოსურ სიტუაციას აკვირგვინებს თვით კანალეტოს სახე, რომლის ხსენებაც მისივე ბიოგრაფიის რემინისცენციას შეიცავს - ლექსის ყველა დანარჩენ ასოციაციურ პერსონაჟთა მსგავსად, კანალეტოც ზოგადმითოლოგიური მოგზაურის ერთ-ერთი "იპოსტასია": ვენეციასა და ლონდონს შორის მთელი

ათი წლის მანძილზე, მან მრავალჯერ იმოგზაურა (ანუ როგორც ლონდონში, ისე ვენეციაში, მრავალგზის "ჩავიდა"). კანალეტოს რამდენჯერმე ჰქონდა დახატული რიალტოც - ამ თემატიკის ერთ-ერთი სურათი "გრანდ კანალი: რიალტოს ხიდი" დღესაც ამშვენებს უინძორის სამეფო რეზიდენციის სამხატვრო კოლექციას.

"ბერბანქის" მხატვრული "სივრცობრიობა", მის სტრუქტურაში დროის სივრცედ ქცევა, მკაფიოდ წარმოჩინდება "მიცვალებულთა მუსიკისა" (შექსპირის "ფასკუნჯისა" და გვრიტის" რემინისცენცია) და


"მენავის" ასოციაციურ სახეთა მეტად სპეციფიკურ დატვირთვაშიც. ორივე ეს სახე, "ჩასვლის" მითოლოგიასთან ერთად, "ბერბანქის" ინფერნალურ ასოციაციათა ფონს წარმოქმნის და იმის მინიშნებას შეიცავს, რომ ვენეციაში ჩასვლა, ერთ-ერთ ასოციაციურ პლანში ჯოჯოხეთში ჩასვლასთანაა გაიგივებული. ელიოტი შეგნებულად არ ხმარობს სიტყვა "გონდოლიერს" და მას "მენავით", არსებითად - ქარონით ჩაანაცვლებს. სწორედ გონდოლიერი-მენავე-ქარონი მიიყვანს თავისი ნავით პალაცოს კიბესთან პრინცესა ვოლუპინს, რის შემდეგაც ის "წყლიან კიბეზე" ადის: ვენეციის არხი აქ უკვე ჯოჯოხეთის მდინარედ (სტიქსად) იქცევა, გონდოლა - მიცვალებულთა სულების გადამყვან ნავად, რაც, სხვა ყველაფერთან ერთად, პრინცესა ვოლუპინის "ბაბილონის ყმძავად" წარმო-

სახვასაც ეხმაურება. როგორც ითქვა, "ბერბანქში" "ასე-
ლა" სიმბოლოურად იგივე "ჩასვლაა" - თვით ელიოტის სა-
თაყვანებელი პოეტი, დანტე ალიგიერი, "ჯოჯოხეთის" მე-
სამე ქებაში ქვესკნელს ჩასვლამდე, ჯერ "სხნის გორაკზე"
ადის. ჯოჯოხეთში "ჩამოდინ" (descending) ბერბანქიც და
ბლაისტიანიც: ერთი მათგანი - გზამკვლევი ალქურვი-
ლი გულუბრყვილო ტურისტი, მეორე - სიგარის მწვეე-
ლი, მაშასადამე - მშვიდი და ჩაფიქრებული, ზიგმუნდ
ფროიდთან ასოცირებული ინტელექტუალი (დანტე და
ვირჯილიუსი?). "ზარის მომკვდავ ხმასთან ერთად", მე-
ოთხე სტროფში, ჟღერს "მიცვალებულთა მუსიკა", რომე-
ლიც ზღვის ფსკერიდან (ქვესკნელიდან) ამოდის და შემ-
დეგ - მეექვსე სტროფში - გაისმის კლავდიუსისა და პო-
ლონიუსის რეპლიკები "სანათის" შესახებ:

მეფე: სანათი მოიტანეთ და წავიდეთ აქედამ!
პოლონიუსი: სანათი! სანათი! სანათი!
(ჰამლეტი. მოქ.III, სურ.II. ივ.მარკაბლის თარგმანი)

ელიოტის ლექსში "სანათი" არ მოაქვთ - ის ქვესკ-
ნელს არ ანათებს და მისი მოთხოვნა მოთხოვნადვე რჩე-
ბა. გარდა ამისა, ეს სწორედ ის სცენაა, რომელშიც
კლავდიუსი ჰამლეტის მიერ საგანგებოდ დადგმულ სპექ-
ტაკლს უყურებს (ისევ სახიობისა და კარნავალის მოტი-
ვი) და ამ შეძახილით "იშიფრება" როგორც ჰამლეტის
მამის მკვლელი. "ჯოჯოხეთურ" სიმბოლიკას ავსებენ მეექ-
ვსე სტროფში მოხსენიებული ვირთხებიც, რომლებიც ვე-
ნციური პალაცოების საძირკვლებში ბინადრობენ (ისევ
ქვესკნელი) და, რომლებიც ელიოტის ლექსს ასო-ციაცი-
ურად "ულისეს" მეექვსე ეპიზოდს - "ჰადესს" უკავშირე-
ბენ. იქ ვირთხა გამოჩნდება პედი დიგნამის დაკრძალვი-
სას, სასაფლაოზე და, ბლუმში შიშობს, რომ ის "მიცვა-
ლებულს ძვლებს გამოუხრავს".

აქ მეტად მნიშვნელოვანია ორი მომენტი - ჯერ ერ-
თი, "ბერბანქის" ინფერნალური სიმბოლიკა აერთიანებს



ლექსს ელიოტის ადრეული პოეზიის საერთო სიმბოლოურ
კონტექსტთან - პოეტს მთელი თავისი შემოქმედების პირ-
ველი ეტაპი "უნაყოფო მინისა" (1922) და "კაცის ფიტუ-
ლების"(1925) ჩათვლით, აშკარად ჩაფიქრებული ჰქონდა,
როგორც დანტეს "ჯოჯოხეთის" ირონიულ-პაროდული
ანალოგია. და მეორეც - ვენეცია არა მხოლოდ რეალურ
სივრცე-მდებარეობათა სიმბოლოური ანალოგიაა, არამედ
სულთა სასუფეველის პაროდული სიმბოლოც. ცხადია,
თანამედროვეობის სიმბოლოურ ჯოჯოხეთად წარმოსახვა
პოეზიაში სულიერი კრიზისის გამოხატვის ერთ-ერთი
ფორმაა, მაგრამ ელიოტის "ვენეციასთან" დაკავშირებით
უფრო მნიშვნელოვნად ის გვესახება, რომ ესაა უნივერ-
სალური სიმბოლოური ხატი, რომელიც, ფიზიკურსა და
"ხელშესახებთან" ერთად, მთლიანად მოიცავს ადამიანის
ყველა სულიერ მდგომარეობასაც.

"ჰამლეტის" ასოციაციის შემოტანით ლექსში კიდევ
ერთხელ (უკვე მერამდენედ!) გამოიკვეთება მითოსური
მოგზაურის დახშულ სივრცეში "ჩამოსვლის" მითოლოგე-
მაც - ჰამლეტი ვიტენბერგიდან დანია-ციხეში, ელსინორ-
ში ჩამოდის, სადაც სივრცე-დრო "შედვებულა" და
დრამატული მოქმედება არნახულად არის დაძაბული. ასე
რომ, სხვა ყველაფერთან ერთად, ელიოტის "ვენეცია" შექ-
სირული დანიის პაროდულ-ასოციაციურ ვერსიასაც შე-
იცავს. ელიოტს ხელს აძლევს ის გარემოება, რომ შექს-
პირის დანია, სადაც "დრო სახსრებიდან ამოვარდნილია",
მხატვრულ ლიტერატურაში უდესმე შექმნილ ქრონოტოპო-
თაგან ალბათ ერთ-ერთი უდიდესი ქრონოტოპია და ის
უზოგადესი პირობითი სივრცე, რომელსაც შექსპირისდ-
როინდელ რეალურ დანიასთან კიდევ უფრო ნაკლები
კავშირი აქვს, ვიდრე ელიოტის ლექსს - მეოცე საუკუ-
ნის დასაწყისის რეალურ ვენეციასთან.

* * *

საბოლოოდ, ელიოტისათვის ვენეცია სხვა არაფერია,
თუ არა უნივერსალური სიმბოლოური ხატი, ურთულესი
მითოსური ქრონოტოპის მოდელირების საშუალება, რო-
მელიც კონცენტრირებული სახით გადმოსცემს მთელი მი-
სი ადრეული პოეზიის ემოციურსა და ინტელექტუალურ
სულიკვებებს. ქრონოტოპის თეორიაში ვრცელი წიაღ-
სვლა აქ უადგილოდ გვესახება - ვიტყვი მხოლოდ, რომ
ბახტინი მას განსაზღვრავდა, როგორც შეკუმშული მხატ-
ვრული დროისა და სივრცის სინთეზს. ამავე დროს, ქრო-
ნოტოპს ის განიხილავდა, როგორც ლიტერატურის ისტო-
რიის ("ისტორიული პოეტიკის") კატეგორიას, რომლის
ობიექტურ შინაარსს ისტორიულად და სოციალურ-ფსი-
ქოლოგიურად განპირობებული კონოტაციები შეადგენს.
ამის სანინააღმდეგოდ, მოდერნისტული მწერლობის სა-
განგებო ანტიისტორიზმი სწორედ იმაში გამოხატება,
რომ ის სრულიად გაცნობიერებულად და მიზანდასახუ-
ლად იღწვის, რათა თავი დააღწიოს დროის მარწმუნებს
და, საუკეთესო ნაწარმოებთა სახით, პოეტიკურად ახორ-
ციელებს კიდევ ამ მისწრაფებას. დრო, დროისაგან გა-
თავისუფლება, მისგან თავის დაღწევა, ერთიანი უნივერ-
სალური მხატვრული პრობლემა ისეთი ყველა სხვა
თვალსაზრისით განსხვავებული ნაწარმოებებისა, როგო-
რიცაა თომას მანის "ჯადოსნური მთა" და ელიოტის
"ოთხი კვარტეტი", პრუსტის "დაკარგული დროის ძიება"
და ჰესეს "მობილვა დილის ქვეყნისა". დრო "ულისეს" უმ-
თავრესი პოეტიკური კატეგორიაა არის, ხოლო მასთან
ჭიდლი - ამ რომანის ერთ-ერთი ნამყვანი თემა. საყუ-
რადღებოა, რომ მოდერნისტულ მწერლობაში ამ პრობ-
ლემის წარმოსახვა დეკლარირებული კონცეფციის სახით,
თითქმის არ ხდება - ჩვეულებრივ, "დროის მოტყუე-
ბა" ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში ხორციელდე-
ბა, ურთულეს პოეტიკურ ხერხთა მოხმობისა და მა-



თი შეკავშირების მეთოდით, რაც მომზადებული მკითხველის დახვეწილ აღქმაზე ზემოქმედებისას ზედროულობის ესთეტიკურ ფეფქტს წარმოქმნის. ლიტერატურა, როგორც "ტემპორალური" ხელოვნება, რომლის ნაწარმოებთა აღქმას გარკვეული პროცესი (ქრონოლოგია) სჭირდება, ამ შემთხვევაში ფორმალურად ბაძავს სახვითი ხელოვნების დიაქრონიზმს, მის სივრცობრივ "სიმულტანურობას" როგორც აღქმის, ისე წარმოსახვის პლანში.

იმ მიზეზთა გამო, რომელთაც მხატვრულ ლიტერატურასთან არაფერი აქვთ საერთო, მოდერნიზმი ბახტინის კვლევა-ძიების სფეროს მიღმა დარჩა: თავის კონცეფციაში ის, უმთავრესად, რაბლესა და დოსტოევსკის ეყრდნობა. ბახტინის აზრით, რეალური დრო, ისტორია სწორედ ქრონოტოპის საშუალებით აღწევს ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში, რის თაობაზეც მოდერნიზტული ესთეტიკური აზრი დიამეტრულად საწინააღმდეგო წარმოდგენისაა. "ბერბანქის" მხატვრული სამყაროს სახით, ელიოტი ჯერ კიდევ 1910-იან წლებში სრულიად გაცნობიერებულად ჰქმნის ზედროულ მითოპოეტიკურ ქრონოტოპს, რომელიც მისი თანამედროვე და უმცროსი თაობის მოდერნიზტი მწერლების მხატვრულ მიგნებათა საერთო კონტექსტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს (ჯოისი - დუბლინი; მანი - ბერგჰოფის სანატორიუმი, კაიზერსა-შერნი; ჰესე - დილის ქვეყანა, კასტალია; ფოლკნერი - იოკნაპატოფა და ა.შ.).

ელიოტის მითოსური ქრონოტოპის, ამ "შედევრული" სივრცე-დროის ფარგლებში უსაზღვროდ კონდენსირებული და გამძაფრებულია დრო - მითოპოეტიკურ ნაწარმოებში ის მარადიულ ანმყოფ წარმოგვიდგება; მასში მკაფიოდ არის ლოკალიზებული სივრცე, რომლის მიღმა თითქოს არაფერი არსებობს, თუმცა, სიმბოლურად, ის თვითონ წარმოადგენს ყველა სივრცესა და გარემოს. აქ მოქმედებაც უჩვეულო ინტენსიურობითა და დაძაბულობით მიმდინარეობს, და რახან ლექსში მომხდარი მოქმედება, ფაქტიურად, "ყველა მოქმედებაა", აქ, ამ უსასრულოდ კონცენტრირებულ ყველა-სივრცე-ყველა-დროში, ის ხდება კიდევ და არც ხდება, რადგან უამრავ მსგავსსა და ურთიერთსაწინააღმდეგო ასოციაციურ ვარიაციებშია მოცემული ("ნასვლა" აქ იგივეა რაც "დარჩენა", "ზემოთ ასვლა" - იგივე რაც "ქვემოთ ჩამოსვლა", "აქ" ჩამოსვლა - იგივე რაც "იქ" ჩასვლა, ან აქეთ-იქით ნასვლა-ჩამოსვლა და ა.შ.). ამგვარი "მოდერნიზტული მოქმედების" ლამის გაშიშვლებული არქეტიპი მოცემულია სემიუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინის" ფინალურ რეპლიკებსა და ღრმა სიმბოლური დატვირთვის მქონე ავტორისეულ რემარკაში:

ვლადიმირი: წავიდეთ
ესტრაგონი: წავიდეთ

(დგანან)

ამიტომაც, რომ ელიოტის ყველა ძირითადი ნაწარმოების, და მათ შორის "ბერბანქის" მხატვრული სივრცე, ჩაფიქრებულია, როგორც ყველა სივრცის სიმბოლო; მათი მხატვრული დრო - როგორც ყველა დროის სინთეზი. ესაა წარსულის აქტუალობა ანმყოფი (წარსული ანმყოფი ცოცხლად არსებული და მასთან გაიგივებულია). საბოლოოდ ის წარმოგვიდგება, როგორც ესთეტიკურად განცდილი დრო, როგორც მუდმივი მითოსური "ახლა", რომელიც "სანგრძლივობს" მკითხველის აღქმაში, სანამ ის ნაწარმოებს აღიქვამს, ანუ როგორც თვით ელიოტი აღნიშნავს "ოთხ კვარტეტში",

შენ თვითვე ხარ მუსიკა, სანამ მუსიკა გრძელდება.
(... You are the music, while the music lasts.)

ანმყო პროცესუალობას "ბერბანქში" უშუალო-აზრობრივად გამოხატავს "მბოლავი სანთელი" და "ბლასტაინის სიგარა", რომელიც, უნდა ვიფიქროთ, აგრეთვე ბოლავს, და სანამ ეს სანთელი თუ სიგარა "ბოლავს", ლექსის აღქმის პროცესიც მიმდინარეობს. მეორე მხრივ, სანთელი ბოლავს ფერწერულ ტილოზე (ის დახატულია და მამსადადამე - გაყინული), ხოლო ბლასტაინის შესახებ არსად არ არის ნათქვამი, რომ ის მანცდამანც ახრულბდეს თავის სიგარას (შესაძლოა ჩამქრალიც ჰქონდეს). ამ თვალსაზრისით, ეს ორივე სახე პროცესუალობასთან ერთად მყისიერებას, გაყინულ წამსაც გამოხატავს და ელიოტის ლექსის პოეტიკურ ბირთვს შეადგენს.

სივრცედ ქცეული დრო ელიოტის ვენეციას სამყაროს მითოპოეტიკურ ასლად - მითოსურ ქრონოტოპად წარმოსახავს. ამასთან, მითოსური ქრონოტოპი, ელიოტის მიზანდასახული პოეტური ოსტატობის შედეგია და, არა მის ლექსში ობიექტურად ("ისტორიულად") არსებული, გაუცნობიერებელი "მოცემულობა": პოეტი ამ ფეფქტს აღწევს ერთი შეხედვით პარადოქსულ ასოციაციათა შორის სრულიად მოულოდნელი ლოგიკური ურთიერთკავშირის დამყარებით. ამიტომაც, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბერბანქი და ბლასტაინი ვენეციაში ჩადიან, ლონდონში, ვენაში თუ ჩიკაგოში; არც იმას, მართლა ბლასტაინი და ბერბანქი ჩადიან სადმე, თუ სხვა ასოციაციური პერსონაჟები - ვთქვათ, ჰენრი ადამსი, რობერტ ბრაუნინგი, ჰენრი ჯეიმზი, ბალთაზარო გალუპი ან კანალეტო; არც იმას, შუა საუკუნეების ვენეციაში ჩადიან ისინი თუ ელიოტის თანამედროვე ლონდონში ან ფროიდის ვენაში, ან შექსპირის დანიაში, ან მარკოზის დროინდელ იერუსალიმში; არც იმას, ჩადიან თუ არა ისინი სადმე და ტოვებენ თუ არა საერთოდ იმ ადგილს, სადაც არიან - ვენეცია, სადაც დრო გაჩერებულია და მარადიული კარნავალი სუფევს, ჰერმან ჰესეს "დილის ქვეყნის" მსგავსად, ყველა დროის, ადგილისა და მოქმედების მითოსური მოდელია, ის "ყველგან არის და არსად არ არის და ყველა დრო მასში ზედროულობას ერწყმის".



დასასრული
დასაწყისი იხ. "არილი" N5.

ჩიკაგო
ჩიკაგოში ცხოვრება

კ. - არ. მალე ოცი წელი შესრულდება, რაც ჩიკაგოს უნივერსიტეტში ასწავლით. რატომ აირჩიეთ სწორედ ეს სასწავლო დაწესებულება?

მე. - მიმიწვიეს ჰასკელის სახელგანთქმულ სემინარებზე, სადაც თავის დროზე გამოდიოდნენ რუდოლფ ოტო და მასინიონი. ჩემი ექვსი მოხსენება გამოქვეყნებულ იქნა სახელწოდებით "მისტიკური დაბადებები". იოაჰიმ უორჩის (რომელმაც აქ მომინვია) გარდაცვალების შემდეგ დეკანმა შემომთავაზა საშტატო პროფესორისა და რელიგიათმცოდნეობის კათედრის გამგის თანამდებობა. დიდხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს დავთანხმდი - ოთხი წლით. შემდეგ კი დავრჩი, რადგან ის, რასაც ვაკეთებდი, ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩემთვის, ჩვენი დისციპლინისა და, სხვათა შორის, ამერიკული კულტურისთვისაც. 1957 წელს შეერთებულ შტატებში არსებობდა რელიგიათმცოდნეობის სამი კათედრა, ახლა კი მათი რიცხვი ოცდაათს აღწევს და მათგან ნახევარს ხელმძღვანელობენ ჩვენი კურსდამთავრებულები. სამუშაოსადმი ინტერესის გარდა, ჩიკაგოში დავრჩი იმ სრული თავისუფლებისა და შემწყნარებლობის გამო, რომლითაც გამსჭვალულია უნივერსიტეტის საერთო ატმოსფერო.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ შეერთებულ შტატებში თქვენი მოღვაწეობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა რელიგიათმცოდნეობის სკოლას, ინტერპრეტაციისა და ანალიზის ახალ მიმართულებას?


- უეჭველია, ჩიკაგომ ხელი შეუწყო ჩვენი დისციპლინის განვითარებას. გარდა ამისა, ისტორიული მომენტიც ხელსაყრელი იყო. ზოგიერთი ამერიკელი მიხვდა, რომ აფრიკელთან ან ინდონეზიელთან ურთიერთგაგების დასამყარებლად საკმარისი არაა პოლიტიკური ეკონომიისა და სოციოლოგიის ცოდნა, საჭიროა მათი კულტურის შესწავლა; ეგზოტიკური ან არქაული კულტურის წვდომა კი შეუძლებელია მისი რელიგიური სათავეების გათვალისწინების გარეშე. მეორე მხრივ, როგორც იცით, კონსტიტუცია კრძალავდა რელიგიათა სწავლებას სახელმწიფო უნივერსიტეტში: გასულ საუკუნეში შიშობდნენ, რომ რელიგიათა ისტორიის კათედრა იქცეოდა მარტოოდენ ქრისტიანული თეოლოგიის ან ეკლესიის ისტორიის კათედრად. და აი, კათედრათა პირველი ათეულის წარმატებამ ბიძგი მისცა სხვა უნივერსიტეტებსაც. ისინი დარწმუნდნენ, რომ ჩვენთან სწავლობენ რელიგიათა ზოგად ისტორიას, ინდუიზმს, ისლამს და პირველყოფილი ხალხების რელიგიებს. ამიტომ ეს დისციპლინა მათაც დაამკვიდრეს თავისთან. თავდაპირველად ეს საგანი სხვადასხვაგვარი სახელწოდებით იყო შენიღბული, მაგალითად, "აზიური რელიგიები" ან "ინდოლოგია", მაგრამ ამჟამად მას აშკარად ეწოდება "რელიგიათა ისტორია და ფენომენოლოგია".

- ამგვარად, თქვენი მოღვაწეობის ადგილია ამერიკა. პროფესორთა რომელ ტიპს განეკუთვნებით?

- არასოდეს გამომიყენებია ესა თუ ის "სისტემა". ჯერ კიდევ ბუქარესტში, ლექციების კითხვისას, ვითვალისწინებდი მხოლოდ იმ ნაკითხი სტუდენტების რეაქციას, რომლებიც იცნობდნენ ბუდას ცხოვრების თუნდაც ერთ აღწერას, "უპანიშადების" გარკვეულ ნაწილს, ბოროტების

გამოცდა ლაბირინთით

მირჩა ელიადე
- საუბრები კლოდ ანრი როკესთან



პრობლემის ზოგიერთ ასპექტს. ანბანური ჭეშმარიტებებით არასოდეს დამიწყია და არც ლექციებისთვის ვემზადებოდი საგანგებოდ, არ ვწერდი ტექსტს. ვაკვირდებოდი ჩემს ჩანაწერებს, ვამონუმებდი, როგორ რეაგირებდნენ სტუდენტები. ახლაც ასე ვიქცევი. ვადგენ სავარაუდო გეგმას, ლექციის წინ რამდენიმე საათის განმავლობაში ვფიქრობ, ვარჩევ ციტატებს, მაგრამ არაფერს ვწერ. რისკი უმნიშვნელოა: თუ რაიმე გავიმეორე, არა უჭირს, თუ რომელიმე ფაქტი გამომჩნა, მეორე დღეს ან ლექციის ბოლოს გამახსენდება. ამერიკული სისტემა მართლაც რომ შესანიშნავია: ორმოცდაათი წუთი ეთმობა თემის გადმოცემას, შემდეგი ათი წუთი კი - დისკუსიას, შეკითხვებს. ჩვენ სხვაგვარად გვასწავლიდნენ: პროფესორი კითხულობდა ლექციას და მიდიოდა, მას ერთი კვირის განმავლობაში ვეღარ იხილავდი. თუმცა, შესაძლოა, ვითარება ახლა ყველგან შეიცვალა. სწორედ უკანასკნელი ათი წუთის დროს დაგისვამენ შეკითხვას და ხვდები, რომ მნიშვნელოვანი დეტალი გამოგჩნა. პოლ რიკიორს აოცებს, როგორი დამოკიდებულება გვაქვს სტუდენტებთან. ნანტერში ის კითხულობდა ლექციებს ათასკაციანი აუდიტორიის წინაშე და, უბრალოდ, ვერ ახერხებდა თითოეული სტუდენტის გაცნობას - ფილოსოფიას უპი-



ფოტო: ლილოზი და კლიოპატრა

როვნო მასას ასწავლიდა. აქ კი პირად ურთიერთობებს ვამყარებთ. პირველსავე ლექციაზე სტუდენტებს ვეუბნები: "აი ფურცელი, დანერეთ თქვენი გვარი და შინ მესტუმრეთ". სასწავლო წლის დასაწყისში ორ საღამოს გამოვყოფ ხოლმე და ვპატიუებ ყველას, წინა წელს კურსდამთავრებულ ახალგაზრდებსაც კი, რათა თითოეულ მათგანს ნახევარი საათის განმავლობაში მაინც გავესაუბრო, გავიგო, რას აკეთებდნენ ისინი ზაფხულში, როგორი გეგმები აქვთ... ერთი თვის მეცადინეობის შემდეგ მათ კვლავ ვინვევ ჩემთან - ერთი საათით. სიმართლე რომ გითხრათ, სულ უფრო ნაკლებად მეხალისება ასკაციანი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. ოდესღაც, განსაკუთრებით რუმინეთში, როდესაც ყველასთვის უცნობ თემებზე ვსაუბრობდი, სწავლების პროცესი მიზიდავდა. ვლაპარაკობდი ჩემს მშობლიურ ენაზე. თვითონაც ახალგაზრდა, მივმართავდი ახალგაზრდებს და უამრავი რამ მიმდოდა მეთქვა, იმას გარდა, რაც უკვე გამოვაქვეყნე... მაგრამ როდესაც ამგვარი მოღვაწეობა ორმოცი წლის განმავლობაში გრძელდება, ბუნებრივია, ლექციათა ფორმა აღარ გაკმაყოფილებს. აი, სემინარები კი, სადაც ერთობლივად ვმუშაობთ, კვლავინდებურად მომწონს. ჩემს უკანასკნელ სემინარზე, 1976 წელს, ვინილავდით ალქიმეისა და რენესანსის დროინდელ ჰერმეტიულ მოძღვრებებს. ეს შესანიშნავი რამ იყო, ეს იყო სწორედ ის, რაც მჭირდება: ნიუანსების ანალიზი კარგად მომზადებული სტუდენტების მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, ჩემთვის ღირებულ პრობლემებში ჩაღრმავება. სტუდენტი კი ამ გზით ეჩვენება მუშაობას, ეუფლება მეთოდს. ის ამზადებს რეფერატს, უკითხავს თანაგუგუელებს. მე ვთავაზობ მათ, გამოთქვან საკუთარი შეხედულებები, თვითონაც ვერევი დისკუსიაში. განხილვა ზოგჯერ საათობით გრძელდება, მაგრამ ვიცი, რომ დროს ამოდ არ ვხარჯავ: წიგნებში ისინი ვერ იპოვიდნენ იმას, რასაც ჩემგან გებულობენ. ასევე ფასეულია პირადი შეხვედრები წლის დასაწყისში.

- ახერხებთ თუ არა დროის გამოყოფას თქვენი პირადი ცხოვრებისთვის, სამწერლო და სამეცნიერო მუშაობისთვის?

- ვახერხებ, რადგან სისტემა ითვალისწინებს საგანგებო "საბიბლიოთეკო" არდადეგებს სტუდენტებისთვის. მეორე საზამთრო სემესტრში კი მხოლოდ ერთი სემინარი მაქვს. ამგვარად, საკუთარი საქმეებისთვისაც მრჩება დრო. მაგრამ თუ ვგრძნობ, რომ შემიძლია ვინმეს დავესმარო, მუშაობას ცოტა ხნით თავს ვანებებ - ჯობს, ღამით ვიმუშაო ან დილას უფრო ადრე ავდგე. ვაძიულო საკუთარი თავი, როდესაც საქმე ამას მოითხოვს. ხოლო თუ სტუდენტი დადის ლექციებზე, მაგრამ დიდად დაინტერესებული არაა, მაშინ უბრალოდ, ვთავაზობ, წაიკითხოს წიგნები - ჩემი, ან სხვა ავტორებისა.

- მაინც ვინ ხართ - პროფესორი თუ გურუ?

- ამერიკაში, განსაკუთრებით კი წყნარი ოკეანის სანაპიროზე ყოველთვის არსებობს საშიშროება (ზოგიერთისთვის მაინც), რომ უნებლიედ გურუდ იქცევი. ერთ წელიწადს სანტა-ბარბარას უნივერსიტეტში ინდური რელიგიების კურსს ვკითხულობდი, "რიგვედადან" "ბჰაგავატგიტამდე". ლექციების შემდეგ სტუდენტები ნამდვილ გურუსავით მომმართავდნენ და მთხოვდნენ, დავხმარებოდი მათი პირადი პრობლემების გადაწყვეტაში. მე კი ვეუბნებოდი: "ერთი მეორეში ნუ გერევათ. პროფესორი ვარ და არა - გურუ. შემიძლია დაგეხმაროთ, მაგრამ მხოლოდ როგორც პროფესორი. აქ მხოლოდ იმისთვის ვიმყოფები, რომ განგიმარტოთ, როგორც მესმის ესა თუ ის მოვლენა".

ისტორიის ტერორი

კ. - ა.რ. ჩვენ ვსაუბრობდით ადამიანის ოდინდელი სისასტიკის შესახებ, რაც ვლინდებოდა ტრადიციულ რელიგიებში. რას ფიქრობთ ახალი ისტორიის შესახებ? ისიც ხომ სიკვდილის ტრიუმფებითაა აღბეჭდილი! როგორია ისტორიკოს-რელიგიათმცოდნის დამოკიდებულება თანამედროვე კაცობრიობის სისხლიანი მითების მიმართ?

მე. რელიგიათმცოდნეს საქმე აქვს იმ წესჩვეულებების, საიდუმლოებების თუ მითების დესაკრალიზაციის ფენომენთან, რომლებშიც მკვლევლობას რელიგიური და-

ნიშნულება ჰქონდა. ესაა მიბრუნება ათასი წლის წინანდელი ეტაპისკენ, მაგრამ იმგვარი მიბრუნება, რომელიც გაძარცვულია თავდაპირველი სულიერი შინაარსისგან - ახლა ხომ ტრანცენდენტური ფასეულობები აღარ არსებობს. რა "აზრი" აქვს კოლექტიურ მკვლევლობას, თუ მან დაკარგა თავისი მნიშვნელობა? მასობრივი მკვლევობები კი კვლავ გრძელდება. ამიტომ ამგვარი ჯოჯოხეთი - ჭეშმარიტი ჯოჯოხეთი - აბსურდული სისასტიკის გამოხატულებაა. როდესაც სისხლიანი მითები იძარცვება სინმინდის საფარველისგან, თავს იჩენს მხოლოდ ეშმაკეული სისასტიკე და წრეგადასული ბოროტმოქმედება.

- ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს. მოდით, ეშმაკის ადვოკატობას ვიკისრებ. განა მსხვერპლი თავისთავად არ წარმოქმნის სინმინდეს, არ ანიჭებს საზრისს მკვლევლობას? ერთი შეხედვით, არავითარი გამართლება არ მოეპოვება ჰიტლერის ბოროტმოქმედებებს, ნაცისტურ სიგიჟეს. პატრიოტული ჰეკატომბები გარკვეული დროის შემდეგ მახინჯი ილუზიების ნაყოფად წარმოგვიდგება. და მაინც - რამდენი მეგრძოლი კვდებოდა ან თვითონაც კვავდა რწმენით, თავდავინყვებით. კამიკაძეები ნაცისტთა მოკავშირენი გახლდნენ, სიტყვა "კამიკაძე" კი "ღვთაებრივ ქარს" ნიშნავს. ვის შეუძლია ამტიკოს, რომ წმინდა ილუზია ეუფლებოდა მხოლოდ აცტეკებს, ესეულებს კი - არა? სადაა მიჯნა დანაშაულებრივ მკვლევობასა და "წმინდა" მკვლევობას შორის?

- აცტეკებს ეგონათ, რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვისას მისი სისხლი კვებას და აძლიერებს მზესა და სხვა ღმერთებს. ესეულისთვის კი ბანაკებში მილიონობით ადამიანის განადგურებას აგრეთვე ჰქონდა გარკვეული (შეიძლება ითქვას, ესქატოლოგიური) მნიშვნელობა. ის თავს სიკეთის განსახიერებად მიიჩნევდა და წინაღუდგებოდა ბოროტებას (ისევე, როგორც იაპონელი მფრინავი). ნაცისტური თეორიის თანახმად, სიკეთე ასე გამოიყურებოდა: ნორდული ტიპის ქერათმიანი არიელი... ყველა დანარჩენი კი ბოროტების, ეშმაკის განსახიერებად წარმოდგებოდა. თითქმის მანიქველური დოქტრინაა: სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი. ამ ირანული წარმომავლობის მქონე დუალიზმის თანახმად, მორწმუნე, რომელიც კლავს ბაყაყს, გველს, ჯოჯოხეთის ნებისმიერ მოციქულს, ხელს უწყობს სამყაროს განწმენდასა და სიკეთის ტრიუმფს. ახლა წარმოდგინეთ თანამედროვე მანიქველები: ფანტიკოსები, ავადმყოფები ან შეპყრობილი. ისინი ბოროტების განსახიერებად მიიჩნევდნენ მთელ ხალხებს - ებრაელებს, ბოშებს, ხოლო მილიონობით ამგვარი ადამიანის დახოცვას ბოროტმოქმედებად როდი თვლიდნენ. ასეთივე სარჩული აქვს "გულაგსა" და დიადი განთავისუფლების ესქატოლოგიას, რომელიც კომუნიზმმა მოიტანა, - მას უპირისპირდება მტერი, ბოროტება, რომელიც ხელს უშლის სიკეთის ტრიუმფს, თავისუფლების ტრიუმფს, ადამიანის ტრიუმფს და ა.შ. აქ სრული შესაბამისობაა აცტეკებთან. მათაც სჯეროდათ თავიანთი სიმართლისა. განსხვავება ისაა, რომ, აცტეკების რწმენით, ისინი მზის ღმერთს ესმარებოდნენ, ხოლო ნაცისტებსა და რუსებს სჯეროდათ, რომ ისტორიის რეალიზებას ახორციელებდნენ.

- თქვენ ხშირად ახსენებთ ხოლმე "ისტორიის ტერორს"...

- "ისტორიის ტერორში" ვგულისხმობ გამოცდილებას ადამიანისა, რომელიც უკვე არარელიგიურია, ესე იგი, აღარ სჯერა, რომ აღმოაჩენს ისტორიული დრამის არსს და იძულებულია, შეეგუოს ისტორიის ბოროტმოქმედებებს, თუმცა, არ ესმის მათი მნიშვნელობა. ბაბილონელ-


თა მიერ დატყვევებული ისრაელიანნი აუტანლად იტანჯებოდნენ, მაგრამ ესმოდათ ამ ტანჯვის მნიშვნელობა: იაჰვეს სურდა თავისი ხალხის დასჯა. და ადამიანმა იცოდა, რომ საბოლოოდ ყოველივე დასრულდებოდა იაჰვეს, ესე იგი, სიკეთის ტრიუმფით... ჯერ კიდევ ჰეგელისთვის ნებისმიერი მოვლენა, ნებისმიერი გამოცდა წარმოადგენდა აბსოლუტური სულის გამოვლინებას და, მაშასადამე, მას აზრი ჰქონდა. თუ არ შეიძლება ისტორიული ბოროტების გამართლება, შეიძლება მისი რაციონალურად ახსნა... მაგრამ როდესაც ისტორიული მოვლენები იძარცვებიან ყოველგვარი ტრანსისტორიული ღირებულებებისგან და უკვე აღარ წარმოადგენენ ხალხის ან პიროვნების განსაცდელს, მაშინ საქმე გვაქვს, ჩემი აზრით, "ისტორიის ტერორთან".


ისტორიკოსის შრომა

მითოდი: ლავინკო სთავაზიდან

კ. - ა.რ. რა თქმა უნდა, არ მოგთხოვთ რელიგიო-ათა ისტორიის ეტაპობრივ განხილვას, თვით ჩვენი საუკუნის ფარგლებშიც კი: თქვენ ეს განახორციელეთ "ნოსტალგიაში სათავეების მიმართ", მაგრამ მსურს, ვიცოდე, რითი ხართ დავალებული წინამორბედი მეცნიერებისგან, წინა თაობისგან... დიუმეზილის "სტრუქტურალიზმი" თქვენთვის მისაღებია, მაგრამ უგულებელყოფთ ლევი-სტროსის "სტრუქტურალიზმს", ხომ ასეა?

მ.ე. დიას, ჩემთვის მისაღებია დიუმეზილის, პროპისა და - გოეთეს "სტრუქტურალიზმი". გოეთემ, მცენარეთა მორფოლოგიის კვლევისას, დაასკვნა, რომ შესაძლებელია ყოველგვარი მცენარეული ფორმების დაყვანა ეგრეთ ნოდებულ "პირველშობილ მცენარემდე", და დაამთავრა იმით, რომ ეს urplanze ფოთოლთან გააიგივა. ამ





იდგამ ისე ალაფრთოვანა პროპი, რომ "ხალხური ზღაპრის მორფოლოგიის" რუსულ გამოცემაში ყოველ თავს ეპიგრაფად წარუძღვარა გოეთეს ვრცელი ციტატა. მე კი (ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად) ასე ვფიქრობდი: ფაქტების, ფიგურების, რიტუალების ამ ოკეანეში გასარკვევად რელიგიათმცოდნე თავის სფეროში უნდა მოძებნოს "პირველშობილი მცენარე", პირველსახე, ესე იგი, ზე-ბუნებრივთან ადამიანის შეხვედრის შედეგი. ერთი სიტყვით, ნაყოფიერად მიმანია ის "სტრუქტურალიზმი", რომელიც ეძიებს ფენომენტა გარკვეული ერთობლიობის არსს, მათ პირვანდელ წყობას. დიდად ვაფასებ ლევი-სტროსს - მწერალს, ის გამოჩენილი მოაზროვნეა, მაგრამ მისი მეთოდი, რომელიც გამორიცხავს ჰერმანევიკას, უსარგებლოა ჩემთვის. - რაში მდგომარეობს თქვენი მეთოდი?

- წესი პირველი. ვიყენებ საუკეთესო წყაროებს: საუკეთესო თარგმანებს, საუკეთესო კომენტარებს. მივმართავ პირად კონსულტაციებს კოლეგებთან და სპეციალისტებთან, რაც მათავისუფლებს ათასობით უინტერესო გვერდის კითხვის აუცილებლობისგან. ამასთან, წყაროების საფუძვლიანი შესწავლისადმი მისწრაფების გამო შვიდი-რვა წელი დავუთმე ავსტრალიის შესწავლას: მსურდა, თვითონ წამეკითხა ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რაც აბსოლუტურად გამორიცხულია აფრიკელი ან ამერიკელი ტომების შემთხვევაში. წესი მეორე, როდესაც იწყებ არქაული ან ტრადიციული რელიგიის შესწავლას,

უნდა დაიწყო დასაბამიდან, ესე იგი, კოსმოგონიური მითიდან. როგორ შეიქმნა სამყარო? ვინ შექმნის? ღმერთმა? დემიურგმა? მითიურმა წინაპარმა? ან, შეიძლება, სამყარო უკვე არსებობდა და რომელიც ღვთაება მის გარდაქმნას შეუდგა? ამას მოსდევს მითები ადამიანისა და ყოველგვარი საზოგადოებრივი წესების წარმოშობის შესახებ.

- შეიძლება თუ არა, ითქვას (ცნობილი ფორმულის პერიფრაზირებისას), რომ მითი დასაბამის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა მითების დასაბამი?

- ყოველი მითი წარმოადგენს დასაბამის შესახებ შექმნილი მითის ვარიანტს, რადგან სამყაროს შექმნა - ესაა ადამიანის, მცენარეთა წარმოშობის მოდელი, ამასთან, სქესობრივი ურთიერთობისა და სიკვდილის, და ადამიანის ყოველგვარი წეს-ჩვეულებების მოდელი... ყველა მითოლოგიას გააჩნია დასაწყისი და დასასრული; დასაწყისში - კოსმოგონია, ბოლოს - ესქატოლოგია: მითიური წინაპრების დაბრუნება ან მესიის გამოცხადება. ისტორიკოსი აღიქვამს მითოლოგიას არა როგორც მითების ქაოსურ გროვას, არამედ როგორც გააზრებულ მთლიანობას, ერთი სიტყვით, როგორც "წმინდა ისტორიას".

ნოეს კიდობანი

კ.- ა.რ. თქვენ წერთ, რომ XX საუკუნის მთავარ მოვლენას წარმოადგენს არა პროლეტარული რევოლუცია, არამედ - არაეფროპელი ადამიანისა და მისი სულიერი სამყაროს აღმოჩენა... აქ იგულისხმება, რომ უდიდეს ინტელექტუალურ რევოლუციად, რომელიც, შესაძლოა, ისტორიასაც კი გარდაქმნის, იქცევა არა მარქსიზმი, არა ფროიდიზმი - არა ისტორიული მატერიალიზმი და არაცნობიერის ანალიზი, არამედ რელიგიათა ისტორია.

მე. მართლაც ასე მიმანია; მოტივირება მარტივია: რელიგიათა ისტორია შეეხება იმას, რაც ყველაზე არსებითია ადამიანისთვის - დამოკიდებულებას საკრალურის მიმართ. რელიგიათა ისტორიას შეუძლია შეასრულოს უაღრესად მნიშვნელოვანი როლი წარმოქმნილ კრიზისში. თანამედროვე ადამიანის კრიზისები უმეტესად რელიგიური ხასიათისაა, იმის გამო, რომ ისინი ემყარება სიცოცხლის უაზრობის გაცნობიერებას. როდესაც ადამიანი შეიგრძნობს, რომ ვერ წვდება თავისი არსებობის საზრისს, რომ უკვე აღარ იცის, რისთვის იცოცხლოს, ეს უკვე მთლიანად რელიგიური პრობლემაა, რადგან მხოლოდ რელიგია თუ გასცემს პასუხს მთავარ კითხვაზე: რაში მდგომარეობს არსებობის საზრისი?.. ამ კრიზისში, ამ დისბალანსში რელიგიათა ისტორია ნააგავს მითიური და რელიგიური ტრადიციებით დატვირთულ ნოეს კიდობანს. ამიტომ უყოყმანოდ მჯერა, რომ ამ ყოვლისმომცველ დისციპლინას გადამწყვეტი როლი განეკუთვნება. "მცენერული უბოლიკაციები" წარმოქმნიან რეზერვს, რომელშიც "კამუფლირებული" იქნება ყოველგვარი ტრადიციული რელიგიური ფასეულობანი და მოდელეები. სწორედ ამას ემყარება ჩემი გამუდმებული ცდები, გამოვავსავარავო რელიგიური ფაქტების ნიშნობრიობა.

მითი და წერა

მითი, ლიტერატურა, სიბრძნე

კ. - ა.რ. მითი, ლიტერატურა - თქვენ აახლოებთ ამ ცნებებს არა მარტო ისტორიის კუთხით. საკუთა-

რი რელიგიათმცოდნეობითი კვლევების გააზრებისას 1960 წლის 15 დეკემბერს "დღიურში" წერთ: "არსებითად, ის, რითაც დაკავებული ვარ თხუთმეტზე მეტი წლის განმავლობაში, ლიტერატურის მიმართ სრულიად უცხო რამ როდია. შესაძლოა, ჩემი ნაშრომები ოდესმე განიხილონ, როგორც ლიტერატურული შთაგონების დავიწყებული სათავეების მოძიების მცდელობა".

მე. ცნობილია, რომ ლიტერატურა - ზეპირი ან წერილობითი სახით, - მითოლოგიის პირმოა და მას, გარკვეულად, მემკვიდრეობით გადმოეცა შესაბამისი ფუნქციების წრე: ამბების მოყოლა, ცნობების გავრცელება სამყაროში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. მაგრამ რატომ ვანიჭებთ ამდენ მნიშვნელობას იმას, რაც შეემთხვა მავან მარკიზას, რომელიც ნაშუადღევის ხუთ საათზე ჩაის სვამს? როგორც ჩანს, ყოველგვარი მოთხრობა, თვით ბანალურიც კი, განაგრძობს მითიურ ისტორიებს; ეს უკანასკნელი კი განმარტავენ, როგორ წარმოიშვა სამყარო და როგორ ჩამოყალიბდა ყოველივე, რაც ჩვენთვის ცნობილია. ინტერესი ამბებისადმი - ცხოვრების ჩვენეული წესის ნაწილია. ამბები შეესატყვისება ჩვენს მოთხოვნილებას იმის გაგების შესახებ, თუ სად და რა ხდება, ვინ და რა მოიმოქმედა, და ვის რისი უნარი აქვს: აქ რისკიცაა, ავანტიურაც და ნამონყებებიც. ჩვენ არც ქვები ვართ, არც ყვავილები და არც - მწერები, რომელთა ცხოვრება წინასწარაა განსაზღვრული. ჩვენ ავანტიურული არსებები გახლავართ და ადამიანი არასოდეს იტყვის უარს იმ სიამოვნებაზე, რომელსაც მას ამბების მოსმენა ანიჭებს.

- თქვენ ავსტრალიური მითები მიამსგავსეთ ჯოისის "ულისეს". 1963 წლის 7 მარტს "დღიურში" ჩაწერთ: "ჩვენ ავსტრალიელებს ვგავართ: ალგვადრთოვანებს ის, რომ ლეოპოლდ ბლუმი ბისტროში შედის და ლუღს უკვითს". ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ადამიანს საკუთარი თავის აღმოსაჩენად სჭირდება სარკე, ნიშანი, სიტყვა, და რომ, საბოლოო ანგარიშში, ის იწყებს ცხოვრებას მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოსახვას ფართო გასაქანს აძლევს.

- შესაძლებელია... ადამიანი პოულობს საკუთარ თავს, როდესაც რაიმე ამბავში საკუთარ ისტორიას შეიცნობს.

- მგონი ვიცი, რომელ წიგნებს არ წაიღებდით უკაცრიელ კუნძულზე. მითხარით, რომლებს წაიღებდით?

- ბალზაკის რამდენიმე რომანს, დოსტოევსკის ზოგიერთ ნაწარმოებს, "ფაუსტის" მეორე ნაწილსა და გოეთეს ავტობიოგრაფიას... მილარეპას ბიოგრაფიასა და ლექსებს (ეს მეტია, ვიდრე ლექსები, ეს გრძნება...), რა თქმა უნდა, შექსპირს... ნოვალისს და ზოგიერთ გერმანელ რომანტიკოსს. და, უეჭველად, დანტეს... იმათ ვასახელებ, ვინც პირველად მაგონდება; ცხადია, სხვებიც არიან.

- ბიბლია არ გიხსენებიათ. მას მხოლოდ ისტორიკოსის თვალთ კითხულობთ?

- ჩემთვის ძალზე ძვირფასია ეკლესიასტე, და, აგრეთვე, ზოგიერთი ფსალმუნი. ახალი აღთქმა მთლიანად მიყვარს. ჩვენი თანამედროვეები, ჩვეულებრივ, უპირატესობას ანიჭებენ იოანეს სახარებას, მაგრამ მე ოთხივე სახარება აღმაფრთოვანებს, აგრეთვე - პავლე მოციქულის ზოგიერთი ეპისტოლე. ამოკალიფსი მაინტერესებს, როგორც დოკუმენტი, მაგრამ ის ჩემს საყვარელ ტექსტებს არ განეკუთვნება. რადგან ცნობილია სხვა ამოკალიფსებიც - ირანული, ებრაული, ბერძნული... რა თქმა უნდა, შეიძლება, ბიბლია სხვადასხვანაირად წაიკითხო. შეიძლე-

ბა, ის იკითხო, როგორც ქრისტიანმა, მორწმუნემ, უფრო სწორად, იმან, ვინც თავს ასხენებს, რომ მორწმუნე და ქრისტიანი უნდა იყოს: ამას როგორღაც მალე ვივნიწყებთ ხოლმე. შეიძლება, ბიბლია ვიკითხოთ ისტორიკოსის პოზიციიდან. და კიდევ - როგორც ლიტერატურის უბადლო ნიმუში.

- ძალდაუტანებლად წერთ ხოლმე?

- როდესაც, ასე ვთქვათ, შთაგონება (ან, უფრო ზუსტად, შეპყრობილობა) მომიცავს, მაშინ სწრაფად ვწერ, ჩასწორებების გარეშე, და ტექსტს თითქმის არ ვასწორებ. ზოგჯერ დღეში თორმეტი-ცამეტი საათის განმავლობაში ვწერ, შეუწყვეტლივ - ოცდახუთ გვერდს, ხანდახან კი ოცდაათს ან ორმოცს. შემდეგ, უეცრად, ვფერხდები. ასეთ შემთხვევაში ვიცი - რამდენიმე კვირას ან გაცილებით მეტს. მაგრამ მუშაობა ყოველთვის როდღე მიადვილდება. "ნაკრძალი ტყის" ზოგიერთმა გვერდმა ძალზე გამანამა.

- ღამით წერთ?


- ადრე ღამით ვწერდი, ორმოცი წლის ასაკამდე. საღამოს ცხრა საათზე ვჯდებოდი და დილის ოთხ საათამდე ფეხს არ ვიცვლიდი. ახლა ასე აღარ შემიძლია. ამის შესახებ ერნსტ იუნგერმაც მკითხა. მისი წარმოდგენით, მუშაობა შეიძლება ან დილით, ან - საღამოს. მგონი, გავაკვირვ, როდესაც ვუთხარი, რომ უკანასკნელი ათითორმეტი წლის განმავლობაში სადილობის შემდეგ ვიწყებ წერას. ღამღამობით ვმუშაობ, მაგრამ არ ვწერ. იმ დღეების გარდა, როდესაც "მომივლის" ხოლმე. მაშინ დღედაღამ ვწერ.

- გიფიქრიათ თუ არა "დროის უკეთ გამოყენების" შესახებ?

- სიჭაბუკისას თვითდისციპლინაში მნიშვნელოვან წარმატებებს მივადნიე. ყოველ დილას აზრებს ვიკრებდი, პროგრამას ვადგენდი: ამდენი საათი უნდა დამეთმო ახალი ენის შესწავლისათვის, ამდენი - წიგნის დამთავრებისთვის... ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა.

- როდესაც რომანის ჩანაფიქრს მოიაზრებთ, როგორ იწყებთ წერას?

- გეგმის დანერის უნარი არ შემწევს. ბიძგს მაძლევს ხოლმე რომელიმე ვიზუალური ხატი, პეიზაჟი ან დიალოგი. ძალზე მკაფიოდ წარმომიდგება დასაწყისი, ზოგჯერ - ფინალიც, და თანდათანობით, მუშაობის პროცესში იკვეთება რომანის ან მოთხრობის მოვლენები და ქსოვილი. "ნაკრძალი ტყის" შემთხვევაში ყველაფერი



აბრე ბუსტაბი იუზანი და მიხაილ ვოლინოვი

დაიწყო მთავარი გმირით. ის სეირნობდა ტყეში, ბუქარესტის მახლობლად, და შუალამემდე ერთი საათით ადრე (ივან კუპალას ღამეს) წააწყდა მანქანას, შემდეგ კი შეხვდებოდა ქალიშვილს - მანქანის გარეშე. თავს ვიმტყვევდი: ვინაა ეს ქალიშვილი? და რატომ ეძებდა მოსეირნე პერსონაჟი ქალიშვილის მახლობლად ავტომანქანას? ნელ-ნელა მივხვდი, ვინ იყო ეს ქალიშვილი და შევიტყვე მისი ისტორია. მაგრამ ყველაფერი დაიწყო ზმანებით. ყველაფერი ეს თითქოს სიზმრად ვიხილე.

ლაბირინთის საზრისი

კ. - ა.რ. თქვენ ხშირად შეგიდარებიათ ადამიანთა ცხოვრება, თქვენი ცხოვრება - ლაბირინთთან. რას იტყვით დღეს ამ ლაბირინთის საზრისის შესახებ?


მ.ე. ლაბირინთი ზოგჯერ გარკვეული ცენტრის, გარკვეული საუნჯის, გარკვეული იდუმალი ცოდნის მაგიური დამცავი საშუალებაა. შესაძლოა, მასში შეღწევა ინიციაციურ რიტუალს წარმოადგენდეს, როგორც თეზესის მითიდან ჩანს. ამგვარი სიმბოლიზმი ერთგვარი მოდელია ნებისმიერი ცხოვრებისეული გზისა, რომელსაც ურიცხვი ფათურაკების შემდეგ ადამიანი მიჰყავს მისი საკუთარი ცენტრისკენ, საკუთარი არსისკენ, ატმანისკენ (თუ ინდურ ტერმინს მივმართავთ)... ბევრჯერ მომზმანებია, რომ ლაბირინთიდან გამოვდივარ, რომ ძაფი ვიპოვე... როდესაც სასონარკვეთილება და კაეშანი მიპყრობდა, როცა გზას ვერ ვიკვლევდი, მაშინ, რა თქმა უნდა, არ ვეუბნებოდი საკუთარ თავს, ლაბირინთში დავიკარგე-მეთქი, მაგრამ კრიზისი ყოველთვის მთავრდებოდა ლაბირინთიდან თავის დაღწევის საზეიმო განცდით. ამგვარი რამ ყოველი ჩვენგანისთვისაა ცნობილი. აქვე დავუმატებ, რომ ცხოვრებაში ერთადერთი ლაბირინთი როდი გვხვდება: გამოცდა კვლავ და კვლავ მეორდება.

- მიაღწიეთ თუ არა თქვენს ცენტრამდე?

- არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ შევხვებ მას, ხოლო შეხებისას ბევრი რამ ვისწავლე და საკუთარი თავი შევიმეცნე. შემდეგ ისევ ვიკარგებოდი. ასეთია ჩვენი ხვედრი. არც ანგელოზები ვართ, არც - დემონები. როდესაც ადამიანი პოულობს თავის ცენტრს, ის შინაგანად უფრო მდიდრდება, მისი ცნობიერება ღრმავდება და ფართოვდება, ბუნდოვანება ქრება, ვლინდება საზრისი. მაგრამ ცხოვრება გრძელდება და, აი, კვლავ ლაბირინთი, კვლავ განსაცდელი - ახლა უკვე სხვაგვარი, სხვა დონეზე... და განა ეს ჩვენი საუბრები კიდევ ერთი ლაბირინთი არაა ჩემთვის?

- "დღიურში" თქვენ იმონებთ ერთ შთაბეჭდილებას: იყო წამი, როდესაც საკუთარი სიცოცხლე უეცრად აღიქვით ერთი მთლიანობის სახით, მთელი მისი სიღრმით.

- ეს განცდა, რომელიც არაერთხელ გამიმეორდა, ძალზე მნიშვნელოვანია: საკუთარი თავის პოვნა და საკუთარი სიცოცხლის საზრისის აღმოჩენა. ჩვეულებრივ, ფრაგმენტულად ვცხოვრობთ. ერთხელ, ჩიკაგოში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მახლობლად მიმავალმა, შევიგრძედი ჩემი ცხოვრების უწყვეტობა, რაც იწყება სიყრმიდან და გრძელდება ინდოეთში, ლონდონში და ასე შემდეგ. ამგვარი განცდა არაჩვეულებრივად გამამხნევებელია: გრძნობ, რომ დრო ამაოდ არ დაგიკარგავს. ყველაფერი იკრება, ის პერიოდებიც კი, რომელსაც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი (მაგალითად, სამხედრო სამსახურში გატარებული დრო) და აღარც კი მახსოვდა. ყოველივე ერთიანდება და უეცრად ამჩნევ, რომ გამოძრავებდა გარკვეული მიზანი - orientatio.



- გამუდმებით თავს ვიკავებდი შეკითხვისგან ღვთაებრივი საწყისის შესახებ, რომ არ დამეზნით...

- ზოგიერთი საკითხი მართლაც იმდენად მნიშვნელოვანია ჩემი ცხოვრებისა და მკითხველისთვის, რომელსაც ეს საკითხები აინტერესებს, რომ ვერ შევძლებ მათ სათანადოდ განმარტებას ჩვეულებრივ საუბარში... ..პრობლემას ღვთაებრივი საწყისის შესახებ, რომელიც ყოველივეს ცენტრია, გაკვრით ვერ შევხვები. ვიმედოვნებ, რომ ოდესმე ჩემს აზრებს მწყობრად ჩამოვაყალიბებ წერილობითი ფორმით.


- პასუხისგან თავის არიდება ნაწილობრივ იმით ხომ არ აიხსნება, რომ არ გსურთ, სულიერი მოძღვრის როლში მოგვევლინოთ?

- ნამდვილად ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი სულიერი მოძღვრის ან გურუს სახით. სხვებისთვის გამცილებელიც კი არ ვარ, არამედ - მხოლოდ თანამგზავრი. თანამგზავრი, რომელიც, შესაძლოა მათ ოდნავ წინ უსწრებს. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვერ გადამიწყვეტია იმპროვიზება ზოგიერთ არსებით საკითხზე. კარგად ვიცი, რისა მწამს, მაგრამ ამას რამდენიმე ფრაზით ვერ ვადმოვცემ.

თარგმანი თამარ ლომიძე



ლუი ლე პეინი



იმ პერიოდში ვიზრდებოდი, როცა ელექტროენერგია უკვე არსებობდა, მაგრამ ტელევიზია ჯერ არა. ხალხს ნელ-ნელა თავის შექცევა უნდა ესწავლა, ამიტომ ჰობის ტენდენცია მომძლავრდა. ადამიანებმა ასანთის კოლოფებისგან ნამდვილი სოფლები გააშენეს, თავად ასანთის ღერებისგან კი საომარი გემების კეთებას მიჰყვეს ხელი. ამზადებდნენ თვითმფრინავის მკეტებსაც, ქარგავდნენ პალტოს სახელოებიან ანაფორებს წმინდანთა მონამებრივი სცენებით, აგროვებდნენ გამხმარ ყვავილებს. მაგალითად, ბაბუაჩემი წინდებს საკუთარი ხელით იქსოვდა, ხის სათამაშოებს თლიდა, ბაღში მდებარე ფარდულის ობობებსაც კი უმეგობრდებოდა, კროკეტის თამაშისას ოსტატურად იტყუებოდა და ბოლოს თოფის ვაზნების დატენასაც შეუდგა. ბებიჩემის ჰობი ყვავილების მოვლა და კოლექტიური მთამსვლელობა იყო. დედა კი ხან სასულიერო ჰანგებს აჟღერებდა ფორტეპიანოზე, ხან კი ავეჯის გადასაკვრელ ახალ შალითებს კერავდა ან გაჭირვებულთათვის შალის ქუდებს ქსოვდა. ბიძაჩემი თავისივე მოყვანილი და მოვლილი თამბაქოს ფოთლისგან სიგარებს ახვევდა ხოლმე. მეორე ბებია ხუთცენტიან ფეტონებს აგროვებდა, რომლებიც სამზარეულოს გისოსებს მიღმა, ბოსტანში უგორდებოდა და ეკარგებოდა. ეტყობა, წამსვე ყლაპავდნენ იქვე, დამჭანარ ფოთლებში ჩაბუდებული მოზრდილი გომბეშოები.

ჩემი დების ჰობი "პრანჭიაობა" გახლდათ. ორივენი სხვენზე ძვრებოდნენ, ძველ სკივრებში იქექებოდნენ და წინაპრების დანატოვარი, უცნაური ტანსაცმლით ირთვებოდნენ. შემდეგ ქუჩაში გამოდიოდნენ, გაჭირვებული, მოხუცი ქალების იერს იღებდნენ და გამვლელებს ემათხოვრებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ალარ მასსოვს რომელმაც, დედაჩემსაც კი გამოსტყუა ფლორინი. რა თქმა უნდა, დედამ საკუთარი შვილი ვერ იცნო. ფულით გამოსასვლელი ჩანთები, ხილის გამაგრილებელი სასმელები და რამდენიმე "ჯამპინ ჯექსი" ვიყიდეთ. ეს უკანასკნელი მანქანალები იყო, რომლებიც ხელად ძროხების ბაგასა და ჭიშკარზე დავაყენეთ. თან პანიკის მოლოდინში მხიარულად თვალყურს ვადევნებდით. ამ ოინბაზობის გამო მხოლოდ მე გამტყუებეს, რადგან გოგონები ასეთ აშკარად ბიჭურ სიცლქეში ვერ დაადანაშაულეს.

ეტიკეტები


რაც შეეხება ჩემს ჰობს, ჯერ კიდევ ციცქნა ვიყავი, თამაშების მთელი ნყება რომ მქონდა მოგონილი. პირველად "დილა მშვიდობისა" ავიკვიატე. ერთი პომპონიანი, თეთრი ქუდი მეხურა ხოლმე, რომელსაც დღის ნებისმიერ მონაკვეთში ყველა ნაცნობის დანახვაზე კულტურულად ვიძრობდი და სადღესასწაულო ტონით "დილა მშვიდობისას" ვამბობდი. ამით მამასაც ვბაძავდი და ქორეპისკოპოსსაც, რომლის სევდიანმა ხმამაც ეტყობა ძალზედ მომხიბლა. შემდეგ ინტერესი მილსადენებმა აღმიძრა. ჩავუჯდებოდი და ჯოხით ვუწიკინებდი: ხან ვაშლის ნაფრცქვენებს გამოვჩიჩქნიდი, ხანაც კომპოსტოს ნარჩენებს. მერე ფოთლებზე დაკვირვება დავინყე - მივხვდი შემოდგომით ფერს იცვლიდნენ. ადამიანის თამაზ დამაინტერესა. ტალახში ამოსვრილი ბლუჯები თურმე ერთმანეთს ადვილად ენებებოდნენ. ამის შემდეგ ძაღლის განავლითაც დაინტერესდი - სხვათა შორის, დღემდე ვერ გამიგია, რატომ იყო ის ზოგჯერ თეთრი ფერის. დღესდღეობით ასეთ ფეკალურ ალბინიზმს ველარსად შეხვდებით. ჩემი მეუღლე იხსენებს, რომ ბავშვობაში ეგონა - ასეთი რამ მხოლოდ თეთრ პუდლებს ემართებოდათ.

ასაკთან ერთად ინტერესთა რაოდენობაც მემატებოდა - ვაკეთებდი შურდულებს, ვანვალეზებდი კატას, ვიქცეოდი კოვბოურად, ვაგროვებდი სათამაშო ბიპლანებსა და მანქანებს, ასევე ნიჟარებს, მარმარილოს ქვებს, თოლიის ბუმბულებსა და გოლფის ბურთების რბილ ჩასადებებსაც კი. ერთხანს ლოცვამაც გამიტაცა და სახლის ყველა გარდაცვლილი ცხოველის საფლავთან დაჩოქილი ხშირად ვლოცულობდი.

გარდატეხის ასაკმა ახალი გასართობი საშუალებები მომცა. ერთ-ერთი მათგანი მკვდარი ცხოველების ფიტულები გახლდათ. ამასთანავე, საათობით ვიტანჯებოდი ერთდროულად რამდენიმე, უკარება გოგონას ალმოდებული და დაუცხრომელი სიყვარულის გამო. ვკითხულობდი ბიგელსის ყველა ნიგნს, რომელსაც ხელში ჩავიგდებდი. ასევე ვალტერ სკოტის რომანებს. თუმცა მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, რომ ეს კლასიკა იყო. ვიზუბირებდი უამრავ ბინძურ შარადასა და მორაგბეთა სიმღერას, რომელთა გახსენება დღესაც უმცდომოდ შემიძლია. ეროტიკულ სიზმრებს კი დღისითაც ვხედავდი.

ბევრ ჩემს მეგობარს ე.წ. საიდუმლო ჰობი ჰქონდა, ისეთი, როგორცაა სიგარეტის კოლოფებისა და ყველის შესაფუთების შეგროვება, ჭრატუნა პაკეტების ლუმელში დანვა, მატარებლისა და ატვობუსის გამოცნობასთან თამაში, კვერცხების გატეხვა, ორიგამი (ქალაქისაგან სხვადასხვა ორნამენტების გაკეთება), ბამბუკების უკან ერთმანეთის ავლადიდების თვალყურება, აფრიკული მარკების კოლექციონერობა, ბალის ლოკოკინების ვივარიუმში მოშენება. ერთი ჩემი ძმაკაცი თხუნელებითაც





კი დანტერესდა და სკალპელის დახმარებით, რბილი ხიდან შესანიშნავად თლიდა მათ გამოსახლებებს. მეორემ პატარა ჩიტების ფრთების შენახვა დაიწყო. როცა თავისივე შაშხანით მოკლული ფრინველების 150 წყვილი ფრთა მოაგროვა, სინდისმა ისე შეაწუხა, რომ ბოლოს ჩიტების დაცვის სამეფო საზოგადოებაში განეწიანდა. სხვათა შორის, ის ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი გახლდათ, ვინც ციმბირის მგალობელი ჩიტი თავისი თვალთ იხილა. საუბედუროდ, ეს ფრინველი მიიხინოს გაუგლეჯია, რასაც სამალავში ჩასაფრებული ცამეტი მოთვალთვალე მეტად შეუძრწუნებია.

ტელევიზორის გამოჩენამ, სხვა ბევრის მსგავსად, მეც უსაზღვრო აპათიასა და უმოქმედობაში ჩამავდო. მალე საშინლად გავღიზიანდი და დეპრესია დამემართა. რამდენიმე წლის შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ ცხოვერებაში ინტერესის არქონის გამო იმედგაცრუებული ვიყავი და ამიტომ აქეთ-იქით რალაცეების ძებნა დავიწყე.

ერთ მძვინვარე დღეს, ჩვენთან, კუთხეში მდებარე მაღაზიაში ყოფნისას, კატის საოცრად მოშხიბლავ თვალებს წავაწყდი, რომელიც კონსერვის ქილაზე იყო გამოხატული. უცებ თავში აზრი მომივიდა - ასეთი ეტიკეტების კოლექცია შემეგროვებინა. დრო დადგებოდა, როცა მრეწველობის ისტორიკოსები ჩემს მიმართ გულისხმიერ ინტერესს გამოიჩინდნენ, რადგან კატის კონსერვის ეტიკეტმცოდნეობა საკმაოდ იშვიათ მოვლენად იქცეოდა. ეს კი თავისთავად პოპულარულსაც გამხდოდა, მაგრამ ამ იდიოტური ფიქრისგან სასწრაფოდ გავთავისუფლდი და შინისკენ გავიწე.

ერთი საათის შემდეგ კი სიცილისგან თავს ვეღარ ვიკავებდი, რადგან ცდუნებას ავყევი და ის მომავადოებელი კატის სურათიანი კონსერვი შევიძინე. ქილა ჯიბეში ჩავიდე, კვლავ სახლში დავბრუნდი და ცხელი წყლით სავსე ქვაბში მოვათავსე, რათა ეტიკეტი ადვილად ამეძრო. ნების გაღიზიანება არ ვაცადე, ქალაქი დროზე ადრე ავახიე და მთლიანად გავაფუჭე. მეორე ქილის საყიდლად წავედი. ამჯერად უფრო მეტი სიფრთხილე და მოთმინება გამოვიჩინე. ეტიკეტი თავისუფლად მოვაცილე და გასაშრობად თოკზე ჩამოვკიდე, რომელიც სამზარეულოში ცხელი წყლის მილიდან ფანჯრის ჩარჩომდე გადაეჭიბე. შემდეგ საკანცელარიო მაღაზიისკენ გავემართე და ფოტოების ალბომიც ვიყიდე. მთელი საღამო სახლში შეუსვენებელი დავბორიალობდი, ეტიკეტის გაშრობას სულმოუთქმელად ველოდი. მთელი ღამე რული არ მომკარებია, ყოველ ათ წუთში ვდგებოდი და ქალაქს ვამონმებდი. დილით უძილობისგან თვალების სრესით მზა ეტიკეტი ალბომში ჩავაკარი და ქვეშ თეთრი მელნით თარიღიც მივანერე. ამის შემდეგ კვლავ საყიდლებისთვის გავემართე: გამყიდველს თმის საშრობი ფენი და ორი ქილა კატის საკვების ქილა გამოვართვი.

როგორც ჩანდა, ყველა მწარმოებელს ეტიკეტის მიწებების თავისებური ხერხი ჰქონდა გამოყენებული. ზოგი

ცოტა ნებოს ხმარობდა, ზოგი კი საშინლად ბევრს. შესაბამისად, მეც ხან ადვილად ვაძრობდი ქალაქს, ხან კი წყალში დაღობოვაც არ შევლოდა და თეთრ სპირტში ვაჩერებდი ხოლმე. სათანადო გეგმაც კი შევიმუშავე, რათა ერთი შეხედვით განმესაზღვრა ეტიკეტის მოცილების საუკვესო მეთოდი.

მალე ეტიკეტმომძვრალი იმდენი თუნუქის ქილა მომიგროვდა, რომ თავგზა ამებნა. ჩემთვის გავფიქრე, იქნებ ვინმეს მოუნდეს მათი ერთიანად შესყიდვა-მეთქი, თუმცა შესაძლებელი იყო ცალობითაც მიმეცა - ზოგიერთ მათგანს ძნელად თუ იმოვიდნენ სუპერმარკეტში. მაგრამ ეს აზრი თავიდან ამოვიგდე და გადაწყვიტე, ქილები კატის მფლობელი მეგობრებისთვის დამერიგებინა. თავდაპირველად ყველამ ეჭვის თვალთ შემომხედა, უარი განაცხადეს თავიანთი საყვარელი ცხოველებისთვის ისეთი საკვები მიეცათ, რომელიც შესაძლოა ფალსიფიცირებული ან სულაც გადახარშული პუდინგი ყოფილიყო. მხოლოდ მაშინ დანყნარდნენ, როცა კატებმა საჭმელი სიამოვნებით მიირთვეს. იგივე რეაქცია ჰქონდათ კატის სახლების მეპატრონეებსაც, რომლებსაც უფრო მორბილი ქილები შევთავაზე. გარდა ამისა, ყველამ აღმაცერად ყურება დამიწყო, თითქოს დალაგებული ტვინის პატრონი არ ვყოფილიყავი. სიმართლე რომ გითხრათ, მოსაწვევ ბართებსაც აღარ ვღებულობდი, რადგან სადილებზე ჩემი საუბარი თურმე მონომანიალურად ჟღერდა. ყველაზე დიდ საშინელებას კი ის იყო, რომ ცოლმა მიმატოვა, თან მითხრა: "სანამ ტუმბოდან ალბომებს არ მოაშორებ, მანამ არ დავბრუნდები"-ო. ცოტა ხანში სახლი ნაგვის ბუნკერს დაემსგავსა, რადგან დალაგების არაფერი გამეგებოდა. ბოლოს იქამდეც მივედი, რომ საკუთარ ცოლს კვირაში ერთხელ ფულს ვუხდდი, რათა მოსულიყო და აქაურობა დაენმინდა.

უცებ თავში ახალი აზრი მომივიდა: ეტიკეტების ხელში ჩაგდება გაცილებით გამიადვილდებოდა თუ ამ საჭმლის მწარმოებელ კომპანიებს დავუკავშირდებოდი და ვთხოვდი, ნიმუშები გამოეგზავნათ. ყველა მათგანი მაინტერესებდა - როგორც ძველი, ისე ახალი. მაგრამ ურთიერთთანამშრომლობაზე დადებითი პასუხი არ მიმიღია. საპასუხო წერილები თითქმის ერთმანეთს გავდა:

ძვირფასო სერ,

ჩვენი მენეჯერის სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის და გარწმუნებთ, რომ თქვენმა წერილმა ძლიერ დაგვიინტერესა. თქვენ და თქვენს კატას კი გისურვებთ ყოველივე კარგს.

მარად თქვენი გულწრფელი...

ამის შემდეგ მათგან არაფერი მსმენია.

ბევრს გააკვირვებს ის ფაქტი, რომ კატის საჭმლის ეტიკეტთა მრავალფეროვნება მართლაც უსაზღვროა. დავინწყით იქიდან, რომ ყველა მწარმოებელი მათ საკმაოდ ხშირად ცვლის და ერთი და იმავე პროდუქტს სხვადასხვა ეტიკეტით ამკობს. ამით მომხმარებლის ყურადღებას იპყრობს და მეტოქეობას უწევს სხვა ფირმებს. ასე რომ, როცა შავტუხა კატას ქერა ენაცვლება - საჭმელი მიმზიდველი ხდება. სპარსული ჯიშისას ციმბირული ცვლის და მაღალი ხარისხის შთაბეჭდილებაც გარანტირებულია. გარკვეული დროის შემდეგ ეტიკეტებს ისევ ცვლიან - ძუ კატის მაგივრად ახლა აზიურ სხადს აკრავენ, რათა მონონება ჰპოვოს ბურჟუაზიულ ემიგრანტთა ბაზარზე. ამას ჭრელი კატა მოჰყვება, რომ დასაფასებელი მუშათა კლასიც მოითაფლოს. ეტიკეტებს ხშირად ასეთ განცხადებებს უმატებენ - "გთავაზობთ განსაკუთრებულ საკვებს თქვენი ფისოსთვის" ანდა "მონაწილეობა მიიღეთ თავისუფალ შეჯიბრში". ასეთ შემთხვევაში კატის სურათი ეტიკეტის ორივე მხარესაა გამოხატული. მე კი ორი ქილის შეძენა მიხდება, რათა ალბომში ორივე ფოტო მქონდეს.

ამასთან ერთად, ყველა სუპერმარკეტს თავისი საკუ-

თარი ნიშანი აქვს. თითოეული მწარმოებელიც გამუდმებით ზრდის თავის დიპაზონს: ადრე თუ მხოლოდ "ფელიქს", "ვისკას", "ტოპქეტსა" და სხვა დასახელების პროდუქტს უშვებდა, ახლა მათ კურდღლის, თინუსის, მწყერის, ორაგულის, მტრედის, ტრიუფელისა და ხბოს ღვიძლის პროდუქტებიც დაუმატა. თითოეულ მათგანს კი შესაბამისად ეტიკეტებიც შეუცვალა. ყველამ იცის, რომ საქმელი, უმეტესწილად, იაპონელი მეცნიერ-მკვლევარების მიერ ამოხოცილი ვეშაპებისგან მზადდება. ასევე იყენებენ ბურლულს, ფრანგული ჯიშის ცხენებს, ღონემიხდილ ვირებსა და სხვა ცხოველების პიკანტურ ნაწილებსაც კი, რომელთაც ხალხის უმეტესობა არ ეტანება. კატის მფლობელები ისეთი საკვების ყიდვისკენ ისწრაფიან, მათ მშვენიერ არსებებს რომ მოსწონთ, ამიტომ მწარმოებლები პროდუქტში, თანდათანობით საუკეთესო ხორცის სულ უფრო და უფრო დიდ რაოდენობას უმატებენ. ასე რომ, ქილბში შესაძლოა, ღვიძლისა და კურდღლის ნამდვილი ნაჭრებიც აღმოაჩინოთ.

ზუსტად მაშინ, როცა ჩემმა კოლექციამ საერთაშორისო სტანდარტების დონეს მიაღწია, ფინანსურ გასაჭირში ჩავვარდი. რამდენიმე წლის განმავლობაში სასამართლო ბოქაულად ვმუშაობდი. ზორბა ტანი და დამორგუნველი იერი მაქვს, რაც საქმეში ძალიან მეხმარებოდა. ხარჯების შეზღუდვით როგორღაც თავის გატანას ვახერხებდი. სახლი ნაწილებად მეშლებოდა, ბალი გამიფერანდა, მანქანაც დამიძველდა. სუთი წლის მანძილზე ახალი ტანსაცმელი არ შემიძენია, თმს კი სამზარეულოს მაკრატლით ვიჭრიდი. ერთხელაც დავეცი, ალბომები გადავშალე და გამოვიანგარიშე: კატის საქმელზე თურმე ორი წლის ხელფასი დამიხარჯავს, გაკოტრებით კი არ გაკოტრებულვარ.

მაგრამ საფრანგეთში გამგზავრებამ ყველაფერს ბოლო მოუღო. ესეც სამსახურთან იყო დაკავშირებული - ვალის გადაუხდელობის გამო ერთ პიროვნებას დავეცემდი. ერთხელაც სუპერმარკეტ "ჩემპიონ"-ში შევედი - ჩემთვის ხორცის კონსერვი მინდოდა, მაგრამ თავი გადაამავინყდა, როცა უღამაზეს სურათებთან კატის საქმელების რიგს ნავანყდი. მათ უმრავლესობას გამორჩეული, ორნამენტული წარწერა ამშვენებდა. ეს ერთი ნახვით შეყვარებას ჰგავდა. თითო-თითო ყველანაირი ქილა შევიძინე. ამითაც არ დავკმაყოფილდი და სხვა მაღაზიებსაც ჩამოვუარე. სახლისკენ მომავალ გზაზე კი მანქანა გამიფუჭდა და თუნუქის ქილების ხროვა შინამდე ავტომობილების ასოციაციის თავაზიანი მომსახურების წყალობით ჩამოვიტანე.

ეს საშინელება, რა თქმა უნდა, თვეობით გაგრძელდა. ყოველ უიკენდზე საფრანგეთს ვსტუმრობდი და უკან "ლუქსორჩეტის", "პუპოჩესა" და "მინიტკონტენტის" ქილებით დახუნძლული ვბრუნდებოდი. ამის შემდეგ ავადმყოფობის მომიზეზებით, უფროსობას რამდენიმე ხნით დავეთხოვე და ესპანეთში ნამდვილი საგანძური აღმოვაჩინე

- "სენიორიტო გატიტო", "მინინო", "მიჩო მიაუ" და "რონრონეო".

შინ ბედნიერებითა და სიხარულით აღსავსე ჩამოვედი, თან გერმანიაში გამგზავრებაც დავგეგმე. მაგრამ ჩემი ილუზიები მალევე გაიფანტა. თურმე ყველაფერი გამოაშკარავებულა და სამსახურიდან გამოვუგდივარ. ზუსტად მაშინ მომივიდა ელექტროენერჯის, გაზისა და ტელეფონის გადასახადები. ახლადშეძენილი ტელევიზორის ფულიც უნდა გამესტუმრებინა. როცა ალბომებსა და ესპანური ქილების მთას გადავხედე, მივხვდი, რა უბედურებაშიც ჩავვარდი. ჯერ ხელები წავიშინე თავში, მერე დაგრესილი გაზეთი ვირტყი, სასონარკვეთილი თვალები ზეცას მივაპყარი, ამოვიხსრე, ფეხები ავაბაკუნე და სადილის თევში სამზარეულოს იატაკზე დავანარცხე. გონს მოსულმა მთელი კოლექციის განადგურების საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე.

ნაგვისა და ძველი შეზღონგებისგან ბაღში მოზრდილი კოცონი გავაჩაღე. მერე სახლში ალბომების გამოსატანად შევევარდი. დიდხანს ვიქექებოდი სურათებში, თან ვარჩევდი - "მოდით ამას შევინახავ, ეს ქილა ერთადერთი მაქვს ჩინური ეტიკეტით. ანდა ამას - ცისფერი "ვისკასია" - ათი წლის წინათ ნაყიდი, სანამ ცოლი მიმატოვებდა. სანტიმენტალურ გრძობებს აღმიძრავს". ალბათ საჭირო აღარაა იმის თქმა, რომ დასანჯავად ვერცერთი მათგანი ვერ გავიმეტე. უბრალოდ ავედექი და ესპანური ქილებიდან ეტიკეტების აბრბა დავიწყე.

უმუშევრობის დახმარება ვერც პირად ხარჯებს მიფარავდა და ვერც ახალი ქილების შეძენის საშუალებას მაძლევდა. ბოლოს იქამდე დავეცი, რომ საფუნთუშეში გამხმარ პურებს ვყიდულობდი და ხორცის მაღაზიდან წამოღებული ძვლებისგან წვნიანს საკუთარი ხელით ვიზადებდი. პურს ხერხით თხელ ნაჭრებად ვჭრიდი და ძვლიდან ტვინის გამოფხეკას ვიქტორიანების დროინდელი კორპსაძრობით ამაოდა ვცდილობდი. მალე შიმშილისგან დავფუძლურდი - წონაში დავიკვიდი და უზომო ნერვიულობისგან თმაც დამცვივდა. ერთხელ უბედურმა, ქილა გავხსენი, ხორცი დავყნოსე და ჩემთვის გავიფიქრე - "ეს ხომ სტერილიზებულია. ვეტერინარმა კი მითხრა, რომ ადამიანის საკვებზე უფრო მაღალ სტანდარტებს შეესაბამებაო. მასში არეულია ცხოველების გატარებული ყვერები, ტუჩები, ჯიქნები, ნაწლავები და სასქესო ორგანოები, მაგრამ ძეხვშიც მსგავსი ინგრედიენტებია და ყველა სიამოვნებით მიირთმევენ. ღორის ხორცის ღვეზელზე რაღას იტყვი, შიგ თეთრი რაღაცეები რომ აქვს და თოფისნაშლის გემო დაჰყვება? ხორცს სულაც არა ჰგავს. ამასთანავე კატები ცნობილები არიან, როგორც აზიზი და ფაქიზი მჭამელები, თუმცა ჩიტების ბუმბულებსაც მიირთმევენ, მაგრამ ისე გემრიელად, რომ ადამიანსაც მოანდომებენ.

ჩაის კოვზი მოქებენ და ხორცში ღრმად ჩავასე. მერე ცხვირთან ახლოს მივიტანე და ვუყნოსე - მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა. თავს ძალა დავატანე და კოვზი პირში ჩავიდე. კინაღამ ვარწყიე, მაგრამ მოვიტმინე. პატარა ნაჭერი სასასთან გავიჩერე და ნელ-ნელა ღეჭვას შევუდექი. ვერ გავუძელი, გავიქეცი და ზიზლისგან დაღმეჭილმა ხელსაბანში გადმოვავაფურთხე. იქვე ჩამოვჯექი - ერთბაშად სინანულითა და სიძულვილით აღვივსე. მერე რომანტიკული სიკვდილი მომინდა, ზუსტად ისეთი თინეიჯერების ასაკის შემდეგ რომ აღარ მინატრია. თვალწინ მთელი ჩემი ცხოვრება წარმომიდგა. სიცოცხლისა და არსებობის თაობაზე ზუსტად ისეთივე მელანქოლია დამეფულა, როგორც მაშინ, სიუზან ბოროუეფილმა კინოში წამოსვლაზე უარი რომ მტკიცა. მის მაგივრად კი ჩემი დაიკო გამომყვა, რადგანაც ძალიან შევეცოდე.

ეს ფიქრები პირში დარჩენილმა სასიამოვნო გემომ გამიფანტა. ნერწყვიც კი მომივიდა. ფეხით თუ



ნუქის ქილა გამოვნიე და ისევ დავცნოსე. "ამას ცოტა ნიორი და მწვანილი აკლია, თორემ ხორცის შესანიშნავი პასტილაა", - გავიფიქრე.

საჭმელი სამზარეულოში გავიტანე და თევზზე გადმოვიღე. სამი კბილი ნიორი გავარჩიე, დავჭყლიტე. შავი პილპილი რამდენიმე სახის მწვანილთან ერთად დავნაყე და ყველაფერი ხორცს შევურიე. შემდეგ მთლიანად მათლაფაზე გადმოვიტანე, ჩანგლით გავალამაზე, გავასწორე, სამი ცალი დაფნის ფოთლით გავაფორმე და ზემოდან გამდნარი კარაქიც მოვასხი, რათა მაცივრიდან გამოღებისას ნამდვილ "სეფე-კერძს" დამსგავსებოდა.

თხლად დაჭრილ, გაფიცხულ პურზე წასმული ეს ნაზავი რალაც საოცრება იყო - სულიერი განცდის მსგავსი. ზუსტად ისეთი, მაშინ ერთი ნახვით შეყვარება რომ ვუნოდე - დიდი ხნის ძებნის შემდეგ სასურველს რომ პოულობ და მეცხრე ცაზე ხარ.

ჩემი ფირმიდან ვეჩილები კვლავ მაკითხავდნენ. ძალიან ვნერვიულობდი, თუმცა მეგობრები კეთილსინდისიერად მომეცნენ, მხოლოდ ის ნივთები წაიღეს, რომლებიც დიდად არ მჭირდებოდა: უზარმაზარი, დასადგმელი საათი და ექსმეულის კუთვნილი თურქული ხალიჩა. ხელი არ ახლეს მაცივარს, გაზქურას, ხორცისგან მომზადებული კერძების სარეცეპტო წიგნებს, ნივრის საჭყლეტებს, პილპილის საფეკავებს, ბალახ-ბულახსა და ფრანგული თუჯის ჭურჭელს. საქმის ნახევრად კეთება ჩვევად არა მაქვს, ყოველთვის სრული კოლექციები მიზიდავდა.

ჩემს ახალ გატაცებას საოცრად გულმოდგინედ მოვეკიდე. რაც უფრო ძვირი იყო კატის საჭმელი, მით უკეთესი სადილი და ხორცის ღვეზელი გამომდიოდა (მართალია შესანიშნავად ვამზადებ - ცომის ფენებში დიდ დაშორებებს არასდროს ვტოვებ, სხვები ხშირად ყელაღიანით რომ ავსებენ ხოლმე). შედარებით იაფფასიანი კონსერვები, რომლებიც ძირითადად ბურღულზეა დამზადებული, ისეთი გემრიელი არ არის. ხოლო თუ კუბიკებად დაჭრილ სოკოს ან ზეთუნის ზეთში მოხრაკულ ქათმის ღვიძლს ჩაუმატებთ, მაშინ ძალიან კარგი გამოდის. ინდაურის ღვიძლს საერთოდ არ ვიყენებ, რადგან ცოტათი მაგარი და უსიამოვნო გემოსაც ტოვებს. ის საჭმელიც, რომლებიც თევზისგანაა დამზადებული, თითქმის არ ვარგა - თუნუხისა და ორაგულის გარდა. მათ ყოველთვის თან ახლავს კატის საჭმლის თავისებური სუნი, რაც ჩემი აზრით, გამოწვეულია კონსერვანტების და არომატიზატორების ჭარბი გამოყენებით. კატის ნებისმიერი პატრონი დამეთანხმება, რომ ისინი ცხოველისთვისაც შემანუხებელია და უკურნებელ გალიტოზს იწვევენ.

აი, ასე ჩამავლო კატის საკვებმა გაჭირვებაში და მანვე გამომიყვანა იქიდან. დავინყე ადგილობრივი გასტრონომების მომარაგებით და როცა ასპროცენტიათი მოგება ვნახე, თვითონვე გაკვირვებული დავრჩი. ნელ-ნელა შესაძლებლობები გავაორმაგე - კონსერვების ოხრაუშითა და ფორთოხლის თხელი ნაჭრებით გაფორმება შევისწავლე. ასევე დავხელოვნდი წინაკისა და ასაფოტიდას გამოყენებაში. ამ სანელებელს კატის განავლის სუნი აქვს, მაგრამ ზოგ რეცეპტში ნივრის ფუნქციას ასრულებს, გემოთი კი პარმესიულ ყველს უახლოვდება, რომელიც, როგორც ყველამ იცის, ნარწყევის სუნით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ხორცის ფარშს ძალიან უხდება.

ასევე აღმოვაჩინე, რომ შვიდვარსკვლავიანი, ბერძნული ბრენდის დამატებით ნამდვილი შედეგები მიიღება. ამან კი ექსპერიმენტების ჩატარებისკენ მიბიძგა: ვაშლის ნორმანდიულ-ფრანგული ბრენდი, ირლანდიური ვისკი, ალუბლის უფერო ლიქიორი, გასკონური მუქი ბრენდი და აღმოსავლეთ ევროპისა თუ სკანდინავიის ყველა სახეობის უცნაური ლიქიორი ვცადე.

მაგრამ ის, რამაც ჩემს პროდუქტებს განსაკუთრებულობა შესძინა, ეტიკეტების ფრანგულ ენაზე დაბეჭდვა

გახლდათ. ამან შანსი მომცა, ლონდონის მართლაც ძვირადღირებული დანესებულებანი მომემარაგებინა. ბოლოს და ბოლოს, "ტერანი დე ლაპილ ალ აილი" უფრო დახვეწილად შელერდა, ვიდრე "კურდელი ნივრით". შავი, ორნამენტული შრიფტით მშვენიერი ეტიკეტები დავაბეჭდინე.

მიუხედავად იმისა, რომ სამზარეულოში მარტო ვმუშაობ, საკმაოდ მოვიკეთე და ბედსაც არ ვუჩივი. ჩემს პროდუქტს მთელი ბრიტანეთის გასტრონომებსა და რესტორნებს ვაბარებ. რაც შეეხება საფრანგეთს, იქ მხოლოდ ერთ რესტორანს ვამარაგებ. ნანარმმა, ხარისხის შესამოწმებლად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტესტიც გაიარა. გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩემი ერთადერთი ჩავარდნა, იხვის ხორცისგან მომზადებული პასტილა გახლდათ, რომელშიც კატის საჭმელი არც კი გამომიყენებია.

ამჟამად ევროპის გარშემო ხშირად მინევს მოგზაურობა. თან კატის საუკეთესო კონსერვებს დავეძებ ლამაზი ეტიკეტებით. ყოფილი ცოლიც ხშირად თან მახლავს, რომელიც ნარმატების მიღწევის შემდეგ მაშინვე დამიბრუნდა. ეტიკეტების მოძრობაში ისიც გავეწვრთენი და ჩემს მარჯვენა ხელად ვაქციე. ღვიძლის მომზადების მეთოდი, მაგალითად, მთლიანად მას ეკუთვნის. მწვანილების მოშენებაც თავად იკისრა.

ახლახან ორი წერილი მივიღე, რომელთაც ძალზე გამახიარულეს. ერთი მათგანი ბათიდან იყო - ქალი ინერებოდა, რომ ხორცისგან მომზადებული ჩემი კერძი "მართლაც ღვთაებრივია" და თურმე მისი სპარსული ჯიშის ფისუნაც შესანიშნავად მიირთმევს. მეორე წერილს კაცი მწერდა, რომელიც ჩემი კონსერვების ეტიკეტებს აგროვებდა და მთხვავდა, მისთვის ადრინდელი თუ ახლანდელი ეტიკეტების ასლები გამეზავნა. მე კი შემდეგი მივწერე:

ძვირფასო სერ,

ჩვენი მენეჯერის სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის და გარწმუნებთ რომ თქვენმა წერილმა ძლიერ დაგვაინტერესა.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ მისთვის აღარც მიმინერია და არც ეტიკეტები გამიზავნია. სინდისი სულ არ მანუხებს. კატის საკვებისგან რალაც უკეთესის დამზადება საკმაოდ ადვილია, მაგრამ ჩემი საჭმლის ასობით დაგროვილი ქილისგან ნეტა რისი გაკეთება შეიძლება? ამ ამბავმა მთელი წყება ახალი დიზაინის ეტიკეტები დამაბეჭდინა მეორე მხარეს შეჯიბრების დეტალების აღწერით.

ინგლისურიდან თარგმნა ნანა პირაშვილი



„არილის“ დღევანდელი ნომერი ავსტრიულ ლიტერატურას ეძღვნება. წარმოგიდგინთ ავსტრიული ლიტერატურის კლასიკოსის, ნიკოლაუს ლენაუს დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს. ასევე, თანამედროვე ავსტრიული პროზის სამი თვალსაჩინო წარმომადგენლის, სამი ქალბატონის ელფრიდე იელინეკის, მარლენე შტრერუეციისა და მარიანე გრუბერის ნაწარმოებებს.

სანდრო მოსტოლი

ლენაუ, პოეზიის შოპენი
შტაფან ცვაიგი

ნიკოლაუს ლენაუ ყველამ იცის, რომ თავის დროზე ცნობილი პოეტი იყო, ზოგიერთები ერთ ლექსსაც განსვენებენ, ვინმემ შეიძლება მისი ცხოვრების ამბავიც იცოდეს. არადა, პოეტ ლენაუს შესახებ ცოდნა ნამდვილად ღირს, ის სულ მარტივად შეიძლება ჩვენი თანამედროვეც ყოფილიყო: სულიერად გაორებული, საკუთარი თავის რწმენას მოკლებული, სულ გასაქცევის მაძიებელი...

ლენაუ ნიკოლაუს ფრანც ნიმბშ ფონ შტერლენაუს ლიტერატურული სახელია. დაიბადა 1802 წლის 13 აგვისტოს ტამესვართან, პატარა სოფელში, რომელშიც გერმანელები ცხოვრობდნენ და რომელიც იმხანად უნგრეთს ეკუთვნოდა, დღეს კი რუმინეთის ტერიტორიაზეა და ლენაუჰაიმი ჰქვია.

მამამისი ავსტრიელი ოფიცერი იყო, „ლამაზი ნიმბში“. უნგრელი ტერეზა მაიგრუბერი, პოეტის დედა, დაორსულდა და ნიმბშს მისი ცოლად შერთვა მოუწია. ეს ქალბატონი ერთობ უცნაური არსება გახლდათ, უშუალო და დეპრესიული, და ეს ავადმყოფური დეპრესიულობა მემკვიდრეობით თავის ვაჟსაც გადასცა. მამისაგან კი ნიკოლაუსს მოგზაურობის სიყვარული, უსამართლობის მწარე განცდა და თავგადასავლის მაძიებლის ყველა სხვა თითქოსდა მიმზიდველი, სინამდვილეში კი მძიმე თვისება ხვდა წილად. მართალია, მამისაგან სილამაზეც გადაეცა და ქალების სიყვარულიც.


მაშინ, როცა პატარა ნიკოლაუსი ოფენში ლათინურ-გერმანულ სკოლაში სწავლობდა - ითვლებოდა, რომ ოჯახი აქ მამის სამკურნალოდ გადასახლდა, თუმცა ის ისევ ძველებურად დაიარებოდა ვენის საროსკიპოებსა და სამორინებში - „ლამაზი ნიმბში“ მოულოდნელად გარდაიცვალა და დედა მეორედ გათხოვდა, ვითომდა „პატარა ნიკისა“ და მისი ორი დის მომავლის უზრუნველსაყოფად. გაუნონანსორებელი ტერეზას ანგარიშმა არ გამართლა - უცებ შექმნილი ოჯახი უცებვე დაინგრა და ტერეზასა და მის შვილებს სასაფლაოსთან, ყოფილ საცხედრეში მოუწიათ ცხოვრება. დედა კერავდა და ამით გაჰქონდათ თავი, სანამ კიბომ არ გადაიყოლა, ნიკოლაუსი კი ავსტრიელმა ბებია და ბაბუამ ვენასთან ახლოს გადაიყვანეს საცხოვრებლად. ნიკოლაუსი ბოლომდე აღმერთებდა დედას, რომელიც მის ცხოვრებაში პირველი „საბედისწერო ქალი“ აღმოჩნდა.

სიღარიბესა და ბედარულ ხალხში გაზრდილ ბიჭს უკვე გამოუვლინდა დამლუპველი მელანქოლიის ჩანასახები. მისი რელიგიურობა ექსტაზამდე მიდიოდა, ამავე დროს „მუსიკის ვნებით“ იყო შეპყრობილი - ცნობილია, რომ ვიოლინოზე არაჩვეულებრივად უკრავდა და ვენაში უფროს იოჰან შტრაუსთანაც ჰქონდა ურთიერთობა...

ნიკოლაუსი სტუდენტი გახდა. ის სწავლობდა ფილოსოფიას, იურისპრუდენციას, მედიცინას - არცერთი ამ

მელანქოლიური, სევდიანი, ტანჯული

ნიკოლაუს ლენაუ - 200



მეცნიერებათაგანი მისთვის პურის ფულის მომტანიც კი არ იყო - ლენაუ თავისუფალი ხელოვანის ცხოვრებას ეწეოდა. სწორედ იმხანად დაიწყო ლექსებისა და ბალადების წერა და 30-ს მიტანებულმა, ბებიის მიერ ანდერძით დატოვებული პატარა თანხით ხელში, შტუტგარტისკენ გასწია.

შტუტგარტი პოეტისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ქალაქი აღმოჩნდა. აქ მან თავისი მომავალი გამომცემლები, კოტა და რუმი იპოვნა, პოეტები გაიცნო და იუსტინუს კერნერსა და გუსტავ შვაბს დაუშვებობდა. სწორედ მაშინ უწოდა მას კოტამ „ლამაზი კაცი ცეცხლოვანი თვლებითა და დიდგვაროვანის ქცევით“.

მაგრამ ვერც მეგობრებმა, ვერც წარმატებამ და ვერც სიყვარულმა შეძლეს ლენაუს შეჩერება - „ჭეშმარიტი თავისუფლების“ საძიებლად მან ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა და 1832 წელს თავის მსახურთან,

ფილიპ ჰუბერთან ერთად გაემგზავრა კიდეც. იქ, ისევე, როგორც ყველგან, იმედის გაცრეუბა ელოდა: საოცნებო მხარე საშინელებად მოეცლინა, ვერც იქაური ცხოვრების წესი აიტანა და ვერც იქაურების დაუოკებელი სწრაფვა წარმატებისკენ.

მართალია, გამდიდრება ლენაუსაც უნდოდა, თუნდაც იმისთვის, რომ ევროპაში ხელოვანს თავისუფალი არსებობა შექცეოდა. ამიტომ მან კროუფორდში 3000 გულდენად მიწა იყიდა, მეურნეობა თავის მსახურს, ჰუბერს მიანდო და მენილევ გაიჩინა, ვითომდა საქმის გასაიოლებლად. ცხადია, მენილემ გააკოტრა და მხოლოდ მისი და ჰუბერის სიკვდილის შემდეგ, 1847 წელს აღდგა ლენაუს საკუთრების უფლება, რომელიც მას იმხანად აღარას რგებდა, რადგან უკვე სამი წელი ფსიქიატრიულ კლინიკაში იყო დამწყვედელი.


მაგრამ ეს მერე იყო. მანამდე, 1833 წლის აპრილში, ნიკოლაუს ლენაუმ ზურგი აქცია ამერიკის კონტინენტს და კვლავ ევროპაში დაბრუნდა, სადაც უკვე პოპულარული გამხდარიყო მისი "პოლონური ლექსები". ის ყვებოდა, რომ უსიერი ტყეები და ნიაგარას ჩანჩქერი ნახა, ათასგვარი თავგადასავალი გადახდა...

კოტამ მეზღვაურთა და მოგზაურთა ლექსები და ჩანახატები გამოსცა, ლენაუ იმხანად საუკეთესო "მორგენბლათის" ("დილის ფურცლის") თანამშრომელი გახდა და მის სახელს უკვე შტუტგარტის გარეთაც იცნობდნენ. მართალია, მისი ეპიკური ნაწარმოებები, "ფაუსტი", "სავონაროლა", "დონ ჟუანი" მაინცდამაინც პოპულარული არ ყოფილა - 1835 წელს დაბეჭდილი "ფაუსტის" პესიმისტურმა სულმა, თავად ლენაუზეც დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა.

იმხანად მისი ფსიქიური ავადმყოფობა უკვე თვალშისაცემი გახდა. მაგრამ რაც უფრო მძიმდებოდა ლენაუ როგორც ადამიანი, მით უფრო ნათელი და ბრწყინვალე ხდებოდა მისი შემოქმედება. ამის დასტურია "გედის სიმ-



კოტამ ლენაუს მკვლევართა მეორე ნაწილი კი პოეტის ავადმყოფობას იმას აბრალებს, ეწეოდა, სვამდა და ღამ-ღამობით მუშაობდაო, მაგრამ ძირითად მიზეზად მაინც ყოველთვის ქალებს ასახელებენ, მის უბედურ სიყვარულს. გადავხედოთ მისი ცხოვრების ქალებს - ნიკოლაუს ლენაუს მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი და ბედნიერი სიყვარული არასოდეს ღირსებია.



ენაუს ლენაუს

ღერა", კრებული - "მოგზაურის სიმღერები", რომლებიც მთაში სიარულით შთაგონებულმა, უკვე მარტოხელა და სნეულმა პოეტმა დაწერა.

ორი საუკუნის განმავლობაში, ცხადია, ლენაუს ცხოვრებას და შემოქმედებას უამრავი ინტერპრეტატორი გამოუჩნდა. ძირითადი შთაგონების წყარო მათთვის პოეტის სულიერი ავადმყოფობა აღმოჩნდა. ჩვენც ვცვდებით, ორი ძირითადი ვერსია გაგაცნოთ.

ერთ-ერთი, ამჟამად უკვე ნაკლებად პოპულარული ვერსია ის გახლავთ, რომ პოეტი თავისი პოეზიით პოლიტიკური და იდეური თავისუფლებისთვის იბრძოდა.

ვენაში, თავად მეტერნიხის ქალაქში, კრიტიკულად განწყობილი ხალხი სასტიკად იდევნებოდა, და ლენაუ, პატიმრობის საფრთხის მიუხედავად, ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც უსამართლობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. მის შემოქმედებაში აირეკლა მისი ოცნება და ფიქრი იდეური თავისუფლების, სამართლიანი საზოგადოების შესახებ: პასტორალურ ლექსებსა თუ უშუალოდ პოლიტიკური ხასიათის პოეზიაში მას მეტერნიხსა და მის ჯაშუშებზე, "ფრთხილ" ლიტერატორებსა და კლერიკალებზე მიაქვს იერიში.

ამგვარი ქმედებით, ცხადია, პოეტი ძალაუფლების მპყრობელთა კეთილგანწყობას ვერ დაიმსახურებდა. თავისუფლების მეხოტბე ნიკოლაუს ლენაუს თავისი მონოდებები საკმაოდ ძვირად დაუჯდა: ავსტრიაში ლექსების გამოქვეყნების უფლება არ ჰქონდა და, შესაბამისად, თავის სამშობლოში თითქმის უცნობი იყო. იქნებოდა მელანქოლიური, აბა, რა...

ლენაუს მკვლევართა მეორე ნაწილი კი პოეტის ავადმყოფობას იმას აბრალებს, ეწეოდა, სვამდა და ღამ-ღამობით მუშაობდაო, მაგრამ ძირითად მიზეზად მაინც ყოველთვის ქალებს ასახელებენ, მის უბედურ სიყვარულს. გადავხედოთ მისი ცხოვრების ქალებს - ნიკოლაუს ლენაუს მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი და ბედნიერი სიყვარული არასოდეს ღირსებია.

21 წლისა იყო ნიკოლაუსი, როცა "ერთი თავნება ვენელი გოგო", ბერტა ჰაუერი შეუყვარდა. ვნებათა ღელვა სამი წელი გაგრძელდა, ბერტას ბავშვი გაუჩნდა, მაგ-

რამ საქმე ქორწინებამდე არ მივიდა - ნიკოლაუსის დედა სასტიკი წინააღმდეგი იყო "მდაბიო გოგოსთან" დანათესავებისა. მან თავისი ვაჟი დაარწმუნა, რომ ბერტას შვილი მისი არ იყო. მაშინ ლენაუმ პირველად და, სამწუხაროდ, არა უკანასკნელად, უკან დაიხია. ქორწილი ჩამალა.

მეორე სიყვარული ლოტე გმელინი იყო, ლენაუს მეგობრის, გუსტავ შვაბის დისწული. ნიკოლაუსი მას შტუტგარტში, მდინარის პირას შეხვდა. რომანტიკული ისტორია იყო - ერთად სეირნობდნენ, გოგონა მისთვის უკრავდა და მღეროდა... ის-ის იყო, საქორწილო ზარებს ჩამოკრეს, და ლენაუ ჰაიდელბერგში გაიპარა.

1833 წელს ნიკოლაუსს, თანამედროვეთა თქმით, ცოდვებმა უწია: ფინანსისტმა მაქს ფონ ლოვენტალმა, რომელსაც თავადაც ლიტერატურული ამბიციები ჰქონდა, იმხანად ცნობილი ლენაუ თავისთან მიიწვია. ასე გაიცნო პოეტმა მისი მეუღლე, სოფია ფონ ლოვენტალი, რომელიც ლამაზი და ერთობ ამპარტავანი ქალბატონი ბრძანდებოდა, და ასე დაიწყო მისი დიდი პლატონური სიყვარული. საყვარელი ქალის ოჯახური ცხოვრების მოწმე ნიკოლაუსს მაინც მიაჩნდა, ქალს ვუყვარვარო, არადა, ვენის მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ მანდილოსანს, სოფიას, ლენაუ მხოლოდ ახალ სამკაულად მიაჩნდა და სულ არ უნდოდა მისი დაკარგვა. ლენაუ ვერ ხვდებოდა, რომ მისი სიყვარულის გამო ლოვენტალის ქალი არასოდეს დათმობდა თავის მდგომარეობას, თამაშისთვის კი ყოველთვის მზად იყო.

პოეტის ტანჯვა თერთმეტი წელი გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ის ორჯერ ეცადა, თავი დაეღწია ვენისგან, ახალი სიყვარული ეპოვა და დაქორწინებულიყო. სოფია ორივეჯერ ჩაერია, თან ამბობდა, რომ თავისი ნიკოლაუსისთვის მხოლოდ საუკეთესო ემეტებოდა. ამბავი კი ასეთი იყო:

1839 წლის ზაფხულში ლენაუმ ვენაში ცნობილი მომღერალი, კაროლინა უნგერი გაიცნო. ეს ამბავი სოფიას უმალვე მოახსენეს. სოფიამ პოეტს მისწერა, რომ ავად გახდა და მასთან ჩასულს აუხსნა, რა ჯოჯოხეთი იქნებოდა მდიდარი პრიმადონასა და ლატაკი პოეტის კავშირი. ლენაუმ კაროლინასთან ურთიერთობა განწყვიტა და სოფიას პატიება სთხოვა, "რომ ერთხელ გაგიჟდა და ეგონა, რომ მის გარეშე ბედნიერი იქნებოდა".

თავის დახსნის მეორე მცდელობა ლენაუს ხუთი წლის შემდეგ ჰქონდა, ბადენ-ბადენში. სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელმაც მისი ყურადღება უმალვე მიიპყრო, მაინის ფრანკფურტის გარდაცვლილი მერის ასული, მარი ბერენდსი აღმოჩნდა. ლენაუს იმედი მიეცა, რომ ახლა მაინც ეღირსებოდა ნამდვილ ბედნიერებას, მაგრამ კვლავ შეცდა - სოფიას ამჟამად სხვა არგუმენტი ჰქონდა - მარი მეტისმეტად ღარიბი ყოფილა, სიღატაკე კი, როგორც ცნობილია, ბედნიერებას არანაირად არ უწყობს ხელს...

ერთხელ, მეგობრებთან საუზმის დროს, ნიკოლაუსმა საშინელი ტკივილი იგრძნო. ასე დაიწყო მისი აღსასრული: სახის კუნთების დამბლა უკურნებელი ავადმყოფობის პირველი სიმპტომი იყო. ცხოვრების დარჩენილი წლები პოეტმა ფსიქიატრიულ კლინიკებში გაატარა და 1850 წელს, ვენის მახლობლად, საეკუთეში დაღია სული.

მის სანახავად ხშირად დადიოდა ხოლმე მარი ბერენდსი, რომელიც აღარასოდეს გათხოვილა.



ნიკოლას ლენაუ

უკაცყოფილება

იმედი, ეს ავი გოგო,
მხოლოდ წამით შელაქუცა,
ყმაწვილკაცი არ დამზოგა,
გამქურდა და მიმტრო ურცხვად.

ჩაიარა; მაგრამ მაშინ -
ტყვილმა გული რომ დაფლითა,
საყვარელი მოკვალ ბავშვი,
ცხოვრებასთან აწ ვარ ქვითად.

მიწა მყარი როდი არის,
კარავია არამდგრადი.
ჩვენ კი, მისი ბინადარნი
- მადლობა ღმერთს! - მოკლე ვადით.

აზრი არ აქვს ფიქრს და ლოდინს,
ამ კარავში დაფუნებას;
ქარიშხალო, რისხვად მოდი
და აქციე ნაკუწებად!

ჰოლტის საფლავზე

გესმის? მოსულა გაზაფხული, შენი ძმობილი!
მოთქვამს, აწყდება აქეთ-იქით, გეძებს წყალდაწყალ;
მაგრამ ამაოდ! ძახილი მისი იქვე ინთქმება
ეულ ჩრდილებში!
აღარასოდეს აჟღერდება მის შესახვედრად
სიმღერა შენი მშვენიერი ნაზი სულისა,
ვერ გაგახარებს პირველი ია, ვეღარც პირველი
ღულუნი მტრედთა!

ჩაიკეცება ის მწუხარად საფლავის ბორცვზე,
ჩაეხუტება ნახვის ნატვრით: "ჩემი მგოსანი
მოკვდაო!" ასე აღმოხდება და მისი სუნთქვა



სოფია ლოვენტალისადმი მიძღვნილი ჩანაწერები

ნიკოლაუს ლენაუს დღიურიდან



სოფია ლოვენტალი

26(27) ოქტომბერი, 1838 წ.

სალამო კირლინგში

ჩემს ირგვლივ საოცარი სიმშვიდე გამეფებულიყო. თითქოს ჩემამდე შორეული წარსულის ხმებიც კი აღწევდაო - ფიქრები თიქთ-იქით დავფხეტებოდი. გამახსენდა, ახლახან, ბასტაიზე ერთად როგორ დავსეირნობდით, შენ შენს მისწრაფებებზე მესაუბრებოდი. მაშინ შენმა ნათქვამმა საშინლად დამანაღვლიანა. გამოდის, ორმაგად უნდა ვიზრუნო ჩვენი სიყვარულის გაზაფხულზე, რომ ზაფხულის აღარ გვეშინოდეს. ვინ იცის, ეგებ ერთად ყოფნა გაგვიძინელდეს კიდევ და შენს გულში კვლავ ახალმა მისწრაფებებმა გაიღვიძოს?! უკანასკნელ ზაფხულს სომ ვცადეთ ცალ-ცალკე ყოფნა, მაშინ შენ შენი ლტოლვა, შენი სიმშვიდე, ვფიქრობ, გადაამონწმე კიდევ. ეგებ გადაიღალე? იქნებ აღარ გსურს იმ გზით სიარული, რომელზეც შეუძლებელია რაიმეს მიღწევა?! როგორც ჩანს, შენს თვალში ფასი დავკარგე, ჩემი აღარ გჯერა. ნეტავ ჩვენს სიყვარულს კიდევ აქვს მომავალი? ხშირად მებადება ასეთი შეკითხვა, მერე კი სევდა მიჰყრობს. მე შენმა ერთმა სიტყვამ, ერთმა მზერამაც კი შეიძლება გამანადგუროს და გამაცოფოს. მე სომ ჩვენი სიყვარული ჩემი ცხოვრების ყველაზე უწმინდეს, ნეტარ ნავსაყუდედღად მეგულეობდა ყოველთვის. მე ჩვენს სიყვარულს ამ სამყაროსულ ღვთიურ ტაძარში დავავანებინე, მაგრამ თუკი ამ სიყვარულში რაღაც ერთ წერტილსაც კი გაფერმკრთალებულს, ჩამკვდარს აღმოვჩენ, მაშინ ასე წვალებით აგებული ტაძრის დანგრევა მომიწევს.

ჩემი შენდამი გრძნობა უსაზღვროა. ო, სოფი, ნურასოდეს გახდები ჩემს მიმართ გულგრილი. მაგრამ, დაე მოხდეს, რაც მოსახდენია. ხელსაც არ გაგანძრევ გადასარჩენად. რაც ეს ეჭვი ჩასახლდა ჩემს სულში, ბოროტი ფიქრები მომეძალა და ტვინი ამერია. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ჩვენი სიყვარული უფრო მშვენიერი იყოს, ვიდრე ლამაზი სიმღერა, რომელსაც მუდამ, მობეზრებამდე შეგიძლია უსმინო. მე აქ, ამ სამყაროშივე მწაფია რაღაც მარადიულს ვეზიარო და მოვიპოვო, რადგან იქითა სამყარო აღარ არსებობს. არავითარ შემთხვევაში არ გვეპატიება შეცდომის დაშვება. თუ შენი კოცნა უსასრულო არ იქნა, მაშინ ჩემთვის კოცნას აღარცა აქვს ფასი. მათრახის გადაჭერა უფროა. ო, რატომ, რატომ შეიცვალე ასე!

22 ივნისი, 1840 წ.

ორშაბათი (ღამე) ისლინგანში

ამ ღამით კვლავ შემომიტია ძველმა ნაღველმა. ო, რა სავსეა ეს ღამე ტკივილითა და ლტოლვის, ისევე როგორც ჩემი გული. ვზივარ მარტო განცალკევებულ ოთ-

ახში და შენზე ფიქრი არ მასვენებს. გარეთ საღამოს ავდრის შემდეგ საშინელი ქაოსია. ყველაფერი ერთიმეორეში ირევა - კალიები, ბაყაყები, ქარი, ჩუმი წვიმა თუ მოშრიალე ფოთლები, შიგადაშიგ ულავს კიდევ. ო, ჩემო ბედნიერებავ! ჩემო სულო! რა შორს ხარ ახლა ჩემგან? შენ მუდამ ჩემს გვერდით იყავი და უნდა დარჩე კიდევ. თუკი ამ ტკივილს სიკვდილამდე მოვერევი, ალბათ მხოლოდ მაშინ მექნება უფლება ვთქვა: სიცოცხლე ორჯერ დავკარგე-მეთქი. მაგრამ ამ სევდის გადალახვა არც ისეთი იოლია. ახლა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ვარ. მე სამყარო მშვიდად, შინაურულად მოვიკვებე ჩემგან. გავექეცი ადამიანებს; სასაცილოა და ამავე დროს გულსატყეონი, მაგრამ ჩემი გული მათთვის სამუდამოდ ჩაკეტილია. არადა, შენ ბრალს მდებ, თითქოს ახალი ნაცნობები გამეჩინოს და შენ კი დაგშორდი. ეს ხომ აბსურდია. შენ ჩემი ცხოვრების მწვერვალი, უკვე ათათასჯერ გადაამონებული გული ხარ. მე მხოლოდ შენი მჯერა, შენ მიყვარხარ და მხოლოდ ეს სიყვარული შემაგრძნობინებს, რომ ცოცხალ ღვთაებას ვუყვარვარ. მე მხოლოდ შენ გეკუთვნი, მარტო შენი ვარ და ახლა, შენს სანოლთან ვიდრეკ მუხლს და ათასჯერ გიკოცნი მაგ ტკბილ თვალებს, რომელთაც არაერთხელ დასდენიათ ჩემს გამო ცრემლუბი. მე ახლა ორმაგად უბედური ვარ. ისედაც დაჭრილს, საყვედურის ეკალსაც მასობ. მე ენითაუწერელ ტკივილს განვიცდი.

12 თებერვალი, 1842 წ. შაბათი

თუ შენ ფიქრობ, რომ ჩემი შენდამი სიყვარული მოკვდავია, გამოდის, ჩემი შენდამი სიყვარული საერთოდ ჩამკვდარა და დასამარებულა. თუ ჩემი შენდამი სიყვარული ძვირფასი და ამალღებული აღარ იქნება, სჯობს მოკვდეს. გთხოვ, ნუ შეგეპარება ეჭვი. შენ ჩემს გულში კვლავინდებურად ცოცხლობ. თუკი ჩემში კიდევ ხარობს რაღაც, მხოლოდ შენ გეკუთვნის და ჩემს სულში რომც ჩაქრეს და დაჭკნეს ყველაფერი, უკანასკნელი სხივი მაინც შენ მოგეძღვნება. რატომ გგონია, თითქოს ჩაქრა ჩემი შენდამი სიყვარულის ნაპერწკალი, უბრალოდ, ზემოდან უამრავი ფერფლი აყრია, ესაა მხოლოდ. შეიძლება მე მთელი ჩემი არსებით სიმშვიდისა და განმარტოებისკენ მივიღტვი, მაგრამ საითაც არ უნდა დავიქცე, ჩემს იღუმალ მარტოობაში, შენ მაინც ჩემთან ხარ. ჩემო ძვირფასო სოფი, შენ ყველგან და ყოველთვის ჩემი ფიქრი ხარ. გთხოვ, ნურასოდეს შეგეპარება ჩემში ეჭვი.

გმარანულიდან მარტოხა კაია მირიანაშვილი





პარიანე გრუბერი

ახალგათენებულზე ქარი ისევ ამოვარდა. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან წამოუქროლა სოფელს. წინგადახრილი ტერეზა მაგიდას უჯდა და გამძვინვარებული ქარის ზუზუნს უსმენდა. ის კი ჯერ სახურავს შეეხეთქებოდა, კრამიტებს აახმაურებდა, სახლის წინ მდგარ ხეებს რკალად მოხრიდა, მერე სამხრეთისაკენ გაუტევედა, სადაც უკვე არავითარი წინააღმდეგობა აღარ ხვდებოდა და ასე ნავარდობდა; გაშლილი საძოვრები და დაბალ-დაბალი, უკვე ფოთოლშეყვითლებული ბუჩქები კი ხელს რაღას შეუშლიდა. უკან გაბრუნდებოდა და თან წაიღებდა ძალაში შესული ზაფხულის სურნელს, ამ ბუჩქებს რომ ასდიოდა...

წლეულს ქარები ადრე ამოვარდა, მაგრამ არ აგრილებულა. დათარეშობდნენ მთელ ქვეყანაზე და მას იქითაც. თითქოს კვალის არევა უნდათო, ისე გადაჰქონდათ ნაირ-ნაირი სურნელი და ხმა ერთი ადგილიდან მეორეზე. ყველაფერი მოუხელთებელი ჩანდა, სად რა ხდებოდა, ვერ გაიგებდი. ბალებში მსხალი მწიფდა, მდელოებზე თივა ხმებოდა. ტყეში კვირების მანძილზე ჩამოწოლილი გვალვის ხვატი დაგუბებულიყო.

ტერეზა ცოტა ხანს კიდევ იჯდა მოხრილი, მერე გასწორდა და, ჩვეულებისამებრ, თვალები გაახილა. არაფერი შეცვლილა, უკუნეთი სიბნელე არ გამქრალა. ძალლი მიუახლოვდა და სველი დრუნჩი ხელში ჩაუდო. აღარ მოისვენა, სანამ თავზე ხელის გადასმა არ დაიმსახურა. ამით ფრთაშესხმული, სასონარკვეთილი თავგანწირვით შეუდგა ხელის ლოკვას. თითქოს გრძნობდა, ქალს ის ყველაზე უფრო დილ-დილაობით რომ სჭირდებოდა. დილით, როცა სამყაროთა თანხვედრა ამოიწურებოდა და სხვა რამე იწყებოდა, ყველაზე უსიამო დრო იყო. დილა და ქარი ერთად. ყველანაირ საზომს ჰკარგავდი ქარის ხმაურში. ღამე, დღე, მთელი სამყარო თავში უმიზნოდ გიტრიალებდა, ბოლოს კი მარტო ჰაერის ზუზუნიღა გრჩებოდა და გაკრიალებულ მკვრივ ცას ხედავდი. წითელი მზე კი თავის შუქს არ პატრონობდა, უანგარიშოდ იშორებდა თავიდან.

აი, სწორედაც, ამის თქმა უნდოდა და მიხვდა: უპატრონო შუქი, უპატრონო სახლი, უპატრონო აღსასრული... წუხანდელი დაღლილობა ბოლქვებად ასდიოდა მთელი სხეულიდან, დანყებული ფეხის თითებიდან გულ-მკერდით გათავებული. უკან დარჩენილიყო წინა საღამო, უკიდევანო სიბრაზე, ტკივილი, გაბოროტება, განსაცვიფრებლად ცინცხალი, იმ წუთას ჩასახული ზიზღი, მასში ჯერ კიდევ შემორჩენილ ძალებს თავი რომ მოუყარა და ჰასც-

ცნობილი ავსტრიელი მწერალი ქალი მარია-ნე გრუბერი დაიბადა 1944 წელს. გაიზარდა ბურგერლანდში. სწავლობდა ფორტეპიანოს, ფსიქოლოგიასა და ბიოლოგიას. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ვენაში, არის რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. გამოქვეყნებული აქვს ორი რომანი და მოთხრობების რამდენიმე კრებული. არის ავსტრიული ლიტერატურის საზოგადოების პრეზიდენტი.

მეჭვავია ჩიტის სიკვდილი

ლერის წინააღმდეგ მიმართა. - თურმე მერე აღარაფერი გაუჭირდებოდა, ყველაფერზე ჰასცლერი იზრუნებდა - მთელი საღამო ასეთი აუტანელი მიეთ-მოეთი. თვითონაც არ ახსოვს, როგორ აღმოაჩნდა ხელში ჯოხი, როგორ უბიძგა ჰასცლერს კარებისაკენ, ძალლიც მიუსია, მერე კი უგონოდ დავარდა საწოლზე. რა კარგი რამეა ეს მოცახცახე, სანეტარო გრძნობა - სიბრაზე, ყველაფერს რომ გასცემ, მერე რა მოხდება, რაღას დაეძებ. ეს საქმე მოამთავრა, მაგრამ ჰასცლერს რა გააჩერებს, კიდევ მოვა. ტერეზა თავის გაფიჩხულ, მტკივან სახსრებს იხელდა. ამ ჰასცლერს ყველაფერი როგორ უნდა: სახლი, ბალი, ველი! ქუჩა უნდა გავიყვანოო, ვერ გაიგებ რისთვის... იმდენ ხანს ივლის, სანამ თავისას არ გაიტანს.

ესეც თავისებური აღსასრულია, - უკვე ხმამალა თქვა.

ძალლი გამოეპასუხა - ნკმუტუნს არ ჰგავდა, ყვეფასაც ვერ უწოდებდი. ექვსი საათი იქნებოდა. ცხვრები აბლავლდნენ. ტერეზა წამოდგა. ძალლიც მაშინვე მიჰყვა, ფეხზე აეკრო და პირსაბანისკენ წაუბიძგა. ჯამში აღარაფერი იყო. წყლის თასიც გამოცარიელებულიყო.

ფამოს, როგორ დაგვავიწყდა გუშინ წყლის მოტანა, წარმოთქვა ტერეზამ.

გარედან მეჭვავიას სიმღერა შემოდიოდა. ტერეზა კარებთან მივიდა, გამოალო და სმენით შეეცადა ჩიტის ადგილსამყოფელისთვის მიეგნო. საბალახო მინდორს ბალი-საგან ლობე გამოჰყოფდა. ლობესთან ტყემლის ხე იდგა და ჩიტის ხმაც იქიდან მოდიოდა. ჩიტს, ეტყობა, გზა აებნა, ან ჭკუაზე ვერ იყო. მას შემდეგ, რაც ნაკადულს კალაპოტი შეუცვალეს და სოფლის საძოვარზე მიუშვეს, ამ მხარეში მეჭვავია აღარ გამოჩენილა. ან კი სად უნდა ეცხოვრა?

სუნთქვაშეკრული აყურადებდა ჩიტის გალობას, მერე

გარეთ გავიდა. ისეთი კაშკაშა და ელვარე ნათელი იდგა, კანითაც კი თავისუფლად შეიგრძნო, მერე ლოყებმა და ხელებმაც გაიგეს. ქარმა სახეში შეაფეთა ყველაფერი და გარემოს სურათები მაშინვე თავში დაუტრიალდა. საოცრად მოსავლიანი ადგილი იყო. ყველაფერი ხარობდა, თამბაქოც კი. მარცვლეული აღებული იყო, ახლა კარტოფილის ჯერი მოსულიყო. მდელოებზე თივა შრებოდა, ტყეში ველური ნაბლი მწიფდა. წუთით გაინაბებოდი და გადამფრენი ფრინველების სულსწრაფი გუნდის შხუილს გაიგონებდი - ყველაფერი ეს მორჩა, წარსულს ჩაბარდა. ტერეზამ ხელი გაიშვირა. - ჯოხი, თქვა.

ჯოხი კარის გვერდით კი არ იყო აყუდებული, ჩვეულებებისამებრ, არამედ ლოგინის ქვეშ ეგდო. ძალღმა ნკმუტუნ-ნკმუტუნით გამოაძვინა. ტერეზა დაელოდა, სანამ მიუტანდა, მერე კი ჭისაკენ გზას სინჯვა-სინჯვით დაადგა. ცხვრები ლობურას მიანყდნენ. სექტემბერში, ან სულაც ამ თვის ბოლოსთვის არც ერთი აღარ დარჩებოდა, ყველა გაიბნეოდა. მარტო ძალღმა დარჩება, ერთად იქნებიან. ჭასთან ჯოხი ძალღს ჩააბარა, თვითონ კი ჯაჭვზე გამობმულ ჭურჭელს ნელ-ნელა უშვებდა, სანამ დგაფუნის ხმა არ გაიგონა. ჯაჭვი უკვე გასრულებულიყო, ჭურჭელი კი, ზევით რომ ამოიტანა, ნახევრად სავესე თუ იქნებოდა. სახლში შებრუნდა, ქურაზე მრეში ფერის სპილენძის ქვაბი ედგა. წყალი მასში გადაცალა და კვლავ გარეთ გავიდა. მეორე მიტანაზე სამზარეულოს კარადის გვერდით მდგომი ვარცლი გაავსო. მერე ცეცხლი დაანთო. შეშა საკმარისად ჰქონდა, გაზეთებიც. უნგერი კვირაში ერთხელ დადიოდა, დაბარებული საყიდლები მოჰქონდა და რალაც-რალაც საქმეებსაც უგვარებდა. თუმცა ტერეზა, თავის მხრივ, არაფერს თხოვდა.

როგორ ჩვენებურად, თავისებურად შევაბერდით ერთმანეთს, გაიფიქრა ტერეზამ. მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე ცხოვრობდით, ან იქნებ მაგიტომაც.

საწოლთან მივიდა და სასათუმალთან ფიცარი მოსინჯა. სახლში მარტო ეს ერთი ოთახი იყო. შუაში მაგიდა იდგა. მარჯვნივ - ქურა, გვერდით კი პირსაბანი. მარცხნივ ჩამოფარებული ფარდა ლოგინს დანარჩენი ოთახისგან გამოყოფდა. სახლს სულ ერთი ფანჯარა ჰქონდა - კარების მარჯვნივ და დასავლეთს გაჰყურებდა. საწოლის თავზე დამაგრებული ფიცარი ტერეზას კალენდარი იყო - სულ ზედა ჰორიზონტალური ჭდეები თვეებს აღნიშნავდა, ვერტიკალური - კვირებს, მომდევნო ჰორიზონტალური - დღეებს. ზედა მერვე ჭდეში ჩხირი იყო გარჭობილი, ისევე როგორც მესამე კვირის და მეოთხე დღის ჭდეებში. ტერეზამ ბოლო ჩხირი ერთით გადაანაცვლა.

პარასკევი, ცხრაშუბი აგვისტო, თქვა ხმამაღლა. დღეს უნგერი მოვა. ყავას დავლევთ.

ძალღმა თავი წამოსწია. ქალმა იგრძნო, როგორ უყურებდა ცხოველი. მოგვივდა? შეეკითხა. უნგერი რაიმე გემრიელს მოგიტანს.

წყალი აშიშინდა. ტერეზამ ჩვარი აიღო და ჩაიდანო ჩამოგდა. ძალღმაც მაშინვე წამოსტა და ქალი პირსაბანამდე მიაცილა.

კიდევ კაი ჭკუაზეა, თქვა ტერეზამ. ვინ დასწყევლა ეს პირსაბანი, ოცი წელი ერთ ადგილას იდგეო. შენც იცი, ხომ? არა, შენ რა გემასსოვრება. შენ მერე გამოჩნდი.

ჩაიდანო ისევე ქურაზე დადგა. პირსაბანთან მივიდა, ცივი წყალი ჩაიმატა. ძალღმის ერთ ნაბიჯზეც კი არ სცილდებოდა. უკვე თორმეტი წელია ერთად არიან. პირველად რომ ნახა, ერთი ქეციანი უჯიშო რამე იყო, ბატკანს უპირებდა დაგლეჯას, მაგრამ ქალმა გაუგო და გამოუვარდა. ჯერ ჯოხით სცემა, მერე ქვები დაუშინა. ერ-

თი შიგ ყურში მოახვედრა. მაშინ ქალისთვის სამყარო ჯერ კიდევ მოძრავი ჩრდილები იყო, ნათელი და ბნელი ჩრდილები. მერე ძალღმის ნკმუტუნის გაიგონა და მეტად ქვა აღარ უსვრია, თუმცა ხელში ეჭრა გამზადებული.

ტერეზა დაიხარა, ძალღს ყურებს შუა მოფხანა. სულში ღამეული ბალის ხილვა ედგა. როგორ სასონარკვეთით იბრძოდა ცხოველი, საკვები რომ ეშოვნა. რალაც აუცილებლად უნდა ეჭამა, თავი გადაერჩინა. ამ ბრძოლის სანაცვლოდ, მისი ხელით გასროლილი ქვა მოხვდა.

ერთ მხარეს ქვა იყო, მეორე მხარეს - შიმშილი. თუმცა არა, გაიფიქრა ტერეზამ, ქვა და შიმშილი რამ გაჰყო.

პირი დაიბანა, ჩაიცვა და მაგიდას მიუჯდა. რვა საათი გამზდარიყო. უკვე დიდი დრო სჭირდებოდა ხოლმე, სანამ ყველაფერს თავს მოაბამდა. ხშირად კი ისეთ ხასიათზე დგებოდა, უნდოდა დრო უბრალოდ თავის დინებაზე მიეშვა, მაგრამ ძალღმის არ ანებებდა. ახლაც მის წინ დასკუბებულიყო და რალა დარჩენოდა, ტილებისგან უნდა გაეხილა. ბლანში ხანდახან ტკიპასაც უშოვნინდა ხოლმე. იმდენ ხანს ატრიალებდა ხელში სისხლისაგან გატკიპინებულ სხეულს, სანამ მთლიანად არ მოაშორებდა. წესი უნდა გცოდნოდა. თუ ზედმეტად მოინდომებდი, თავი სხეულს მოშორდებოდა და ნესტარი კანში უფრო ღრმად ჩაესობოდა. რამდენიმე დღეში კი შეიძლება კიდევ დაჩირქებოდა.

ეს პატარა პარაზიტები, გაიფიქრა ტერეზამ. თუმცა პატარებისგან კიდევ დაიცავ თავს, დიდებს ვერ მოუხერხებ ვერაფერს...

კვლავ ჰასცლერი მოაგონდა. ყველაფერი კი წამოაძახა, რაც იცოდა. მუშები რომ მოატყუა, დედამისი რომ კინალამ მოკლა...

1945 წელი იდგა. არც ექიმი იყო და წამალიც არსად იშოვებოდა. გოლიათი ბავშვი იყო, თითქმის ხუთი კილო, მოზვერივით თავი ჰქონდა. სული ვერ მოითქვა, არც დაუყვირია. თავით კი დედამისი ისე დაგლიჯა, ტერეზას აღრე ასეთი რამე არც უნახავს, არც გაუგონია.

თან ეს მოხუცი ჰასცლერიც წარმოიდგინეთ, ყელგამონეული რომ შესთხოვდა, ჩემი ცოლ-შვილის სიცოცხლე შენს ხელთაა და გადამირჩინეო. დიდი ხანია იმ აზრს შეგუებოდა, უშვილძიროდ გადავეგეო და აი, ვაჟი შეიქმნა. ნაგვიანევი შვილი, ახდენილი ოცნება... ტერეზამ ჩვილი ფეხებით დაჰკიდა, საჩვენებელი თითი ხახაში ღრმად ჩაუყო, მახრჩობელა ლორწო ამოუღო, კონტრასტული აბაზანებიც უკეთა, იქნებ როგორმე გული ავუშუშავო. თან დედამისის სისხლმდენ ჭრილობას თვალს ვერ აცილებდა. ირგვლივ ყოველივე სისხლით და უღონობით გაჟღენთილიყო და ოფლის სუნად ყარდა. ბოლოს ყველაფერი მოგვარდა - ჩვილმაც დაიყვირა და სისხლდენაც შეწყდა. სამაგიეროდ, ტემპერატურამ აინია. მოხუცი ჰასცლერი კი, რუსების შიშით, სახლიდან ცხვირს ვერ ჰყოფდა.

დილაადრიან გაუდგა გზას ტერეზა. ზურგზე ნახევარი ლორის ლორი ჰქონდა მოკიდებული. ინგლისელებთან მიდიოდა. ახალი ჯადოსნური წამალი უნდოდა - პენიცილინი. ერთი დღე და ღამე იარა. ინგლისელებს სიტყვაც კი ვერ გააგებინა. ერთ-ერთს სცოდნია გერმანული, მაგრამ იმყამად იქ არ იყო. თავისი დაფლეთილი დიპლომი ჰქონდა თან, მის ბენიპაქლობას რომ ადასტურებდა. ყველას უჩვენებდა. ბოლოს და ბოლოს ოფიცერთან მოხვდა. ოფიცერთმა დიპლომზე თარღის დახედა - 1928 წელი. ქვეყანა - ავსტრია. სვასტიკა არ ეხატა. სიტყვა "პენიცილინიც" გაიგო. ბევრი იცინა, ტერეზამ ფაშისტი რომ უძახა. ამდენი ხანია საბუთს აქეთ-იქით ატრიალებ

და არაფრით მხმარებიო. ტერეზას ზურგზე მოგდებულმა ლორმაც ძალიან გაამხიარულა. ჯარისკაცებიც მოვიდნენ და სიცილში უფროსს აუბეს მხარი. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ტერეზას პენიცილინი მისცეს და გამოუშვეს.

მაშინდელი ბავშვი კი, დღესდღეობით, ბურგერმის-ტერი ბრძანდებოდა. ღვთის პირიდან გადავარდნილი ყმანვილი დადგა. დედამისი ცოცხალი აღარ იყო. მოხუც შასტლერს კი ბოსლის გვერდით, პატარა საკანში აცხოვრებდა. სანყალ კაცს მთელი ღამე ცხოველების ქშენა და ფრუტუნის არ აძინებდა. ხან ყვიროდა, ხან თავის თავს ელაპარაკებოდა.

მეჭვავია დადუმდა. მზე, ალბათ, უკვე შუბის ტარზე იყო. ეკლესიის სამრეკლოს, ფერდობს, აკაცებს და თვით ბებერ ქადარსაც კი თავზე მოქცეოდა. ტერეზამ დილის ვერცხლისფერი სიკასკასე შეისუნთქა. ამ მინას რა ენაღვლებდა, არასოდეს არავინ ჰყვარებია. რაღაცნაირი ჩლუნგი გულგრილობა მეფობდა. ალბათ, ასევე შებოჩილი მოკვდებოდა, ვერასოდეს იგრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში. მართალია, რომ ჩამოეწერები, რაღა მნიშვნელობა აქვს, სად მოკვდები. მაგრამ აქ თვით ყველაზე უმნიშვნელო საგანსაც კი მისთვის ოდესღაც ნაცნობი და ახლობელი ფორმა ჰქონდა. ამიტომაც ვერ თმობდა, თუმცა მთელ გროვა ჭუჭყიან ქალაქის ფულს სთავაზობდნენ. ვიღაც უცნობს გადააბარეო. აქ კი ყველაფერი საოცრად მშვიდია, მოგონებებიც კი არ ხმაურობენ.

კი მაგრამ, ძალს მიმართავდა, ჩვენ სადღა ვიცხოვრებთ?

ძალი ანკმუტუნდა. ტერეზამ მისი თავი ხელებშუა მოიქცია. ცხოველი გრძნობდა, როგორ იტანჯებოდა ქალი. რაღაცას უკვე დაესერა მისთვის მუცელი, ახლა კი გულის წვერთან ჩასაფრებულიყო. ეს აშშორებული, უფრომო არარაობა ქალის გამოწვევას ელოდა. მერე კი ყრუ სიმბაგე, ახლა რომ წყნარად ფუთფუთებდა, თანდათან მოიმატებდა და გავრცელდებოდა, სანამ თავამდე არ ავიდოდა. მერე კი ყველაფერი დამთავრდებოდა - ქალი ნინალმდეგობას შეწყვეტდა. მესხიერება კი დარჩებოდა. უმწიობის განცდაც გატანჯავდა. მინის წართმევა უნდათ. ადრე თუ გვიან, მოახერხებენ კიდეც. რახან ნინალმდეგობას უწევს, ერთი შეუგნებელი ბებერია. მაგრამ რა ქნას, სხვაგვარად როგორ დაიცვას თავი.

უკვე ათი საათი გამხდარიყო. მაგიდაზე თავგელჩამოდებულ ტერეზას ჩასძინებოდა. გარეთ უკვე ისე დააჭირა მზემ, შუადღისას რომ იცის. მინდვრებს ჭანგები გამოსდო და წვენი გამოადინა. ტერეზას თითქოს ესმოდა, როგორ ხრამუნებდა გარეთ ჰაერი. ძალი მის ფეხებთან გართმულიყო. მეჭვავია კვლავ ამღერდა, მაგრამ სიმღერაში რაღაც დისონანსი შეეპარა. ბალის გავლით უნგერი მოდიოდა. მძიმე, ნელი ნაბიჯებით იცნო, ნელში გასწორდა და სახე მიაპყრო.

ვწუხვარ, რესკა, დამაგვიანდა, შემაყოფნეს, მოუბოდიშა კაცმა. გული ამოვარდნოდა. ნაყიდები მაგიდაზე დააღაგა და ჩამოჯდა. შვილები მომივიდნენ. ასეთ დროს, ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე.

ტერეზამ თვალეში მოჭუტა, თითქოს კარებიდან შემოვარდნილია მზის შუქმა დააბრმავაო. სწორედ დროულად მოხვედი. ახლახანს გამომეღვიძა.

კაცმა მოუთმენლად გაიქნია ხელი. ვიცი, მელოდებოდით.

ჰო, მაგრამ მეძინა.

უნგერმა ქუდი მოიხადა და იქვე სკამზე დადო.

მოიცა რა, ლოდინი მოსანყენია. სულელური რამეა.

იცოდა, შინაგანად რა მოძრავი და მოუთმენელი იყო ტერეზა. ეს მოუთმენლობა ფარად ჰქონდა აფარებული სიცოცხლესთან ჭიდილში. კაციც შეჩვეოდა და მოსწონდა კიდეც მისი დამოუკიდებლობა და სიამაყე. ფეხზე წამოდგა და კალათის ამოლაგებას შეუდგა. ყველა ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა და ადვილად ხელმისაწვდომი იყო.

ძალი? ძალი ხომ არ დაგვიწყნია?

ხბოს შიგნეული მოვუტანე, უპასუხა უნგერმა. უკვე დაჭრილი და გამზადებულია. კარის ძირიდან ძალის მათლაფა აიღო, ავესო და ტერეზას ხელში მიაწოდა, მან კი არ გამოართვა.

შენ თვითონ აჭამე.

უნგერმა მათლაფა იატაკზე დადგა, ძალსაც თავპატიყი აღარ გაუდგია. სიამოვნებისაგან სულ ფრუტუნის და ნკლაპუნის გაუდიოდა. ტერეზა ძალისკენ შებრუნდა. ძალს რაც გინდა ის უქენი, ხმას არ ამოიღებს. ოლონდ როცა ჭამს, მის ჯამს არ უნდა შეხვო. თან მარტო უნგერის და მის მონოდებულს მიითრმევდა.

მე რომ რამე დამემართოს, შენთან კი გაჩერდება, თქვა მოულოდნელად.

არა მგონია, ვინმესთან გაჩერდეს, საამისოდ უკვე ბებერია. ისაუბრე უკვე?

პასუხსაც არ დალოდებია, უნგერი ქურას ისე მიადგა და ყავისთვის წყალი დაადგა. მერე გარეთ გავიდა, ცხვრებს წყალს დავაღვივებო. სანყალე გობი მთლად ამომშრალიყო და სიცხისგან გახურებულიყო. ჯაჭვზე დაკიდული სათლი კი ჭაში წყლის ზედაპირს ძლივსღა სწვდებოდა. ნაფოტებში თოკის ნაგლეჯი იპოვა და ჯაჭვი დააგრძელა.

ცხოველებმა საკმარი წყალი დაიგულეს თუ არა, ბლავილს მორჩნენ. უნგერი სახლში შებრუნდა.

ასეთ სიცხეში ბევრი უნდა სვას კაცმა. ადრე პირიქით გვეუბნებოდნენ. მთელი ომის მანძილზე ამით გვანვალუბდნენ. ტერეზამ ხელი ამრეზით აიქნია. შენ და შენი ომი. კაცები, როგორც ჩანს, ვერასოდეს შეეშვებით ომზე ლაპარაკს.

დაიხაც, ვერ შევეშვები, იმიტომ, რომ ომი სინამდვილეში არასოდეს გათავებულა, თან ყოველთვის მძულდა. მეორე კიდეც უფრო მეტად, ვიდრე პირველი. უნგერი თან ყავას აყენებდა, ყვავილებით მოჩითული, ძველი ფინჯებიდან ორი ამოარჩია, ყავა ჩამოასხა და ერთ-ერთი ტერეზას დაუდგა წინ, თან გააფრთხილა, არ გადაისხაო. ძალს წყალი შეუვსო და თვითონაც დაჯდა. ტერეზამ ყავაში პური ჩაიფურჩხნა და კოვზი დაატრიალა. უნგერი კი დიდ-დიდი ყლუპებით სვამდა და ჰორიზონტს გასცქეროდა. სამხრეთში, სადაც სიცხისგან გათანგული ველები ადამიანური გონებისათვის დასახლებული სამყაროს ნაწილად აღარ აღიქმებოდა, სინათლის სხივები ფოთლებს სიმწვანეს სტაცებდა და ამახინჯებდა. ცალკეულ ხეთა ჩრდილები გაუვალ ჭანჭრობებს დამსგავსებოდა. ოხ-შვივარადენილ შორეთში კი მოგონებასავით გარინდებულიყო უკიდევანო პუსტას ველი, ირგვლივ ყოველივეს სიმკვრივე დაეკარგა, თვალისმომჭრელ ციმციმში იტალღებოდა და ინელებოდა.

თუ გესმის, როგორ ცხელა, უცერად იკითხა უნგერმა. სულ მაშინდელ აგვისტოს არ ჰგავს. ჰო, ჰგავს. მინას უკვე მუჭისსიმსხო ნაპრალები გაუწნდა, შუადღისას გარეთ ვერ გახვალ, არ არსებობს. ყელში ამოვივა კაცს, ისე ცხელა. მეჭვავია ჩიტიც კი გამოჩნდა.

ჩვენ გამოვიცვალეთ თორემ...

ალბათ ასე ჯობია კიდევ.

არა, არ ჯობია. ტერეზამ ყავის ჭიქა მკვეთრად გას-
ნია. ადრე მინა ჩვენ გვეკუთვნოდა. ახლა კი თავიდან
გვიშორებენ, გვეკლავენ მინის გულისთვის.

უნგერმა ძირს დაიხედა და იატაკის ფიცრების თვლას
მოჰყვა. არა მგონია, ასე იყოს. არ მინდა, ახლა თავიდან
მოვხუცდე. არა, ასაკის სანინალმდეგო კი არაფერი
მაქვს, მაგრამ თავიდან დაბერება აღარ მინდა. შენ? შენ
რაღას ფიქრობ?

ტერეზას შეეშინდა, თავი ასწია. ეს რატომ თქვა? ახ-
ალგაზრდა არცერთს აღარ ეთქმოდა, ვერაფერს გააწყობ-
დი. ადრე ყველაფერი სხვაგვარად იყო, ზუსტად ვერ
გეტყვის როგორ, რაღა მნიშვნელობა აქვს ახლა მის
გულგრილობასა თუ სილამაზეს. წარსული ჩავლილი, ან
თითქმის ჩავლილი ამბავია, კი არ მომკვდარა. ისეთი რა-
ღაცეებიც ახსოვდა, სირცხვილისგან წითლდებოდა ყოველ
გახსენებაზე. თუნდაც, ძალი ავიღოთ. სხვა სურათებიც
ირეოდა მის მეხსიერებაში. აი, კვირა დღეა, დედის ხელი
ჩაუბლუჯია და ეკლესიაში მიდის. ფეხთ, შალის წინდებ-
ზე, მდიდარი ნათესავის ნაჩუქარი ლაკის ნაკაუნები აც-
ვია, თავსაბური შვენის, თუმცა უპატივებელი სიღარიბის
სუნი მაინც ვერ მოუშორებია. ან ცაზე დაკვირვებით რომ
ცდილობ შენი ბედის ამოცნობას, ცა კი ხან მკრთალია,
ხან კი მოღრუბლული, ან ზედმეტად წითელი და მხი-
არულია. მერე ისეთ მზერასაც შეეფეთები, ოცნებებთან
არაფერი რომ არა აქვს საერთო, ადამიანებს გაიცნობ,
თანდათან სიბნელემომატებულ დღეებსაც შეეჩვევი. დი-
დად ლამაზი არც ბავშვობაში ყოფილა, არც ქალიშვი-
ლობასა და თუ ქალობაში, თუმცა თაყვანისმცემლების
სიმცირეს ვერ დაიჩივლებდა. წლების მანძილზე ბრიყუ-
ლი სიჯიუტით ამოდ ცდილობდა ის რაღაც მოეხელთე-
ბინა, რისთვისაც სიცოცხლე ღირდა. ხანდახან გინდა საგ-
ნებს მოშორდე, ადამიანებს შეუკურთხო - მაგრამ თვით
უდიდესი შევიწროებისასაც იმ შინაგან ხმას ვერც ჩაახ-
შობ და არც შეეღევი, თუმცა ამის სურვილი ზშირად
ჰქონია. რამდენ ჩვილს გაუვლია მის ხელში, იმ რაღაცა
შორეულ, უნებურ სიყვარულს რომ უცვლიდნენ. დაბერე-
ბულსახიანი, ვარდისფერი ჩვილები, უმწეოდ რომ ჩხაოდ-
ნენ და ფეხებს ასავსებდნენ. თავიდან ყველა ერთმანეთს
ჰგავდა, რამდენიმე დღეში კი კანი ეწმინდებოდათ, მთლი-
ანად განახლდებოდნენ ხოლმე და იმ ადამიანების სახე-
ებს სრულად შორდებოდნენ, ვისთანაც ერთად ცხოვ-
რობდნენ. რამდენიმე წელში კი სახეზე უკვე თავიანთი
ბედისწერა და გამზრდელთა თავგადასავალი ჰქონდათ
აღბეჭდილი. აქ უკვე ვერაფერს გააწყობდი, დახმარება
აღარ შეგეძლო.

არა, არც მე მინდა თავიდან მოვხუცდე. მარტო სიკე-
დილი მინდა.

უნგერს ერთიანად აენვა გულ-მუცელი. რესკა! მაგას
ნუ ამბობ.

ჰო, მაგრამ ბრძოლის თავი აღარა მაქვს.

სიცხის ბრალია ყველაფერი. რაღაცნაირად გფიტავს.
სიბერეა ყველაფერი. აღარაფერს ელოდები.

ერთი კარგი წვიმა მოგვნათლავდა, შხაპუნა წვიმა
გაგვავრილებდა და ასე აღარ იჭიკჭიკებდი.

ტერეზამ თვალები მოჭუტა და იმ ადგილს მიაცივდა,
სადაც წესით უნგერი უნდა მჯდარიყო. ალბათ, წინ გად-
მოსრილა, ფეხები გაუჩაჩხავს, იდაყვებით ბარძაყებს ეყრ-
დნობა. ბაც ცისფერ თვალეში ჯერ კიდევ ცხოვრობს,
ალბათ, ის პატარა ბიჭი, მისთვის ყოველთვის ერთადერთ
სასურველ მამაკაცად რომ ქცეულა და მიუხედავად იმი-
სა, რომ ცხოვრებას კარგად იცნობს, გაკვირვების უნარი



შერჩენია. ქალმა იცოდა, რარიგად ატკენდა გულს თავი-
სი განზრახვით, თუმცა სხვანაირად ვერ მოიქცეოდა -
დანდობის და ანგარიშის განევის დრო წასულიყო. ტყუ-
ილის თავიც აღარ ჰქონდა.

თავს ნულარ ვიტყუებთ, რაც გვინერია, იმაზე მეტხანს
ვერ ვიცოცხლებთ. უკვე რამდენი ხანია, ჩემი წუთისოფე-
ლი მოვჭამე, სინდისიც კარგი საქონელია.

ამასობაში მოშუადღევებულიყო. ქარსაც მოესამხრები-
ნა და ბალახებში მუხლმოკეცილი სულის მოთქმას ლა-
მობდა. ნიავეა მინდვრებიდან მნიფე ასკილის სურნელი
მოიტანა და მთელი ოთახი გააჯერა. ტრაქტორმაც ჩაი-
რახრახა. ჰედშას მინდვრებისაკენ მიიქაროდა. იქ რომ
ლორთქო ბალახია, ტყუილია, სხვაგან ვერსად ნახავ. იმ
ადგილებში მარტო ორ გლეხს ჰქონდა ნაკვეთი - ჰასც-
ლერს და ვებერს. ეს ის ვებერი იყო, გლეხები რომ მოქ-
რთამა და ყველანი დაარწმუნა, ბურგერმაისტერად ჰასც-
ლერი ავირჩიოთო. ყველას ახსოვს, ექვსი წლის წინ რო-
გორ დაძვრებოდა სახლებში, ფეხშიშველი, ბოსტან-ბოს-
ტან, არავის რომ არ დაენახა და სხვა კანდიდატებზე ათ-
ასგვარ სისულელეს ჰყეებოდა. თავდაპირველად მისი არ-
ავის სჯეროდა, თუმცა შხამიანი ისარი ბოლო-ბოლო მი-
ზანს მაინც აღწევდა. დილით ყველა შეიცხადებდა ხოლ-
მე, ბოსტანში, ახალჩამოყრილ თოვლზე ვებერის ნაკვა-
ლევს რომ შეამჩნევდნენ, თუმცა ბოლოს, შეთანხმებულ-
ვით, ერთხმად ჰასცლერს მისცეს ხმა. იმანაც შეიფერა და
არჩევნების შემდეგ სასტუმროში ყველანი დაპატიჟა. თან
ისე ყოყონობდა, კანში ველარ ეტეოდა.

ვებერს ახალი ტრაქტორი უყიდია, იკითხა ტერეზამ.
საიდან იცი?

სხვანაირი სუნი მომივიდა.

უნგერმა იატაკის ხვეტა დაიწყო. ცოცხს ღონივრად
უსმევდა. ჯერ ქურასთან მოასუფთავა, მერე მაგიდას-
თან. ტერეზამ ფეხები აიკეცა, ხელი რომ არ შეეშა-
ლა. ესმოდა, როგორ შეეჭრა კაცი ცოცხით სანოლის

ქვემ, ბოლოს ფესაფენების ბერტყვის ხმაც გაიგონა. მოეშვი რა, არ მომნონს, შენ რომ აკეთებ. ხომ უნდა გააკეთოს ვინმემ. არავინაც არ უნდა გააკეთოს. უნგერმა ქალს გახედა. ტერეზა კბილებით ქვედა ტუჩს აწვალავდა. დიახაც, უნდა გააკეთოს, დაიჩემა კაცმა. თან ფარდა გადასწია, საწოლი უცხო თვალს მოაჩინდა. ნეტავი ის გამაგებინა, ამ ლოგინს რაღას ერჩოდო. საშინელება ხდება?

ჰო, დაეთანხმა უნგერი. თან იმაზე ფიქრობდა, სანამ შემოდგომა მოსულა და წვიმები დაწყებულა, სახურავი უნდა შევაკეთოო. ლობეც დასაკემსია, თორემ ცხვრები გაძვრებიან და დაიფანტებიან. ძალღი ხომ ტერეზასაც და ცხვრებსაც ერთდროულად ვერ მოუვლის.

ხვალ ანიას გამოგიგზავნი. თეთრეულს გამოგიცვლის. შენი ლოგინი რაღაც ძალიან გაუბედურებულა.

ტერეზამ ტუჩი აიბზუა. სწორედაც. ზუსტი ნათქვამია. სწორედაც რომ გაუბედურებული ვარ. შინაგანად ვარ მთლიანად განადგურებული.

უნგერმა ცოცხი მონყევით მიაგდო ნაგვის ყუთს. რა მოხდა, რესკა, იკითხა.

არაფერიც არ მომხდარა. დილაობით ადრე ვდგები, წყალი მომაქვს, პირს ვიბან. შენ წარმოიდგინე, ამ ოხერ ლოგინსაც კი ვალაგებ ხოლმე, ხანდახან მაინც, მაგრამ არა იმიტომ, რომ რამედ მიღირს. არა, სულ ფეხებზე მკიდია. ესაა ყველაზე ცუდი.

ტყუილია. უნგერმა ხახვი დააქუცმაცა, წინაკა და პამიდორი კი ალყა-ალყა დაჭრა. ვიცი, როგორ გეამაყება, ყველაფერ ამას რომ ახერხებ. არის კიდევ საამაყო. უნგერმა ცხელ ტაფაზე ცხიმი ააშეშინა, ხახვი და წინაკა მოდლა, პამიდორი ჩაამატა, ბოლოს კი რამდენიმე კვერცხი ჩაახალა.

არაფრის ჭამა არ მინდა.

კარგი ახლა, დაუყვავა უნგერმა. თავიდანვე არ გესმოდა ჩემი, გაჯუტდა ტერეზა. მაინც უნდა ჭამო, დაუჩემა უნგერმა. სამადლობელიც არაფერია. კაცი ფეხზე წამომდგარიყო და ტერეზა გრძნობდა, როგორ დასჩერებოდა თავზე. შენ მარტო უარი არ თქვა და ყველაფერი კარგად იქნება, ვიცოცხლებო. ტაფა მაგიდაზე დადგა, პური მიიტანა, თევშები და დანა-ჩანგალიც დააწყო.

ესეც ასე, გაიფიქრა ტერეზამ. ეტყობა, ბოლოს ეს ბავშვური სიჯიუტე რჩება. გინდა რამე, თუ არ გინდა, ბოლო-ბოლო ეს ბავშვური სიჯიუტე გრჩება და რალა მნიშვნელობა აქვს.

რა ნაილე ტვინი შენი წყეული ოპტიმიზმით, მაინც თქვა. ადამიანს სიკვდილი მოუნდა და აღარ აცლი?

უნგერმა საინი მიუწია და ძალს შეხედა, რომელიც წამომჯდარიყო, ყურები აეცქვიტა და ისე უთვალთვალავდა. ტერეზა, შეიძლება, მართალიცაა, მაგრამ კაცს არ უნდოდა ამის აღიარება. მტკიცედ გადაწყვიტა, ბოლომდე, სანამ შეძლებდა, ასე ევლო და ვერ ეგუებოდა ქალის ნებით ამ დასასრულის მოახლოებას.

არა რა, არ შემიძლია. კიდევ ერთხელ მარტო ვერ დავრჩები. ჭამე, ძალიან გთხოვ.

ტერეზა მის ხმას სმენით მიყვებოდა. როგორი სიამოვნებით შეხედავდა ახლა სახეში, ან რამე მნიშვნელოვანს მოისმენდა მისგან. როგორ უმკლავდება ყოფიერების ამოცანას, მაგალითად, ასეთ დღეებში, როცა აღარც სიკვდილი გინდა და აღარც დაბერება. მაშინ, როცა ის ერთადერთი საშველიც არ მოგდის თავში, თან შენი თვალთუყურებ, როგორ გროვდება ყველაფერი, ის რომ არასდროს გიცხოვრია, ახალგაზრდა არასოდეს ყოფილხარ, ყოველთვის ყველაზე უკან რჩებოდი, სხვები რომ წინ მიდიოდნენ. სულ ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდი, შენთვის, მარტო... დასაბამიდან ასეთი მარტოსული და ყველას გამონყვეტილი იყავი. ყოველი ახალი ნასწავლი სიტყვა შენს უცხოობას უფრო აძლიერებდა. ნეტა თვითონ უნგერი თუ ხვდებოდა რამეს? თუ ვერაფერს გრძნობს, აბა როგორ მივიდა ამ ზომამდე, ასე როგორ გაუბედურდა? ხვდება, ალბათ, რაზეც ვფიქრობ. მასაც ტერეზასავით კარგად ესმოდა, ალბათ, ის ძრწოლა და ყველა ის სიგიჟე, ცხოვრებაში რომ ეჯახება ადამიანი, მას მერე, რაც თოთო ასაკიდან გამოვა. კაცი აშკარად იტანჯებოდა, ქალი რაღაცით ამუნათებდა. ეს ნამდვილად არ იყო მადლიერების გრძნობა, არა, სულ სხვა რამე იყო. რას გაცემ, როცა სიცოცხლის ხალისი დაკარგე, რალა შეგიძლია...

გუშინ სალამოს ჰასცლერი მობრძანდა, წარმოთქვა ქალმა, ხელშეკრულებაც მოიტანა.


უნგერი შეხტა. აი, თურმე რა მომხდარა. მერე? მერე რა ქენი, მოანერე ხელი?

არა. ძალღი მიეუსიე. რა? ეს ძალღი? ეს ძალღი მიუხიე? უნგერს გულზე მოეშვა, გაიციინა კიდევ. კარგია. უცბად თავი უკეთესად იგრძნო. ესეც ასე. მინგრეულ-მონგრეული საწოლის, დაულაგებელი ოთახის და დაძაბული სიჩუმის საიდუმლოც ამოიხსნა.

არ ვიცი, არ ვიცი, რამდენად ჭკვიანური იყო, თქვა ტერეზამ. ჰასცლერი ძალიან გაგვიანყენდა.

არაფერია, ცივი წყალი დალიოს.

ახლა, სამაგიეროდ, მინის ჩამორთმევის ნებართვით დაბრუნდება. არ იცი, რა ნაბიჭვრების ბანდაა შეკრული, ფულის სუნს რომ იკრავენ, არ მოგეშვებიან. აი ნახავ, ყველაფერს თუ არ წამართმევენ, მინდორსაც, ბაღს, სახ-



ლსაც კი არ დამიტოვებენ.

მოიცა რა, ეგრე ადვილია. თან ეგ ხომ სულმდაბლო-ბაა.

სწორედაც სულმდაბლები არიან, მაგიტომ გააკეთებენ ამას.

უნგერმა ნამცეცები ხელით გადმოხვეტა მაგიდიდან. შენ ყოველთვის ჩემგან განსხვავებულად აღიქვამდი ადამიანებს. ალბათ შენი მიზეზიც გაქვს, ასე გოძულდეს ისინი. მაგრამ ყოველთვის სულმდაბლობა არაა დამნაშავე, ზოგჯერ უბრალოდ სისულელესთან გვაქვს საქმე.

სისულელე და ყველაფერი ის, რაც მას ახლავს. მაგალითად, ჰასცლერმა გინდა თუ არა შენი მინა მჭირდებო. გარშემო მისნაირად აქოთებული პირუტყვები შემოიკრიბა, ნამდვილი პირუტყვები, მსავით ილბიანი პატარა კაცუნები, საკუთარ სახლშიც რომ არ გასვენებენ, მოდიან, ყიდულობენ, აშენებენ და მიწას აპარტახებენ. სულ იმას ცდილობენ, რაღაც ახალი ააშენონ, ძველს რა მოუვა, რას დაეძებენ! რა მიზეზი უნდა მაგათ სიძულვილს. მარტო შენედეც კმარა. თვალზე ეტყობათ, სახეზე აწერიათ ყველაფერი. ქალის თვალნი მამაკაცთა სახეების მთელი ჯაჭვი გაიწვია. მათში ჩასაფრებულიყო ნგრევის სურვილი, განსხვავებული აზრის სიძულვილი, წინასწარ ტკბებოდნენ იმის წარმოდგენით, ტკივილს როგორ მოგაყენებდნენ.

ქალი, მონუსხულივით, სახეებზე ფიქრს ვერ ეშვებოდა. საკმარისი იყო, დრო სხვანაირად დაეტრიალებინა და ისინი ისევე ჩნდებოდნენ. ერთნი თავიანთ მშობიარე ცოლებს აქცევდნენ ზურგს, რადგან უეცრად ხვდებოდნენ, რა აძრწუნებდათ: ცხოვრების ზიზლი, ნამდვილი და შეულამაზებელი ცხოვრება ვერ აეტანათ. თან ის როგორი იყო, საკუთარი ცოლების სხეულები რომ აღარ ეკუთვნოდათ. ისეთებიც იყვნენ, სხვა სხეულებზე რომ ფიქრობდნენ და ცხვირს ამიტომაც იბზუებდნენ. ზოგიერთი კი საშოს თვალს ვერ აშორებდა, ვერ გაეგოთ და არც უნდოდათ ამის აღქმა, ბავშვის თავი როგორ წელავდა და ადიდებდა, თითქოს ართმევდა მათ. ზოგიერთი კარებშივე ტრიალდებოდა, რათა სადმე, სხვაგან, კაცებში დაეღობა და ისე დალოდებოდა, და ასე სვამდნენ, სანამ ელოდნენ. სახლის ზღურბლს როგორც კი გადასცდებოდნენ, ხვანჯარს იხსნიდნენ თავიანთი ცოლებისთვის ბოლო ისევე რომ მოელოთ, როგორც მიწას უთავებდნენ ხელს.

სისულელე ყველაზე დიდი სულმდაბლობაა, თქვა ტერეზამ, ყველაზე დიდი.

უნგერი მდუმარედ შესცქეროდა ქალს. საჩივარი უნდა შევითანოთ, წარმოთქვა ბოლო-ბოლო.

არავითარი საჩივარი არ მინდა.

მე შევადგენ, შენ მარტო ხელი მოაწერე.

არაფერსაც არ მოვანერ.

რესკა, გეყო რა უაზრო სიჯიუტე.

შეიძლება, მართლაც სიჯიუტე იყო, მაგრამ სხვა რამეც ერთვოდა. - იქნებ ერთხელ მაინც ბოლომდე სწორად გამოიგო. არავითარი საჩივარი, თუ პროტესტი და ხელმოწერა არ მინდა. არ მინდა ეს საქმე საკოჭაოდ ვაქციო, აბა აღწიზე ვის დაუჯდება. არა, ბატონო, თავი დამანებეთ. ჯიუტი ბებრუხანა ვარ ხომ - ჰოდა, ეს ამ მიწის დამსახურებაა და მაცალეთ ამ მიწაზე მშვიდად მოგკვდე.

შუადღაც გადავიდა და ეს ყოველისმომცველი მოთენთილობა და მცონარობაც თან წაყვა, ყველაფერი რომ გეზარება და თუნდაც სახლში, საკუთარ ლოგინში ნებივრობდე, ხის ჩრდილქვეშ კოტრიალზე ოცნებობ. ქარი კვლავ გამოცოცხლდა, ბორცვზე ტყე ააშრიალა და სურნელი წამოიყოლა.

მაინც რატომ არ ვქენით ჩვენ ეს ამბავი? რა?

მაშინ, მარია რომ მოკვდა, ერთ წელიწადში.

რალა ვიცი, თქვა ტერეზამ.

უნდა დავეკორინებოლიყავით.

ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს გამოშტერებული ბერიკაცი ისევ თავისას მიერეკება.

კი ბატონო, გამოშტერებული ბერიკაცი ვარ, გეთანხმები. მაინც რატომ არ დავეკორინდით?

იმიტომ, რომ შენს შვილებს არ უნდოდათ.

ეს ხომ ჩვენი ცხოვრება იყო.

მთლად მასე არასდროს ყოფილა. შვილები გყავდა.

ახლა სად არიან, დაფანტულან. ხუთი შვილიდან არცერთი არ შერჩა, სუყველა წავიდა. მარტო ეშმაკმა უწყის, რას არ ჩალიჩობ, ერთ დღესაც მოიცილი, თავს აწევ, მიმოიხედავ და ფაფუ... სადღა ვინმე. არა, ხანდახან კი ნახულობენ ხოლმე. ფიქრობ, ნატრულობ, როდის მოვლენო, მოვლენ და ვეღარ ცნობ - უცხო ადამიანია, შენ რომ გახსოვს, იმასთან არაფერი აქვს საერთო. თავისი ცხოვრება აქვს, პრობლემები... ისევე როგორც შენ. ერთმანეთს კი ვეღარ უტვით.

ეს ასეც უნდა იყოს.

ალბათ. შეიძლება, არც არაფერს ნიშნავს. უბრალოდ, ასეა. ვინ იცის, იქნებ მათი ჩასახვა გვეთვლება ცოდად და ამისთვის მოგვეზღვება.

უნგერი თან მაგიდის კიდეებს საზღვრავდა თითით. ტერეზა ხის ვიბრაციას გრძნობდა. მშვიდ ნაშუადღევს წყნარი საღამო მოჰყვება, ყველაფერს უსიტყვო ღამე დაავგირგვინებს. მერე კვლავ გათენდება, კიდეც ერთი ცხელი შუადღეც არ დააყოვნებს, ჩრდილები გამდნარი ლითონივით აბოლდება და ცაც დამაბრმავებელ შუქს არ დაიშურებს. გინდა გარეთ გასულხარ და გინდა გასურებულ ღუმელში შეგიყვია თავი. ისე ცხელა, აღარაფრის ხალისი აღარა გაქვს, ვერაფერს აკეთებ, - ტყუილის თქმაც კი გეზარება. რამდენიმე ასეთი დღეც და ეს ზანტი დაღლილობა, ერთიანად რომ გათაყვანებს, მიწის მათრობელა სურნელი, გაურკვეველი ხმები და, რაც მთავარია, აბსოლუტური სიცარიელე საბოლოოდ მოგიტავებს.

რა ვქნა, ნაგიკითხო რამე, იკითხა უნგერმა.

მომიყევი რა, რას ხედავ.

სიცხეს, წარმოთქვა უნგერმა. კიდეც მეჭვავიას ცხვრების სარწყულებზე და გამხმარ ბალახს.

მაგას ჯობია, ნამიკითხო.

უნგერმა სამზარეულოს უჯრიდან წიგნი ამოიღო და ნაუკითხა, თუ როგორ ბრუნდება ერთი მოხუცი კაცი თავის სოფელში, მას შემდეგ, რაც ხანგრძლივად იავადმყოფა და ქალაქური ცხოვრებაც იწვინა, სახლი კი გაპარტახებული დახვდა. ყველაფერი მიწასთან გაესწორებინათ, ნაკვალევიც აღარსად ჩანდა, ყოველგვარი ნიშანწყალი მოესპოთ, საოჯახო ნივთები გაეტანათ, ძველი ტანსაცმელიც კი არ დაენდოთ. - თუ როგორ სათითაოდ აკონინებს კაცი თავის ქონებას, სოფელში კი ვითომ ვეღარც ცნობენ, არავინ ეპასუხება. ბოლოს კი, გამწარებული მოხუცი სიმღერ-სიმღერით წვავს ყველაფერს: სახლს, ბელელს, ბოსელს...

მდაა... მართლა შეიშლები კაცი, ასეთი რამე რომ დაგემართება, წარმოთქვა უნგერმა.

ჰო, დაეთანხმა ტერეზა. უბედურება, რალაცნაირად გაფხიზლებს. თუ შენზე ადრე მოგკვდი, ანდერძად გიბარებ, ეს სახლი დანვა.

ამ წიგნს მოგაშორებ, სხვას მოგიტან.

სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, პირობა მომეცი.

შენ სერიოზულად ამბობ მაგას? კარგი რა, სირცხვილია, გიჟი ეგონები ვილაცას.

ეს ყველაზე ჭკვიანური აზრია, რაც ამ ბოლო დროს თავში მომსვლია.

უნგერი აღარ გამოეპასუხა, ნიგნი დახურა და უჯრაში ჩააბრუნა. მაინც რამ გადაგანწყვეტინაო, ვეღარ მოითმინა მერე.

ჩემს ბარობაზე არაფერი არ მინდა დარჩეს, არ მინდა, უკან რამე მოვიტოვო.

უნგერი ისევე ჩამოჯდა. ორივე დუმდა და თავისას ფიქრობდა. ტერეზა ახლა სწორედ იმას იხსენებდა, რისი დავიწყებაც ყველაზე უფრო უნდოდა. მაშინაც ასეთივე აგვისტოს სვატი იდგა, ივემ რომ განუცხადა, სხვა მომყავს, გადანყვეტილი საქმეა, არაფერი ეშველებაო. ის სხვა ტერეზას კი ვერ ჯობდა შეხედულად, მაგრამ მდიდარი იყო, თან ბავშვსაც ელოდებოდა. მართალია, ის ბავშვი მერე მკვდარი დაიბადა, უნგერი ამხელა მუცლიან ქალს წამდაუნშე ცემდა. რამდენჯერმე გალახა, სულ ნიხლებით შედგა. ტერეზას დედამ კიდევაც თქვა, კიდევ კარგი არაფერი გამოგივიდათ, შენ არა ხარ მისი ცოლის ადგილზეო.

მაშინაც აგვისტო იყო, უნგერის ცოლი რომ დამარხეს და მწუხარებისგან გაგიჟებულ კაცს ნორმალური გლოვის თავიც აღარ ჰქონდა. ცოლი მართლა ძალიან უყვარდა და რამდენიმე თვეში ტერეზას რომ მიადგა, ღობეს შეგიკეთებო, ქალს ილუზია არ შეუქმნია, იცოდა, რომ უნგერი დაცარიელებულ ლოგინს გაუბროდა, მარტოობით გახანგრძლივებული ღამეები და უჩვეულო სიჩუმე ვერ აეტანა. მუდმივი სიმარტოვისთვის ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, ვერ გაუძლებდა. სასონარკვეთილების და უსასობის გამო უყვარდა ტერეზა. სწორედ ამიტომაც არ გაჰყვა ცოლად, ბავშვები რა შუაშია, იცოდა რა სასონარკვეთილიც იყო. მანამდე რჩებოდა მასთან ღამობით, სანამ არ დაწყნარდა. მერე უკვე იმიტომ დადიოდა, ქალთან ყოფნა უნდოდა. მერე საუბრის გაბმაც სცადეს. ლოგინის ამბავი რომ მოაგვარეს, სიტყვიერი ურთიერთობა უფრო დაამყარეს.

ის ამბავიც აგვისტოში მოხდა. ერთ დღესაც გესტაპო, ყველასათვის მოულოდნელად, უფერული, განრიპული კოლოჩით დაინტერესდა. მარტო უნგერს ენიშნა ეს ცუდად, თვით კოლოჩივც ვერაფერს მიხვდა. მეზობელ სოფელში ებრაელი მკერავის დაბატმირება ყველასათვის მენხის გავარდნასავით იყო. უნგერმა კი, იმავე ღამეს დაავლო ხელი კოლოჩის და უნგრეთში გადაიყვანა, შენც სიგეთელი მკერავით არ დაგემართოსო. გესტაპომ ამისათვის უნგერი აიყვანა, მაგრამ მან როგორღაც მოახერხა თავის დაძვრენა. გესტაპომ უნგერი გაათავისუფლა, თუმცა ქალისთვის ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა ამის მიზეზი. საფრანგეთის ომის შემდეგ უნგერს ფრანგი ტყვეები ჩააბარეს, თვალყური ადევნე და რამე დაავალეო. რუსები რომ მოვიდნენ, ფრანგებმა თვითონ გაუთხარეს უნგერს სამალავი, კომუნდანტს კი პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს, უნგერს არაფერი დაუშავებდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ორმა მათგანმა კვლავ მოინახულა უნგერი, თან მთელ სოფელს მოსდეს, თუ როგორ შეუნარჩუნა მათ სიცოცხლე უნგერმა და როგორ თვალსა და ხელს შუა აცურებდა გერმანელებს. თუმცა უნგერს ამაზე კრინტიც არასოდეს დაუძრავს.

ნეტა რა დაემართა ბოლო-ბოლო იმ კოლოჩის, ხომ არ გაგიგია?

იცი და ტყუილად მეკითხები.

რას ჰქვია, ვიცი.

შენ არ იყავი, ომის შემდეგ ავადმყოფი და გაუბედურებული რომ დაბრუნდი, წამლებს რომ არ აკლებდი.

არა, მას მერე მაინტერესებს.

ავსტრალიაში უნდოდა წასვლა, თქვა უნგერმა.

მერე? მერე გააღწია?

აბა, მე რა ვიცი.

მართლა უნდოდა წასვლა?

რა ვიცი, მაშინ მიყვებოდა, ავსტრალიის სურათები უნახავს და ჭკუაზე აღარ იყო. ეტყობა, ისეთი ქვეყანაა, აქაურობა დაავიწყა.

ამ მინას ასე ადვილად ვერ დაივიწყებ.

მართალი ხარ, მაგრამ მას სხვა არჩევანი არ ჰქონდა, უნდა ეცადა მაინც, თუ უნდოდა ცოცხალი გადარჩენილიყო. შემპირდა, რომ მოვენყობი და დავბინავდები, წერილს გამოგიგზავნიო. მას მერე მისი არაფერი გამიგია.

ესეც ასე, კოლოჩის ამბავიც გავარკვეით. თითქმის ბენდინერი დასასრულია, შეიძლება ითქვას. ან ვერ ჩააღწია, ან აღარაფერი ახსოვს. ცხოვრებაში რისაც არ უნდა გჯეროდეს, ბოლოს მაინც ყველაფერი ერთმანეთში აირევა და ერთ, დიდი-დიდი ორ ნერტილში ფოკუსირდება. თუმცა ბოლო, ყველა ვარიანტში, ერთია. უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება რამდენიმე ფანდი ისწავლო, ცხოვრება რომ გაიადვილო, თუმცა ან გამოიყენებ, ან ვერა. სანამ აზრზე მოხვალ, ამ ცხოვრებაში რა გინდა და რისი თავი გაქვს, უკვე გვიანია.

მორჩი, აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკი.

რაზე, დაზუსტება მოინდომა უნგერმა.

უნგერი სკამზე გასწორდა და საათს დახედა. სამი ხდებოდა. მეტს ვეღარ მოიცდიდა, ეჩქარებოდა. არადა, ტერეზას დატოვებაც ენანებოდა, ყოველთვის ეგონა, რომ ეს ქალი მარტოობისთვის იყო დაბადებული, მისი შემხედვარე, სხვებსაც აღარ ემინოდათ მარტოობის. ახლა კი რალაც შეცვლილიყო.

ახლა უნდა გავვარდე ისევე, რალაც წვრილმანი მაქვს მოსაგვარებელი. მოგვიანებით კიდევ შემოგივლი, თუ გინდა. რამე ხომ არ გჭირდება, რა წამოგიყოლიო?

ეჰ, მჭირდება და მეტი არა? დაგავიანდა, ჩემო კარგო, არაფერიც აღარ მჭირდება. ყველაფერს ნერტილი დაესვა, მათ შორის დაგვიანებასაც.

ჰო, გამოიარე, უთხრა ტერეზამ.

უნგერი წამოდგა, ქუდი აიღო და კარებისკენ წავიდა. მერე შეყოყმანდა, უკან შებრუნდა და ტერეზას ხელზე მოეფერა. ნუ გეშინია, დედას ვუტირებთ, თავს არ დავაჩავკრინებთ. შენი და ჩემი რამ გაყო. შენს მინას თუ დააყრუებენ, ჩემსას რა, დაინდობენ?!

ტერეზას ხმა არ ამოუღია.

რესკა, ეგეთები გვინახავს, ახლაც გამოძკრებით.

არა, ახლა აღარა მაქვს იმედი. არაფერი გამოგვივა, თქვა ტერეზამ.

მზე მალლიდან მოექცა ცას და ისიც კმაყოფილებისაგან ახლებურად გაიზმორა და თითქოს გაუცხოვდა კიდევაც. ტერეზა წამოდგა, კარებთან მივიდა და გაუნძრევლად დადგა. სახლის ჩრდილი ჭამდემ მისულიყო და სიგრილეს კენჭებით მოკირწყლულ ბილიკსაც უნაწილებდა, უნგერის ცინცხალი ნაკვალევის ექოს რომ ინახავდა. საინტერესოა, ექო რამდენ ხანს ძლებს? რჩება თუ სადმე მიდის? და თუ მიდის, საით? მაღლა, ცაში, ამ სამყაროს მიღმა, თუ სმენიათ რამე ჩვენს შესახებ? არის კი იქ ვინმე? თუ არ არის, მაშინ რა აზრი აქვს ექოს? თუ არის, რატომ არ გვეპასუხება? იქნებ პასუხი მოვიდა კიდევ,

უკვე აქა და ელოდება, იქნებ ვინმემ გაიგონოსო. გააჩნია, რას ველით, რისი გაგონება გვინდა. იქნებ დაშიფრული პასუხია? რამდენ ხანსაც არ უნდა იფიქრო, ყველაფერი გრანდიოზულად მარტივი ჩანს. ამიტომ მოდი, შევეშვათ, ასე გრანდიოზულად მარტივია და იყოს, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორცაა: ხელუხლებელი, თავმიწებებული და მნიშვნელობადაკარგული. საოცარ უაზრობად მოეჩვენა, ჰასცლერს რომ მანდამინც მინის ეს ნაჭერი უნდოდა, ისევე როგორც თავისი პირველი სიყვარული, მთელი ის განცდები, შიმ-კანკალი თუ ცრემლების ღვარღვალი, სიშმაგე და შეგუბებული ბოლმა. როგორ შეიძლება სულ მრუდე სარკვეში უყურებდე ცხოვრებას და ტკივილისა თუ ჭრილობების მარტო ნეგატიურ, ყალბ ანარეკლს ხედავდე.

ჰაერი თივას გემრიელად შეესუნელებინა. დატვირთული მანქანები თანდათანობით ტოვებდნენ მინდვრებს. ტერეზამ სავარძელი გამოიტანა და კარებთან ჩამოჯდა. ცხვრებმა შემოაბლავლეს, ძალღი ქასთან დაბორილობდა. მზე ცის წვერს გადასცდა და ნელ-ნელა დაშვება დაიწყო. მას მცხუნვარება ჯერ კიდევ არ მოკლებოდა, დიდი, გაუმხელილი სიყვარულივით დაფერფვლა ჯერ კიდევ შეეძლო, მაგრამ რა შედარებაა, ჭანგებს ნელ-ნელა ადუნებდა. ტერეზამ იგრძნო, თუ როგორ შეერია იმდღევანდელ დალილობას სისუსტე, თავბრუსხვევა, როგორ დაუტრიალდა გულ-მუცელში და სულის ყოველი ამოთქმა სატანჯველად უქცია. კაბის კალთაში ხელები მომუჭა და ძაღლს გასძახა, ის კი არა და არ ეპასუხებოდა, ასკილის ხეს არ შორდებოდა და უნიათოდ შეჰყვებდა მეჭვავიას, ის კი სტვენასა და გალობას ერთი ნუთითაც არ წყვეტდა. ტერეზას ადრე ამ ჩიტის გალობა ასე ახლოდან არასოდეს მოესმინა. ჩიტი თავგანწირულად გალობდა, შეიძლება ითქვას, ჩხაოდა, თითქოს ბოლოს და ბოლოს მიხვდაო, ყველას რომ ჩამორჩა და გზა აებნა, სასონარკვეთილი უხმობდა თავის თანამგზავრთ, მაგრამ არავინ ეპასუხებოდა, საითაც გაიხედავდა, მდუმარება ეფეთებოდა.

უცბად ჩიტმა რაღაცნაირად წამოიყვირა და მერე სულ გაჩერდა. სიჩუმე თითქოს შესქელდაო და უსაიმო სუნი მიეცა. ძალღი ტერეზას მივარდა, მერე ხესთან დაბრუნდა, მერე ისევ ტერეზასთან მიიბრინა და ასე დარბოდა კაი ხანს. ტერეზას ესმოდა, როგორ ფხოჭნიდა თათებით ღობეს და წამოდგა, ცხვრების საბალახოში შეეუშვებო. ის კი უკვე კაი ხანია ცხაურს დიდი ნახტომით თავს გადავლებოდა, ნახვრეტში გამძვარალიყო და ბალახებში დასუნსულებდა. ტერეზა სავარძელს დაუბრუნდა. თავბრუსხვევა და სუნთქვის უკმარისობა თანდათან უძლიერდებოდა. ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, წავალ, წამოვწავი, მაგრამ მერე ჭკუაში აღარ დაუჯდა. რაღაც აიძულებდა აქ ყოფილიყო და დაეცადა. სახლში კი არა, გარეთ, აი აქ, სახურავის ჩრდილში.

მკერდში ტკივილი თანდათან მატულობდა და ქალს ტალღებად ასკდებოდა. ყოველი ტალღა თავისებურ მოვლენას წარმოადგენდა. სანამ დაარტყამდა, ჯერ მთლიანად შემოეხვეოდა ქალს, ყველა უჯრედში შეაღწევდა, მერე ყელში წვდებოდა და ბრჭყალებით ჩააფრინდებოდა. ჩრდილშიაც ასიცხდა. ტერეზა ცდილობდა მესხიერებიდან რამე ისეთი გამოეხმო, ტკივილსა და შიშზე ძლიერი რომ იქნებოდა. მაგალითად, ძალღი, ან უნგერი, თუნდაც ადრეული ბავშვობა. რაიმე ისეთი, რაც ძალას მისცემდა და აფიქრებინებდა, არც ისე მარტოსული ვარო. რად უღირდა ვინმეს მონუგეშე ხმა, ხელზე ხელის გადასმა, ვინმე, სულ ერთია, ცოცხალი არსება.

ძალღო, სადა ხარ, სად დაიკარგე? თავს ძალა დაა-



ტანა, წამოდგა და იქითკენ წაბარბაცდა, სადაც ძალღი ეგულებოდა. აი, ისიც, ბენვი როგორ აბურძგვინა და ხელში რაღაცას აჩვენებს, ქალს არ უნდა გამოართვას, მაგრამ მაინც იღებს. გაბუმბლული, თბილი საგანია, მყიფე ხელით მოსინჯა. აგერ პატარა, უღონო ბრჭყალები, თავი, ნისკარტი. უეცრად იცნო, ყველაფერს მიხვდა. ეს ხომ მეჭვავია იყო. ყურებში კვლავ გაუხმინდა მისი გალობა და უკანასკნელი ბგერა, უეცრად ჩამოვარდნილი სიჩუმეც ახლავა გააცნობიერა. ტკივილის და შიშის ახალი ტალღა მთელი ძალით ეძგერა. ღრმად უნდა ვისუნთქო, მიშველის. ნელა, ღრმად სუნთქავდა და თან შეშის ფარდულისკენ მიდიოდა, სადაც ხელსაწყობს ინახავდა. ნიჩაბი ჩვეულ ადგილზე დახვდა. ტერეზამ მკვდარი ჩიტი წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო, ბარს ხელი დაავლო, ასკილის ხესთან დაბრუნდა და შეეცადა მიწა ცოტათი მაინც ამოეჩიქნა. ძალღი უკან დასდევდა და წინა თათებით ებმარებოდა, მაგრამ მიწა ძალიან გამომშრალიყო და ვერაფერს უხერხებდნენ.

მერე კი თავბრუსხვევამ და დალილობამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბეს და ისე შემოუტიეს, რომ შიშის დამორჩილება შეუძლებელი გახდა. ტერეზა ცხვრების სანახევროდ დაცლილ სარწყულბელთან მიბარბაცდა, სახეზე წყალი შეისხა, მაგრამ თავბრუსხვევას არაფერი ეშველა. ტერეზა შეეცადა გამოზოგილად ესუნთქა, თან სარწყულბელის კიდე ხელს არ უშვებდა. ამას როგორ ახერხებდა, ვერ გაეგო. ხელები აღარ ემორჩილებოდა. თავი აბსოლუტურად დაცარიელებოდა და მხრებს ტყუილად ამძიმებდა, მის სხეულს რაღაც სხვა, უცხო ძალა დაბატრონებოდა და თავხედურად აიძულებდა, თავი შეემაგრებინა, არ წაქცეულიყო, ასკილამდე მისულიყო და მეჭვავია ორმოში ჩაედო. ხელფეხი ამოძრავდა და ტერეზაც შეეცადა მიყოლოდა მათ. ჰაერი ჯერ გამყარდა, მერე სითხედ გადაიქცა, მოციმციმე ძაფებად დაიშალა და მსუთრად აორთქლებული ფილტვებში შეეჭრა. ჩურ-

ჩული ჩაესმა, რალაც ხმებიც გაარჩია, იმდღევანდელი ხმა. ის თანდათან უახლოვდებოდა, ძალას იკრებდა, ყურებში ზარავით ჩასძახოდა "დაეცე" და ტერეზაც მოცელილივით ძირს დავარდა. გაიგონა "ხელი გაუშვი" და მომუჭული თითები გაშალა.

ახლა უკვე სრულიად დანებებოდა იმ ხმებს, საკუთარი ხელი და ფეხი კი ნელ-ნელა შორდებოდა. მარტო ის იცოდა, რომ რალაცას ეკითხებოდნენ. მაგრამ სწორედ მაშინ მიაჭირა შუბლზე მზემ, მისმა ძველმა მტერმა და პასუხის გაცემაც არ აცალა. მარილით გაჯერებული ცრემლიანი ფარდის მიღმა უეცრად თვალი ახილა და ისევ დაინახა ყველაფერი. ბორცვი მზეში იდგა, ქარი კი მზის ცენტრიდან გამოსულიყო და ტყეს მის თვალწინ სპირალურად ახტიალებდა.

ქალი ხედავდა საკუთარ თავს, როგორ მირბოდა სოფლის თემშარაზე, მთელი სხეული საშინელ ტკივილს დაესერა, უკან კი მამა მისძახოდა, უკან დაბრუნდიო. უცხად კი მის წინ აღმოჩნდა, საკუთარ ჭრილობებს უჩვენებდა და აღმოსავლეთისკენ უთითებდა, დაბრუნდი, აღმოსავლეთისკენ წადი, არასწორად მიდიხარო.

უცხად საზღვრისპირა მდელიოზე აღმოჩნდა. ადრინა დილა იყო, თქორიან ბალახს ოხშივარი ასდიოდა და მის ნაკვალევს ფარავდა. ვილაცა აფრთხილებდა, ჩუმად იყავი, რაც ამ ქვეყანას შავი ჭირი მოედო, მას მერე საზღვარს განსაკუთრებით იცავენო. დაკლანილი ბილიკით ტყის კიდეს მიუყვება, დილის მზე კეფაზე აჭერს და თავის თავს ეკითხება, აქამდე სად ვიყავი, რატომ ადრევე არ გავიქეცი და არ დავტოვე ეს ქვეყანაო. ისე, ამ მინას რალას ვერჩი, ზურგს რატომ ვაქცევო. ქალი შემოტრიალდა. მზის ლითონის დისკომ სხივი აისხლიტა და ნეკნებს შუა მახვილივით აძგერა. ტყე უეცრად ააღდა. ცეცხლის ტკარცალი მინის გუგუნს დაერთო და მნათობივით მოელვარე პლანეტა ააჯანჯლარა, გზაც აბარბაცდა და ცხელმა ჰაერმა სახეში მუშტები დაუშინა. ქალი გაიქცა, თავდაუზოგავად გარბოდა. აი, ნაიქცა, არაქათი გამოიქცა, გზა და მზე მაინც ვერ მოიშორა.

თავს კვლავ უცნობი წამოადგა და უბრძანა, ადექი და წადიო. ტერეზა წამოადგა და სახლისკენ გაემართა. აი, უკვე შინ დაბრუნდა, სახურავის ჩრდილში წევს და ყვირის. უკვე იცის, სადაა, რაც სჭირს, ცდილობს თავს ძალა დაატანოს, კიდევ ერთხელ წამოდგეს. ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა, ასე კი არაა. მოიცა, საღამომდე მაცალე, საღამოს უნდა დაველოდო. კიდევ ერთხელ მოვუცდი. ბილიკზე ხმები გაისმა, ვილაცები უახლოვდებიან. ეკითხებიან, რა გჭირსო და ქალიც პასუხობს: ცხელა. მისი ბრალია ყველაფერი, ათაყვანებს ადამიანს. უცხად საიდანღაც უნგერი და ძალღი გაჩნდნენ, ტერეზა ხელში აუყვანიათ და მანქანისკენ მიჰყავთ. ნეტა მანქანა როდისღა მოვიდა, მისი ხმა სულ არ გაუგია. უნგერი იქვეა, გვერდიდან არ შორდება. ვილაცამ უანგადის ბალიში მიუტანა ცხვირთან, თან ეუბნება, ანი ნულარაფრის გემინაო. ტერეზა კი უნგერს უჭერს ხელზე ხელს, ახსენებს, რასაც შემპირდი, არ დაგავინყდესო.

ამასობაში ბინდბუნდიც მოძალებულა. ტერეზას მანქანაში ვილაც არსება გვერდით უზის და ეუბნება, მიდი, ათვალერე, ნუ გემინია, არაფერი უჩვეულო ამაში არაა, თვალის ჩინი რომ დაგიბრუნდა. დიდმა შოკმა იცის ხოლმე, ეტყობა, მაგრად შეშინდი. მინდვრებზე ჩრდილები აცეკვდნენ, აგრილდა, ისეთი სასიამოვნო იყო... ტერეზამ ითხოვა, იქნება შემოვლითი გზით წავიდეთო. რომლითო, მოინდომეს დაზუსტება. აი, იმ ძველი საურმე გზით, საზღვარს რომ მიჰყვება. ადრე კონტრაბანდისტები იყენებდ-

ნენ. მაშინ საზღვარი ჯერ კიდევ ღია იყო და ცოცხლები გადარბოდნენ, სიკვდილი რომ არ უნდოდათ, იმიტომ.

სახლებს უკნიდან უვლიდნენ, ბოსლებში პირუტყვი ზმუოდა. ჩვეული სუნი იდგა. სამხრეთ-დასავლეთისაკენ მანამ გადაუხვიეს, სანამ სოფლის გზა ტრასას შეუერთდებოდა. ტყე მინდვრის ბოლოში შავად წამომართულიყო, ჩრდილები სულ უფრო და უფრო მუქდებოდა და უცხად, ყოველგვარი შემზადების და გაფრთხილების გარეშე, სრულიად ჩამობნელდა. მძლოლმა თქვა, ძალიან ნელა უნდა ვიაროთ, მალე მიზანთან ვიქნებით და არ გავცდეთო, უფრო სწორედ, ტერეზამ უნდა იცნოს აქაურობაო. ტერეზამაც თვალეებს ძალა დაატანა, ის ადგილიც იცნო და მიხვდა კიდევ, სადაც იყვნენ - ეს ხომ საზღვარია, სწორედ დღეს ისევე გაიხსნა, ჰო, დღეს ხომ პირველი დღეა, რაც გაიხსნა. აი, შლაგბაუმი ზევით აიჭრა და მძლოლმაც გაზის პედლიდან ფეხი ნელ-ნელა აიღო...

სწორედ ამის შემდეგ შეწყვიტა სიბნელემ მომავლურებელი ყუყუნი და ტერეზაც დაწყნარდა. ბაღში უნგერი გამოჩნდა, ჩქარ-ჩქარა მოდიოდა, სარწყულბლის გვერდით მწოლიარე ქალი შორიდანვე შეემჩნია. ტერეზას გვერდით ძალღი ჩაცუცქულიყო, ქალს კუდს უცაცუნებდა, სახეს და ხელს ულოკავდა.

უნგერი ტერეზასთან ჩაცუცქდა, მისი სხეული ქალს გრძელ ჩრდილად გადაეშო. იქვე ბარი ეგდო, მოშორებით, ერთ ციცქნა ორმოში - მეჭავია. რესკა, ჩასძახა უნგერმა, გესმის ჩემი? რესკა, თქო!

მერე კიდევ სცადა: რესკა, ოჰ, არა, ღმერთო ჩემო.

ძალღი აყმუჯლდა, თან ტერეზას სახეს არ ეშვებოდა, ულოკავდა და ულოკავდა. უნგერი კი ხანს გაშტერებული შეჰყურებდა ძალღს, მერე თავისდაუნებურად საათზე დაიხედა. ზუსტად ხუთი იყო. მალე ექვსიც გახდა. უნგერი ბოლო-ბოლო გამოერკვა, ასკილის ხეს მიაშურა, ღრმული გაადიდა და მეჭავია ფრთხილად ჩაღო, მინა მიაყარა და ფეხებითაც კარგად დაბეკნა. მერე სახლში შებრუნდა. ყველაფერი ისევე დახვდა, როგორც დატოვა, მარტო სავარძელი იდგა გარეთ. უნგერმა იგი კვლავ სახლში შეიტანა და მაგიდას მიუჯდა. ასე იყო გარინდებულის, სანამ კარგად არ ჩამობნელდა.

ჩრდილები რომ კარგად შესქელდნენ და ღამეს მთლიანად შეერწყნენ, კედლიდან ნავთის ღამფა ჩამოიღო, გაზეთებსა და საწოლს ცოტაოდენი ნავთი მოაშეშხა, რაც მორჩა, კარგებამდე მიანურნურა. მერე ასანთს გამოჰკრა, თვითონ კი ძალღს მიუჯდა, ტერეზას ერთი ნუთითაც რომ არ შორდებოდა. იქიდან უყურებდა, როგორ მიინეგდა ცეცხლის ენა მაგიდისაკენ, აი, უკვე გაზეთების შეკვრასაც შემოეხვია და რალაცამ ბომბასავით იფეთქა. მთელი სახლი ცეცხლის ალში გაეხვია, სახურავიც აგიზგიზდა. ყველგან ცეცხლი გაბატონდა, ცეცხლის მეტი არც არაფერი ჩანდა, სანამ კვამლმა თვალეები არ დაუბინდა.

გერმანულიდან თარგმნა

შორენა შაბანაძე



პარლენე შტაინბერგი



გუსტავ და ალმა მალერის ერთადერთი ქალიშვილის, ანა მალერის ბიოგრაფიის წერისას რომანის გმირი მის ქმრებთან და ნაცნობ-მეგობრებთან იღებს ინტერვიუს. ერთ-ერთი მათგანია დოქტორ ჰანსენის ნაამბობიც.

მე მქვია მაქს ჰანსენი. - ნახევრად ინგლისელი ვარ და ნახევრად გერმანელი. - მე ინგლისში გავიზარდე და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თერთმეტი წლისა ჩავედი გერმანიაში. 1921 წელს, ექვსი კვირით. - მე სამართალს ვსწავლობდი. ფრაიბურგში, მიუნხენში და გიოტინგენში. - მერე ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოვიდა. ჩვენ უნივერსიტეტში ჰიტლერის წინააღმდეგ პირველი საპროტესტო გამოსვლები მოვანყეთ. - იურისტის სადოქტორო გიოტინგენში დავიცავი და მერე აქ, კალიფორნიაში ვსწავლობდი მედიცინას. - მერე სულ ლოს-ანჯელესში ვიყავი. - მე მომწონს აქ ცხოვრება. თუმცა ბოლო წლებში აქ, ლოს-ანჯელესში, საშინელი პოლიტიკაა. - ბოლო წლებში აქ, ლოს-ანჯელესში, ისევე ცუდად ვგრძნობ თავს, როგორც ჰიტლერის გერმანიაში. მოგეხსენებათ, რა ამბავი იყო აქ სიკვდილით დასჯაზე. - აქ რუზველტის მეორე პერიოდში ჩამოვედი. - 50 წელია მზეში ვცხოვრობ. აქედან წასვლა არ შემიძლია. ახლა აღარ ვმუშაობ. I am retired. მაგრამ აქ შიდსიანების დახმარებაზე ვმუშაობ. აქაური პოლიტიკა კარგად ვიცი. აქ ყველაფერში ვერკვევი. - ანა მალერი ჯინა კაუსმა გამაცნო. ბერლინელი მწერალი იყო, რომელიც აქ დიდხანს ცხოვრობდა. - ჩინეთში მოგზაურობა ალბრეხტის იდეა იყო. ალბრეხტს ხომ მოგზაურობა არ უყვარდა, და თქვა, რომ ჩვენ ორნი მაინც უნდა გავმგზავრებულიყავით. - მერე 1985-ში წავედით სამოგზაუროდ. ალბრეხტს მიაჩნდა, რომ როგორც ექიმი განსაკუთრებით კარგი თანამგზავრი ვიქნებოდი. - 1985-ში გავმგზავრეთ.

დოქტორ ჰანსენის ამბავი

რომანიდან "სამყარო სამყაროს შიგნით"

ანას ორი დღით ადრე მოუწია გაფრენა. იმხანად ჩინეთში დიდი მოგზაურობები იყო ატეხილი და ყველაფერი ძალიან ძნელი მოსაგვარებელი იყო. ყველაფერი გაყიდული იყო. მე ორი დღის მერე ჩავედი ჰონკონგში. მატარებლით წავედით კანტონიდან პეკინში. როცა ჩავედით, პეკინში ჩვენი სასტუმრო გავსებული იყო. ვერაფერი მოვახერხეთ. მისაღებში ჩვენთან ერთად ერთი ჩინელი იყო, რომლის დაჯავშნული ოთახიც დაკავებული იყო. მერე გავარკვიეთ, რომ ჯავშანი საღამოს ექვს საათამდე ჭრიდა და მერე ოთახებს გასცემდნენ ხოლმე. ჩინელმა ჩინელების სასტუმროში წაგვიყვანა. თავისიანების სასტუმროში. ეს ყველაზე დიდი სასტუმრო იყო, რაც კი საერთოდ მენახა. ყველაფერი ძალიან უბრალო იყო. მეორე დღეს ლანჩზე დაგვპატიუეს ავსტრიის საელჩოში. მგონი, ელჩს ვალტერი ერქვა. თუ ვოლტერი. ანამ ელჩს წინასწარ მისწერა. ორი დღის მერე ელჩის ცოლმა დარეკა და თქვა, რომ დრაკონების დღესასწაული იმართებოდა და ჩვენ დაპატიუებული ვიყავით. ასე წავედით დრაკონების დღესასწაულზე. დაუჯერებელი იყო. დრაკონები იყო თითისტოლაც და ისეთი დრაკონებიც, სატვირთო მანქანა და 50 ჯარისკაცი რომ აკავებდა. საელჩოს მოწვევის გამო თავისუფლად ვიყავით და შეგვეძლო ყველაფერი გვენახა. მაგრამ მაინც გვითვალთვალებდნენ. იმიტომ რომ ერთხელ აურზაურში ანა როცა დამეკარგა, ჩინელი მოვიდა და მითხრა, სადაც წავიდა. საიდუმლო სამსახური დამეხმარა მის პოვნაში. პეკინში როცა ვბრუნდებოდით, ანა უკვე ცუდად იყო. საელჩოს ექიმმა თქვა, არ ვიცი, რა ჭირსო. მეც არ ვიცი. ძალიან გაუგებარი სიმპტომები ჰქონდა. მაგრამ იმან თქვა, რომ ანა რომ დედამისი ყოფილიყო, ეტყოდა, თავს მოუფრთხილდი და დაბრუნდიო. თითქმის ყველა უცხოელი, ვინც პეკინში ჩადიოდა, ავად ხდებოდა. არ იცოდნენ, რატომ. შეიძლება მტვრიანი ჰაერის ბრალი იყო. ქვიშა, გობის უდაბნოდან მოაქვს ქარს. ჩინელებს ზოგჯერ პირიც კი აქვთ ხოლმე აკრული. ასე ჩანდა ანა და ჩინეთი ვერ ნახა. დაბრუნება მოუწია. მე თვითონ სამი თვე მოგზაურობდი ჩინეთში. ფანტასტიკური იყო. სატვირთო მანქანით ვიმოგზაურე უდაბნოში. მერე კიდევ დანიის ელჩთან ვცხოვრობდი. ეს წყვილი ავსტრიის საელჩოში გავიცანით. - ანას ამ ხალხთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მაგას ხომ პოლიტიკა აინტერესებდა. უფრო მემარცხენე იყო. და ბევრი სახელმწიფოს მოქალაქე იყო. მე მგონი. გათხოვების წყალობით - ჩეხეთი. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ ჩეხური პასპორტის მქონე იყო. მალერი ხომ პრალიდან იყო. ჩეხური პასპორტი არ მისცეს. ამერიკელი იყო. - გერმანული

არ იცოდა. - ჩინური საზოგადოებრივი წყობა ძალიან მოგვეწონა. ეს ხომ ის დრო იყო, ზეციური სიმშვიდის მოედნად. კარგი შთაბეჭდილება დაგვრჩა. - ანას ბუდისტური ქანდაკებების ნახვა უნდოდა. იმ ქანდაკებების ნახვა. - ფუფუნება უყვარდა, მაგრამ არ სჭირდებოდა. თვითონ ყოველთვის ძალიან მოკრძალებული იყო. არც ფული ჰქონია ოდესმე. მხოლოდ მერე, ალმა რომ მოკვდა, მერე გაუჩნდა ფული. - პიანინოზე ძალიან კარგად უკრავდა. - მე მგონი, 70-იანებიდან ვიცნობდი. - მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მისი საქმე იყო. ზალცბურგის გამოფენა ძალიან უხაროდა. მეორე ნიგუნისთვის ალბრესტიმის ქანდაკებებს ძალიან კარგი ფოტოები გადაუღო. ძალიან კარგი ფოტოებია. ეტყობა, ალბრესტი მაგარი იყო. - ჩემთვის კალიფორნია ჩემი სამშობლოა. ანასთვის ასე არ ყოფილა. ლონდონში ცხოვრება ერჩივნა. იქ მაშინ ალბრესტის ძმაც ცხოვრობდა. ის ახლა სანტა ბარბარაშია. მერე ანას პატარა სასახლე ჰქონდა და სახლი სპოლეტოში. - ლონდონში და იტალიაში ერჩივნა ყოფნა. სასახლეში და სპოლეტოში. ეტყობა, იქ მშვენიერი სახელოსნო ჰქონდა. ვენა არ უყვარდა. - სპოლეტოს ყიდვა მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა ალმა მოკვდა. - ალმაზე ბევრს ლაპარაკობდნენ. ეტყობა, სრულიად გენიალური პიროვნება იყო. მაგრამ გაუთავებლად იტყუებოდა. რალაცეებს იგონებდა. მაგალითად, მატარებლის ვაგონის ამბავი, რომელიც მთავრობამ იტალიაში გაგზავნა, როცა მისი და ვენეციაში გარდაიცვალა. სულ გამოგონილი ამბავია, და ყველა ბიოგრაფიაში წერია. - ანა ჯინა კაუსთან გადასახლდა. დედას არ უნდოდა სახლში მოზრდილი შვილის ყოლა. ანა დედამისზე დიდი რდიით ლაპარაკობდა. - არასოდეს თქმულა, ანა რა ფულით ცხოვრობდა. ვიცოდი, რომ კანადაში მიმტანად მუშაობდა. ეს ერთადერთი დროა, რომლის შესახებაც ვიცი, რომ მუშაობდა და ფულს აკეთებდა. მაგრამ თვითონ ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობდა. ზოგჯერ ფულს ქმრები აძლევდნენ. მარინას ბინა უყიდა. - ვენაში რომ შვილი ჰყავდა, იმას იშვიათად ახსენებდა. ძალიან იშვიათად. მარინაზე ზოგჯერ კარგად ლაპარაკობდა. - არა. ბავშვები არ სჭირდებოდა, უფრო მნიშვნელოვანი მისი ქანდაკებები იყო და ხელოვნება, პირველ რიგში მუსიკა. - ინტელექტუალური წინააღმდეგობები ქანდაკების განვითარებასთან დაკავშირებით? არა. არა მგონია. - მაგრამ ძალიან დამოუკიდებელი იყო. უნდოდა საკუთარი სტილი და მსოფლიოსგან სრული დამოუკიდებლობა. ბოლოს ხელების საქმე გაურთულდა. ძალიან გაუჭირდა. - დიახ. სილამაზის შექმნა სურდა. უნდოდა, სილამაზის ავტორი ყოფილიყო - ანა ბინგმა შეუკვეთა. ერთი მსახიობი იყო, რომელიც მულტიმილიონერს გაყვა ცოლად. ისე, ანა ბინგი ალბრესტთან მეგობრობდა. - უნდა მოგახსენოთ, რომ ალბრესტი არ მომწონს. სულ არ მომწონს. - მამამისს უდიდეს პატივს სცემდა. დედის მიერ უარყოფა ალბათ ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო. თან დედამისი სასტიკი ანტისემიტი იყო. - ანას ეამაყებოდა, რომ ებრაელი იყო. ორთოდოქსი არ ყოფილა. მაგრამ უხაროდა. ხაზს არ უსვამდა. მაგრამ თუ საუბარი ჩამოვარდებოდა, აღნიშნავდა ხოლმე. - ამერიკა, სულ მცირე, ისეთივე ანტისემიტურია, როგორც გერმანია. 50 წლის წინათ, როცა კალიფორნიაში ჩამოვედი, პალმ სპრინგსში დარეკვა და დაჯავშნა შეიძლებოდა. "ზუთნი ვართ. რამე გაქვთ?" მერე: "დიახ. თქვენი სახელი?" და თუ რაბინოვიჩს ან გოლდმანს იტყობდი, ამას აუცილებლად მოყვებოდა: "დიახ. ახ-

ლავე ვნახავთ" და ჯავშანი არ გელირსებოდა. ჩიკაგოში ერთმა ებრაელმა ძალიან დიდი ფული შესწირა ბიბლიოთეკას და გახსნაზე ვერ დაპატიჟეს. ასე იყო. - ალბრესტი უდიდეს პატივს სცემდა. ანა თავის სახლში ცხოვრობდა. ალბრესტი - თავისაში. ბოლოს ანა ევროპაში გაემგზავრა, რომ ალბრესტი აღარ ენახა. მაგრამ განქორწინება არ უნდოდა. არ უნდოდა, მისთვის გული ეტკინა. მაგრამ ცხოვრების ბოლოს თავისუფლება უნდოდა. ჩინეთის მოგზაურობა მხოლოდ მცდელობა იყო. - ანას მრავალი მეგობარი ჰყავდა, სულ სხვადასხვა წრისა. მეც ასე ვიყავი. მაგრამ მე ალბათ იმიტომ, რომ ექიმი ვიყავი. - ანა ყოფილ მამაკაცებზე არასოდეს ლაპარაკობდა. კრენევი არასოდეს უნახავს. - ანა ავანგარდს უარყოფდა. მისთვის ეს მიუღებელი იყო. მას სილამაზე უნდოდა და ლამაზი ხალხი. მაგრამ ის ღრმა და პატიოსანი ადამიანი იყო. არაფერს მალავდა. ის ყოველთვის თავის აზრს იცავდა და სიმართლის ღრმა შვერძნება ჰქონდა. - მე ვფიქრობ, რომ მკერდის დასაპატარავებლად გაკეთებულ ოპერაციასაც მის სილამაზის იდეალებთან ჰქონდა რალაცა საერთო. ეს პარიზში იყო, 30-იანებში, არა? - დიახ. მე ვიცოდი ამ ოპერაციის ამბავი. - დიახ. მე ვიტყობდი, რომ კლინიკური გაგებით დეპრესიული იყო. ამაზე ჩემთანაც ილაპარაკა, მე ხომ ექიმი ვარ. მაგრამ საკუთარი თავი არასოდეს ეცოდებოდა. ის ძლიერი პიროვნება იყო და საკუთარი თავის მიმართ დაუნდობელი. - ერთ-ერთი უკანასკნელი საუბარი იმ პატარა სასახლეს ეხებოდა. როგორც ჩანს, რალაც იტალიური კანონი არსებობს, რომ როცა ორი სახლი გაქვს და ორი შვილი გყავს, თითო შვილს თითო სახლი ერგება მემკვიდრეობით. ალმას სასახლე არ უნდა რგებოდა. - არა. როგორც ჩანს, ამ ვენელი ქალიშვილისთვის არაფრის მიცემა არ უნდოდა. უზრუნველყოფილი კი უნდა ყოფილიყო. ეგ კი. - თუ ანა, როგორც ადამიანი, მოსწონდათ, მისი ხელოვნება აღარ ადარდებდათ ხოლმე. რასაც აკეთებდა, ისე იღებდნენ, ისე. - თუ ანას ვინმე არ მოსწონდა, აზრს ვერაფრით შეაცვლევინებდით. - ოლესა ლეინში ცხოვრება ძალიან სასიამოვნო იყო. ერთი-ორი ადამიანი ყოველთვის იყო. - ბევრი სტუმარი არ უნდოდა. ადამიანების გაცნობა უნდოდა.



პიანისტი ქალი - ფილმი და რომანი არანორმალურთათვის



ალარი ფილმიდან

ნისტის სახელის მქონე ქალბატონი, მწერალი, რომლის რომანის მიხედვითაც ჰანეკემ თავისი სკანდალური ფილმი დადგა. ბავშვობაში იელინეკი მუსიკას სწავლობდა, მაგრამ თუკი მის გმირს მუსიკამ მორჩილება ასწავლა, რომანის ავტორი სიძულვილის ხელოვნებას დაეუფლა, თანაც უბადლოდ.

კინოკრიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებად ნორმალური ადამიანისთვის ფილმის ნახვა არ შეიძლება. მანამდე ამას ქ-ნ იელინეკის წიგნზეც ამბობდნენ, მაგრამ მთლად სხვისი აზრის მიხედვით ცხოვრება ალბათ მაინც არ ღირს...

ანა კორკია-სამაღაშვილი

ქართველ მკითხველამდე წიგნი დაგვიანებით მოდის. მიზეზი უამრავია: საგამომცემლო საქმე ჩანასახოვან მდგომარეობაშია; მთარგმნელები ლიტერატურის თარგმანს თარჯიმნობას ამჯობინებენ, თუნდაც იმის გამო, რომ ეს რეალური ფულია; ლიტერატურტული ჟურნალები ფაქტობრივად არ არსებობს; წიგნი არ იყიდება, იმიტომ რომ ფული არ არის და ა.შ. და ა.შ. მაგრამ ერთ-ერთი და, ვგონებ, გადამწყვეტი ფაქტორი არის ქართველების გაუგონარი კონსერვატიზმი, და რაც არ უნდა ვიძახოთ, რას ბრძანებთო, ასეა.

ასე აცდა ჩვენს წიგნის ბაზარს თანამედროვე ავსტრიული პროზა, რომელიც ნამდვილად არაა ხელნაწილ-საკრავი. განურჩევლად იმისა, მოგვწონს დეპრესიული ლიტერატურა თუ არა, ავსტრიელი ავტორების ოსტატობა ალბათ მაინც დასაფასებელი და მისაბაძიც იქნებოდა. განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ დეპრესიულობას ბოლო დროს არც ქართველები ვუჩივით.

ავსტრიის ლიტერატურული საზოგადოების ხელმძღვანელთან, მწერალ მარიანე გრუბერთან საუბრის დროს (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქალბატონი ჩვენი ქვეყნის მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილია, 2001 წელს ამიერკავკასიის ლიტერატურის ანთოლოგია გამოაქვეყნა და 2003-ში ქართული ლიტერატურის კრებული გამოცემას გეგმავს) განსაკუთრებით ავსტრიელი მწერალი ქალების ფენომენს შევხებით. ქალბატონმა გრუბერმა, რომელიც შესანიშნავად იცნობს ამ საზოგადოებას, რაც ავტორებთან მეგობრობს და მათ შემოქმედებაშიც კარგად ერკვევა, გულწრფელად ამიხსნა, თან ისეთი ტონით, რომ მის სიტყვებში შეურაცხყოფის მსგავსიც არაფერი იგრძნობოდა: ავსტრიელი ლიტერატორი ქალბატონების უმრავლესობა ისევე, როგორც ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, წესით საციფეთში უნდა იჯდეს; უბრალოდ, მათ წერა იცოდნენ, მერე უკეთ წერა ისწავლეს და ამ გზით დააღწიეს თავი არასახარბიელო ხვედრსო.

ელფრიდე იელინეკი:


სიყვარულს დანატრეპული საყვარლები

ვენა დეპრესიული ქალაქია. არანაშულად ლამაზი, დიდებული, საინტერესო, მრავალფეროვანი და დეპრესიული. პროცენტული თვალსაზრისით, აქ ევროპაში ყველაზე მეტი თვითმკვლელობა ხდება. ვენელებს არაფერი უხარი-ათ და ალბათ აღარც გაუხარდებათ (უტირირებული გამონათქვამია, მაგრამ ნამდვილად არაა ტყუილი). მაღალი ნისლი, ცასა და მიწას შორის დაკიდებული ნაცრისფერი ღვთის წყრომა, რამდენიმე თვის განმავლობაში სულ აქაა, მერე თბილი ფენი დაუბერავს და ვენელებიც უბერავენ...

“თუ ვინმეს ბედი აქვს, კაცი ყოფილა. თუ ბედი ელირსა - ქალია.”

ელფრიდე იელინეკი
ვენაში მცხოვრებ, 1946 წელს დაბადებულ, ებრაულ-ჩეხური წარმოშობის ელფრიდე იელინეკს ბედი არც ჰქონია და არც უბრალოდ ელირსა, მან იბრძოლა თავისი წარმატებისა და ბედნიერებისათვის და დღეს უკვე შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ის მეოცე საუკუნის ევროპელი კლასიკოსია და - რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - მომხიბვლელი ქალი.

ვენის კონსერვატორიაში ორღანს, ფლეიტასა და მოგვიანებით კომპოზიციას სწავლობდა, ვენის უნი-



ვერსიტეტში - თეატრთმცოდნეობასა და ხელოვნების ისტორიას. ფსიქიური მდგომარეობის გამო რამდენიმე სემესტრი გაუცდა, ერთი წელი მშობლების სახლიდან გაუსვლელად გაატარა, სრულ იზოლაციაში, და სწორედ ამ დროს დაწერა პირველი ლექსები და პროზა. ამას ჰქვია ალბათ "დატვირთული გენეტიკა" - მამამისი ფსიქიატრიულ კლინიკაში გარდაიცვალა.

თვითმკვლელობის ყოველი მცდელობა, საბედნიეროდ, წარუმატებლად დაუსრულდა, ღრმა დეპრესიიდან გამო-

ვიდა და 1975 წელს გამოსცა რომანი "საყვარლები", ტრივიალური სასიყვარულო რომანის პაროდია. ფსევდოიმიტი და ამავე დროს უმოწყალო ტონით ის ორი ქალის ამბავს ყვება: ქარხანაში მომუშავე ბრიგიტა სოციალური აღმასვლისათვის იბრძვის, პატარა სოფლელი პაულა - დიდი სიყვარულისთვის. ორივეს ერთი იარაღი აქვს: საკუთარი სხეული და შობადობის უნარი, ეს კი ცოტაა, ძალიან ცოტა... ასეთ ამბებს ქართულ სინამდვილეში "შეტენვას" უწოდებენ, ამიტომ, წესით, ქართველ მკითხველს "კულტურშოკი" არ ემოქმედება.

გამოქვეყნებისთანავე რომანის ირგვლივ გაცხოველებული დებატები ატყდა. "აბსოლუტური ნეგატიურობა", "ცინიზმი", "კაცთმოძულეობა" - ყველა ეს სიკეთე ელფერიდ იელინიკის თვისებები ყოფილა. ის არააადამიანად, უსიყვარულოდ და ცინიკოსად იქნა მონათლული, იმის გამო, რომ ასე ცინიკურად აღწერა არააადამიანობა. ამავე დროს ქალბატონ იელინიკს უამრავი ლიტერატურული ჯილდო გადასცეს, მისი პიესები სცენიდან არ ჩამოდის და კომპაქტდისკები არნახული რაოდენობით იყიდება.

სწორედ ამ სკანდალური რეპუტაციით მიიზიდა ჩვენი ყურადღება ქალბატონი იელინიკის "საყვარლებმა" - სკანდალი ხომ საუკეთესო სარეკლამო საშუალებაა! გარდა ამისა, თავად წიგნში მოთხრობილი ამბავი, სახელები რომ შეგვეცვალა, იმდენად ქართულ-ხალხურად უღერდა, სასაცილო იყო, არადა, საკმაოდ ტრაგიკული ამბავია. მოკლედ, გერმანისტ ლაშა ბაქრაძის მიერ შემოთავაზებული წიგნი მრავალი თვალსაზრისით აღმოჩნდა საინტერესო, და ასე დაიწყო ჩემი ცალმხრივი ურთიერთობა ელფერიდ იელინიკთან, რომელმაც მნიშვნელოვანი წილი შევცვალა ჩემი ცხოვრება - გერმანულენოვან ქვეყნებში ელფერიდ იელინიკის რომანის თუნდაც გამოუქვეყნებელი თარგმანის ავტორობა საუკეთესო სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა.

საქართველოში იელინიკის გამოცემის იდეამ სრული ფიასკო განიცადა. იმ არამრავალრიცხოვანი მკითხველის აზრი, რომელიც "საყვარლების" ქართულ თარგმანს გაეცნო, სრულიად განსხვავებული იყო: ნაწილმა მთარგმნელს ჯილდო გადასცა (ვეჭვობ, რომ ეს უფრო მეტად ქნ იელინიკის ლიტერატურული ტალანტის დამსახურებაა, ვიდრე მთარგმნელისა), ნაწილი კი საშინლად აღშფოთდა, და რაც ყველაზე საინტერესოა, არა თარგმანის ხარისხის, არამედ წიგნის შინაარსის გამო!

როგორც ხედავთ, ელფერიდ იელინიკის ტექსტები ან აღფრთოვანებას იწვევს, ან აღშფოთებას, გულგრილი ვერაინ რჩება. მან სამშობლოში, ავსტრიაშიც, ნახევარი მოსახლეობა აამხედრა თავის წინააღმდეგ, როცა "შემარცხენე-ფემინისტური" შემართებით მიიტანა იერიში წვრილბურჟუაზიულ იდეალებზე: "შე ვწერ იმას, რასაც თქვენ ფიქრობთ და აკეთებთ, ვწერ იმისათვის, რათა აღარაფერი იყოს ისე, როგორც ახლა."


ამგვარი განწყობის მქონე ავტორს, ჩემი აზრით, სრულიად ლოგიკურ ადგილას შევხვდი: ვენაში, გმირთა მოედანზე, უკმაყოფილო მოქალაქეების შეკრებაზე. როგორც სამოქალაქო ომის ქარცეცხლგამოვლილს აშკარად მალიზიანებდა შეკრების მონაწილეთა სულისკვეთება და აღშფოთების საგანი: თურმე, ნუ იტყვი, ოპერის მეჯლისის დროს პატიოსანმა ხალხმა ფანჯრები ჩაღწნა (მიზეზად მოქალაქეობრივ შეგნებას ასახელებდნენ, ისე კი შეუიარაღებელი თვალთ ჩანდა, რომ შეკრებილ საზოგადოებას შურისაგან ემართებოდა არდასამართი) და ნუ იტყვი, პოლიციას დაურბევია. ხომ აღმაშფოთებელია?! ეს ყველაფერი, ცხადია, ჰაიდერის და ფაშისტების ბრალია. ლოგიკაში დიდად ვერ გავფერკვიე და ალბათ საბოლოოდ რამე სისულელეს იტყვოდი და გავილახებოდი, რომ არა ქალბატონ იელინიკის გამოჩენა: აკადემიურად ჩაცმული, სადა, თავშეკავებული ქალისა, რომელიც ხმადაბლა ყვებოდა თავისი ახალი კომპაქტდისკის შესახებ.

კლუდი იელინეკა

სხეული და ქალი

კლაუდია

საპირფარეშოს დაკავილი კაბინიდან, ჩანანერი, კომპიუტერული ხმა



პრევენტირებული ნანარმოები იყო "Das Lebewohl": "დედას უთხარი, მამას უთხარი, დედას უთხარი, მამას უთხარი. თქვი: მე. თქვი: მე!" უნდა მოგახსენოთ, რომ მოქალაქეებს ნაკლებად აინტერესებდათ ლონისძიების ლიტერატურული მხარე, მაგრამ ვინაიდან მაინც ძველი კულტურის მქონე ერის შვილები იყვნენ და თან ელფრიდე იელინეკის საზოგადოების წინაშე გამოჩენა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა, ზრდილობიანად უსმენდნენ. ბრბოს პრიმიტიულ მცდელობებს, საღამოსათვის პოლიტიკური დატვირთვა მიეცა, და პროვოკაციულ კითხვებს, მაგალითად, ხომ ცუდია ფაშიზმიო, ავტორი ჭეშმარიტად დედოფლის ღიმილით იცილებდა.

ამ ქალს ვერაფრით ვაკავშირებდი მასთან, ვინც ოდესღაც "შტერნისთვის" ლოგინზე მიჯაჭვულმა გადაიღო სურათი, და, მით უმეტეს, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ერთ-ერთი რომანის გმირის მსგავსად სამართლებლით დაისურა ვაგინა. ისიც გამიკვირდა, რომ მისთვის უცნობ ენაზე ნათარგმნმა მრავალი ბესტსელერის ავტორი გაახარა. განსაკუთრებული მოწონება გურამ ნიბახაშვილის მიერ გაკეთებულმა "საყვარლების" ილუსტრაციებმა დაიმსახურა, რომლებიც მწერალს ამაყად წარვუდგინე. ისე, შეფასების კრიტერიუმიც უჩვეულო იყო: ნახე, როგორი გაბედული კაცი ყოფილა, შესანიშნავიაო. სწორედ ესაა ალბათ ქალბატონ იელინეკის დიდი ხიბლი: ვერასოდეს განსაზღვრავთ, რას იტყვის, რას იზამს და რას დანერს.

თურმე, ამ ქალს ყოველთვის დაცვა სჭირდება. ეს თვითონ ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში: ქალაქი, სახლი, ოთახი... სხვა თუ არაფერი იცავს, საკუთარ მკლავებს მოიხვევს ხოლმე. მას ეშინია უცხო ადგილების, დიდი თავყრილობების. მითხრა, რომ საქართველოში წიგნის პრევენტიციაზე სიამოვნებით ჩამოვიდოდა, მაგრამ ფრენისაც ეშინია.

ყოველთვის დახატულია - თურმე ამითაც თავს იცავს. ეშინია დაბერების, ნაოჭების, იმისა, რომ სახე შეეცვლება. "ქალები იოლად გაფუჭებადი საქონელია". 1987 წელს მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, როცა დავბერდები, ოპერაციას გავიკეთებ, სახეს დავიჭიმავო. გაიკეთა თუ არა ოპერაცია, ვერ გეტყვით, კარგად კი გამოიყურება.


სულ სიზმრებს ხედავს. მკვლევლობაც ესიზმრება, ოღონდ თვითონ არავის კლავს, მხოლოდ მკვლევლობის მოწმეა ხოლმე. სიკვდილის ძალიან ეშინია, თუმცა "სიამოვნებით არ ცოცხლობს". ეშინია არა კიბოსი და კვდომისა, არამედ იმისა, რომ აღარ იქნება, აღარასოდეს.

საკუთარ თავს ქ-ნი იელინეკი უჩვეულოდ ახასიათებს: ანდროგენული სხეულისა და მდედრობითი ფსიქიკის მქონე სულიერი; ვნებიანი ადამიანი; სიძულვილის დილოსტატი.

ჯილდოები: Lyrik- und Prosapreis der österreichischen Jugendkulturwoche (1969); Lyrikpreis der österreichischen Hochschulschülerschaft (1969); Österreichisches Staatsstipendium für Literatur (1972); Roswitha-Gedenkmedaille der Stadt Bad Gandersheim (1978); Drehbuchpreis des Innenministeriums der BRD (1979); Würdigungspreis des Bundesministeriums für Unterricht und Kunst (1983); Heinrich-Böll-Preis der Stadt Köln (1986); Literaturpreis des Landes Steiermark (1987); Würdigungspreis der Stadt Wien für Literatur (1989); Walter-Hasenclever-Preis der Stadt Aachen (1994); Peter-Weiss-Preis der Stadt Bochum (1994); Bremer Literaturpreis 1996, Georg Büchner-Preis (1998). Theaterpreis Berlin (2002).

(კვენესა) ცეცხლოვანი და მშვენიერია ნიჟარა-ში ჩემი სხეული - კიდევ როგორ შევაქო? აი, წამოიმართა. მე და ჩემი სხეული ერთნი ვართ, ახლა კი უცებ ნიჟარიდან გასვლა მოუნდა, სიცოცხლე მოუნდა, უნდა, რომ დაუსხლტეს სახელს, რომლითაც განპირობებულია, უნდა, რომ თავი დააღწიოს სურნელს, რომელსაც ჩემი პიროვნება სძენს. დარჩი, სხეულო, ჩემთან დარჩი! კარგი, მიდიხარ, მაგრამ უჩემოდ ნუ ნახვალ, მეც წამოვალ. იცი, დაძალება მჩვევია. დარჩი! თქვენ, ნორჩად რომ გამოიყურებით, მე რომ მბაძავთ: ნუ იქნებით ჩემსავით ლამაზები! მე კი: უფრო ლამაზი იყავი! ჩემი სხეულის გარეშე აქ აღარ ვიქნებოდი. ჩემი პიროვნული სტრუქტურა ხომ სწორედ ესაა. ჩემში თავი შინ იგულე, სხეულო, არა, პირიქით, შენს სხეულში თავი შინ იგულე, კლაუდია! დარჩი, კლაუდია! დარჩი, სხეულო! ეს ლამაზი ნიჟარა ვენერის ნიჟარაა, აქედან წამოვიმართე, მინდა, რომ მასში ერთად ვიფიქროთ მე და ჩემმა სხეულმა. ორივემ





ერთად. ხომ შეიძლება, მეც შენს აზრს ვიზიარებდე, სხეულო? შენთვის ვაგროვებ სიტყვებს. შენთვის ვაგროვებ სამოსს. ნუ ნახვალ! გთხოვთ, თქვენც ნუ მომიხურავთ კარს! თორემ ჩემი და ჩემი სხულის ნახვის შანსი აღარ გექნებათ! მხოლოდ ჩემზე კი არა, ჩემს ქმნილებაზეც იფიქრეთ, გთხოვთ! მაიორკაზე ეს მაგარი სახლი ხომ იმისთვის ავაშენებინე, რომ იქ დავანყო ჩემი პრობლემები. მე პრობლემები არა მაქვს. ჩემი სხეული სულ არაა იმისთვის საჭირო, რომ ეს სახლი მოგენონოთ; ფასადზე რაც არ მოგეწონებათ, თვალი აარიდეთ, თუ შეიძლება. ნიჟარიდან ამოსული ჩემი სხეული, რომელსაც გაჩვენებთ, ისეთი ლამაზია, როგორც ვერცერთი ნისლში დანთქმული მიდამო ვერ იქნება. თქვენ რას იტყვით? მოიცა! აქ თქვენი არაფერია, ეს უკვე სხვისია! მოიცა! ჩემი აზროვნება მაღალპოლიტიკურია, ჩემი ქცევა უაღრესად ნერვიულია, ჩემი ტანსაცმელი ძალიან მოდურია, ჩემი სხეული მრავლისშემძლეა. რაღაცის მომცემია. არაფრის მომცემია. სულ ვთამაშობთ - ის და მე. ყველაფერს ვშვრები მის გასათავისუფლებლად, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ შევინარჩუნო. შეხედეთ ჩემს ვარდისფერ ტრუსებს და ვარდისფერ აზლუდს, მე მინდოდა, რომ სხვანაირი გავეხადე, რაღაცნაირად, საამოდ გამოეჩინა ჩემი სხეული, რომ ყველა ქალს ეგონოს, რომ ეს მასაც ელირსება, თუკი მოისურვებს. ადამიანებს ჩემი ეშინიათ და მიფრთხიან, არადა, საუკეთესო სანახავი ვარ! ჩემი პირი ამ დროს გაკვრივებულია რაღაცას. ჩემი სხეულის ნაწილები განუყოფელი არიან და ერთად თამაშობენ, როგორც ციკნები და ბეკეკები, სწორედ იმდენს თამაშობენ, რამდენსაც ხელები ზიდავს და თვალი მისწვდება. მერე ისევ ჩერდებიან. შენებასავითაა, ჰო, ყველა აგური ერთად. სხეულო, შენ ხომ სინამდვილეში ჩემი დანამატი ხარ, ყველაზე მნიშვნელოვანი ხომ მე ვარ, ეს ნაწილი სხეულთან ერთად: ერთი მეორის გარეშე არ გამოდის. მკერდს სირთულეებთან უწევს ბრძოლა, აი, ჩემსას კი - არა, ფეხებს სირთულეებთან უწევთ ბრძოლა, აი, ჩემსას კი - არა, თმას ძირითადად ყოველთვის სირთულეებთან უწევს ბრძოლა, აი, ჩემსას კი -

არა. დიას. აბა, კარგად შეხედეთ! შეგიძლიათ ჩემი სხეულის ნაწილებს იმდენი უყუროთ, რამდენიც გაგიხარდებათ. მილიონჯერ დაინახოთ. მრავალ ქალს ჰგონია, რომ ეს მათი ნაწილებია, არადა, ჩემია. სამწუხაროდ, საზოგადოების წევრებს უნდა ვამცნო: ყველაფერი, რასაც ხედავთ, სხვას ეკუთვნის: მე! მზე ქარი ღრუბლები ზღვა... ეს ქალის პირია, და მისი საუკეთესო მსმენელი საზოგადოება გახლავთ. მორკალული ზედა ტუჩი, მიმზიდველ ქვედა ტუჩთან ერთად, რამ დაგაბრმავათ, ჩემო კბილებო, რით ვერ მიხვდით საკუთარ ზომას! თქვენ, ქალები, მეცოდებით, რომ თქვენს ტუჩებს, თქვენს კბილებს, თქვენს თმას ისე ვერ ფლობთ, როგორც მე - ჩემსას. თქვენ ყოველთვის შედარება გჭირდებათ, მე კი - არასოდეს. მე უკვე მტკიცედ ვდგავარ. მეცოდებით. ვწუხვარ, მაგრამ ჩემს სხეულს ვარ მიჩენილი, სხვა სხეული არც მიმიღებდა. ალბათ მისთვის მეტისმეტად ლამაზი ვიქნებოდი. ასეთ დარტყმას მხოლოდ ეს სხეული აიტანდა. ჩემთან იქნება, ჩემია, ნამდვილად ასეა. მისთვის სურათებს ვაღებინებ, რომ თუ გამექცა, დამტკიცება შემძლოს: ჩემია და როცა მოუნდება, წავა. ოღონდ არ გამექცევა! მაგალითად, სწორედ ახლა, მეტროს სადგურში კიდეა, სადაც მატარებელში აღინართ ხოლმე, და ეს ტრუსი და ეს აზლუდი აცვია. რაღად მინდა ეს სხეული? სადაც კიდეა, კარგად კიდეა. არა, მაინც მჭირდება. რასაც მხედავთ, სულ ესა ვარ. ახლა კი ვერ ხედავთ. დაკავებულია. დაკავებულია-მეთქი. ჩემს გარდა არაფერია და არაფერი მოხდება. ეს სუნამო მე თვითონ შევქმენი. უფრო იაფი რამის ნებას თავს ვერ მივცემდით. ჩემს ბატონს სხეულს, რომლითაც აქამდე ვიპრანჭებოდი, საქმის კეთება უნდა. არ გავუშვებ. აქაც შეუძლია მუშაობა. სივრცეში იჭრება, თავს გვანონებს. ის ყველაფერს ერევა, რაც სხვა ადამიანებს პრობლემებს გაუჩენდა. მიშველეთ, ჩემი სხეული გამირბის! ცუდად ვარ, არა, პირიქით, ისაა ჩემგან ცუდად. ჩემი სხეული მზაგრავს. მიშველეთ! ნეტა გამეშვა! არა, ამას არასოდეს ვიზამდი. მას საკუთარი თავის გარდა არაფერი უნდა, მე კი ეკონომიკის შესწავლა მინდა. ან მსახიობის კარიერა. ან ორივე ერთად, მას სულ რაღაცის დანყება უნდა, რომ საკუთარ პიროვნებას ხაზი გაუსვას, მერე კი ბეზრდება, სააღდგომო კვერცხივით. ოჰ, თხრობა მიჭირს, თავი დამანებე! გთხოვ, ერთხელ, ერთხელ მაინც ჩემსას ნუ გაიმეორებთ! სხვა იყავით, მე არა. მე ხომ უკვე ვარ! რა არ შთანთქა ჩემმა სხეულმა, ძირითადად მე ვშთანთქა, მაგრამ რაღაცეებს იძლევა კიდევ! რა ლამაზია ჩემი მზურა, რა მაგრად გამოიყურება დღესაც ჩემი თმა! მე მგონი, საკუთარი თავი უნდა ამოვარწყო, რომ დამინახოთ! სალაპი. რომ იცოდეთ, სულ ღრმად, სიღრმეში როგორი ვარ, იქნებ ავადმყოფურად ნაზი, ან ნამდვილად ჯანმრთელი, სულ ერთია, ასეთი ვერასოდეს იქნებით. რატომ მოეღიოთ ჩემი სხეულისგან, რომ მთის პანორამასავით იქნება, რომ ლამაზიც იქნება და ბუნებრივაც, რაც მხოლოდ ბუნებას გამოსდის? თქვენ ჩემი მოდელიორი ხართ. ვიღაცა სხვა ჩემი ვიზაჟისტია. მშვიდად და დაუნანებლად დატოვებთ თქვენი სამოსი, შედით მაღაზიაში და ახალი იყიდეთ. მაინც არაფერს გარგებთ. შეგიძლიათ მშვიდად შეუკვეთოთ ჩემი სხეული, თავად ნახავთ, არ გამოგყვებათ. ხელი გაუშვი! ჩემია! დიასაც. შეგიძლიათ კარებსაც ეჯაჯგუროთ მის დასათრევად, ნახავთ, კარი არ გაიღება. დაკავებულია. სხეული აქ იმისთვის კი არაა, რომ შემოისიერნოთ. მე ხომ შიგა ვარ! თქვენთვის ხომ სულ ერთი არაა, ეს სხეული მე მეკუთვნის, თუ არა? ჩემთვის ნამდვილად არაა სულ ერთი. არ დავთმობ. და ყოველთვის ვქრები, როცა სახლში ბარგიდან ამოღებას მიპირებენ ხოლმე. შიგ არასოდეს არაფერია. და ესეც შეცდომაა, რადგან შიგნით მხოლოდ მე


ვარ. ამას ანი კიდევ შეამჩნევთ. როგორც ვხედავ, მაინც მიგყავართ. აქედან ნუ წამიყვანთ! აქედან ვერ გამომათრევთ. დაკავებულია. ყოველთვის სხვა ვარ, ის არა, თქვენ რომ გეგონათ. გაიარე, ქალო! ვაიმე, ამჯერად ჩემმა სურათმა არ გაამართლა. თუ მაინც გინდათ, ინებეთ. მაგრამ ეს დაკავებულია. ჩემი სხეული ჩემია. თქვენი სხეული თქვენ არ გეკუთვნით, ახლა ისიც მე მეკუთვნის. არა, ახლოდან რომ ვნახე, გადავიფიქრე: თქვენთვის დაიტოვეთ. ჩემი მზერა მას უმაღლეს დაამსხვრევდა და დაჭყნობდა, მოისპობოდა, როგორც კი თავის მარადიულ სარკეს ამოიცნობდა. ნაწილ-ნაწილ ვარ დაღაგებული ამ დიდ პლაკატის სივრცეზე, ჩამოქნილი, როგორც ყოველთვის, თქვენკენ მოვაბიჯებ, მაგრამ არასოდეს მოგიახლოვდებით. ამ სიბრტყეზე ქარი განუწყვეტლივ უბერავს. აი, ეს აზლუდი იყიდეთ, ალერსიანი ხელებისთვის, მაგრამ მათ მხოლოდ ჩემი ალერსი უნდათ. ჩემი სხეული შემოდის მშვიდად დავაფინო, მასზე გადაბიჯებს ხომ მაინც ვერავინ გაბედავს. იჭმევა კიდევ ერთადერთი ნამცხვარია, რომელიც იჭმევა და რომელსაც არ ვთმობ. მე ამის უფლება არა მაქვს. უფლება ყველას ყველაფრისა აქვს, მაგრამ ეს დაკავებულია. ვერავინ ვერაფერს გაანყობს. ეს კარი მიცავს. ჩემი ბატონი სხეული აქაა, მობრძანდა და ნებისმიერ დროს წაბრძანება შეუძლია, მაგრამ ამას არ იზამს. უფლება არა აქვს. აქ ვერ შემოხვალთ. უფლება გაქვთ, მაგრამ ვერ შემოხვალთ. ეს ჩემი ბატონი სხეულია, რომელიც აქ პირველი მოვიდა და გაბრიყვდა და ჩემში ჩაიკეტა. ახლა დარჩენა მოუწევს. ველარ გამოვა. აქ უნდა დარჩეს. შემომსვლელები ხშირად იკეტებიან, მანამაც, სანამ ცხოვრების კარს პოულობენ. მე ისედაც აქა ვარ. აქედან არც წავალ. ყველა ქალს მეტი რამა აქვს გასაფუჭებელი, ვიდრე მე. გარეთ დარჩით. დაკავებულია. უწესო ვარ და ჩემი ნებით ვრჩები ჩრდილში. მაინც მხედავთ. ვერ მხედავთ. მხოლოდ მე მხედავთ. ეს ჩემია. მთელს მსოფლიოში ვმოგზაურობ, მაგრამ ეს ჩემია და ჩემი იქნება.

10.07.2001



ჯული აოლბერი

ღმერთის
შეცნობის
ვალდებულება



უსაძლოა, ბიბლია ზებუნებრივი მადლით მართლაც აჯილდოებდეს იმ მორწმუნეებს, რომელთაც თვალთაც არ უნახავთ ქრისტეს ამალღება, მაგრამ მაინც ბრმად სწამთ მისი. თუმცა, მერი ფლენერი ო'კონორი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანები ხშირად უარს ამბობენ ამ მადლზე და ურწმუნო თომასავით გული ეჭვებით აქვთ საფეხ (ხშირად ხდება უარესიც - არსებობენ სენტიმენტალები, რომლებიც უტიფრად უარყოფენ ყველაფერს, ჯვარცმასაც კი, თანაც, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჯვარზე ლურსმნები საკუთარი ხელით აქვთ ჩაჭედებული).

ამის გაცნობიერება მოაზროვნე ადამიანისთვის რთულია. რთული აღმოჩნდა ო'კონორისთვისაც, რომლის მოთხოვნებიც გაჯერებულია ჯვარცმული და ამალღებული ქრისტეს უხილავი არსებობით, რომლის წამებაც, მომწუსხველი სიყვარულიცა და მადლიც ჩვენგან, მოკვდავებისგან შეცნობას მოითხოვს.

ო'კონორი 1950-60-იან წლებში მოღვაწეობდა. მაშინ საინტერესო ამბები ხდებოდა - კომერციული კულტურა პროგრესსა და განვითარებას აღმერთებდა. მომავალს ისეთი კაშკაშა ფერებით ხატავდნენ, თითქოს, სახლებს უკან ბომბებისგან თავდასაცავი მინისქვეშა თავშესაფრები არავის ჰქონოდა გათხრილი. როგორც კი სა-



შუალეზა მიეცემოდათ, თავშეკავებულად, მაგრამ მაინც დიდი სიხარულით "ივინყებდნენ" რასობრივ პრობლემებს. მათ კი, რომელთაც ამ ფერად-ფერადი დაპირებებისა ეეჭვებოდათ, ერთი მარადიული არჩევანიღა რჩებოდათ - ინტელექტუალური და შემოქმედებითი ნიჰილიზმი.

თუმცა, ოკონორმა გვერდი აუქცია კომერციული კულტურის უსაფუძვლო აღფრთოვანებასაც და უკმაყოფილო განდევილების ნიჰილიზმსაც. ამ მიმდინარეობების საპირისპიროდ მან მთელი ძალები იმ ადგილის აღწერას შეაღია, რომელსაც ყველაზე უკეთ იცნობდა - მშობლიური სამხრეთის. დაიხმარა ბავშვობის მოგონებები და შექმნა ყველასაგან განსხვავებული, უცნაური, ხშირად უსახო, მახინჯი გმირებით დასახლებული სამყარო. სივრცე, რომელსაც აღიქვამდა როგორც დაწყვეტილ ადგილს, ღვთიური მადლისგან გადარეცხილს, არეულს, ქაოტურს, მაგრამ მაინც ღმერთის შეცნობისა და მისი რწმენისკენ მიმართულს.

მერი ფლენერი ოკონორი სავანაში (ჯორჯიის შტატი) დაიბადა, 1925 წლის 25 მარტს. ის რეგინა და ედვარდ ოკონორების ერთადერთი შვილი გახლდათ. მასობრივად პროტესტანტულ სამხრეთში კათოლიკური რწმენით აღზარდეს. ალბათ, სწორედ ამან იქონია გავლენა ოკონორის თავისუფალი და ირონიული ხედვის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც ის წერის დროს ავლენდა.

ოჯახის უფროსის დასნეულების შემდეგ ოკონორები ჯორჯიის პატარა ქალაქ მილეჯვილში გადასახლდნენ. ედვარდ ოკონორი წითელი ქარით იტანჯებოდა, პერიოდულად სტკიოდა სახსრები, აწუხებდა დალილობის საშინელი შეგრძნება. ეს დაავადება უტევდა გულს, ფილტვებსა და თირკმელებსაც... მერი 15 წლისა იყო, როდესაც მამა დაეღუბა.

წერის ნიჭი ოკონორმა ბავშვობიდანვე გამოავლინა. განსაკუთრებით ეხერხებოდა სატირული ჩანახატებისა და კომიქსების შექმნა. მოგვიანებით ის ჯორჯიის შტატის ქალთა კოლეჯში სოციოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა. თუმცა, მალევე მიხვდა, რომ მისი ნამდვილი მოწოდება წერა იყო. ორი წლის განმავლობაში, სტიპენდიას იღებდა და ძალზე პრესტიჟულ სასწავლებელში - აიოვას სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის მწერალთა სკოლაში სწავლობდა. 1947 წელს მიიღო კიდევ მაგისტრის წოდება.

მშობლიური სამხრეთისგან მოშორებით კიდევ რამდენიმე წელს იცხოვრა - ჯერ იადოში, ნიუ-იორკის ხელოვანთა კოლონიაში, შემდეგ კი კონექტიკუტში, მეგობრებთან ერთად. თუმცა, 1950 წლის დეკემბერში, როდესაც საშობაო არდადეგებზე შინ მიემგზავრებოდა, საშინელი ამბავი გაიგო - მასაც იგივე სნეულება სჭირდა, რამაც მამამისი შეინირა.

მერი ფლენერი საავადმყოფოში მოხვდა, მაგრამ არც იქ დაუსვენია - იმ პერიოდში თავისი პირველი რომანი Wise Blood გადაწერა და შეასწორა.

ფიქრობდა, რომ ჯორჯიას მხოლოდ დროებით დაუბრუნდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სნეულებამ მისი სამომავლო გეგმები ძირფესვიანად შეცვალა. ოკონორის ცხოვრებაში შეზღუდვები და ბარიერები გაჩნდა (ის იძულებული გახდა ბოლომდე ყავარჯენებით ევლო), მაგრამ ავადმყოფობაზე ბევრს მაინც არ ლაპარაკობდა. მხოლოდ ხანდახან, ისიც მეგობრებისთვის განკუთვნილ წერილებში გაიელვებდა ხოლმე მისი უიმედო ტონი, ეს კეთილი ხალხი, როგორ ზრუნავს ჩემზეო... სადღაც კი ძალიან ცივად, ჩვეული ირონიით წერდა, თუ კოჭლი მოხვდება სამოთხეში სხვებზე ადრე, ეს იმიტომ, რომ "მათ ყავარჯენებს უთავაზებს და უკან ასე ჩამოიტოვებსო".

ძირითად დროს სულ მილეჯვილში, მშობლების ფერმაში ატარებდა, ხანდახან რომელიმე ღონისძიებაზე თუ გამოვიდოდა სიტყვით, ან მეგობრებს ეწვეოდა, ეს იყო და ეს. ფერმას დედა უძღვებოდა, ფლენერი კი დილობით სამოთხე საათს წერდა, დანარჩენ დროს მეცადინეობდა, კითხულობდა, მეგობრებს იღებდა, წერილებს წერდა (მისი ცოცხალი, გულწრფელი წერილები კრებულიდაც არის გამოცემული: The Habit of Being); ხანდახან თავისი ჰობისთვისაც მოიცლიდა ხოლმე და წინილებსა და ფარშევანგებს უვლიდა.

მის წერილებსა და ესეებს რომ გადაავლოთ თვალი, აშკარად დაინახავთ ემოციურ მოაზროვნესა და თეოლოგს (ოღონდ თვითგანსწავლულს). მასზე დიდ გავლენას ახდენდა: ავგუსტინე, თომა აქვინელი, ტერეზა ავილელისა და სიენელი წმინდა კატერინას სასწაულები... კითხულობდა სხვადასხვა მიმართულების მქონე ფილოსოფოსებს: მარტინ ჰაიდეგერს, მარტინ ბუბერს, ჟაკ მარიტეს და ედიტ შტაინს.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ფერმაში ცხოვრობდა, ჰქონდა მოვლენათა ხედვის გამორჩეული უნარი და ისეთ დეტალებს ამჩნევდა, რომლებიც ზუსტად მისი ტექსტების შესაქმნელად იყო საჭირო. ოკონორი აკვირდებოდა ყოველ ნიუანსს. დედისა და ფერმის მოსამსახურეთა თუ ქალაქელთა ურთიერთობა, საძოვრის მიღმა გადაწვერილი მზე და უბრალოდ, ადგილობრივ გაზეთებში ამოკითხული ქალაქის ქრონიკები - ოკონორის მკვეთრად გამოძერწილი ხასიათების, ცოცხალი სცენებისა და ზუსტად შერჩეული დიალოგების შექმნის საფუძველი ხდებოდა.

ასე რომ, მართალია, მწერალს სენი ბევრ რამეში ზღუდავდა, მაგრამ მისი საშუალებით სტაბილურობას, მეტიც, თავისუფლებასაც კი მოიპოვებდა იმ დეტალებისა და ამბების მოსაძიებლად და შესასრულად, რომელიც შემდეგ წერისას დაეხმარებოდა.

თუმცა, იყო კრიტიკაც. ოკონორის მწერლური ხედვა მკაცრი და ნეგატიური ასპექტებით არის სავსეო, ამტკიცებდნენ ზოგიერთები. ძირითადად, ასე ფიქრობდნენ უბრალო სამხრეთელები, რომელთაც ერჩიათ, ოკონორს თავის ნიგნებში უფრო მსუბუქი და შელამაზებული ამ-

ბები მოეთხრო, მაგრამ ხანდახან სასულიერო პირებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

თვითონ ო'კონორს კი გულს სტკენდა ასეთი უსაფუძვლო კრიტიკა. ის ხომ დარწმუნებული იყო, რომ ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში მუდამ ერთმანეთს უპირისპირდება კეთილი და ბოროტი, ადამიანები კი ყოველთვის უდარდელად ფლანგავენ ღმერთისგან ბოძებულ სიკეთეს. მწერალი თავის გამირებზე ამბობდა: "ისინი უბედურები, გონებრივად და ფიზიკურად დასნეულებულები, საკუთარი სულიერი დანიშნულების არმცოდნეები არიან". მეგობრისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში კი სინანულით აღნიშნავდა, რომ მისი ნოველების კრებულს A Good Man Is Hard to Find კრიტიკოსებმა სარკასტული და არაადამიანურად მკაცრი უწოდეს. "ნოველები მართლაც მძიმეა, - წერდა ის, მაგრამ ეს იმიტომ, რომ არაფერია უფრო მძიმე ან სენტიმენტალური, ვიდრე ქრისტიანული რეალიზმი". ესეში The Fiction Writer and His Country, რომელიც კრებულში Mystery and Manners შედის, ო'კონორი აღნიშნავდა:

"თუ არ შეგვიძლია, მივიღოთ ჩვენი ხელოვანები ისეთები, როგორებიც არიან, მაშინ კითხვას - "ვინ წარმოადგენს ამერიკას დღეს? - ერთმნიშვნელოვანი პასუხი ექნება: სარეკლამო სააგენტოები. მათ შეუძლიათ ზუსტად გადმოსცენ ჩვენი კეთილდღეობა და თითქმის უკლასო საზოგადოება, ამას ისინი დამაჯერებლად, დასაბუთებულად აკეთებენ. მაგრამ განა, სჭირდება ხელოვანს ნივთმტკიცება? იქ სადაც შემოქმედისა სწამთ, მისგან ალიბებს არ მოითხოვენ".


ო'კონორს არც იმის სურვილი ჰქონია ოდესმე, რომ თავისი ტექსტებით კულტურული მითები გაესაღებინა და არც იმის, რომ ისინი პროპაგანდად ან რელიგიურ ტრაქტატად ექცია. პირიქით - თეოლოგიისა და ბიბლიის (განსაკუთრებით კი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებების) ცოდნა მის მხატვრულ ლიტერატურას ერთგვარ ლოგიკურ, ობიექტურ საფუძველს უქმნიდა, ხოლო თავად ავტორს საშუალებას აძლევდა, საკუთარ ტექსტებში სიმბოლოები უფრო თამამად, ბუნებრივად გამოეყენებინა. თუმცა, ვფიქრობ, ო'კონორის მთავარი ღირსება, მისი პრიორიტეტი მაინც სხვა იყო - თვითონ საინტერესო ისტორია.

კარგი ამბავი კი, ისევე როგორც ყველა სახის კარგი ხელოვნება მხოლოდ მსუბუქად კი არ ენება მკითხველის გრძნობებს, არამედ ძირფესვიანად გარდაქმნის მას. როგორც ო'კონორი ამბობდა, ჯერ კი არ კითხულობ ამბავს და "შემდეგ კი არ გადაადიხარ მნიშვნელობის გაგებაზე, არამედ ამბავი უკვე არის მნიშვნელობა - ის კონკრეტული მოვლენაა, შთაბეჭდილება და არა აბსტრაქცია".

ერთხელ ო'კონორმა აღნიშნა, რომ "მსოფლიო წალეკა მდარე ხარისხის მხატვრულმა ლიტერატურამ, რაზეც პასუხისმგებელი რელიგიური იმპულსი უნდა იყოს" - მწერლებს ჰგონიათ, რომ რწმენა ათავისუფლებთ ვალდებულებისგან, შეიცნონ და აღწერონ მატერიალური სამყარო, რომელშიც ღმერთია განფენილი.

თავად მწერლისთვის კი პოეზიისა და პროზის შექმნის მორალური საფუძველი ღმერთის მიერ შექმნილი მოვლენების ზუსტი ასახვა იყო. ის ფიქრობდა, რომ ლიტერატორი მხოლოდ არსებული, ხილვადი რეალობის შეუცდომლად ასახვით შეძლებს, შეაღწიოს უხილავ რეალობაში, უხილავ სამყაროში - ხასიათების, სცენების, მოქმედებების სულიერ განზომილებაში.

ო'კონორს ხშირად მიჰყავდა თავისი გამირები იმ გადამწყვეტ წერტილამდე, როდესაც, ფიზიკური ზენოლის გამო, მათ არჩევანი უნდა გაეკეთებინათ ჭეშმარიტების



სასარგებლოდ ან სასწინააღმდეგოდ. ის ფიქრობდა, რომ ძლიერი მოქმედება აუცილებელი იყო იმ თანამედროვე მგრძნობიარობის გასარღვევად, რომელიც სულიერებასა და მატერიალურ საგანს აცალკევებდა, ბოლოს კი საერთოდაც კლავდა სულს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში ო'კონორი თავის გამირებს იმდენად მკვეთრი შტრიხებით ძერწავდა, მკითხველს მათი თვისებები, მაგალითად, ინტელექტუალობა, გაზვიადებული ეჩვენებოდა, ურწმუნოება კი - რეალისტური ნიუანსებისგან დაცლილი. მაგრამ ეს მხოლოდ რიგ შემთხვევაში. უფრო ხშირად ო'კონორი ჰიპერბოლიზაციის ხერხის ოსტატურად გამოყენებას ახერხებდა, ანუ, მხოლოდ იმ დოზით, რაც მოვლენებისა და საგნების ნამდვილი ბუნების წარმოჩენისა და გაღრმავებისთვის იქნებოდა საკმარისი.

საბოლოო ჯამში კი, რთული და გრძელი გზის გავლის შემდეგ, ო'კონორის გამირები ყოველთვის ახერხებენ ღვთაური მადლის შეცნობასა და გათავისებას. მის ტექსტებში ინტელექტისა და თვითრწმენის, რასობრივი უზენაესობისა და ცინიზმის ქვისგან ნაგებ მონასტრებს, რომლებიც ადამიანთა სულებშია აღმართული, ღმერთის ყოვლისმომცველი სიყვარული უპირისპირდება: "სიყვარული უანგარო, რომელიც ქვეყნიერებას მხოლოდ სიყვარულისთვის მოევილინა". (The Violet Bear It Away).

ო'კონორი 39 წლისა გარდაიცვალა. ამ დროისთვის მას უკვე იცნობდნენ, როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე არაორდინალურ, ნიჭიერ ლიტერატორს. საგულისხმოა, რომ მას შედარებით მცირე, მაგრამ შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა. მოთხრობები დაცემული, ბნელური და უკიდვანო მისტერიასამყაროს შესახებ, რომელსაც ცხოვრება ჰქვია.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ



ოჯახური მყუდროება



თომასი ფარდას ამოფარებული უთვალთვალებდა სახლთან მოახლოებულ ავტომობილს, საიდანაც დედამისი და პატარა კახა გამოძვრნენ. ჯერ დედა გადმოიზღაზნა, შემდეგ მანქანის კარებში იმ ძუენას გრძელი ფეხები და აჩაჩული კაბა გამოჩნდა.

გოგო მხიარული ჭყვივით ძაღლისკენ გაქანდა. ძაღლიც სიხარულით, სტუნვა-ხტუნვით მიეგება. თომასმა იგრძნო, რომ დაუოკებელმა სიშმაგემ შეიპყრო, - თითქოს სულში გააფთრებული ბრბო ჩაუსახლდაო. დროა ჩაალაგოს ჩემოდნები და სასტუმროში გადასახლდეს, სანამ ეს არარაობა აქაურობას არ დატოვებს.

მაგრამ არ იცოდა, სად ინახებოდა ჩემოდანი, ეჯავრებოდა ნივთების ჩალაგება, ესაჭიროებოდა წიგნები, არ ჰქონდა პორტატული საბეჭდი მანქანა და, ამას გარდა, ელექტროსაბანს იყო მიჩვეული. თანაც, არც რესტორნის საჭმელი უყვარდა.

უკანა კარი გაიღო. სამზარეულოში გოგონას სიცილი გაისმა. ხმა სამზარეულოდან გამოვარდა, შემოსასვლელში გაიქროლა, კიბის გავლით კაბინეტში შეიჭრა და თომასს დაეძგერა.

ამ დილით მან კატეგორიულად გამოუცხადა დედას: თუ ამ გოგოს ხელახლა მოიყვან სახლში - წავალ, აირჩიე, ან მე, ან ისო.

დედამ გააკეთა თავისი არჩევანი.

თომასს სული შეეხუთა.

მისი ცხოვრების ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე პირველად... თვალები ცრემლით ავესო, მაგრამ მრისხანებამ ძალა მოაკრებინა.

თუმცა, თუ სიმართლე გინდა, დედამისს არავითარი არჩევანი არ გაუქვებია, უბრალოდ, იცოდა მისი სისუსტე: კომფორტის სიყვარული და ამაზე ითამაშა.

კეთილი, ახლა კი ასწავლის ჭკუას.

გოგოს სიცილი ხელახლა გაისმა. თომასი შეკრთა. გაახსენდა, როგორ უყურებდა, როდესაც მის ოთახში შემოიპარა. გაღვიძებისთანავე შეამჩნია კარებში მდგომი ქალის ფიგურა. გარეთ, ჰოლში სინათლე ენთო, ამ შუქზე კარგად დაინახა, როგორ მოტრიალდა მისკენ. სახე მიუზიკლის კომედიანტს მიუგავდა - ნვეტიანი ნიკაპი, ფუნჩულა ლოყები და კატის უაზრო თვალები. მაშინვე სანოლიდან წამოვარდა, სკამს ხელი დასტაცა და ვეფხვების მომთვინიერებელივით დაუნყო ოთახიდან განდევნა. რის ვაივავლახით გააგდო. განბილებული გოგო სტუმრების საძინებელში გაუჩინარდა.

თავისი ოთახიდან დედამისი გამოვიდა. კრემით გაზითხნილი სახე და დაკულულებული თმები ჰქონდა. "მაშინ გამეღვიძა, როცა ჩემს საძინებელში აპირებდა შემოჭრას - თქვა თომასმა. შემდეგ, დედა ოთახში შეიყვანა, კარი მიიხურა და აყვირდა - "მე ამას არ მოვითმენ, მეტს აღარ მოვითმენ!" დედამისმა უკან დაიხია და სანოლის ნაპირზე ჩამოჯდა.

- უკანასკნელად გეუბნები, - იმეორებდა თომასი, - ამას აღარ მოვითმენ.

კარგად იცნობდა დედამისის ამ თვისებას: საუკეთესო განზრახვით ქველმოქმედების პაროდია შეეთითხნა, თანაც ისეთი უაზრო ალტკინებით, რომ თვით კეთილი საქმე იდიოტიზმად, ხოლო ყველა გარშემო მყოფი, სულელად გამოჩენილიყო.

- მეტს აღარ მოვითმენ, - კვლავ გაიმეორა. დედამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თან კარებისთვის თვალი არ მოუშორებია.

თომასმა სკამი მოიტანა, დაჯდა და დედამისისკენ გადაიხარა, თითქოს, გონებანაღუნგ ბავშვს შეაგონებსო...

- ეს მისი ავადმყოფობაა, - თქვა დედამ, - რა საშინელებაა, რა საშინელება. კი მითხრა რაც ჰქვია, მაგრამ დამავინწყდა. მოკლედ, ვეღარ უმკლავდება ამას - რალაც თანდაყოლილია. წარმოიდგინე, თომას, - დედამ ხელი ლოყაზე მიიღო, - წარმოიდგინე, შენ რომ იყო მის ადგილას.

თომასს გაღიზიანებამ სუნთქვა შეუკრა.

- როდისღა გაიგებ, - იყვირა, - თუ თვითონ არ მიხედავს თავს, შენ მით უფრო ვერაფერს უშველი.

ნაცნობი, მაგრამ გაუცხოვებული დედის თვალები, დაისის ცასავით ლურჯად ელვარებდნენ.

- ნიმპერმანი, - წაილულულა მან.

- ნიმფომანი, - გაუსწორა გააფთრებულმა თომასმა, - ტყუილა გირევეს ტვინს სხვადასხვა უცხო სიტყვებით, უნდა გაიგო ბოლოს და ბოლოს, რომ ზნეობრივად მახინჯი ადამიანია, სულიერი ღირებულებების გარეშე დაიბადა, ისე, როგორც სხვები იბადებიან თირკმლის ან ფეხის გარეშე. გასაგებია?

- მე კი სულ ვფიქრობ, შენ რომ ყოფილიყავი მის ადგილას, - გაიმეორა მან ისე, რომ ხელები სახიდან არ ჩამოულია - წარმოგიდგენია, რა დღეში ვიქნებოდი, რომ ყოფილიყავი ნიმპერმანიაკი, და არა ჭკვიანი და სიმპათიური ადამიანი და საკუთარი ნების გარეშე ავი საქმეები გეკეთებინა.

- რა ეცვა? - მოულოდნელად იკითხა დედამ.
- არაფერი, - იფეთქა თომასმა. იმედია ახლა მაინც გააგდებ აქედან.
- აბა როგორ გავაგდო, ხომ იცი, დღედილითაც რომ სცადა თავის მოკვლა?

- ციხეში დააბრუნე.
- მე შენ ციხეში არ დაგაბრუნებდი, თომას.
თომასი ადგა, სკამს ხელი დაავლო და ოთახიდან გავიდა. აღარ შეეძლო მეტის გაძლევა.

თომასს უყვარდა დედა. ეს ბუნებრივია. მაგრამ ზოგჯერ ველარ იტანდა ამ სიყვარულს. ხანდახან ყველაფერი სულელურ გამოცანას ემსგავსებოდა. დედა ყოველთვის ბანალური მოსაზრებით იწყებდა: "აი, ეს არის სასარგებლო და კეთილი საქმე" და ერთვებოდა რაღაც ემპაკისეულ თამაშში. ემპაკის ამოცნობა კი, რა თქმა უნდა, არ ხელენიფებოდა.

"ემპაკისეული" თომასისათვის მხოლოდ სიტყვა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტად ეს სიტყვა შეეფერებოდა დედამისის ქველმოქმედებას. ამ ქალს ჭკუის ნატამალი მაინც რომ ჰქონოდა, თომასი, ადრეული ქრისტიანობის გამოცდილებიდან გამომდინარე, დაუმტკიცებდა, რომ სიკეთის ქმნას სიკეთე არავისთვის მოაქვს, რომ ზოგჯერ, კეთილი საქმის ჩადენისგან თავის შეკავება იგივეა, რაც ბოროტი საქმის არჩადენა. რომ ანტიონიუს ეგვიპტელი სახლში რომ მჯდარიყო და დისთვის მიეხედა, ეშმა არ აცდუნებდა.

თომასი ცინიკოსი როდი იყო და სიკეთეს როდი უარყოფდა. პირიქით, თვლიდა, რომ სიკეთე ძვეს ქვეყნიერების საფუძველში. მისი საკუთარი ცხოვრებაც ასატანი მხოლოდ დედის სიკეთის გამო იყო. ეს იყო ცხოვრებისეული სიკეთე, - დედა შესანიშნავად უძღვებოდა საოჯახო საქმეებს და გემრიელ კერძებს ამზადებდა, ხოლო როდესაც მისი ქველმოქმედება ოჯახის საზღვრებს სცილდებოდა, როგორც ახლა, თომასი ეშმაკებზე იწყებდა ფიქრს. ეს აბსტრაქტული მეტაფორა როდი იყო, არა, საქმე უხილავ არსებებს ეხებოდა, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ წამოეკვივლათ, ან ჭურჭელი აეხმაურებინათ სამზარეულოში.

ერთი თვის წინ გოგონა ჩეკის ფალსიფიცირებისთვის მოხვდა საოლქო ციხეში. თომასის დედამ მისი ფოტოსურათი გაზეთში ნახა. საუზმის დროს

დიდხანს ათვალერა და შემდეგ შეიღს გაუნოდა. "წარმოგიდგენია, მხოლოდ ცხრამეტი წლისაა და ამ საშინელ ციხეში ზის. შესახედავად კარგი გოგოა". თომასმა შეათვალერა ფოტოზე აღბეჭდილი ცქვიტი და თავხედური სახე და აღნიშნა, რომ დამნაშავეთა საშუალო ასაკი განუზრგელად კლებულობს.

- გონებაგახსნილი ადამიანის იერი აქვს.
- გონებაგახსნილი ადამიანები ჩეკებს არ აყალებენ, - თქვა თომასმა.
- რა იცი, რას ჩაგადენინებს გაჭირვება?
- რაც არ უნდა იყოს, ჩეკების გაყალებებს არ დავინწყებ.

- ვფიქრობ, - თქვა დედამ, - კარგი იქნებოდა, მისთვის კანფეტები მიმეტანა.

მაშინვე რომ დაეშალა ამის გაკეთება, ყველაფერი

კარგად იქნებოდა. მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, დასაბამივე მოუღებდა ამას ბოლოს. კანფეტების ჩუქება დედამისის საყვარელი საქმიანობა იყო. თუკი ვინმე, რა თქმა უნდა მათი წრიდან, საცხოვრებლად გადმოვიდოდა მათ ქალაქში, წინასწარ დაურეკავდა და კანფეტებით ხელდამშვენებული ეახლებოდა. კანფეტებით მიდიოდა ახალშობილების და თეძომოტეხილი მოხუცების მოსანახულებლადაც. მაგრამ ციხეში კანფეტებით მისვლის იდეამ თომასი გააოგნა.

ახლა კი, როცა იდგა თავის ოთახში და გოგონას სიცილი ტვინს უბურღავდა, თავის მაშინდელ დაუდევრობას წყევლიდა.

ციხიდან დაბრუნებული დედა მის ოთახში შემოვარდა, მის ლოგინზე გაიშოტა და გასიებული ფეხები საწოლის ზურგზე შემოაწყო. ცოტა ხნის შემდეგ ძალა მოიკრიბა, წამოიწია და ფეხქვეშ გაზეთი გაიფინა. "ჩვენ არ ვიცით, როგორ ცხოვრობს კაცობრიობის მეორე ნახევარი", - წარმოთქვა მან. თომასმა იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ დედამისის ყოველი სიტყვა დაშტამპული იყო, მათ უკან ჭეშმარიტი განცდა იმალებოდა.

"კარგი ერთი, - თომასმა ჟურნალი გადადო, - დავინწყე, ეგ გოგო ციხის ღირსია."

- ვერც კი წარმოიდგენ, თავს რა გადახდა, მომისმინე.

საბრალო გოგო, სთარი ჰქვია. გაიზარდა დედინაცვლის ხელში, რომელსაც სამი შვილი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი, საკმაოდ ზრდასრული, ისე აწვალებდა, რომ იძულებული გახდა ნამდვილი დედის მოსაძებნად სახლიდან გაქცეულიყო. ნამდვილმა დედამ კი, (რომელიც მან ბოლოს და ბოლოს იპოვა) თავიდან მოცილების მიზნით სხვადასხვა ინტერნატში დაუნყო გამძნეება. ამ დაწესებულებებიდანაც გარბოდა, რადგან იქაური სადისტები და გარყვნილები საშინლად ეყრობოდნენ.

თომასს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ დედამისს ყველა დეტალი გაუზმხილეს, ის კი, მისი დანდობის მიზნით, დეტალზე აღარ ჩერდებოდა, მხოლოდ მინიშნებებს იძლეოდა. ხმა ისე უკანკალებდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო ამ საშინელებების მოწმე. თომასს იმედი ჰქონდა, რომ დედამისს რამდენიმე დღეში ყველაფერი გადაავიწყდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა - მეორე დღესვე ჰიგიენური საფენები და კოლდკრემი წაულო, ცოტა ხნის შემდეგ კი განაცხადა, რომ ადვოკატს ესაუბრა.

იმ დღეებში თომასს გულწრფელად ენატრებოდა მამა, თუმცა სიცოცხლეში მისი ატანა არ შეეძლო. ის ნამდვილად არ მისცემდა დედამისს ამდენი სისულელის ჩადენის უფლებას. მამისთვის უცხო იყო ცრუსენტიმენტალობა. ცოლის ზურგსუკან დახმარებისათვის თავის მეგობარ შერიფს მიმართავდა და გოგოს, სასჯელის მოსახდელად, შტატის ციხეში გადაიყვანდა. მამა ყოველთვის უხეშად მოქმედებდა. შვილს მამისაგან საღი აზროვნების უნარი დაჰყვა, სისასტიკის გარეშე, ხოლო დედისგან სიკეთისკენ სწრაფვა, ოღონდ, ზომიერი, არა ისეთი, როგორც დედამისს ახასიათებდა.

ადვოკატმა გაარკვია, რომ სთარის ამბები გაუთავებელი შევიწროების შესახებ, ძირითადად, მოგონილი იყო და განუმარტა დედას, რომ გოგონა ფსიქოპათია, ოღონდ ისეთი არა, რომ ფსიქიატრიულში მოათავსონ. არც ისეთი დამნაშავეა, ციხეში ჩასვან და არც ისეთი ნორმალური, საზოგადოებას დაუბრუნონ. ამან დედა უფრო მეტად შემარტა.

გოგომ მაშინვე აღიარა, რომ ყველაფერი შეთხზა, და ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ ტყუილის გარეშე აღ-



არ შეეძლო ცხოვრება. ცრუობდა, რადგან მუდამ მოახლოებულ ხიფათს გრძნობდა. მან რამდენიმე ფსიქიატრის ხელში გაიარა და უკვე აღარაფრის იმედი ჰქონდა.

ასეთ დრამასთან შეჯახების შემდეგ თომასის დედა კიდევ უფრო დარწმუნდა გოგონას ჭეშმარიტ გზაზე დაყენების აუცილებლობაში. მან თომასსაც სიბრაღულით დაუნყო ცქერა, თითქოს ისიც საჭიროებდა ამგვარ საეჭვო ზრუნვას.

რამდენიმე დღის შემდეგ, ის კვლავ შემოვარდა თომასის ოთახში და გამოაცხადა, რომ გოგონას მას თავდებით გადასცემენ.

თომასს ჟურნალი ხელიდან გაუვარდა და სახე მოექცა.

- მაგ გოგოს აქ არ მოიყვან.

- არა, არა, დანყნარდი თომას.

დედამ გაჭირვებით მოუნახა გოგონას სამსახური ზომალაზიში და ბინა ერთი ნაცნობი მოხუცი ქალბატონის სახლში.

თომასი ჟურნალს მიუბრუნდა. იგრძნო, რომ დიდ საფრთხეს გადაურჩა. "ნახავ, - უთხრა დედას, - ეგ გოგო როცა დარწმუნდება, რომ ყველაფერი დაგტყუა, ქალაქიდან გაიქცევა. მერე კი, მის შესახებ ვეღარაფერს გაიგებ."

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ მშვენიერ საღამოს, სახლში დაბრუნებული თომასი გამყინავმა, უსიამოვნო სიცილმა გააოგნა. დედამისი და გოგონა აგიზგიზებულ ბუხართან ისხდნენ. გოგო გიჟის შტაბეჭდილებას ტოვებდა. ძალღვივით იყო გაკრეჭილი და უკანასკნელ მოდაზე ეცვა. თომასს გამომწვევი, ფამილარული მზერა ესროლა და თანამოაზრესავით გაუცინა.

- თომას, - თქვა დედამ, - გაიცანი, ეს სთარია. მის შესახებ ხომ ბევრი რამ გსმენია. სთარი ჩვენთან ივანემებს.

გოგო თავის თავს სთარ დრეიკს უწოდებდა, თუმცა ადვოკატმა გაარკვია, რომ მისი ნამდვილი სახელი სარა ჰემი იყო. გაოგნებული თომასი კარებში გაშეშდა: "გამარჯობა, სარა" - ძლივძლივობით ამოღერდა. მის ხმაში ისეთი ზიზღი იგრძნობოდა, რომ თვითონვე შეცბუნდა და განითლდა. ჩათვალა, რომ ასე მკვეთრად გამოხატული სიძულვილი მის ღირსებას შელახავდა. ამიტომ, გადაწყვიტა, შეძლებისდაგვარად, ზრდილობიანად დაეჭირა თავი. ოთახში შევიდა და მაგიდას მიუჯდა.

- თომასი ისტორიკოსია, - თქვა დედამ და შვილს შეშინებული მზერა ესროლა, - წელს ადგილობრივი ისტორიული საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს.

გოგონამ თომასს ყურადღებით შესედა.

- აუუ, რა მაგარი! - წამოიძახა ხრინწიანი ხმით.

- ამჟამად თომასი ჩვენი საგრაფოს პირველი მოსახლეების ისტორიას იკვლევს.

- მაგარია!

თომასი შეეცადა ისე მოქცეულიყო, თითქოს მის გარდა ოთახში არავინ იმყოფებოდა.

- იცით ვის ჰგავს, - იკითხა სთარმა.

- ო, ალბათ რომელიმე ღირსშესანიშნავ პიროვნებას, - მიუგო დედამ კვკლუცად.

- გუშინ კინოში რომ ვნახე, იმ ძაღლს მაგონებს, - თქვა სთარმა.

- სთარ, - უთხრა დედამ, - ფილმების შერჩევა მეტი ყურადღებით გმართებს. ვფიქრობ, მხოლოდ საუკეთესოებს უნდა უყურო. დეტექტივები ხეირს არ დაგაყრის.

- არაფერი განსაკუთრებული არ იყო იმ ფილმში, თანაც, ის პოლიციელი მართლაც ძლიერ ჰგავდა. იმ ტიპს მუდამ რალაცაში ადანაშაულებდნენ და, ამიტომაც, ისე გამოიყურებოდა, გეგონებოდა, ეს-ეს არის აფეთქებელი. ძალიან ბრაზიანი იყო, თან საკმაოდ სიმპათიური, - დასძინა და თომასს გაუცინა.

- სთარ, - თქვა დედამ, ვფიქრობ შესანიშნავი იქნებოდა მუსიკალურ სმენას თუ განივითარებდი.

თომასმა ამოიოხრა. დედამისი განაგრძობდა ყბედობას, გოგო კი ყურადღებას არ აქცევდა და თომასს უფუფუნებდა თვალებს.

სუფრასთან დედამისი ისე ბრყყულად იქცეოდა, რომ თომასს მისკენ გახედვაც კი უჭირდა, სარა ჰემის ცქერა კი საერთოდ არ შეეძლო. ამიტომაც, ზიზღით სახსვ თვალებით ბუფეტს მიაშტერდა. გოგონას ყოველ შენიშვნას დედამისი დიდი ყურადღებით პასუხობდა. მან დამოძღვრა სთარი, როგორ გაეტარებინა თავისუფალი დრო. ეს სიტყვები სარა ჰემს აინუნშიაც არ ჩაუგდია - თითქოს, თუთიყუშის ნალაპარაკევი ყოფილიყო. თომასმა ძლივს გადაყლაპა დესერტი და სუფრიდან წამოდგა: "ჩემი ნასვლის დროა, შეხვედრა მაქვს."

- თომას, - შეაჩერა დედამ, - მინდა, სახლამდე მიიყვანო სთარი, ამ შუალამეს მარტო ნუ გავუშვებთ.

თომასი გაშრა, ჩუმად შეტრიალდა და ჩასაცემლად გავიდა. როცა დაბრუნდა, გოგონა უკვე მზად იყო ნასასვლელად და კარებში მორჩილად ელოდებოდა. აღფრთოვანებული და ნდობით აღსასვე მზერა ესროლა თომასს და ხელი ზელში გაუყარა, თუმცა, ეს მისთვის არავის შეუთავაზებია. მანქანისკენ გაემართნენ, - თომასი, რომელიც ჯადოსნურ მოსიარულე ქანდაკებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს და მასზე ჩაბლაუჯებული გოგონა.

- ჭკვიანად მოიქეცი, - სიტყვა დაადევნა დედამ: სარა ჰემმა ჩაიხითხითა და თომასს იდაყვი გაჰჭრა.

გამოსვლის წინ თომასმა გადანყვიტა გაფრთხილებიანა გოგონა, რომ პირადად იზრუნებდა მის ციხეში დაბრუნებაზე, თუ არ მოეშვებოდა დედამისის გამოყენებას. აპირებდა იმის თქმასაც, რომ ყველაფერი იცის მისი გემების შესახებ. ეს ყველაფერი მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავის კაბინეტში, მაგრამ ახლა, სარა ჰემთან მანქანაში გამოკვეტილმა, იგრძნო, რომ შიშით ენა ებმოდა. სარა მანქანის სავარძელზე ფეხმორთხმით მოკალათდა და ჩაიხითხითა: "როგორც იქნა, განვმარტოვდით".

თომასმა ადგილიდან მოწყვიტა მანქანა, ჭიშკარს გასცდა და ისეთი სიჩქარით გავარდა შარაზე, კაცს ეგონებოდა, მოსდევნო.

- ღმერთო ჩემო, - სარამ ფეხები გამართა, - იწვის რამე?

თომასმა არ უპასუხა. ორიოდ წამის შემდეგ გოგონა მიუჩოჩდა, დიდ ხანს იწრიალა და, ბოლოს, მხარზე დაადო ხელი. "თომასის არ ვუყვარვარ, - თქვა - მაგრამ, მგონი, ძან კაი ტიპია".

სამანახევარი მილი თომასმა ოთხ ნუთში დაფარა. ერთხელ წითელზეც გაიარა. პანსიონატთან რომ დაამუხრუჭა, მანქანას შემოურბინა და გოგონას კარი გაუღო.

სარა ადგილიდან არ იძვროდა და თომასიც უცდიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გადმოყო ერთი ფეხი, მას თავი მოჰყვა... ბრმის თვალები ჰქონდა, ბრმის, რომელსაც არასოდეს უნახავს სინათლე. თომასი ზიზღნარევი ცნობის-ნადილით შეჰყურებდა.

- არავის ვუყვარვარ, - თქვა სარამ, - წარმოიდგინე, შენ რომ ჩემს ადგილას იყო და ვინმე სახლამდე მიყვანასაც რომ გამადლიდეს.

- დედაჩემს უყვარხარ, - ჩაიბურტყუნა თომასმა.
- ჰოო, დედაშენს! - გოგონას გაეცინა, - ის სამოცდაათი წლით ჩამორჩა ცხოვრებას!

თომასს სული შეეხუთა: "თუ შევიტყვე, რომ არ ასვენებ, უკან მიგაბრძანებ ციხეში", - მის ხმაში უხეში ძალა იგრძნობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩურჩულით ლაპარაკობდა.

- მარტოკა მოახერხებ ამას, თუ ვინმეს მოიშველიებ? - იკითხა გოგომ და ისევ მანქანაში ჩაჯდა იმ განზრახვით, რომ იქიდან აღარ გადმოსულიყო. თომასი დაიხარა, პალტოში ხელი სტაცა და მანქანიდან გადმოათრია. შემდეგ საჭეს მიუჯდა და გაზს მიაჭირა. კარი გოგონას მხრიდან ღია დარჩა და თომასს მოეჩვენა, რომ გოგონას ხარხარი მანქანაში შემოვარდებოდა და სახლამდე დაემგზავრებოდა. მანქანა გააჩერა, კარი დახურა და გამწვანებული სახლისკენ გაქანდა. გადანყვიტა, ყველაფერი ეამბნა დედისთვის, რომ მას ეჭვის ნატამალიც აღარ დარჩენოდა. ყურებში მამის ხმა უნოდა: ბრყვო! გაიტანე შენი, უჩვენე დედაშენს, რომ შენ ხარ ოჯახში უფროსი, თუ არა და, ის თვითონ მიგიჩენს ადგილს.

მაგრამ შინ რომ მიბრუნდა, დედას უკვე ეძინა. დილით თომასი სასაუზმოდ უჟმური სახით გამოვიდა. ეჭვი არ იყო, ხასიათი წახდენილი ჰქონდა. როცა რაიმე გადამწყვეტილებას იღებდა, ემსგავსებოდა ხარს, რომელიც თავდასხმის წინ უკან იხევს და ფლოქვებით მიწას თხრის. "ახლა კი მომისმინე, - თქვა მან და სკამზე ჩამოჯდა, - ერთ რამეს გეტყვი ამ გოგოს შესახებ და მეორედ აღარ გაგიმეორებ, - სული მოითქვა, - ის ერთი ბოზანდარაა და ზურგსუკან დაეცინის. შენ მისთვის ცარიელი ადგილი ხარ, შენგან მხოლოდ გამორჩენას ელის და შეეცდება ყველაფერი დაგტყუოს".

დედა ისე გამოიყურებოდა, თითქოს მასაც გაეტეხა ღამე. ოთახიდან ტანზე ხალათმოსხმული გამოვიდა. თავზე ჩაღმისმაგვარი რამ მოეხვია, ეს თავსაბურავი მეტად ბრძნულ იერს აძლევდა. თომასს მოეჩვენა, სიბილასთან ერთად საუზმობდა.

- დღეს დაკონსერვებული ნაღების ჭამა მოგიწევს, ახლის ყიდვა დამავინყდა.

- გაიგე, რაც გითხარი?

- ყრუ კი არა ვარ, - მიუგო დედამ და ქვაბი სადგარზე გადადგა. - ისიც ვიცი, რომ მისთვის მხოლოდ ბებერი ყბედი ვარ.

- მაშ რატომ ჯიუტობ ამ უაზრო...

- თომას, - შეანწყვტინა დედამ და ხელი ლოყაზე მიიღო, - მის ადგილზე სომ შეიძლებოდა შენ...

- არა, მე არა, - იყვირა თომასმა.

დედამ უკმაყოფილოდ გააქნია თავი: "დაფიქრდი იმაზე, რაც გაქვს, - ოჯახური სიმყუდროვე. იფიქრე მორალზეც. შენ არ გაგაჩნია ცული მიდრეკილებები, თანდაყოლილი ნაკლი".

თომასს ასთმინაივით შეეკრა სუნთქვა.

- შენს ლაპარაკში აზრის ნატამალს ვერ ვხედავ, - თქვა მან, - მამა ადვილად მოუღებდა ამას ბოლოს.

- შენ მამაშენი არა ხარ - მკაცრად მიუგო დედამ.

თომასმა პირი გააღო, მაგრამ აღარაფერი უთქვამს.

- ნებისმიერ შემთხვევაში, - თქვა დედამ, - აქ აღარ მოვიწვევ, რაკი შენ ამგვარად ხარ განწყობილი.

- მე მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, - შენ მაღიზიანებ, თავს რომ ისულებ.

კაბინეტის კარი მიიხურა თუ არა, თვალწინ მამის სახე წარმოესახა - ჩვეულებისამებრ ჩაცმული იყო. ეს სოფლური ჩვევა ბოლომდე შემორჩა, მიუხედავად იმისა, რომ დიდ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა. პატარაში კი მოგვიანებით გადმოსახლდა.

შესანიშნავი უნარი ჰქონდა; - ვის გვერდითაც არ უნდა ეცხოვრა, იოლად დაარწმუნებდა, რომ მისნაირი იყო. აქაც, ამ პატარა ქალაქში, მეზობლებთან საუბრისას, ვთქვად, სასამართლოს შენობის წინ, მწვანე მოლზე, უცბად ჩაცმული იყო და მასვე მიბაძავდნენ ხოლმე მისი თანამოსაუბრეები ისე, რომ ლაპარაკი არ წყდებოდა. ასე უფრო იოლად იტყუებოდა, თუმცა ამას არასოდეს აღიარებდა.

- კარგი, ისე მოიქცე, როგორც მოგეუნებება, - უთხრა მამამ, - შენ მე არ მგაფხარ, შენ კაცი არა ხარ.

თომასმა კითხვა დაიწყო და მამის სახეზე ნელ-ნელა გაუჩინარდა. მაგრამ გოგოზე ფიქრი გონებაში ისე გაჯდომოდა, რომ მისგან თავის დასხნა ნებისყოფის დაძაბვითაც კი ვერ მოახერხა. ეჩვენებოდა, რომ მისგან სულ რაღაც ასეული იარღის მოშორებით, ქარბორბალა მძვინვარებდა, და რომ სადაცაა მისკენ შემოტრიალდებოდა და ნალეკავდა. დიდხანს ვერ შეძლო ყურადღების მოკრება.

გავიდა ორი დღე. ნასაუზმევს თომასი დედასთან ერთად კაბინეტში იჯდა და საღამოს გაზეთს ათვალეერებდა. უცერად ტელეფონმა დარეკა. აიღო თუ არა ყურმილი, ოთახი ქალის კვილიმა გააყრუა. "მობრძანდით და წაიყვანეთ ეს გოგო! მომამორეთ! მთვრალია! მთვრალი ჩემს სახლში. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. სამსახური დაკარგა და მთვრალი გამოიქცხადა. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია."

დედამ ყურმილი ხელიდან გამოგლიჯა.

თომასს თვალწინ ისევ მამის სახეზე წარმოუდგა. შერიფს დაურეკე, - ჩასჩურჩულა მამამ.

- შერიფს დაურეკე, - გაიმეორა თომასმა, - უთხარი მივიდეს და წაიყვანოს.

- ახლავე მოვალთ, - მანაც თავისას ეუბნებოდა დედა, - მოვალთ და წაიყვანთ. უთხარით, ნივთები ჩაალაგოს.

- ისეთი მთვრალია, ვერაფერს ჩაალაგებს, - არ ჩერდებოდა ხმა, - ეს ვინ შემომისახლეთ!

- უთხარი, შერიფი გამოიძახოს, - იყვირა თომასმა.

მაგრამ დედამ უკვე დაკიდა ყურმილი. "მაგ კაცს მე ძალსაც არ ვანდობ", - თქვა მან. თომასი ქანცამოცლილი ჩაეშვა სავარძელში და კედელს მიაშტერდა.

- დაფიქრდი, თომას, ცოდვია, - თქვა დედამ, - მას არაფერი აბადია. ჩვენ კი ყველაფერი გვაქვს.

სარა პანსიონატის შესასვლელში ნახეს. გაჩაჩხული ეგდო კიბეზე. დიასახლისის მისთვის წარბეზამდე ბერეტი ჩამოეფხატებინა, როგორღაც შექუჩებული მისი ნივთები კი იქვე მიეყარა. გაგლეჯილი მთვრალი იყო და თავისთვის ბურტყუნებდა. სახე პომადით ჰქონდა გათხიზნილი. დედის ნებას დაჰყვა და მანქანაში ჩაჯდა. ვერ გაიგებდი, ესმოდა თუ არა, ვინ იყო მისი მხსნელი. "თუთიყუმების კარდა არავინ მყავს ხმის გამცემი", - ბურტყუნებდა. თომასი საერთოდ არ გადმოსულა მანქანიდან. მხოლოდ ერთხელ შეხედა გოგონას და თქვა: "რამდენჯერ გითხარი, მისი ადგილი ციხეშია".

დედა უკანა სავარძელზე იჯდა, გოგოს ხელი ეჭირა და ხმას არ იღებდა.

- კეთილი, სასტუმროში წავიყვანოთ. - თქვა თომასმა.

- მთვრალს სასტუმროში ვერ წავიყვანო, ეს შენც მშვენივრად იცი, - მიუგო დედამ.

- მაშინ საავადმყოფოში დავანწინოთ.

- მას არ სჭირდება არც ცხენი, არც სასტუმრო და არც საავადმყოფო. მას სახლი სჭირდება.

- მაგრამ არა ჩემი, - მოუჭრა თომასმა.

- მხოლოდ ამ ერთი ღამით, - ამოიოხრა მოხუცმა, - მხოლოდ ამ ერთი ღამით.

რვა დღე გავიდა. პატარა კახა სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში დამკვიდრდა. დედა ყოველდღე დადიოდა მისთვის სამსახურისა და საცხოვრებლის საქმენელად, მაგრამ უშედეგოდ, პანსიონატის მებატრონემ უკვე ყველას მოსდო მისი ამბავი. თომასი თავის ოთახსა და კაბინეტში გამოიკეტა.

სახლი მისთვის საცხოვრისიც იყო, სამუშაო ადგილიც და ერთგვარი ტაძარიც - ისეთივე ინტიმური, როგორც კუსთვის ბაკანი. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ოდესმე თავს ასეთი საშინელება დაატყდებოდა. თავს შეურაცხყოფილად თვლიდა და ეს მის სახეზეც გარკვევით ჩანდა.

გოგო, დილაობით, გაიღვიძებდა თუ არა, ბლუზების სიმღერას იწყებდა და მისი ხმა მთელ სახლს ედებოდა. ამ ხმის გაგონებაზე თომასი ყურებს ბამბით იცობდა, მაგრამ ეს საქმეს არ შველიდა. გოგონა სულ ფეხებში ებლანდებოდა. ოთახიდან გამოსულს მაშინვე სარა ეფეთებოდა, გვერდზე ისე ჩაუვლიდა, აღფრთოვანებულ მზერას არ მოაშორებდა, ან ოხვრით უკან აედევნებოდა. თითქოს, უფრო აქეზებდა თომასის მისადმი სიძულვილი, თითქოს ეს გრძნობა მის მონამებრივ შარავანდედს მეტ ბრწყინვალეობას სძენდა.

საკმარისი იყო თომასს, წამით შეეწყვიტა მუშაობა, მაშინვე მამამისი გამოეცხადებოდა ხოლმე - ჩია კაცი გაყვითლებული პანამით, ზოლებიანი ჯვალოს კოსტუმით, ვინრო ჰალსტუხითა და გაურეცხავი ვარდისფერი პერანგით. გამოეცხადებოდა, ჩაცუცქდებოდა და უწყებდა ჭკუის დარიგებას, - წადი შერიფთან, მოუღე ამას ბოლო.

შერიფი მამის ზუსტი ასლი იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კუბოკრულ პერანგს იცვამდა, ტეხასური ქუდი ესურა და მასზე ათი წლით უმცროსი იყო. ისეთივე ვიგინდარა ბრძანდებოდა და გულწრფელად უყვარდა მოხუცი. თომასს ემინოდა მისი ღია ცისფერი თვალების თევზისებრი გამომეტყველების და გაურბოდა მას. ამიტომაც არ ჩქარობდა და იმედოვნებდა, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა.


- თომასს არ ვუყვარვარ, - თქვა გოგომ მესამე თუ მეოთხე საღამოს ვახშმისას და უკამყოფილო მზერა სტყორცნა თომასს, რომელსაც პასუხად სახე ისე დაებრიცა, თითქოს აუტანელი მყრალი სუნი ეცაო.

- თომასს ჰქვია თომასი, - გაუსწორა დედამ, - და არა თომსი.

- მე კი "თომსი" მომწონს, ვფიქრობ, კარგი სახელია. კძულვარ.

- საიდან მოიტანე? - იკითხა დედამ, - ჩვენ ის ხალხი არა ვართ, ვისაც ვილაც სძულს, - დასძინა მან, თითქოს საუბარი რამდენიმე ასწლეულის წინ აღმოფხვრილ ადამიანურ ნაკლს შეეხებოდა.

- ჩემზე უკეთ ვინ გრძნობს იმას, რომ არავის ვჭირდები, - განაგრძო სარამ, - ცხენშიც კი არავის ვუნდივარ. საინტერესოა, თავი რომ მოვიკლა, დავჭირდები კი



უფალს?

- სცადე და ვნახავთ, - ჩაიბურტყუნა თომასმა.

გოგომ ამოიკვნესა. უეცრად სახე დაებრიცა და აკანკალდა

- თავის მოკვლა მართლაც საუკეთესო გამოსავალი იქნება. მაშინ აღარავის შევუშლი ხელს. ჯოჯოხეთში მოვხვდები და აღარც ღმერთს შევანუხებ. მაგრამ ეშმაკსაც რომ არ ვჭირდები! ჯოჯოხეთიდანაც კი გამომაგდებენ... ჯოჯოხეთიდანაც... - სარა აბლავდა.

თომასი ადგა, თევში და დანა-ჩანგალი აიღო და ვახშმის დასამთავრებლად კაბინეტს მიაშურა.

მას შემდეგ სასადილო ოთახში აღარ უჭამია. დედა სამუშაო მაგიდაზე უშლიდა სუფრას. ჭამის დროს ყოველთვის მამა წარმოესახებოდა ხოლმე - უეცრად გაჩნდებოდა, სარწვევლა სავარძელზე მოკალათდებოდა და თავისას არაკუნებდა: მე ვერავინ გამომაძევებდა სასადილო ოთახიდან.

ერთ საღამოს სარა ჰემმა მაჯაზე დანა დაისვა და ნიოკი ატეხა. კაბინეტში გამოეკეტა თომასს კარგად ესმოდა ნივილ-კივილი და დედის აჩქარებული ნაბიჯის ხმა. მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. ჯერ იფიქრა, რომ გოგომ ყელი გამოიღადრა, მაგრამ როცა მოისაზრა, რომ ყელგამოჭრილი ასე ვერ იკვილებდა, იმედის პირველი ნაპერწკალი მალე ჩაეღვენა. ადგა და ჟურნალის კითხვა განაგრძო. ამასობაში ხმაურიც მიჩუმდა. მერე დედამისი შემოვიდა, ხელში პალტო და ქუდი ეჭირა. "საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ. თავის მოკვლა უნდოდა. სისხლდენის შესაჩერებლად სალტო გადავუჭირე. წარმოიდგინე, რა უბედურია, ასეთი რამ რომ გაბედა".

თომასი წამოდგა, ქუდი დაიხურა, პალტო ჩაიცვა და თქვა:

- წავიყვანოთ და იქ დავტოვოთ...

- და ისევ სასონარკვეთამდე მივიყვანო, - იყვირა დედამ.

თომასი შუა ოთახში იდგა. გრძნობდა რომ მოქმედების დრო დადგა: დროა ჩაალაგოს ნივთები და წავიდეს ამ სახლიდან. - მაგრამ ვერ გაბედა ამის გაკეთება.

იმ ძუნჯაზე მეტად დედამისის საქციელმა განარისხა. ექიმმა თქვა, რომ ჭრილობა უმნიშვნელოა, ზედ ცოტა იოდი წაუსვა და სალტზე ბევრი იცინა, მაგრამ ამის მიუხედავად, დედამისზე ამ ამბავმა დიდად იმოქმედა.

მეორე დღეს დედამ ყველა დანა და მაკრატელი მოკრიფა და ერთ უჯრაში ჩაკეტა. მერე თავის და ტარაკუნების სანამალავიც მოხვეტა და უნიტაზში ჩაუძახა. შემდეგ თომასს მიადგა და ჩურჩულით ჰკითხა: "სადაა მამაშენის პისტოლეტი? უნდა დავმალოთ".

- აქ მქვს უჯრაში და არც ვუპირებ დამალვას. თავს თუ მოიკლავს, მით უკეთესი!

- ჩუმად, თომას, არ გაიგონოს.

- გაიგონოს, - იყვირა თომასმა, - ნუთუ არ გესმის, რომ არ აპირებს თავის მოკვლას? ვერ ხვდები, რომ მის-

ნაირი ხალხი თავს არ იკლავს? ნუთუ...

დედა ოთახიდან გავარდა და კარი მიიხურა, რომ მისი სიტყვები არავის გაეგონა. ოთახში სარას სიცილის ხმა შემოიჭრა: "აი, ნახავს თომსი, თავს რომ მოვიკლავ. მერე ინანებს ასე რომ მეპყრობოდა. ავიღებ მის სადაფისტიანი პისტოლეტს..." - სიცილი აუტყდა, აშკარად, რომელიც კინოფილმის მონსტრს ბაძავდა.

თომასმა უჯრა გამოალო და იარაღი ხელით მოსინჯა. მამის დანატოვარი იყო. მოხუცი თვლიდა, რომ ყველა სახლში უნდა იყოს იარაღი. ერთხელ ვიღაც მანანწალას ორი ტყვიაც კი დაადევნა. თომასს კი არავისთვის უსვრია. გოგონას მიერ თავის მოკვლა მას ყველაზე ნაკლებად აღელვებდა, ამიტომაც, უჯრა არ ჩაუკეტავს. სარას ყაიდის ადამიანები დიდი მონდომებით ებლაუჭებიან სიცოცხლეს და ნებისმიერი მდგომარეობიდან ცდილობენ ხეირის ნახვას.

გოგოს მოცილების იდეა ხშირად უჩნდებოდა, მაგრამ ყველა იმდენად ამორალური იყო, რომ მამის ზეგავლენა ცხადი ხდებოდა. თომასიც უარს ამბობდა მათზე; არ შეეძლო გოგონას ციხეში ჩასმა მანამ, სანამ ის რაიმე დანაშაულს არ ჩაიდენდა. მამამისი, მის ადგილზე, უსათუოდ დაათრობდა სარას, საჭესთან დასვამდა და საგზაო პოლიციაში დარეკავდა. მაგრამ თომასი ასეთ რამეს თავისი ღირსებისათვის შეუფერებლად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, ამგვარ აზრებს თავიდან ვერ იშორებდა. იმის იმედიც კი აღარ ჰქონდა, რომ გოგონა ტყვიას დაიხლიდა თავში, მაგრამ ერთხელაც, უჯრაში რომ ჩაიხედა, პისტოლეტი ველარ იპოვა. თავად იარაღის ბედი არ ანაღვლებდა, მაგრამ იმის გაფიქრებამ, რომ გოგონა მის ქალაქებში იქექებოდა, ძლიერ განარისხა. უკვე კაბინეტში წაუბილნეს. ხელუხლებელი მხოლოდ საძინებელია დარჩა.

იმ ღამით გოგონა იქაც გამოცხადდა.

ღილით, საუზმის დროს, თომასი მაგიდას არ მიუჯდა. ფეხზე მდგომმა მოახსენა დედას თავისი ულტიმატუმი. "უკვე საკმაოდ ვითმინე, - ამბობდა ის, - ახლა გზედავ, რომ ჩემი დარდი არა გაქვს. არც ჩემი სიმყუდროვე, კომფორტი და მუშაობის პირობები გადარდებს. ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი მრჩება. დღეს ბოლო დღეა. თუ ამჯერადაც მოიყვან მაგ გოგოს სახლში, მე წავალ აქედან. ან ის, ან მე, - აირჩიე." კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა, აღარაფერი უთქვამს. ადგა და ოთახიდან გავიდა.

ათ საათზე დედამისი და სარა ჰემი სახლიდან წავიდნენ. ოთხ საათზე თომასმა მანქანის ხმა გაიგონა და ფანჯარას ეცა. დაინახა, როგორ მიეალერსა ძალღი სარას, მაგრამ რატომღაც, შეუძლებელი აღმოჩნდა მისთვის ჩემოდნისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმა. იმ კაცს ჰგავდა, დანა რომ გაუნოდეს და უთხრეს, შენი ხელით თუ არ გაიკეთებ ოპერაციას, მოკვდებიო. ხელები ჩამოუშვა.

თვალეები დახუჭა და გააფთრებული მამა გამოეცხადა.

ბრიყვო! - სისინებდა მოხუცი, - ბრიყვო! ბანდიტმა გოგომ პისტოლეტი მოგპარა! შერიფთან წადი! შერიფთან! თომასმა თვალეები გაახილა. თითქოს ყველაფერს ნათელი მოეფინა. ცოტა ხანს შეყოვნდა, მერე გემივით წელა შემოტრიალდა და კარისკენ გაეშურა. გარეთ გავიდა. შეუპოვარი გამომეტყველება ჰქონდა.

არ იცოდა სად მოექებნა შერიფი. ჯერ ციხის შენობაში განთავსებულ მის კანტორაში შეიარა, მაგრამ იქ არ დახვდა. ქალაქის სასამართლოში კლერკმა უთხრა, შერიფი საპარიკმახეროშია ქუჩის გადაღმაო. "აგერ, იონდე-

რი, მისი თანაშემწე", - და ფანჯრიდან დაანახა კუბოკრულ პერანგში გამოწყობილი ახმახი, საპატრულო მანქანას მიყრდნობილი უაზროდ რომ მიშტერებოდა სივრცეს.

"მე მხოლოდ შერიფი მჭირდება", - თქვა თომასმა და საპარიკმახეროსკენ გაეშურა. მართალია, თომასს შერიფი მაინცდამაინც გულზე არ ესატებოდა, თუმცა ცხადი იყო, რომ შერიფს ჯანთან ერთად ტვინიც ჰქონდა თავში. საპარიკმახეროში არავინ დახვდა, მაგრამ გარეთ გამოვიდა თუ არა, მაშინვე დაინახა, ვისაც ეძებდა. შერიფი ტროტუარზე იდგა და გააფთრებული ლანძღავდა თავის თანაშემწეს. თომასი სასწრაფოდ მისკენ გაემართა.

თანამოსაუბრეებისგან სამი ფუტის მოშორებით გაჩერდა და ზედმეტად ხმამაღლა იკითხა: "შეიძლება დაგელაპარაკოთ?" - თან შერიფისთვის სახელით არ მიუმართავს (ფეიერბაზერი ერქვა).

ფეიერბაზერმა პატარა, დანაოჭებული სახე მისკენ მიაბრუნა და სიგარეტის ნაშვნი გადმოაფურთხა. "მოკლედ, ხომ აგისხენი რაც უნდა გააკეთო?" - უთხრა თანაშემწეს, გაეცალა და თომასს თავი დაუქნია, - თუ გინდა მომყვიო.

შერიფმა თომასი სასამართლოს შენობის ეზოში შეიყვანა და ხის ჩრდილში გაჩერდა. შემდეგ სიგარეტს მოუკიდა და სმენად იქცა. თომასმა საქმის ვითარება გააცნო. სათქმელი წინასწარ არ მოუშაბდებია და ამიტომ, მონათხრობი საკმაოდ აბდაუბდა გამოვიდა, - ერთსა და იმავეს იმეორებდა; ბევრი მნიშვნელოვანი რამ კი გამოჩინა. მოყოლა დაამთავრა. შერიფი უაზრო გამომეტყველებით იდგა და დუმდა.

თომასი თავიდან შეუდგა მოყოლას. ახლა უფრო წელა, მაგრამ კვლავ არადაამაჯვრებლად და, ფეიერბაზერმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო: "მაგ გოგოს ერთხელ უკვე ჩავაველე", - თქვა მან და სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც დაეფინა.

- მე არაფერ შუაში ვარ, - თქვა თომასმა, - ყველაფერი დედაჩემის ბრალია.

ფეიერბაზერი ჩაცუცქდა.

- უნდოდა დახმარებოდა გოგოს. არ ესმის, რომ მას ვერავინ უშველის.

- როგორც ჩანს, იმხელა ლუკმა ჩაიდო, რომ ველარ გადაყლაპა - ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა შერიფმა.

- დედამ არ იცის აქ რომ ვარ. გოგოს იარაღი აქვს და სახიფათოა.

- მამაშენი არ დაუშვებდა ამას, - თქვა შერიფმა - დედაცაცებს ის არასოდეს აძლევდა გასაქანს.

- შეიძლება ამ პისტოლეტით ვინმე შემოაკვდეს, - თქვა თომასმა და ზემოდან დახედა ტეხასურ ქუდს.

სინამდვილე ჩამოვარდა.

- სად წაიღო? - დაინტერესდა ფეიერბაზერი.

- წარმოდგენა არა მაქვს. სტუმრების ოთახში ცხოვრობს. ალბათ, თავის ჩემოდანში დამალა, - მიუგო თომასმა.

ფეიერბაზერი ისევ დადუმდა.

- შეგიძლიათ სასტუმრო ოთახი განჩრიკოთ, - დაძაბული ხმით განაგრძო თომასმა, - კარს ღიას დავტოვებ, შეუმჩნევლად შემოხვალთ, კიბეს აივლით და ოთახს განჩრიკოთ.

ფეიერბაზერმა თავი მოატრიალა და მრისხანედ მიამატერდა თომასის მუხლებს, - გატყობ, იცი, როგორ უნდა მოვიქცე, - თქვა მან, - ჩემ ადგილზე ხომ არ გინდა მოკალათება?

თომასი დაიბნა. ვერაფერი უპასუხა. გაჩუმდა და

მოთმინებით დაიწყო ლოდინი. ფეიერბრაზერმა ნამწვი ბა-
ლახზე გადმოაფურთხა.

- ექვსისთვის მოვალ, - თქვა ფეიერბრაზერმა, - კარი
ღია დატოვე და ფეხებში არ გამოიმებლანდოთ. არც შენ
და არც შენი ორი დედაკაცი.

თომასმა მადლობის ნიშნად რაღაც ამოიხროტინა და
შერიფს ისე გაეცალა, თითქოს ეს-ესაა ციხიდან გამოუშ-
ვესო. ფრაზა "შენი ორი დედაკაცი" მესხიერებაში სიჭ-
ვივით გაეჩხირა, - დედის შეურაცხყოფის მცდელობამ მე-
ტი ტკივილი მიაყენა, ვიდრე ფეიერბრაზერის მინიშნებე-
მა მის არაკომპეტენტურობაზე. მხოლოდ მანქანაში ამო-
ისუნთქა თავისუფლად. განა დასაცინად გაწირა დედა,
ნუთუ უღალატა, იმ ძუენას თავიდან მოცილების სანაცვ-
ლოდ? არა, არავითარ შემთხვევაში. ყველაფერი მის სა-
სიკეთოდ გააკეთა, რათა ეხსნა პარაზიტისგან, რომელსაც
მათი სიმშვიდის ხელყოფა ჰქონდა განზრახული. მანქანა
დაქოქა და სახლისკენ გაეშურა, მაგრამ ნახევარგზაზე
გადანწყობა, რომ უმჯობესი იქნებოდა ავტომობილი მო-
შორებით დაეყენებინა და სახლში უკან კარიდან ჩუმად
შეპარულიყო. ასეც მოიქცა, მანქანა მწვანე მოლზე და-
ტოვა და სახლისკენ გაეშურა. კიბეზე ძაღლს ეძინა, ცა-
ლი თვალი გაახილა, პატრონს გულგრილად ახედა და
კვლავ ჩათვლიმა.

თომასი სამზარეულოში შეიპარა. იქ არავინ დახვდა.
მხოლოდ ხმამაღლა ნიკნიკებდა საათი. ექვსს თხუთმეტი
აკვდა. ფეხაკრეფით მიიპარა მთავარი შემოსასვლელის
კართან და საკეტი გახსნა. შემდეგ სმენად იქცა. სასტუმ-
რო ოთახიდან ხვრინვის ხმა მოისმოდა, - ალბათ დედას
ჩასძინებოდა კითხვისას. შემოსასვლელში პატარა კახპას
შავი პალტო და წითელი ჩანთა ეგდო. ზემოთ წყლის
ჩხრიალი ისმოდა: სარა ჰემი შხაპს იღებდა.

თომასი კაბინეტში შევიდა, მაგიდას მიუჯდა და ლო-
დინი დაიწყო. ძლივს იკავებდა კანკალს. ფანქარი აიღო
და კონვერტზე კვადრატების ხატვას შეუდგა. ისევ საათს
შეხედა, - ექვსს აკვდა თერთმეტი წუთი.

უჯრა გამოადლო. რამდენიმე წამი პისტოლეტს მისჩე-
რებოდა, - ვერ დაეჯერებინა. შემდეგ იყვირა და ფეხზე
წამოიჭრა. უკან დაუღია.

ბრიყვო! - აყვირდა მამა, - ბრიყვო! წადი და ჩანთა-
ში ჩაუდე. რას გაჩერებულხარ! ჩანთაში ჩაუდე!

თომასი გაუნძრევლად იდგა და ღია უჯრაში იყურე-
ბოდა.

სულელო! - არ ჩერდებოდა მამამისი - დროზე! ჩან-
თაში ჩაუდე!

თომასს ფეხი არ მოუცვლია.

კრეტინო! - ყვიროდა მამა.

თომასმა პისტოლეტი აიღო.

სწრაფად! - უბრძანა მამამ.

თომასი იარაღმოღერებული შემოსასვლელისკენ გაე-
შურა. კარი გააღო და სკამს შეხედა. შავი პალტო და
წითელი ჩანთა კვლავ თავის ადგილზე იდო.

ჩქარა, სულელო, - უთხრა მამამ.

სასტუმრო ოთახიდან ისევ მოისმოდა დედამისის თა-
ნაბარი ხვრინვა.

დროზე, სანამ არ გაუღვიძია, - აჩქარებდა მამა.

ხვრინვა შეწყდა და თომასს ტახტის ქრაჭუნი შემო-
ესმა. წითელ ჩანთას დასწვდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა,
თითქოს შიშველ სხეულს შეეხო. ჩანთიდან გოგოს სურ-
ნელი ამოვარდა. ხელის კანკალით ჩაჩურთა შიგ იარაღი
და უკან დადო. სახე აუნთლდა.

"რას მიდებს თომსი ჩანთაში?" - კიბიდან სარას სი-
ცილის ხმა მოისმა. დამფრთხალი თომასი გველნაკებნი-

ვით შემობრუნდა.

გოგოს კიმონო ეცვა და ფეხშიშველი, მანეკენივით მო-
უყვებოდა კიბეს.

- ცუდი თომსი, - წარმოსთქვა ვნებიანად და თომასს
დაბინდული მზერა ესროლა. თომასს ფერი წაუვიდა. გო-
გომ ჩანთა აიღო, გახსნა და პისტოლეტს მიაშტერდა.

- თომსიმ პისტოლეტი ჩამიგდო ჩანთაში! - იყვირა
მან.

- რა სისულელეა, - მიქნარებით თქვა დედამ, - რა-
ში უნდა დასჭირვებოდა ამის გაკეთება.

- არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, - თავხედური ლი-
მილით მან წრე დაარტყა თომასს. - წარმოგიდგენიათ?
ერთი ამას დამისხედეთ!

- თომასი ჯენტლმენია და პისტოლეტს ჩანთაში არ
ჩაგიგდებდა, - თქვა დედამ.

გოგონამ ნიშნის მოგებით ჩაიცინა.

- აბა ეს რა არის? - თქვა მან და დედას გახსნილი
ჩანთა დაანახა.

ჩანთაში უპოვნე, შე უღლეურო! - ჩასჩურჩულა მამამ.

- ჩანთაში ვუპოვნე, - იყვირა თომასმა, - ამ ბინძურ-
მა კახპამ პისტოლეტი მომპარა.


დედა გაფითრდა.

- არაფერიც არ გიპოვნია, - იყვირა სარა ჰემმა და
იარაღისკენ გაიწია, მაგრამ თომასმა დაასწრო. გაცოფე-
ბული გოგო თომასს მივარდა და კიდეც ჩააფრინდებო-
და ყელში, დედა რომ არ გადაფარებოდა.

ესროლე! - იყვირა მამამ.

თომასმა გაისროლა. მას მოეჩვენა, რომ მსოფლიო ბო-
როტებას ესროლა, რომ გაგარდნილი ტყვია დედამინის
ყველა კახპას დაადუმებდა და ქვეყნად სიმშვიდეს და
იდეალურ წესრიგს დაამკვიდრებდა.

სროლის გამოძახილი ნელ-ნელა მიჩუმდა. და უეცრად
ფეიერბრაზერმა შემოადლო კარი. შერიფი გაშრა. სიურპ-
რიზმა გააოგნა. მზერა გაეყინა. თავლწინ საშინელი სცე-
ნა წარმოუდგა: იატაკზე თომასსა და გოგონას შორის
მოხუცი ქალი ეგდო. შერიფის ტვინი სწრაფად ამუშავდა
და ნაშში გახსნა დანაშაული: შვილმა დედის მოკვლა და
მკვლელობის გოგოსთვის გადაბრალება მოინდომა, მაგ-
რამ ფეიერბრაზერმა დაასწრო ბოროტმოქმედს. მკვლელობა
ვერ შენიშნა მისი შემოსვლა. კიდეც ერთხელ გადახედა
სურათს და, უეცრად, ახალმა აზრმა გაუელვა: პირდაპირ
მიცვალებულის თავთან მკვლეელი და კახპა, მზად იყვნენ
ერთმანეთს ჩაკვროდნენ. დიახ, შერიფი თავიდანვე მიხვდა
მათ განზრახვას. ის ადრეც შესვედრია მსგავს დანაშა-
ულს, მაგრამ ამ შემთხვევამ, ყოველგვარ მოლოდინს გა-
დააჭარბა.





სამხრეთი მითების ბარეშე

სტუდენტი ვიკავი, როდესაც ორი მნიშვნელოვანი რამ აღმოვაჩინე - ერთი მერი ფლენერ ოკონორის შესაბამისი შემოქმედება და მეორე ის სამსუხარო ფაქტი, რომ თურმე, მთელი ამ ხნის განმავლობაში საუნივერსიტეტო პროგრამებში არც ერთი სამხრეთელი შავკანიანი მწერალი არ იყო შეტანილი.

იმ ხანად აშშ-ს ჩრდილოეთით, კოლეჯში ვსწავლობდი და სამხრეთელი მწერლების შესახებ გავდიოდი კურსს. ავტორები, რომელთა ტექსტებსაც გვასწავლიდნენ - ფოლკნერი, უელტი, მაკკალერსი - არ მაკმაყოფილებდა. შინაგანად ვგრძობდი, რომ თითოეული მათგანი რასობრივი წარსულით იყო შეპრყობილი და გონებაში ჩაბეჭდილ სტერეოტიპებს ვერაფერს უხერხებდა. ვგრძობდი, როგორ იტანჯებოდნენ ისინი, თითქმის ყოველი მეორე ფურცლიდან მესმოდა მათი ეჭვითა და მუდარით სავესე ხმა - ნუთუ, ამ ჩემს გამირებს ადამიანურობისა რაიმე მართლაც სცხიათ.

ოკონორის გამირების გამოკვეთილმა ხასიათებმა კი აღმადროთოვანა. ამ პერსონაჟების რეალურობა საოცრად ხელშესახები იყო. გონებაზეზღუდულები, უბედურები, უშნოები, ურწმუნოები, საკუთარი რასობრივი წარმომავლობით თვითკმაყოფილი - ასეთი ადამიანებით დასახლებული დამხვდა ოკონორის ლიტერატურული სამყარო, რომელმაც ერთბაშად მომწუსხა და მომხიბლა.

თუმცა, სანამ ამ დაუვიწყარ სახეებს ახლოს გავიცნობდი, ჯერ ოკონორის სამხრეთელმა თეთრკანიანმა ქალებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება. არსად წამეკითხა ამ ქალბატონების უფრო მართალი და ზუსტი აღწერა, როგორც ეს ოკონორის ტექსტებში აღმოვაჩინე. და ამიტომ, ის ჩემთვის ელვის უსწრაფესად იქცა პირველ დიდ თა-

ნამედროვე სამხრეთელ მწერლად და იმ ერთადერთ ავტორად, რომელიც ასე მოქნილი, დახვეწილი და მართალი ფრაზებით ამკობდა თეთრკანიან ქალებს. მაგალითად ასე: "მათ ლამაზი, ყვითელი თმა, სქელი მუხლები და ტალახისფერი თვალები ჰქონდათ".

არც მის თეთრკანიან მამაკაცებს ადგათ უკეთესი დღე - ხელმოცარულნი, ქურდები, ფსიქიკამოშლილები, ნახევრადგიუბები, მკვლელები, გაუნათლებლები; იქვე იყვნენ ოკონორის შავკანიანი გამირებიც - მამაკაცებიცა და ქალებიც - ერთნაირად ჭკუასუსტები, სულელები და ცარიელები, გამოფიტულები.

ის, რომ ოკონორი შავკანიანი პერსონაჟების დახასიათებისას საკუთარი შეხედულების გარკვეულწილად შეფარვას ახერხებდა (საუბარია მოგვიანებით შექმნილ ტექსტებზე), ისევ მწერლის ორიგინალურ სტილზე მიუთითებს. შესანიშნავად მიგნებული ხერხია - მხოლოდ მინიშნო მკითხველს შენი გამირების შესაძლო ქმედებებისა და მანერების შესახებ და ამით შენს პერსონაჟებსაც და მკითხველსაც თავისუფლება აჩუქო. დაე, შენმა გამირმა ხორცი მკითხველის წარმოსახვაში შეისხას, დაე ადამიანმა, რომელიც გაიცნობს მას, თავის ფანტაზიებში შექმნას ახალი სურათი, ახალი სიცოცხლე.

ეს სიტყვის ფლობის ისეთი ნიჭი და აზრის ისეთი მოქნილობაა, რომელიც ბევრ მწერალს აკლია დამცირებულ, შეურაცხყოფილ ადამიანებზე წერისას. მათ ტექსტებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა თვითდაჯერებული და ყოვლისმცოდნე ავტორის პრეტენზიული ტონი. თითქოს ამბობდნენ, რომ დედამინის ზურგზე ყველაფერი იციან, თითქოს, ურცხვად გვიმტკიცებდნენ, რომ თავად არიან უზენაესი შემოქმედები. არადა, როგორ შეიძლება მათი თავხედური თვითკმაყოფილების ატანა, ეს მწერლები ხომ უამრავი სტერეოტიპით გვინაგვიანებენ გონებას.

დაუჯვირდით კიდე ერთ საინტერესო ამბავს: ოკონორის გამირებსა და წერის სტილზე გაცნობით მცტი თვითდაჯერებით შეიძლება საუბარი, ვიდრე მის ცხოვრებაზე. ამ მწერლის საქციელის გამოცნობა ყოველდღიურ სიტუაციებში ხშირად შეუძლებელიც იყო. აი, მაგალითად, 50-იან წლებში, მერი ფლენერი მეგობარს, რობერტ ფიცჯერალდს წერდა: "როგორც ზანგები იტყვიან, უბედურება მჭირს". (as the niggers say, I have the misery). ფიცჯერალდი ამ სიტყვებში შეურაცხყოფელს ვერაფერს ხედავდა და ამიტომ ის ოკონორის ერთ-ერთი ნიგნისთვის დაწერილ შესავალშიც ჩაურთო. თუმცა, ჩემს სმენას ეს ფრაზა მაინც მჭახედ ხვდება.

რა თქმა უნდა, ისიც მესმის, რომ მაშინ, როდესაც მერი ფლენერი ამ წერილს წერდა, ეგონა, რომ სიკვდილი უკვე სულ ახლოს იყო და საშინელ სულიერ ტკივილსაც განიცდიდა. სწორედ ამიტომ ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ფრაზა ზანგების შესახებ, მას უბრალოდ, წამოსცდა; რომ, თითქოს, აზრთა არეული მდინარებიდან ფურცელზე უცაბედად "გამოეპარა". მაგრამ, მე მაინც არ

ზურაბ ქინაძე

ჭეშმარიტი ქარიზმისა და ცრუქარიზმის შესახებ



“ახლა დაგვიდგინე ჩვენ მეფე, რომ განგვსჯიდეს ყველა ხალხისამებრ” (მეფ. 8:5), ეუბნება ისრაელის უზუცესობა სამეფელს. რამათში ამ დროს, როცა ეს სიტყვები ითქვა, ქვეყანა გარდატეხის წინაშე იდგა. ეს სიტყვებიც ისეთი კატეგორიულობით იყო ნათქვამი, რომ ღმერთსაც კი, თუმცა იწყინა, რომ ის უარყვეს თავიანთ მეფედ, არ გაუწევია წინააღმდეგობა ხალხის ნებისთვის. ხალხი გზაჯვარედინს მიადგა, საიდანაც ახალი ისტორიული პროცესი უნდა დაწყებულიყო. “ახლა” - ეს სიტყვა ძლიერად იყო ნათქვამი, მას უნდა გაემიჯნა გუშინდელი ხვალისაგან. დღეს, აი ახლა, წყდებოდა ხალხის ბედი.

“ახლა დაგვიდგინე ჩვენ მეფე, რომ განგვსჯიდეს ყველა ხალხისამებრ” - ეს ეპოქალური მოთხოვნა ორ უარს შეიცავდა. პირველი: ხალხმა წინამძღოლობის ტიპის შეცვლა მოითხოვა - უარი თქვა უხილავ მეფეზე, რომელიც წინამძღოლობდა მას ეგვიპტიდან მოყოლებული, ხილული მეფის სასარგებლოდ. მეორე: ხალხი, რომელიც ღმერთმა სხვა ხალხებიდან გამოარჩია და თავის უწჯად, თავის საკუთარ ერად აქცია, თითქოს უარს ამბობს რჩეულობაზე და სურს იყოს, როგორც სხვები არიან (“ვიყოთ, როგორც ყველანი, ცივილიზებულნი! გლობალიზაციის პრეცედენტი). მას ემძიმა რჩეულობის ტვირთი (ეს ცალკე საკითხია).

არ ვიქნებით სამართლიანები, თუ გავვიცხავთ ხალხს და მისი ნების გამომხატველ უზუცესებს ამ მოთხოვნებისთვის. შესაძლებელია, მათი მოთხოვნა დროის მოთხოვნა, დროის გამოწვევა იყო. რა ექნა ხალხს, როცა იგივე წიგნი გვიძვლეს, რომ “უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ ხანებში” (მეფ. 3:1)? ის წინამძღოლობა კი, რომელიც მათ მიერ მოთხოვნილ მეფობას უნდა შეეცვალა, უფლის სიტყვაზე ანუ მონოდეობაზე იყო დაფუძნებული. მოსესა და იესო (იოშუა) ნავეს ძის შემდეგ ქანანში დასახლებულ ხალხს არ ჰყოლია მუდმივი წინამძღოლი. უფლის სიტყვა გადმოდოდა უკიდურესი გაჭირვების ჟამს; ის იყო პასუხი ხალხის ღალატზე. თუ არ იქნებოდა ღალადი ქვემოდან, არც უფლის სიტყვა იქნებოდა მაღლიდან. ღალადი მოდიოდა იმის გაცნობიერებით, რომ გასაჭირის მიზეზი ცოდვაა. გასაჭირი ცოდვის სიმპტომია და უფალი მსაჯულის გამოჩენით სვამს დიაგნოზს და იძლევა შველის სახსარს. ტიპიური რიტმი მსაჯულობისა ასეთია: ხალხი ზურგს შეაქცევს უფალს, და უმწეოდ დარჩენილნი უცხოთა თარეშის მსხვერპლნი ხდებიან. როცა გასაჭი-

მგონია, რომ ეს ყველაფერი სასაცილო იყოს.

უკვე სხვა წერილში, რომელიც ოკონორმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა, აღნიშნავდა: “სამართლიანობა ყველა შემთხვევაში სამართლიანობაა და ის რასობრივ პრობლემასთან არაფერ შუაშია. სამხრეთელისთვის არ არსებობს ბუნდოვანი პრობლემა. მისთვის ყველაფერი დღესავით ნათელი და კონკრეტულია: ის პრობლემას განიხილავს ადამიანებთან და არა რასებთან მიმართებაში.”

ოკონორის ეს მოსაზრება (მართალია ძალიან მნიშვნელოვანი) მაინც ვერ გამოგვადგება სამხრეთელი თეთრებისა და შავკანიანების რასისტულ ურთიერთობაზე საუბრისას. ამიტომ ვფიქრობ, ოკონორს აუცილებლად უნდა განემარტა, რომ მას მხოლოდ საკუთარი, კონკრეტული შემთხვევა ჰქონდა მხედველობაში.

ეს კიდევ არაფერი. ყველაზე საოცარი სულ სხვა დეტალი გახლავთ: მიუხედავად იმისა, რომ ოკონორის შემოქმედება აშკარად ეფუძნება რასობრივი კულტურის ფესვებს, მის ნაწერს რასების შესახებ ლიტერატურას მაინც ვერაფრით ვუნოდებთ. ვფიქრობ, სწორედ ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსის გამო არის მისი ტექსტები ასე ცინცხალი და ორიგინალური. ხოლო თუ მაინცდამაინც საჭიროა, რომ განვსაზღვროთ ოკონორის შემოქმედების ძირითადი არსი, მაშინ უფრო უპრიანი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ოკონორის შემოქმედება ზოგადად წინასწარმეტყველების შესახებ არის, ასევე მეორედ მოსვლის “შესახებ”, იმ ღვთიური მადლის შესახებ, რომლის გარეშეც ჩვენ, ადამიანებს სულიერი ზრდისა და ხსნის შანსი არ გვაქვს.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ



რი კულმინაციას აღწევს, ხალხი გაიხსენებს უფალს და უფალიც გამოარჩევს მათი წრიდან მსაჯულს, რომელიც დალუნავს კერპებს და მოიგერიებს მტერს. ის აღადგენს უფლის თაყვანისცემას და მშვიდობას ქვეყანაში, თავად კი ჩრდილში დგება. ტიპიური მსაჯული, რომელსაც ერთადერთი, რაც ამხნევებს, უფლის მადლია. არც გუშინ, არც გუშინწინ მასში არაფერი იყო ისეთი, რასაც შექმლო ხალხის ნდობა და მინდობა გამოეწვია. მაგრამ დღეს, იგი მისთვის და სხვებისთვისაც მოულოდნელად, უფლის ჩარევის მყისიერი აქტით, წინამძღოლი ხდება. ის შეიძლება არარაობა იყოს, მაგრამ უფლის სულმა, რომელიც გადმოვიდა მასზე, მისგან მსხნელი გამოიქრნა. "ვაკლავ, ბატონო, მე როგორ უნდა ვიხსნა ისრაელი! ჩემი საგვარეულო ყველაზე მცირეა მენაშეში, მე კი მამაჩემის სახელში ყველაზე უმცროსი ვარ" (მსაჯ. 6:15), - ასე უპასუხა მან უფლის ანგელოზს, რომელმაც უფლის სახელით მოუწოდა ქვეყნის სახსნელად, და მაინც "უფლის სულმა მოიცვა გედეონი" (მსაჯ. 6:34). ეს ოთხი სიტყვა ტიპიური ფორმულაა, რომელიც აღნიშნავს ადამიანში მსაჯულის დაბადებას. ვის უნდა ცოდნოდა, რა გარდაქმნა მოხდა მასში, როცა ის უფლის სულმა მოიცვა? მარტინ ბუბერი წერს, რომ ამ სიტყვების თქმა მესამე პირში შეუძლებელი იქნებოდა, თუ ისინი ჯერ პირველ პირში არ წარმოითქმოდნენ. ცხადია, მადლმოსილის ნაცვლად მასზე გადმოსულ მადლზე სხვა ვერ ილაპარაკებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მსაჯულობა შინაგანი გამოცდილებაა და არავითარი ხილული ნიშანი არ ახსელს მასში მადლმოსილებას (ქარიზმატულობას). მადლი გადმოვიდა მასზე არა რაიმე წარსული დამსახურებისთვის ან რაიმე პირადი გამორჩეული თვისებისთვის (მხნეობა, გაბედულება, ფიზიკური ძალა ან გარეგნობა, გამჭრიახობა, სიბრძნე) ან წარმოშობისთვის (საგვარეულო, ოჯახი, წინაპრები), არამედ სრულიად გაუგებრად, გაუმართლებლად. ახლა მას გარდაქმნილს და ფერნაცვალს ხედავდნენ, და არ იყო იმის გარანტია, რომ სული მარადიულად იქნებოდა მასზე დავანებული. როგორც ითქვა პოეტზე, რომ "Пока не требует поэта / К священной жертве Аполон, / В забвотях суетного света / Он малодушно погружен; / Молчит его святая лира, / Душа кушает холодный сон, / И меж детей ничтожных мира, / Быть может, всех ничтожней он", - ასე მსაჯულიც, რომელსაც თუ მადლი მიატოვებდა, შეიძლება ყველაზე უღირსი აღმოჩენილიყო. მადლმიტოვებული მსაჯულის ბედი მძიმეა, ახლოს არის გველისმჭამელის ტრაგედიასთან. მინდიას დაცემა არა ჩვეულებრივ ადამიანურ, არამედ ზეადამიანური სიმადლიდან მოხდა. როგორც მოვიდა ეს მადლი, ისე წავიდა - თემს, საზოგადოებას, ქვეყანას ისევ ის ჩვეულებრივ-ყოფიერი ადამიანი შერჩა. ამრიგად, როცა ვუკვირდებით ბიბლიურ მსაჯულობას, ვრწმუნდებით, რომ ადამიანზე გადმოსული მადლი მისი რაიმე პიროვნული გამორჩეულობით არ არის გაპირობებული. ადამიანმა თავად კარგად იცის, რომ ჯილდოს რაიმესთვის ის არასოდეს იმსახურებს. მადლია, რაც მიეცემა, არა საზღაური. ამიტომაც ამ მადლისთვის, რომელიც უსასყიდლოდ მიეცა, ის არ ეძებს საზღაურს და ჯილდოს, პატივს, აღიარებას საზოგადოებისგან. ის არ ელის არც კეთილდღეობას და წარმატებას პირად ცხოვრებაში, რაც მას, შეიძლება ითქვას, როგორც წესი, არ გააჩნია. მსაჯულმა, პირველ ყოვლისა, იცის, რომ მასთან მხოლოდ ამჟამად არის მადლი და კვლავ იმდენად იქნება, რამდენადაც პირველი გაპარჯვების შემდეგ, სანამ ცოცხალია, არ გადაუხვევს არც მარჯვნივ, არც მარცხნივ. ისიც იცის, რომ მასზე გადმოსული მადლი ისეთი "სესხაა", რო-

მელსაც მემკვიდრეობით ვერ გადასცემს. ქვეყანას ამ დროს მართავს უფლის ხმა და უფლის სული, მართავს უფალი ადამიანის ხელით უსიტყვო მორჩილების პირობით. მსაჯულის წყობილებას სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ, თუ არა თეოკრატიას, თავისი წმინდა სახით. თეოკრატიის დროს ქარიზმატული ადამიანი მხოლოდ იარაღია უფლის ხელში. რა ჰქონდა გედეონს, გარდა ამ საჭოჭმანო მადლისა, რომელიც მოიტანა უფლის სულმა, რადგან არავინ იცოდა, საიდან ქროდა იგი და რატომ გადმოვიდა მაინცდამაინც მასზე და კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა დავანებული. ამიტომაც ამ შეგნებით აღვსილმა გედეონმა უარი თქვა მეფობაზე, რომელიც ხალხმა შესთავაზა, რათა უსაფრთხოდ ეგრძნოთ თავი არა მხოლოდ მის სიცოცხლეში, არამედ მის შემდგომაც. ანუ სურდათ, რომ მსაჯულობა მემკვიდრეობითი ყოფილიყო და მას მეფობა დარქმეოდა. მაგრამ გედეონი - არარაობა, რომელიც მხოლოდ უფლის ძალით შეიქმნა მსხნელ ბელადად, არასოდეს დათანხმდებოდა თავისი ეფემერული წინამძღოლობის მემკვიდრეობით გადაცემაზე. როცა ისრაელიანებმა ამ სიტყვებით მოსთხოვეს გედეონს მეფობა: „იმთავრე ჩვენზე შენც, შენმა შვილმაც და შენმა შვილთაშვილმაც, რადგან შენ გვიხსენი მიდიანის ხელთაგან“, მან მიუგო მათ: „მე ვერ ვიმთავრებ თქვენზე და ვერც ჩემი შვილი იმთავრებს თქვენზე. უფალმა იმთავროს თქვენზე“ (მსაჯ. 8:22-23). უკეთესად ვერ გამოითქმებოდა პასუხისმგებლობა, რომელსაც გრძნობდა მსაჯული. გედეონმა უარი თქვა მეფობაზე, როგორც მუდმივ წინამძღოლობაზე, რადგან მუდმივი წინამძღოლი ანუ მეფე ერთია - უფალი, ის გზავნის ქარიზმას.

რა არის, ქარიზმის გადმოსვლის, როგორც იტყვიან, მექანიზმი? დღევანდელი სიტყვა მოწოდება, თუ მის თავდაპირველ შინაარსს აღვადგენთ მასში, ამ ზებუნებრივი აქტის ადეკვატური გამოხატველი იქნება. მოწოდება, რომელიც გარედან და ზევიდან მოდის, თუმცა ხმა შიგნიდან ისმის, ყოფით ადამიანს, საკუთარ თავზე მზრუნველს, მოთარეშეთა შიშით სადღაც მოფარებულში მონეული პურის მცველს, როგორც გედეონი იყო, საზოგადოებრივ ადამიანად - მსაჯულად აქცევს. ძველი აღთქმის პერიოდში, გარდა მსაჯულებისა, წოდებულნი იყვნენ წინასწარმეტყველნი. ამოსი, მეფეთა ხანის წინასწარმეტყველი, ასე პასუხობს უსარგებლო მსხვერპლის შემწირველ მღვდელს ამაციას: „მე არც წინასწარმეტყველი ვყოფილვარ და არც წინასწარმეტყველის შვილი, მწყემსი ვარ მე და ლეღვის მომყვანი“ (ამოს, 7:14); მისთვის მოწოდება ლომის ბღვინვაა (3:8), რომლის წინაშე უკან იხევს ყოველი ადამიანური ნება. პროფესია განზე რჩება, წინ წამოიწევს მოწოდება. მოწოდებულის წინაშე მკრთალდება ამაცია, როგორც მღვდლის, მემკვიდრეობით მიღებული ლეგიტიმურობა. თუ ამაცია მღვდელმთავრის პირმშოდ დაბადებით და ხელდასხმით აღწევს ავტორიტეტს, ამოსი ფარიდან და ლეღვის ხის ძირიდან მოჰყავს მოწოდებას, სულის ქროლვას, გედეონი - საცხეველიდან, როცა შიშით დათრგუნული მიდიანელებს ემალებოდა (მსაჯ. 6:11-16). ერთსაც და მეორესაც ყველაზე ნაკლებად სწორედ იმის მოლოდინი ექნებოდა, რაც ამ საქმიანობისას შეემთხვათ, რადგან არავინ იცის, საიდან ქრის სული და ვის და როდის დაატყდება თავს. როცა მოსედან დაწყებული ყველა, ვისაც კი უფალი მოუწოდებდა, თავის სისუსტეს და დაკისრებული ამოცანისადმი შეუფერებლობას იმიზეზებდა, იღებდა ერთადერთ ავტორიტეტულ და შეუპასუხებელ პასუხს: განა არის რაიმე ისეთი, რაც ღვთისთვის შეუძლებელია?

მოწოდებასთან, ქარიზმასთან, ერთად ადამიანს ეძლე-

ვა აღსასრულდებელი ამოცანა. და როგორც წესი, ეს ამოცანა, რომელიც წოდებულს ეკისრება მაღლიდან, როგორც უღელი, არ აძლევდა მას იმის უფლებას, რომ ბრბოს ნება-სურვილს აჰყვეს. თუ მისი ამოცანა (მისია) იმ ყოფის შეცვლაა, რაშიც ხალხია ჩავარდნილი თავისივე ნებით, ის ხალხის ნების წინააღმდეგ უნდა წავიდეს. პოპულარობა გამოირიცხავდა ქარიზმას. ხალხის ნებას მხოლოდ ცრუმსაჯულნი და ცრუნინასწარმეტყველნი არიან აყოლილი - აქედან მოდის მათი პოპულარობა. თუ იყო ჭეშმარიტი წოდებული, იყვნენ თვითმარქვეები, ცრუნოდებულნი ანუ არა უფლის, არამედ საკუთარი ნებით წოდებულნი, რომლებიც არა ღვთის სიტყვას, არამედ საკუთარ სიტყვას აცხადებდნენ. საუკეთესო ცნებები - დემაგოგია (ხალხის წინამძღოლობა), დემაგოგოს (ხალხის წინამძღოლი) ადვილად იღებს საპირისპირო მნიშვნელობას. ხდება, რომ ერთი ჭეშმარიტი დემაგოგის (ამოსავალი მნიშვნელობით) მართალი, პირუთენელად გამოცხადებული სიტყვა, რომლის წყარო უფალია, ოთხასი ცრუნიწასწარმეტყველის, დემაგოგის (დღევანდელი გაგებით), მაამებელ ცრუ სიტყვას უპირისპირდება; მეფე ამათ უსმენს, იმ ერთის გაგონებაც არ უნდა. რადგან მეფეს, ასეა მონყობილი ადამიანის ბუნება, მხოლოდ სასიკეთოს მოსმენა სურს. როცა მეფე მართალ, თუმცა ცუდის მომასწავებელ სიტყვას ისმენს წინასწარმეტყველისგან, ბრძანებს მის ჩაგდებას დილეგში, რომ იქ აჭამონ მას „სიმწრის პური და ასვან სიმწრის წყალი“. ასე მოექცევა მიქა-მიქა იაჰუს (შმეფ. 27), ცრუნი კი პატივში ეყოლება. როცა იერემია ყველას - მეფისა და ერის წინააღმდეგ წავიდა, ჭკრეტდა რა ისტორიული მონაკვეთის იმედიან დასასრულს, როცა ბაბილონი უნდა დაცემულიყო და ამიტომაც მოუწოდებდა, ქედი მოეხარათ მის წინაშე (მეტი სიტყვადისთვის ის უღელდადგმული დადიოდა იერუსალიმის ქუჩებში), თუ არა და, ქალაქს აოხრება და ხალხს განფატვა ელოდა, მას მოღალატედ აცხადებენ და დილეგში აგდებენ. ყველაფერი კი ისე წარიმართა, როგორც წინასწარმეტყველებდა. ბაბილონს მიცემული აქვს ვადა - სამოცდაათი წელი და რატომ უნდა განყდეს უფლის ერი? ამბობდა ის, ცრუნიწასწარმეტყველს კი ეუბნებოდა: „მისმინე, ხანანია, უფალს არ მოუფლენიხარ და ტყუილად აიმედებ ხალხს“ (იერ. 28:15).

რა მოხდა იმ ხანებში, როცა იშვიათი გახდა უფლის სიტყვა? რა ცვლილება მოხდა ხალხის ცნობიერებაში. ძნელია ამაზე საუბარი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამიერიდან, რაც მოწოდების ხმები შეწყდა, ადამიანს თავად უნდა გადაეწყვიტა თავისი ბედი. ღმერთმა მიუშვა ადამიანი, მის არჩევანს მიანება მისი ბედი. თითქოს ის გამოვიდა ბავშვობის მდგომარეობიდან, იმ დროიდან, როცა უფალი მას არწივის ფრთებით დაატარებდა (რჯლ 32:11-12), ის უკვე მოწიფულია და მას შეუძლია თავად წარმართოს თავისი ცხოვრება.

* * *

ჩვენ სეკულარულ, მეტიც, უღვთო დროში, მაქს ვებერიდან მოყოლებული, ლაპარაკობენ ქარიზმაზე, ქარიზმატულ ლიდერობაზე. მ. ვებერის ხელში, ბულტმანის კვალზე, ეს ცნება, ბულტმანისავე ტერმინოლოგიით თუ გამოვხატავთ ვითარებას, განმითოლოგების (დემითოლოგიზაციის) მსხვერპლია, თუმცა ქარიზმა ისევე, როგორც სახარება, არ ეკუთვნის მითოლოგიის სფეროს. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ აქ საქმე ცნების უზურპაციასთან გვაქვს.

ზაზა კვერცხიშვილმა სტატიაში „ქარიზმატულობის შინაარსი და რაობა“ (არილი, #4, 2002) ეჭვის ქვეშ დააყენა ტერმინ „ქარიზმატულის“ გამოყენების მიზანშეწო-

ნილობა თანამედროვე პოლიტიკური ლიდერის მიმართ. მისი აზრით, მკვებერმა გააბუნდოვანა მისი შინაარსი, როცა პოლიტიკური ხელისუფლების ერთ-ერთი სახეობის აღწერისას, მის დამახასიათებელ ნიშნებში სრულიად გაუმართლებლად შეიტანა ხელისუფლის პიროვნული თვისებები. მართლაც, ვებერისეული გაგება „ქარიზმატულობისა“, თუ რენე ვენონის მეტაფორას გამოვიყენებთ, გადმოყრავებულია: რელიგიურ-მეტაფიზიკური სინამდვილე გადმონაცვლებულია ფენომენალურში. ზენა შეცვლილია ქვენათი. და ეს ეპოქის ნიშანია.

რასაც დღეს ქარიზმაში გულისხმობენ, სხვა არაფერია, თუ არა ხალხის ნება-სურვილების პროექცია პოლიტიკურ ლიდერში, რომელიც ამ დროს ხალხის მძევალია, არა ჭეშმარიტების ტყვე და მორჩილი, როგორც რელიგიური ხანის წინამძღოლი იყო. თუ ის ჭეშმარიტებას აცხადებდა, თუნდაც ძნელი ყოფილიყო მისი მოსმენა და ატანა, რაც ნამდვილად არ უწყობდა ხელს მის პოპულარობას (ვინ იყო იერემიაზე არაპოპულარული იერუსალიმის იმ უკანასკნელ ბობოქარ დღეებში?), ეს „ქარიზმატულის“ ლიდერი, დემაგოგი, კი პოპულარობის მოსახვეჭად ილუზიებით კვებავს ხალხს, აცხადებს იმას, რაც აამბებს მათ სულს. თუ ის კერპებს ანგრევდა, ეს მზად არის, აშენოს კერპები. სხვანაირად ვერც მოიქცევა, რადგან მისი „ქარიზმა“ მისივე ნაკვები ილუზიებისგან არის შეთხზული. თუ არ არსებობს წინაპირობები „ქარიზმის“ გამოსაკვებად, ის შეიძლება ხელოვნურად იქნას გამოწვეული, და ეს ხორციელდება კიდევ. თუ ვინმე მოხიბლულა გაუთავებლად მბრუნავი რეკლამით, ის ამგვარად წანარმოებ „ქარიზმითაც“ მოხიბლება. ვგულისხმობ უჩინარი იმიჯმეიკერების კოსმეტიკურ „შეპოქმედებას“, რაც სავსებით შეესატყვისება დროის სულს. ეს სეკულარული ეპოქის ნიშანია, როცა სეკულარიზებულია თავად მოწოდება, როცა ქარიზმა, როგორც ცნება და ტერმინი იცვლის თავის შინაარსს. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება ღვთის დუმილით ადამიანის ნებაზეა მიშვებული. ღმერთი დუმს, როცა ადამიანი არ უსმენს მის ხმას. თუ ვისმე მოუხმია ან დაუმონებია ღვთიური ავტორიტეტი („ჩვენთან არს ღმერთი“ და სხვა), ეს მხოლოდ ფუყე მეტაფორა ყოფილა.

და ბოლოს, ვიკითხოთ, არსებობს დღეს ქარიზმის გადმოსვლის ფაქტები? თუ ის დიდხნის შემწყდარი? ასეა, დღეს გვალვია. „უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ დღეებში“, ეს მაშინ ითქვა, მაგრამ ეს დღეები დღეს დიდხნის დამდგარია და გრძელდება. ჭეშმარიტი ქარიზმატულობა ღრმა წარსულშია დარჩენილი. რასაც დღეს, ადამიანის მიშვებულობის ხანაში ვხედავთ, მხოლოდ ქარიზმატულობის პაროდიული სახეცვლილებაა და აჰან შესაბამისი შედეგები მოიტანა და მოაქვს. ღვთის ნება მიუწვდომელია და, ამდენად, მისი ხმა, რომლის ყურისგდებას გადაეჩვია ადამიანი, გამქრალია ისტორიის ასპარეზიდან. ვხედავთ ბნელ, პოლიტიკურ ალღოდ სახელდებული ინსტინქტების ანაბარად დარჩენილ ბრბოს და მის ნებას დამორჩილებულ ლიდერებს, რომლებსაც სურთ ქვემოდან საეჭვო მასალისგან დამზადებული იმიჯი, სხვანაირად, ხიბლი, რომლის უკან სიცარიელეა, ზეციურ მადლად, ხოლო ბრბოს უგუნურება და სულნასულობა, რაც მათშივე არეკლილი, ღვთის ნებად გაასაღონ.






გილოცავთ შოგა-ახალი წლის
დადგომას!

<http://www.opentext.org.ge/arili>

წაავ HERE



40/91



Das Redaktionsteam dankt den Mitarbeiterinnen
der Österreich-Bibliothek Tbilissi für ihre
Unterstützung und hofft auf weitere
Zusammenarbeit.